1939

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანათური

5

თბილისი
1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
ჯავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთექვსმეტე

Библиотека

5

19 მაისი 39
სახელგამი

საქართველოს
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის 13,
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

პანტოლრა:
ტფილისი, ქამოს ქ. № 40
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ალიო მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — ლევან ასათიანი

გადაეცა წარმ. 2/VII — 39 წ. ხელმ. დასაბ. 16/VII — 39 წ.
შეკვ. № 1721. მთავლ. რწმ. № 2037. ტირ. 6000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. კაჭახიძე

ღამის ამბავი

ძინავთ ფიჭვებს, ძინავთ ნაძვებს ნაბდიანებს,
ღამე არის, მთვარიანი ჩუმი ღამე.
სიო არ ჩანს, ზღვიდან მოსვლას აგვიანებს
და კალთაში ჩაწოლია ნისლი ხრამებს.
ფხიზლობს მთვარე და მესაზღვრე ფხიზლობს მარტო,
ვაჟკაცია, მტერი საზღვარს ვერ დაარბევს.
მთვარე წყალში იხედება, თვალებს ართობს
და ისწორებს გოგოსავით თმას და წარბებს.
ვაჟი მთვარეს შეხედავს და გაიღიმებს,
გულის სწორი აგონდება ჭაბუკს ალბათ...
ფიქრით ხედავს მის მკერდსა და ფართო
ღილებს,
ხედავს, როგორ შემოკვრია ტანზე კაბა.
ამბობს: — ალბათ იმ მშვენიერს ძინავს ახლა,
ძილში ჩემზე ჩაყვებოდა გრძნობა წრფელი.
რა კარგია!..
სიზმარშიაც იქნებ მნახა,
მაგრამ რატომ აგვიანებს გოგო წერილს!
უცებ ტყეში დაიძახებს ჭოტი მწყრალად,
ვაჟიც უცებ შეკრთება და გაიფიქრებს:
იქნებ საფრთხე მომელის და ტყე მიმალავს,
ანდა საფრთხე ჩემს მშვენიერს ელის იქნებ!
ჭოტი ფრთხილად იმეორებს ტყეში ძახილს,
სხვა მხარედან მას სხვა ჭოტი პასუხს აძლევს...
მთვარე ისევ იხედება გოგოს სახით,
დუმს ფიჭვები და ისევე ძინავთ ნაძვებს.
დუმს მესაზღვრეც, არ ასვენებს მხოლოდ
ეჭვი:
როდის იყო აქ ჩვეოდათ ასე ჭოტებს?!.
მალე სადღაც გახმაურდა ფრთხილად კენჭი,
სადღაც სიომ ჩაუარა ნაძვის ტოტებს.
ხერხი სჯობსო, სთქვა ვაჟმა და ჭოტის
მსგავსად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყეს გასძახა, დაიჭირა თოფი მარჯვედ.
დაძახილზე მას პასუხი ჭოტმა გასცა, —
გული ძგერს და ვიღაც ტყეში მოალაჯებს.
მოდის შავად, აბრიალებს თვალებს მტრულად,
სამშვიდობო გზაზე გასვლა ალბათ სჯერა...
დაფრთხა, როცა დაინახა თოფის ლულა,
მაგრამ სწრაფად ის მესაზღვრემ შეაჩერა.

შემკრთალივით შეიშმუშნა ტყე მძინარე,
თვალს ახელს და ხევიც იხდის ნისლის ნაბადს.
ჰკრებს შორეულ მკრთალ ვარსკვლავებს
სავსე მთვარე
და უამბობს დატყვევებულ „ჭოტის“ ამბავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო გალიაური

შურის ციხე

თავი პირველი

გაზაფხული იყო. ხევსურეთის აყვავებული მთაგორი ღიმილით ხვდებოდა ახალ ამბებს, ახალ ადამიანებს,—ხევსურეთისაკენ მიეშურებოდნენ: დურგლები, კალატოზები, მელალუმენი, მეურმეები. გროვდებოდნენ ბარისახოში და ვიღაცას თუ რაღაცას ელოდნენ. იბღვირებოდა გზად გავლილი ხევსური,— უცხოობას გრძნობდა ირგვლივ. თავი ეხამუშებოდა. პატარა ტანის ულაყები კრთებოდნენ, გაოცებით უყურებდნენ ბარისახოს კალთაზე შესვენებულ კამეჩებს, დაფეთებული თვალებით რომ უჭვრეტდნენ უცხო გარემოს, და ფრთხებოდნენ ჯორები. იცინოდნენ მაყურებელნი. არ იცინოდა მხოლოდ ხევსური — ხდებოდა ხევსურისათვის უცხო რამ. სიახლეს ელოდა ყველა. უცბათ ცხენოსნები მოვიდნენ. თეთრი კარვები დადგეს „გუდელას“ და დაიწყეს შრომა. თხრიდნენ, აფეთქებდნენ, ზომავდნენ და აშენებდნენ. მიდმოდიოდნენ დატვირთული ურმები. მოჰქონდათ: ლამი, კირი, ხის მასალა, იყო შრომა და სიხალისე. მხოლოდ ერთი გამოირჩეოდა მათ შორის — დაღვრემილი დაიარებოდა, მოშორებით ჩაუვლიდა თეთრ კარვებს, ალმაცერად შეუბღვერდა მოსულ ადამიანებს და შურის ციხისკენ მიდიოდა. იდგა ციხის ნაშალთან, ფიქრობდა, აბოლებდა ყალიონს და იფურთხებოდა. იდუმალი სევდა რამ აწვა მის გულს. დამაინტერესა. ვიკითხე მისი ვინაობა.

— გოგოთურ ჰქვიან. ერთდროს სახელგანთქმული იყვის, მხიარულობის, ეხლა კი... უცნაურ გახდ. მარტო დაიარების. თვალცრემლიან დასცქერის შურის ციხის ნაშალს, ფიქრობს, ბევრს ფიქრობს... — მითხრა ახალგაზრდა ხევსურმა იმედამ.

— არავინა ჰყავს?

— არ. — ცივად მიპასუხა მან. მე გავჩუმდი, შევამჩნიე, რომ იმედას არ ჰსურდა გოგოთურზე ლაპარაკი. მხოლოდ ეს კია: გოგოთური იმედასთან თუ შედგებოდა, შეიფეხებდა, ლაპარაკს ჩამოუგდებდა, უცნაურად უყურებდა. გამოხედვაში იყო რაღაც იდუმალი, წუთით რომ აანთებდა გოგოთურის თვალებს...

ერთ დილით მე და იმედა სამუშაოსკენ მივეჩქარებოდით. შურის ციხის გვერდზე ნადგომი „ხმალაის“ ქარაფი უნდა აგვეფეთქებინა. გოგოთური შემოგვხვდა გზაში. დინჯად შეხედა იმედას, სიხალისემ გადაჰკრა სახეზე, მაგრამ იმედას ხელში რომ კლდის ასაფეთქებელი მასალა შენიშნა, შუბლი შეიკრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყრალად მიაშტერდა თვალებში, — გოგოთურის თვალები მოლლილი ყოო, ჩაყვითლებული, მასში მხოლოდ შური ბუდობდა, შურს და მწუხარებას დაეფარა ნაკეჭნი სახე ჭალარა ხევსურისა.

— იმედ!.. — თქვა მან და წინ გადაგვიდგა. — ხმალას ნუ ლახავთ!.. დიდი ას ხმალაის მრისხანე გიორგი... კას არას მაიწადინებს თქვენდ!..

იმედა ოდნავ შედგა, ნაბიჯი შეანელა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გვერდი აუქცია მოხუცს, ასცდა და თავდახრილი სამუშაოსკენ წავიდა. მე გოგოთურს შევხედე: იმედას მოსჩერებოდა და ნელიად ჩიფჩიფებდა:

„გიორგივ, აპატიე იმედას!..“

მინდოდა მეთქვა რამე გოგოთურისათვის, მაგრამ ალმაცერად შემომხედა, — უსიტყვოდ მეუბნებოდა:

შენ ვინლა მოთრეულხარო.

სათქმელი გულში ჩავიკალ და დროს დაველოდინე.

თავი მეორე

მუშები ისვენებდნენ. ჯგუფ-ჯგუფად დაგროვილიყვნენ პატარა მინდორზე, წითელ ქათიბის ბოლოსავით რომ შვენოდა ბარისახოს. ისმოდა სიმღერები: „აგერ მთვარე ამოსულა“, „ჩელა“, „სულიკო“.

არაგვის პირზე გადამდგარიყო თურქი თუ სომეხი და საიათნოვას სიმღერას მღეროდა. რუსებს დიდი წრე გაეკეთებინათ, გარმონს უკრავდნენ. ცეკვავდნენ, მღეროდნენ და გაიხარებდნენ.

აქა-იქ ხევსურები ჩარეულიყვნენ, იდგნენ ამაყად, ჯაჭვ-იარაღში გამოწყობილნი და მწყრალად იჭვრიტებოდნენ: ჰსურდათ მონაწილეობა მხიარულ ადამიანებთან, ურნატასავით[1] რომ გაჩნდნენ ხევსურეთში, მაგრამ ერთთ ფარიკაობა არ იცოდნენ, ხოლო მეორეთ ამოდ სიმღერა, გული კი, გული ორივეს გრძნობდა, ორივეთი ტკბებოდა, გული გულისკენ მიიწევდა.

მე ერთხანს მხიარულობაში ვლებულობდი მონაწილეობას, შემდეგ შურის ციხის ნაშალისკენ წავედი, დავჯექი ერთი ხის ქვეშ და „ვეფხისტყაოსანი“ გადავშალე. ვიცოდი: გოგოთური მალე იქ გაჩნდებოდა — მასთან საუბრის მოსურნე ვიყავი. არ მოვტყუვდი — მზის დაბრძანების ჟამს თვალი მოვჰკარი გოგოთურს: თავდახრილი ციხის ნაშალისკენ მოდიოდა, ნელი ნაბიჯით მიახლოვდებოდა; გარემოს ათვალიერებდა. ვერ დამინახა. სწრაფად მიიარ-მოიარა ის ადგილი, სადაც წინა დღით მუშებს ქვა აელაგებინათ ციხის ნაშალზე, კარგა ხანს ეძებდა რაღაცას ქვებს შორის, ბოლოს შედგა, მძიმედ ამოიოხრა, ჩაფიქრდა...

ამ დროს მე ნელნელა ავუწიე ხმას — მის გასაგონად წავიკითხე რუსთაველის სიტყვები:

„არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლოდ ცრემლთა დენა,
არ გადავა გადუვალათ მომავალი საქმე ზენა“...

იგი შედგა. ჩემსკენ შემოტრიალდა — ეამა მონასმენი და გაგუვდა. მე უფრო ხმამაღლა კითხვას განვაგრძობდი:

[1] ურნატა — გაზაფხულის ჩიტი, თეთრი ფერისა.

... „არ დავიწყება მოყმისა ოროდეს გვიზამს ზიანსა,
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“...

აქ შევდეგი. დავხურე წიგნი და ვითომ ეხლა შევამჩნიე, სწრაფად წამოვდექი ფეხზე — მივესალმე გოგოთურს. იგი ცივად შემხვდა და სადაურობა მკითხა. მე ჩემი სახელი ვუთხარი. ვერ გამიგო.

— ვისაი ხარ?! — მკითხა განმეორებით.

— გაგაი ვარ თათიაშვილი, გიორგათ და დევათ ჯიშის მოდგმისა. — ვუპასუხე მე და თავი დავხარე. მას კმაყოფილების იერმა გადაჰკრა სახეზე, დაჯექი, მითხრა და მთხოვა:

— წამიკითხეღა რა რუსთაველისა?..

— რა წაგიკითხო, გოგოთურ?!.

— გულს ყველაიც ეამების!..

და მე დავიწყე: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“... ერთი თავის წაკითხვა მოვათავე. დიდხანს ვისხედით უსიტყვოდ.

— ეხ!.. „მე გადავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“... — ნაღვლიანად თქვა გოგოთურმა, მძიმედ ამოიოხრა და წასასვლელად მოემზადა. შემეშინდა, არ წავიდეს-თქო და აღარ დავაყოვნე:

— მე შენთან შეხვედრა მსურდა, გოგოთურ, იმად მოვედი აქ, — დავიწყე მე. — იმ დღეს იმედას უწყრებოდი: არ გსურდა მისგან ამ მიდამოს შელახვა და მრისხანე გიორგის ახსენებდი... მე ხევსური კაცი ვარ, ხევსურეთში გაზრდილი, თავათ ხატის მსახური ვყოფილვარ, ცამეტი წლისას გადამიხადეს „სახელო“;[1] სამჯერ ვიყავი ხელოსანი — სამი წელიწადი ვატარე მხრით ჯაჭველის დროშა და არ მინდა შევცოდო ჯვარღმერთს... მამა უნებურს წამკიდებს ცუდი საქციელისათვის... იქნება მითხრა რამე ამ ადგილის შესახებ.

— ეხ!.. ვის რა გწამსთ ეხლა! — თქვა გოგოთურმა და ყალიონს თამბაქო დაუმატა. — დაიცილეთ, ყველა დაიცილეთ...

მე წავხალისდი: გოგოთური საუბარს აპირებდა.

— ამ ციხის ნაშალის ამბავი მაინც მეინტერესება... შენ წელან რალაცას დაეძებდი. — ვთქვი ჩემთვის, მოხათრებით. იგი შეკრთა.

— დაეძებდიო?! — გაიოცა და ყალიონი ბრაზიანად გააბოლა.

— იქნებ საიდუმლო რამე გაქვს... ჩემგან ნურაფრისა გეშინიან...

— შენ ძალიან სწუხდები!..

— ძალიან!..

— ყმაწვილ ხარ!!..

— ყმაწვილს ამბავი ეინტერესების!..

გოგოთურმა უგემურად გაიღიმა, გარემო შეათვალიერა, გაჩუმდა. მე ხმა არ ამომიღია: შევამჩნიე — ამბის მოყოლას აპირებდა.

— თათაიას შვილი რო არ ყოფილიყავ, არას გეტყოდი. — მითხრა მან ბოლოს და აი რა მიამბო:

---

[1] „სახელო“ — 13 — 14 წლის ახალგაზრდას ხუცესი გადააბარეს ხატის დროშას, ამის შემდეგ იგი ითვლება „ხელოსნად“. ამ დალოცვის ცერემონიალს ეწოდება „სახელო“.

ხმალაში იდგა ცხრათვალი ციხე. ციხეს გვერდზე ედგა ცხრა ალვის ხე. ალვის ხეთ წვერზე ეხვია ცხრაკეცი შიბი,[1] შიბი იყო ოქროსი. ოქროს შიბზე იჯდა ცხრა მტრედი — ოქროს ფრთებიანი. მტრედები საამოდ დაღუღუნებდნენ ციხეში ნასხდომ ხევსურეთის ბეჭეთ და ციხის ჩარდახებს. ციხეს და ციხის ჩარდახებს უმღეროდნენ ხევსური მოლექსეები და ხევსურები სისხლს ღვრიდნენ ოქროს შიბის დაცვაში: ხევსურეთში მოსული მტერი ოქროს შიბს მოჰქადდა — მის მოტაცებას ცდილობდა. ალვის ხეთ წვერი კი ცას სწვდებოდა — ხეთ ცულის ფხა არ ეკიდებოდა: რომელლაც ხონთქარი (ვოგოთურმ არ იცის ურჯულოთა ბელადების სახელები), მრისხანე ქარცეცხლით შემოიჭრა ხევსურეთში, მავრამ გაცრუებული გაბრუნდა: ოქროს შიბს ვერ შესწვდა, გაბრაზებულმა ბელადმა შურის ციხეს შეალეწა უკანასკნელი მშვილდისარი, ხვარასნული ხმალი დაამსხვრია შურის ციხის ზღურბლზე და ღამით გაიპარა.

ოქროს შიბის მოსატაცებლად მოდიოდნენ: ქისტები, ლეკები და ოსნი. იმათ სისხლით იღებებოდა შურის ციხის კალთა, სიუხვეს მატულობდა მუდამ მშფოთვარე არაგვი; ციხის კედლებზე დნებოდნენ ურჯულოთა ბელადების მარჯვენები და მტერი შიშით ცახცახებდა, მტერს შიშის ზარი ედებოდა... ხევსურები თაგაურობდნენ,[2] ერთიმეორეს სიმამაცეს უქებდნენ და ხვალისათვის ლესავდნენ ხმლებს.

ბრძოლაში სცვლიდა დღე — დღეს, წელიწადი — წელიწადს.

ბრძოლაში იცდებოდა ფრანგულთ მჭრელობა, ციხეთ გამძლეობა.

ბრძოლაში ფასდებოდა ვაჟკაცის გულადობა, ხვადების მუხლი.

ციხე ამაყად დაჰყურებდა არაგვის ხეობას. ალვის ხეთ სიმაღლე წლითიწლობით მატულობდა. მტრედები კვლავინდებურად დაღუღუნებდნენ ციხის ჩარდახებს. ბეჭენი ბეჭობდნენ ხევსურეთის საქმეს და ცავის საყმოს შველოდნენ: დიდებული დიდგორის ჯვარი, ხმალაის მრისხანე გიორგი, ხმალაში ბრძანებული, დევ-ალქაჯთ მმუსრავი გმირი კოპალა — ლალი ლახტიანი; ღმერთებთან შუამდგომლობდა ქალღმერთი: სამძიმან ყელღილიანი, ოქროს პერანგიანი — წაწალი არხოტის ჯვარისა...

ამაყობდა ხევსურეთი, მაგრამ... ზურაბ ერისთავი!.. (ცხრაგზის წყეული იყოს სახელი მისი!..)... სისხლის პერანგი ჩააცვა ხევსურეთს, დედამიწა დადალა ხევსურეთის ცოდვა-ბრალით. ალვისხეთ სიმაღლეს კი მაინც ვერ შესწვდა: არც ერთმა ფოლადმა არ გასჭრა ხე...

გამარჯვების სურვილით გაცოფებული ზურაბი შეჰყურებდა მაღლა სივრცეში ატყორცნილ ალვის ხეთ, ოქროს ფოთლოვან ხის წვერებზე თვალის წარმტაცად აბზრიალებულ ცხრაკეცა ცხრა ოქროს შიბს და ჯავრი კლავდა, სევდა აბერებდა. გამწარებული მთელი ძალღონით უტევდა ხევსურთ. ცეცხლის ალში ხვევდა ხევსურეთის ქავციხეთ... ახალგაზრდობა ხევსურების სისხლით ალბობდა ფრთე თეთრ ისრებს. სირმით ნაქარგ ფარაგის[3] ოქროს ღილს უხსნიდა ტყვე ხევსურ ქალებს და გახელებული სისხლის თავადი ძუძუზე ჰკბენდა!.. წყეული იყოს, წყეული!..

---

[1] შიბი — ძეწკვი.

[2] თაგაურობდნენ — მედიდურობდნენ.

[3] ფარაგი — ხევსური ქალის საბოსის გულისპირი.

მრისხანებდა არაგვის ერისთავი, დიდი იყო მისი სიძლიერე, უსაზღვრო იყო ხევსურეთის დაპყრობის სურვილი. დაკოდილ ვეშაპივით შფოთავდა მებრძოლი ხევსურების წინაშე, შფოთავდა და შფოთში დაამსხვრია ხევსურის ჩაჩქანზე ჯიშიანი ხმალი: გორდა. ხმალი გატეხა, მაგრამ ოქრო!.. ოქრო, მათრობი ადამიანთა!.. და, ძალლონით დამარცხებულმა ზურაბმა ხერხს მიმართა: არიშაული ბერი სუმელჯი მოიხმო, ასი ოქრო აჩუქა, სახედარი დაუმატა, ხმლის ვადას თემლაგი [1] შეუბა და წყეულმა სუმელჯიმ წამალი ასწავლა: ალვის ხეთ ძირში შავი კატა დაკლეს — ხეები სისხლით დანათლეს და სისხლის კვალზე ალვის ხეთ ცულის ფხა მოეკიდა... ხეები დაბარბაცდნენ — წაიქცნენ... წაქცეულმა ხეებმა ციხის კუთხი დააზიანეს... ოქროს შიბო დაწყდა: ოქროს მტრედებმა ოქროს ფრთებით მოიტაცეს და ცის სილაჟვარდეში შეჰკრეს კამარა...

თავზარდაცემული ზურაბი გუდელას დაჯდა, ხმლის ნამტვრევს დაეყრდნო და ატირდა. ატირებულ ზურაბს ციხის ჩარდახიდან შემოესმა ხევსური ქალის სიმღერა:

...„ზურაბო, ერისთვის შვილო, სისხლისამც დაგლევს წყალია:
ოქროს დასწყვიტე შიბები, ხოცენ ნარჩევნი ყმანია!
ძმან დამიხოცენ ოროლნი, უძმოდ დაგვწირენ დანია..
ოქროს დავიჭრენ ნაჭაპნი [2], ტირილს დავიშრენ თვალნია,
შენ დედამიწა გაეისქდას, თავზე დაგეცნან ცანია!...“

შურის ციხეში მხოლოდ ქალები იყვნენ თავშეფარებულნი. ხევსურეთის ბჭენი ალვის ხეთ წაქცევაზე ალშფოთდნენ, ხმლით გაიკაფეს გზა, დატოვეს შურის ციხე და გუდან ბეღლისკარ შეხვდნენ, მებრძოლი ხევსური ქალუნდაური მოიხმეს — დახმარება სთხოვეს და მამაცი არხოტიონი გუდანის ჯვარის საყმოდ გამოუძღვა, გუდანის ჯვარის დროშით, ზურაბის წინააღმდეგ.

ატირებული ზურაბი ხარჯიხვივით დაფრთხა, ჯარი აშალა და გზადაბნეული აკუშოს ჭალას ჩაჰყვა. ქალუნდაური მიჰყიოდა უკან, არწივებულად ეტანებოდა, თავზარს სცემდა, ხმლით მისთიბდა ზურაბის ლაშქარს. მშიერი ყორნები ძღებოდნენ აზნაურთა ლეშით, ძვალზე კი მამაცმა ქალუნდაურმა ანდერძი დასწერა:

„სამოცი: აზნაური: მოვკალი: უკანასკნელის:
ძვალზე: ფრანგულის: ფხა: მოსტყდა: ძვალს:
სამნად: ვდგამ: ხევსურეთი: უძლეველია: ხმლის:

პატრონს: შენდობა:“—და ძველის სამანი აი აქ, შურის ციხის კარზე ჩადგა. ბოლოს თავათაც აქ დაემარხა... — დიაღ:

...„ვყოფილვართ ცოტინიკანი, ადგილ გვპერია ხმლითაო,
წლით მოგვდენია ლაშქარი, ძაღლისა ზურაბისაო...
ნახოტის ხევსურებისა ნეტამც ადგომა იყვაო...“

გოგოთურმა მძიმედ ამოიოხრა. ყალიონს თამბაქო დაუმატა და განაგრძო:

— ქალუნდაურის ხმალმა ჩემამდენ მოახწია... მოტეხილ ფხას ვერაფერი ვუშველე: ვლესავ, ვლესავ, და ფოლადს სალესველი არ ეკიდება.

---

[1] თემლაკი — სამკაული ხმლისა.

[2] ნაჭაპნი — ნაწნავი თმისა.

სამანი კი... ციხის ნაშალს დაუჭერია...

მე ყოველ წელიწადს მოვდიოდი ციხის ნაშალთან, ვკლავდი თეთრ ვერძს, ვმართავდი სუფრას: ვიხსენიებდი ქალუნდაურის სულს... ვევედრებოდი ხთის შვილთ, მრისხანე გიორგის და ვსთხოვდი ოქროს შიბის დაბრუნებას... აკრემლებული ვიგონებდი ძველ ხევსურეთს... წამხდარ საქმეს არაფერი ეშველა... წყეული იყოს ზურაბ ერისთავი!.. ილბალი გაუტეხა ხევსურებს...

ციხის კედლები ნელნელად იშლებოდნენ, ბოლოს ერთი კუთხე შერჩა და მისი ნაშალი გადაეხურა საფლავს ძვლის სამანთან ერთად. ეხლა დაიწყევლოს ავი ფეხი!..

გოგოთური ადგა. შემკრთალივით გადახედა ბინდდაწოლილ გარემოს, ამოიოხრა და ჩაფიქრებით თქვა:

— ეხლა თქვენ გინდათ გადმოსთხარათ ქალუნდაურის საფლავი!.. — და ხმაში ცვლილება დაეტყო; აუკანკალდა, უფრო ჩაეხლიჩა. — წყეულებო!.. შაჭირივით შემოესიენით ხევსურეთს!.. ჯვარლმერთის გადმოთხრას აპირებთ, დღეს თუ ხვალ მამაპაპის საფლავს ვადმოგვითხრით... აი რაისად მოვდიოდი აქ!.. არ მოგცემთ ქალუნდაურის საფლავის გადმოთხრის ნებას, არა!.. არ გაპატიებსთ არც ხევსურეთი, არც ჯვარლმერთი, მე თავათ შევხვდები ბეღლის კარ, გუდანს მოვუხმობ ხევსურთ, ავახევებ თქვენ წინააღმდეგ და ხთის რისხვას დავატრიალებ! — იძახოდა იგი. სახე ეჭყანებოდა, ხმა უწყდებოდა, ხელფეხი უთრთოდა, ღამის სიბნელეში მირაცრაცებდა და ყრუ წყვდიადს გაჰკიოდა საწყევარს...

მე მსურდა მეთქვა რამე გოგოთურისთვის, მაგრამ აღარ დამაცალა, ყური არ დამიგდო.

მარტო დავრჩი. ირგვლივ სიბნელე წვებოდა... ციხის ნაშალს შევხედე — ადამიანების ჩონჩხთა გროვად დამიჩნდა თვალწინ...

შემომესმა ატირებული ზურაბის შფოთიანი ღრიალი, ხევსურის ქალის ნაღვლიანი სიმღერა, მტრედების მწყრალი ღუღუნი, დაწყვეტილ ოქროს შიბების ძგრიალი, წაქცეულ ალვის ხეთა მკაცრი ჯახუნი, რომ ნთქავდა, და ქალუნდაურის ამაყი ყივილი...

მთიდან ჩამოქროლილი ნიავი დამეჯახა სახეზე. შევკრთი. გარემოს გადავხედე: არაგვის ხეობაზე მთვარეს გადმოენათებინა, მედიდურად მისცურავდა თეთრი ღრუბლების გუნდებში და მისი მკრთალი სინათლე ელდ-ელდად გადაუვლიდა ხევსურეთის მიდამოს. წუთით გამოჩნდებოდნენ მთვარის შუქით შეფერცხლილი მთაგორები, თითქოს წაიქცნენო: მათი ჩრდილები არაგვის ხეობაზე გადმოენარცხებოდა და კვლავ ღამეში დაიძირებოდა. თეთრად მოსჩანდნენ სოფელ ბარისახოს ბოლოზე ახლად აშენებული შენობები და მუშებისათვის დადგმული კარვები.

აქა-იქ ცეცხლი დაენთოთ, ისმოდა სიცილ-ხარხარი, ჩუმი ჩურჩული. ვილაცა ვილაცას ეალერსებოდა. სადაც შორს, ცის ტატნობზე გადმომდგარი ხევსური „მთიბლურს“ მღეროდა (იგი უფრო ტირილს ჰგავდა, ვიდრე სიმღერას), სოფლის ბოლოზე გარმონს უკრავდნენ.

თურქი თუ სომეხი დაწოლილიყო არაგვის ნაპირზე, მისჩერებოდა მთვარეს და კვლავ საიათნოვას სიმღერას მღეროდა; არაგვის ტალღების დუდუნი

იტაცებდა ნაღვლიან ხმას, იხვევდა და შორს, შორს, მთაგორების ბოლოებზე მიალოლიავებდა...

მე ნელის ნაბიჯით მივდიოდი შინისკენ და კვლავ შურის ციხის ამბები მელანდებოდა:

იდგა ცხრათვალა ციხე, ციხეს გვერდზე ედგა ცხრა ალვის ხე, ალვის ხეთ წვერზე ეხვიათ ცხრაკეცი შიბი, შიბი იყო ოქროსი. ოქროს შიბზე იჯდა ცხრა მტრედი ოქროს ფრთებიანი, მტრედები საამოდ დაღუღუნებდნენ ციხეს და ციხის ჩარდახებს... ზურაბის ჯარის ცხენთა ფეხის ხმამ შესძრა მიდამო.

შემომესმა: გახელებული ცხენების ჭიხვინი, აბჯრის ჯღრიალი. ჯარი გამოჩნდა, წინ კუშტი ზურაბი მოუძღვებოდა გახელებულ ხვადით, ციხის წინ შეაყენა საფერხე. საჭურველი შეაჯღრიალა. მძლავრი მკლავებით მოსწია გოზა წითელ მშვილდს, ფრთე თეთრი ისარი სტყორცნა ოქროს შიბისკენ... დაიკვნესა... ისარი წივილით გაიჭრა სივრცეში, მოგვერდულად მოხვდა ოქროს ფოთლოვან ალვის ხის ტოტს და დაიმსხვრა...

ზურაბის მწარე ქვითინს გაჰყვა ხევსური ქალის ტირილნარევი ხარხარი და ფოლადის ნიაღვარივით მოვარდნილი ხევსურთ ყიჟინა...

ფიქრში გართული, ხის ჩრდილში ნაჯდომ იმედას წავაწყდი — ვილაც ქალთან ლაღობდა. თავათ გამომელაპარაკა. ქალი გამაცნო — მასწავლებელი ყოფილიყო. ჩემთან ერთად წამოვიდნენ ბინისკენ.

— რას გელაპარაკებოდა გოგოთური?! — მკითხა იმედამ, როდესაც მარტიონი დავრჩით.

— რა ვიცი, რაღა არ მითხრა.

— მაინც, — იჭვით შემომხედა მან.

— შურის ციხის შესახებ მელაპარაკა.

— ამდენ ხანს?!

— დიაღ.

— კიდევ კარგი. — თქვა მან და ჩაიცინა.

— მე სულ არ მეცინება.

— რა ვქნა.

— ნუ თუ არ იცოდი შენ ეს ამბავი?!

— შურის ციხის ამბები?!

— დიაღ.

— ვითომ რავო?! — იკითხა იმედამ გაკვირვებით.

— იმ საფლავს პატივის დადება უნდა!..

— რაისად?!

— ხალხისათვის თავდადებული ხალხმა უნდა დააფასოს. — ვუთხარი მე და მშენებლობის უფროსთან წავედი. იგი შინ დამიხვდა. მასთან ერთად საუბრობდა პარტუჯრედის მდივანი ამხ. წიკლაური. მონასმენი დაწვრილებით ვუამბე და გადავწყვიტეთ: გვეპოვნა ქალუნდაურის საფლავი და სათანადო პატივი დაგვედო მისთვის.

თავი მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა გათენდა. მზის სხივებში გაფუფქვილი ხევსურეთი ოფლ-ოფლ ბრეგენ-ბრეგენ ირემივით და ოდნავ შემკრთალი იშმუშნებოდა. მოწმენდილი ცა იისფერ ბალდადივით გადახურვოდა თავზე; არწივები დაჰბიბინობდნენ და ხამუშ-ხამუშ ყიოდნენ შემკრთალნი: არაგვის ჭალებიდან ისმოდა ლაღუმით აფეთქებული ქარაფების გრიალი, ტალღებდაფლეთილი არაგვის ლრიანცელი. იყო შეძახილები:

— დააწყვი!..

— ააფეთქე!..

— მოსჭერ!..

— მომაწოდე!..

— ჩქარა!..

— ჩქარა!..

— ჩქარა!.. — მუშები შემოსეოდნენ არაგვის ხეობას, სახევსურეთოდ შემართული შარაგზა იჭრებოდა. სალი კლდეები იფლითებოდა, გზაბაწარი ქრებოდა, სახვევები ინგრეოდა. დამფრთხალი ნადირი ბარიდან მთაში გარბოდა, კლდეებში იხიზნებოდა — ჭიუხებში დაეძებდა სადგურს. არაგვის ნაპირებზე საძოვრად ჩასული ჭრელი ნახირი ფრთხებოდა. მწყემსები იბღვირებოდნენ. არავინ აქცევდა ყურადღებას. მუშაობა ძლიერდებოდა. შემოდგომისთვის ბარისახოში ელოდნენ მანქანას. ხახმატელი ხევსური საშოფროდ ემზადებოდა. მგზავრებს ამბავი მოჰქონდათ:

— გზა გუდრუხს გადმოსცდ!..

— ხვალ თუ ზეგ მაღაროში იქნების!..

— ორწყალში სახვევ აფეთქდების!..

— ხევსურეთის კარებ გაიღების!..

ხევსურები დღითი-დღე ეგუებოდნენ ახალ ამბებს. თავათ იმედა მუშების რიგებში ჩადგა. იმ დღესაც ჩვენთან ერთად წამოვიდა სამუშაოზე. მკერდი გადაიღელა, მკლავები დაიხვასტა, შეხედა შურის ციხის ნაშალს და ხალისიანად დაიწყო შრომა, სწრაფად ანგრევდა ძველ კედელს, იღებდა ქვას, აწვდიდა სკოლის შენობის ყორეზე ნადგომ კალატოზს და ხალისიანი მზეს უცინოდა. შოთხის[1] მშვილდის გოზათავით იჭიმებოდნენ და იშლებოდნენ იმედას მკლავების კუნთები. ჯიხვის ნახტომივით სწრაფი იყო მისი მიმოხვრა.

მე გვერდში ამოვუდექი, მახალისებდა იმედას ლონიერი მიმოხვრა, მისი სანდომიანი სახე, შავი ხუჭუჭა თმა რომ უმკობდა, მაღალი მკერდის ფიცარი და ფართე მხარბეჭი. იდუმლად მივსჩერებოდი და უნებური ეჭვები მენერგებოდნენ გულში: გოგოთურის იერი გადაჰკრავდა იმედას ულურიან[2] სახეზე... ჩემს თავს ვუწყრებოდი. ენაზე კბილებს ვიდგამდი...

ოცამდენ ცხენურები მუშაობდა ციხის ნაშალთან. ოცზე მეტი კაცი ვიღებდით ქვას და შენდებოდა სკოლის შენობა, მაგრამ... ქალუნდაურის საფლავი არ ჩანდა. ვსწუხდი — გოგოთურის ნახვის მოსურნე არ ვიყავი: თავის შერცხვენა არ მინდოდა. საშველი კი არაფერი იყო: დღე მიიწურა. სამხრობის

---

[1] შოთხი — ჯიში ხისა.

[2] ულურიანი — ღაშხიანი, სანდომიანი.

ჟამი დადგა. მე და იმედა ერთად დავსხედით სუფრაზე. ლაპარაკი ოჯახის შესახებ ჩამოგვივარდა...

— ტკბილია ოჯახში გადმოდგმული სუფრიდან აღებული ლუკმა. — ამბობდა ხნიერი მუშა, რომელიც ყოველ პურის ჭამაზე ოჯახს გაიხსენებდა და გვიამბობდა, რომ მისი მეუღლე მშვენიერ საჭმელებს აკეთებს: იცის იმერული საცივისა და მეგრული ღომის გაკეთება, ამ ბოლო დროს ისწავლაო ხინკლის მოხვევა.

— ეხ, ბედნიერები ხართ!.. — თქვა იმედამ. — შინ ცეცხლის დამნთებიც კი არავინ მყვანივ ას!..

— ნუ თუ მშობლები არა გყავს?! — ვიკითხე მე.

— დედა არ მახსოვს. მამა კი... — სწორედ ამ დროს მხიარული ხმაური შემოგვესმა ციხის ნაშალიდან:

— ალმოჩნდა!.. ალმოჩნდა!.. — იძახოდა ვიღაც.

ჩვენ სწრაფად მივირბინეთ.

— რა ალმოჩნდა?! — ვიკითხე მისვლის უმალ.

— ქალუნდაურის საფლავი უნდა იყოს!..—გამომეხმაურა ყორის ოსტატი.

ციხის ნაშალის ალმოსავლეთის მხარეს დავაკვირდი. ქვებს შორის ემჩნეოდა ნათალი ბასრი ქვა, — ქვაზე ეხატა ცხენი და ფარხმალი; თავზე დაშლილ ქვაღორღს დაეზიანებინა. აქა-იქ თითო-ოროლა ასო ამოვიკითხე...

— დიაღ... ის არის. — ვუთხარი ამხანაგებს და ვთხოვე: საღამოსთვის გაელამაზებინათ საფლავის გარეშემო, ხოლო საფლავი უცვლელად დაეტოვებინათ.

თავი მეოთხე

გოგოთურს დაეტოვებინა ბარისახო. სოფელ გუდანში ასულიყო. იმ სოფელში კითხულ კაცები და გუდანის ჯვარის დასტურ-ოსტატები[1] მოეხმო:

— ტყდება ხევსურეთი, რკინის კარი ეხსნების!.. — ამბობდა და დახმარებას მოითხოვდა. ხალხს ლეგა ფერი გადაჰკრავდა, უკმაყოფილება ეტყობოდათ, გოგოთურის თქმას არად აგდებდნენ. თავათ გოგოთურის თვალები უნებურად ჩერდებოდნენ თხის ტყავიან გორგათ ფოცხვერაზე: უნდობლად უჭვრეტდნენ ერთიმეორეს. ფოცხვერს სინისფერი ედებოდა, სახე ეტუსებოდა, მოუთმენლობა ეტყობოდა, ბოლოს შეიშმუშნა, ადგა, კრებულთ გადახედა და გაოცებით თქვა:

— ხალხნო, კა საქმეს არავინ გახჭცევივას!.. გოგოთურის ქართულ მაოცებს!.. გოგოთურ უწინ ჭკვიანურს იტყოდის, ეხლა კი... რად მაგას შვრები, გოგოთურ?!

გაბრაზებული ხუცესი ფეხზე წამოხტა:

— ჯვარს მაინც არ ეღალატების!.. — დაიბუზღუნა მან.

— ხომ არ გადარეულხართ?!.. ხალხნო, ქვეყანას ცხრა მზე ამოუხდა, ბარს ბარობა აღარ ეტყობის, ბარ ბაღად გადაიქცა, აყვავდა, ხალხნო, ბარში ხალხმა გაიხარა, ხევსური კი... უცხონი გავხდით!..

---

[1] დასტურხელოსნები — ხატის მსახურნი.

— ბევრის საუბარ მაგკერძებივას, გორგათ ფოცხვერავ!.. აქამდინაც არა გეკითხებოდის ხევსურეთში!.. — მწყრალად თქვა გოგოთურმა და კრებულთ მიმართა: — ხალხნო, თავს ნუ დაიცილებთ, ჯვარლმერთს არ ეღალატების, ჯვარლმერთ არ გაიყიდების!.. მამაპაპის საფლავ გადმაითხრების!.. ხევსურეთ გატყდების, ჯვართ ხოდაბურებ ჩამაერთმევის, ჯვართ სამსახურ ჩამაეყრების!.. წესები წესად აღარ დაგვრჩების. ქალზალს პატივ აეხდების... მოდი, საწყევარს ნუ ვიქმთ შვილბოლოს: პირიქით-პირაქით მოვიხმოთ, უფროს ხევსურებს დარიგება ვსთხოვოთ და ხევსურეთის კარ გავამაგრაოთ!.. ქალუნდაურის საფლავს ნუ დავიცილებთ, ქალუნდაურის საფლავს ნუ გადმავათხრევთ!.. მრისხანე გიორგის საბრძანებელს, „ხმალას“ ნუ შევალახვინებთ.

— მთავარ საფლავიც არას, გოგოთურო!..

— კაცის ძვალთ საფლავში მაასვენებენ, ფოცხვერავ!..

— ჯვარლმერთსა არ ეღალატების!..

— წინავ ხმლით იჭერდიან ადგილს!..

— წინავ სხვა დრო იყვის: წინავ ძმა ძმას არ ინდობდის, ქართველ ქართველის სისხლს ღვრიდის. წინავ ადგილ ხმლით დავიჭიროდით, ძმას ლუკმა ხელშიგით წავართვიდით, მამულზე სისხლ დავღვრიდით. შინ „სახელ“ მაგიტანიდით. ეხლა ის დროიც აღარ ას, გოგოთურო, აღარ!.. ბარში წედ მიწა უამრავი ას!.. მთაში იცხოვრი — მიწა გექნების! — ამბობდა ფოცხვერი...

ხალხი მოწმობდა. ხალხი ირეოდა, გოგოთურს ბრაზი ახრჩობდა. შტოდალეწილ ხესავით იდგა ხევსურთ შორის... უხმოდ დატოვა საჯარე. ბედი დაიწყევლა და ფიქრებით დატვირთული დაბრუნდა შინ. ერთხანს ჭერხოს[1] ბანზე ტრიალებდა. გული სტკიოდა. არაგვის ხეობაზე ლაღუმით აფეთქებული კლდეების გრიალი ამწარებდა. შურის ციხის ნაშალზე აფრიალებული წითელი დროშა ახელებდა, შური ათრობდა. თანდათან ბურანში იძირებოდა, ბოლოს ჩასთვლიმა... სივრცეში აგელვებული მტრედები დაესიზმრა: ოქროს შიბს მოაგელავებდნენ და შურის ციხისკენ მოჰქროდნენ. ციხე იდგა კვლავინდებურის სიამაყით, ცხრა ალვის ხეთ შორის. მტრედები გარშემო შემოეხვივნენ, გვირგვინად შემოახვიეს ციხის წვერს ოქროს შიბის ცხრა ნაწყვეტი და საამო ღულუნი გაისმა ოქროს ფრთოსან მტრედებისა... გახარებულმა მოხუცმა გაიღვიძა, მოთენთილი ტანი ძლივს აითრია, ადგა და უმალ ხმალობს მიაშტერდა: სკოლის სახურავზე აფრიალებული წითელი დროშა მოხვდა თვალებში. გოგოთური შეძრწუნდა. უცნაური ღმუილი აღმოხდა და მეათასედ დასწყევლა სამზეო... წყეული იყოს ეს დროჟამი, ეს ადამიანები!.. ეწამა გოგოთური, ეწამა... სიბერის ჟამსაც კი არ ეღირსა მოსვენება, მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ხევსურულ წესებს, მზე ჩაიქრო წესების დაცვის გულისათვის, გული გაიცივა სიჭაბუკეში და ეხლა... ქრება წესები, ტყდება ხევსურეთი... არა, არა. გოგოთური ამას ვერ აიტანს. სიკვდილი სჯობია ძაღლურ სიცოცხლეს და იგი ჭერხოსკენ მიდის: ქალუნდაურის ხმალს ჩამოიღებს. ხარბად დახედავს მოტეხილ ფხაზე... ელვის სისწრაფით გაურბენენ წინ წარსულის სურათები... ახალგაზრდობა... რა ტკბილი იყო!.. ბოროტად ინთება მისი თვალები. სახეს სიმწარე კალავს. ოფლის ნამი ედება. ხელები უკანკალებს. ირგვლივ ტრიალებს მთელი

[1] ჭერხო — მიწური სახლის ზედა სართული.

ჭერხო — გარეთ მთაბარი. წუთიც და ხმლის წვერს გულზე დაიღირებს, მაგრამ... რატომ უნდა მოკვდეს გოგოთური ძალღონე გამოლეულ ძუკნასავით. ერთს მაინც გაიძღოლებს წინ საიქიოს. მაშ როგორ მივიდეს მამაპაპასთან შურის უძიებლად?!.. წინაპარნი ხომ ახლოს არ მიიკარებენ. სულეთში სკამზე არ დაისვამენ, ბარუქის მიწა არ მიიღებს. არა, არა... გოგოთური ასანთით გადასწვავს მამაპაპის ჩადგმულ ძვალის სამანზე აშენებულ შენობას, სიცოცხლეს გამოასალმებს რომელიმე მოთრეულს, მარცხენა უბეში ჩაიყრის ქალუნდაურის საფლავის მიწას და მერე... მერე, მოკვდეს გოგოთური, მერე... მაშ ვინ მისცა ამის ნება წუნკალა ბარელებს?! ეს ხომ ხევსურეთის ხმლით დაჭერილი მიწაწყალია, თორემ, ვინ იცის აქ დღეს ოსნი, ქისტნი თუ ლეკნი იქნებოდნენ... რად გადმოუთხარეს სამან სამძღვარი?! რად შებღალეს ხმალაის წმინდა გიორგის საბრძანებელი, ხატი ძლიერი და ცის ქუხილივით მრისხანე, მუდამ სისხლიანი ხმლით რომ უძღვებოდა მტრისკენ დატეტებულ ხევსურებს!.. და გოგოთური დინჯად მიაბიჯებს შურის ციხის ნაშალისკენ... შური ახრჩობს. შავად კანშემომხმარი ხელები უკანკალებს, ცოფმორეული თვალებით ფლეთს მიდამოს, პირზე ქაფი მოსდგომია... გადაწყვეტილია ქალუნდაურის საფლავზე სიკვდილი... ი მიწამ უნდა შესვას გოგოთურის სისხლი. იმ მიწამ უნდა დაშალოს გოგოთურის მუხლები...

თავი მეხუთე

გუდელას ხალხი მოგროვილიყო: მუშები ერთობოდნენ — ორი რაში გორავდა მიწას ბარისახოს კალთაზე.

ჯაჭვ-იარაღში გამოწყობილი მხედრები ჩაჩქნის ჯაჭვიდან უბღვერდნენ ერთიმეორეს გაალმასებული თვალებით, საფარიკაოდ ემზადებოდნენ. ცხენები მდგომარეობას შეიგრძნობდნენ და ყურებდაცქვეტილნი ფრუტუნებდნენ.

სულგანაბული ხალხი ცხენოსნებს მისჩერებოდა: მოუთმენლად ელოდნენ ფარიკაობის დაწყებას.

უცბათ ცხენები ატოტავდნენ, მხედრები ერთიმეორის გვერდზე ჩამოდგნენ, რაღაცა თქვეს და ლურჯა ცხენი მოსწყდა ადგილს, გაინავარდა პატარა მინდორზე, საკმაოდ მოშორებით შესდგა, წუთით შეიფერხა, სწრაფად შემოტრიალდა, ოდნავ დასტვინა ცხვირიდან და ჯიხვისებური ნახტომი გააკეთა; მხედარმა ოდნავ წამოიწია წინ უნაგირში, ფრანგულს აჰკრა ხელი, მზის სხივებში შეაგელავა, ცხენს სადავე მოუშვა და მოპირდაპირეს დაუმიზნა მოელვარე ხმლის ფხა.

ამ ხნის განმავლობაში შავრა ცხენის პატრონი იდგა ერთ ადგილზე, ფარი გაესაბღუჯა. გამწარებული ცხენის სადავე აეკრიფა და ტოტებზე შემდგარ შავრას ძლივს აწყნარებდა, თან მოპირდაპირეს არ აცილებდა თვალს, — მოსვლას მოელოდა და მოუახლოვდა თუ არა ლურჯას პატრონი, სწრაფად აიწია უნაგირში, უზანგებზე შედგა, ოდნავ წინ გადაიხარა, მარცხენა ხელით მოსწია შავრას სადავეს, ხოლო მარჯვენა ხელით ფარი იფარა. ელვასავით გელაობდა მის თვალწინ ფრანგული. ჰაერი გველივით წიოდა, დახელებული ცხენები ტოტებზე დგებოდნენ, კბილებით ეტანებოდნენ ერთიმეორეს და უცნაურად ჭიხვინებდნენ ფაფარაშლილნი. რკინა რკინაზე კვესდებოდა, ფოლადი

ცეცხლს შლიდა, ფოლადი ხრავდა ფოლადს, რკინის სუნი ტრიალებდა ერგვლივ... ფრანგული მაინც ვერ ასცდა ფარს...

ლურჯას პატრონზე ამბობდნენ: შვიდთა სცემს ხმლით, შვიდი ფეფარებსო, მაგრამ ეხლა კი... მხოლოდ ერთხელ შესძლო შავრას პატრონის ჩაჩქანზე ხმლის დარტყმა და მაყურებელნი შეირხნენ...

დამარცხება იუკადრისა მეფარემ, შავრას გაუწყრა, შეატოტავა და მინდორზე გაანავარდა.

ლურჯა ადგილზე შეთამაშდა, — ეხლა მის მხედარს უნდა ეფარა ფარი, ფრანგული ქარქაშში ჩააგო, მძლავრად ამოისუნთქა, სწრაფად შეათვალიერა იქ მყოფნი და საფერხეს მოუგლოთნა: ოქროს ფაფარი შეუსწორა, შეოფლილ ყურებს მოსწია და ლურჯა ერთ ადგილზე ათამაშდა, გამწარებულმა კბილებით დახრა ლაგამი, მიწა დატორა, დაიფხვრიალა: გაქცევა სურდა ისევ. შავრას პატრონი არ ჩქარობდა — ნელიად მიარონინებდა საფერხეს, მინდვრის ბოლოს შედგა, სწრაფად შემოატრიალა ცხენი, უნებური კივილი ამოხდა, მაყურებელნი გააოცა, სადავემიშვებული ცხენი შურის ციხის ნაშალისაკენ გააქროლა, ბრაზიანად ურტყამდა მათრახს.

აღშფოთებული ხალხი შეტორტმანდა და ყველა ცხენ-მხედარს გაჰყვა უკან წყევლა-კრულვით, — სკოლის შენობიდან შადრევანივით ამოდიოდა ტყვიისფერი კვამლი, ნელნელად იშლებოდა შენობის თავზე და ჰაერში ცქიტობდა. შენობა თრთოდა, ყრუდ გუგუნებდა, ფანჯრებიდან იძაბებოდნენ წითელი ალის ენები, კედლებს ეხეთქებოდნენ და ნელად ღუღუნებდნენ. ქვა-ხეთ ცეცხლი ეკიდებოდა, სკოლის შენობა იწვოდა...

ფერმკრთალი გოგოთური იდგა სკოლის ეზოში და მისკენ დაძრულ ხალხს ელოდებოდა. შემდეგ ქალუნდაურის საფლავისკენ წავიდა ნელის ნაბიჯით: მიწა უნდა ჩაეყარა გულის ახლოს, მარცხენა უბეში, მაგრამ... გაოცებული შედგა.. ხმალაის მრისხანე გიორგივ, უშველე გოგოთურს!!! თვალები მოიფშვნიტა, ხედვას არ დაუჯერა... ნუ თუ მართალია ის, რასაც გოგოთური ხედავს?!! გალამაზებული საფლავი, საფლავის ქვაზე ახალი წარწერა:

„აქ განისვენებს ხევსურეთის თავისუფლებისათვის
მებრძოლი: ლომნი ქალუნდაური“...

უი!

რად არ მუხლები დაეშლება გოგოთურს!..

ეხლა?! ეხლა გვიანაა, გოგოთურო!..

მოფიქრების დრო არ ეყო: სკოლის შენობიდან გამოჭრილ კვამლში დახლართული ცეცხლის ენები გადაატყდა ტანზე და სწორედ ამ დროს შავრა შეტორტმანდა მის წინ. მხედარს არ დაუყოვნებია: მკერდით დაატაკა საფერხე, მაგრამ... გოგოთურის ხელში ხმალმა იელვა, ხმალს ხმალი შეეგება, ფოლადმა ფოლადს აკოცა, დაიძგრიალა და ქალუნდაურის ხმალმა ყინვარივით აისხლიტა უცნობის „გორდას“ ფხა, გასხლტა ფოლადზე და შავრას მეხივით დაეცა წარბის თავზე, ცხენმა მძლავრად დაიგმინა, შურით ანთებული თვალები მოავლო გარემოს, წაყირავდა და სანამ დაეცემოდა, მხედრის მოქნეულმა ხმლის წვერმა დასწვა გოგოთურის მარჯვენა მხარი, შეანჯღრია, შეჩქვიფდა, მაგრამ არ წაიქცა: ქალუნდაურის ხმალი მარცხენა ხელში მიიცა, მიწაზე დაზლეპილ ცხენ-

მხედარს ადგომა დააცალა და როდესაც ჩაჩქანგადახდილი მოუმე წამოდგა მის წინ, მწარედ დაიკვნესა:

— იმედავ!.. — დაიღრიალა მან და მუხლმოკვეთილი დაეცა ბალახზე. — შვილო!.. შვილო!.. — ჩიფჩიფებდნენ გაფითრებული ბაგეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედას თავზარი დაეცა, გაშტერებული შედგა, მოჭნეული ხმალი ჰაერში გაუხვევდა, აღარ იცოდა რა ექნა...

მთიდან დასხლეტილი ზვავივით მოიჭრა ხალხი, დამნაშავის ფეხით გასრესა სურდათ, მაგრამ მშენებლობის უფროსი გადაუდგა წინ, მილიციას მოუხმო, ექიმთან კაცი აფრინა და ყველა გოგოთურს შემოეხვია გარშემო. იწვა იგი ცივ მიწაზე და სისხლი სდიოდა ნახმლევიდან, სისხლი სწეოდა ქალუნდაურის საფლავის ქვას, სისხლს იშრობდა საფლავის მიწა. მელისკუდაობდა ჰაერში ატოტავებული კვამლი, წითელი ალით რომ იქარგებოდა, კვამლში ეხვეოდნენ იქ მყოფნი, კვამლი ეგლუსკნებოდა ხმალაის ქარაფებს. შენობა იწვოდა. ცხენი სულს ლევდა. გოგოთური სიკვდილს ებრძოდა და მისუსტებული ხმით ჩურჩულებდა:

— შვილო, იმედ!.. გამაგონე შენი ხმა!..

იდგა იმედა, სახე გაფითრებული, თავდახრილი, მისჩერებოდა მიწაზე გაჭანებულ სისხლს და უცნაური ტკივილების ბადეში იწურებოდა მისი გული.

— ნუ თუ?!. — ეკითხებოდა თავს იმედა და მგლისფერი ედებოდა.

— ნუ თუ?!. — იმეორებდნენ საკუთარ გულში ხევსურნი და შინ დაბრუნებულნი ერთიმეორეს გაოცებით ეტყოდნენ:

— გოგოთურს საიდუმლო შაუნახავის!..

— იმედას მამა უჭრავის!..

— გოგოთურ სირცხვილან ყოფილას!..

— გოგოთურს უწინაც ავ საქმე ჩაუდენავის!..

თავი მეექვსე

შავი ღამე ჩამოწვა ბარისახოს. ფიქრს მიეცა ყველაფერი, თითქოს გოგოთურის უბედურება შეიგრძნესო მათაც. სიწყნარე სუფევდა ირგვლივ, მხოლოდ არაგვის ტალღების მწყრალი დუდუნი ისმოდა, მთიდან მონაბერი ნიავი სისინებდა, ასკდებოდა სკოლის შავ კედლებს, გზადაბნეული კარვებს შემოურბენდა გარშემო, აქა-იქ არყისა და წნორის ფოთლებს მოუალერსებდა, შეარხევდა, ააშრიალებდა და შორს, არაგვის ხეობაში ვადაიკარგებოდა...

ჯერ გრძელი ვახშმობა არც კი იყო, მაგრამ მუშებს უკვე ეძინათ ბარისახოს კალთაზე დადგმულ კარვებში, უცხოთ, უცხო მხარეში და საიალაღოდ დასვენებულ ნაშრომ ხარებივით სუნთქავდნენ... ეძინა ყველას, არ ეძინა მხოლოდ იმედას. რამდენჯერმე დაატანა თავს ძალა, რომ ჩასძინებოდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. ჭირის ოფლის გუგუმები ასხდა ახლად წვერშემომავალ სახეზე. ერთი და იგივე ფიქრები ეხვეოდა ბურუსივით: ნუ თუ მართლა მამაა გოგოთური? რატომ აქამდენ არაფერი იცოდა იმედამ? ღმერთო, ეს რა ამბავი დაატყდა თავზე!.. მამა დაჭრა, მამის სისხლი დაღვარა!.. მამაო!.. რა საოცარია!. იქნება ბოდვა იყო!.. იქნება სიკვდილისა შეეშინდა გოგოთურს და შვილობა დაასწრო იმედას!.. ნეტამც ასე იყოს, ნეტამც?... ო!... ადამიანებო!.. დნება ვაჟ-

საქართველოს სარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Библиотека

კაცის გული, დნება გაზაფხულის თოვლივით: მამა დაჭრა, მამა, ნუმორობა ხომ არ არის!.. — ტრიალებდა იმედა, ოხრავდა, გული სტკიოდა, გული ეწურებოდა....

ამ დროს მე გოგოთურის გვერდით ვიჯექი: ექიმის ნებართვით ვუყურებდი. იგი ერთხანს სდუმდა, უძრავად მისჩერებოდა კედელს, სახე უფითრდებოდა, ტუჩები უშრებოდა, დროდადრო ჩასთვლემდა, ალაბუშდებოდა, შემკრთალი გაახელდა თვალებს და გატვრინდებოდა... დილისხან მოიკეთა. ყალიონი მომიტანეო, მითხრა. სასწრაფოდ ავუსრულე სურვილი...

დიდხანს ვჭვრეტდით ერთიმეორეს უსიტყვოდ. ის ყალიონს აბოლებდა, სევდიანად გამოიყურებოდა, სირცხვილის იერი გადაჰკრავდა სახეზე.

მე ლაპარაკის საწყისს ვეძებდი, გრძნობა-გონება არ მემორჩილებოდა: ჯერ კიდევ ვერ მომენელებინა გოგოთურის იმ დღევანდელი საქციელით აოხებული შური.

ბოლოს თავათ გოგოთურმა დაარღვია სიჩუმე. ამოიოხრა და ჩახლეჩილი ხმით მითხრა:

— დიდად მადლობელი ორ, ყმაწვილო!.. ცუდი საქმის ჩამდენს კაცს სიავის მაგივრ სიკეთეს მიშვრები...

— თუ კი იცოდი, რომ ცუდ საქმეს აკეთებდი, რაღად ჩაიდინე?! — ვთქვი ჩემთვის.

— გვიან გავიგი....

— დიდი ზარალი მოგვაყენე, მაგრამ...

— მაგრამ, ვიცი, არ მეპატივების... სიკვდილისა არ მეშინის... იმ ქვეყანაში ყოფნა მირჩევნია, მაგრამ... შევსცდი: მე მეგონა თქვენ ხევსურეთს გაანადგურებდით, არას დაერიდებოდით... შეუცდომი კაცი ქვეყანაში არ დაიბადების... ხოლო ეს კია: ცუდი საქმის ჩადენამ კარგი საქმის სალები მომცა: უპატრონოს პატრონი გამიხდა, — იმედას მამობა გამიმხილდა... მე ალბათ მოვრჩები: ბევრი ასეთი ჭრილობა გამიკურნია ჩემს სიყმაწვილეში.. ვიცი ისაც, რომ კატორღა არ ამცდების, მაგრამ... შვილ დამჩების...

მიეხვდი: გოგოთურს საიდუმლოს თქმა სურდა და რადგანაც თავათაც მეინტერესებოდა იმედასა და გოგოთურის მამაშვილობის ამბავი, დაურიდებლად ვკითხე:

— ნუ თუ აქამდენ არ იცოდა იმედამ, რომ შენ მისი მამა იყავი?!..

მას სიხარულის იერმა გადაჰკრა სახეზე, თითქოს იგიც ამ კითხვას მოელოდაო, თვალები გაუბრწყინდა, ოდნავ აიწია და უყოყმანოდ მიპასუხა:

— ჩემს გარდა არც ერთმა სულდგმულმა არ იცოდა....

— როგორ?!

— ამ ამბავს სხვა დროს არავის ვეტყოდი, ეხლა კი... ეხლა მეტი გზა არ არის... უნდა ვთქვა... უნდა ვთქვა იმიტომ, რომ ამბავი ხალხში გაიჭრების, ხევსურებ გაიგებენ, იმედას გულ დაულონდების. საყვედური დაედების: ნაბიჭვარს დაუძახებენ... გუშინ მეგონა სიკვდილის წინ ვდგევარ. და უნებურად წამომცდა საიდუმლო: იმედას ხმის მოსმენა მსურდა, — ერთხელ მაინც ეწოდა მამობა... მოვტყუვდი: არც იმას უწოდებია და არც ვკვდები... ჩვენი მამაშვილობა მაინც არ დაიმალების... შენ ერთი საქმე გააკეთე, ყმაწვილო: ქალუნდაურის საფლავს დასდევი პატივი... ეხლაც მახმარება მჭირდების: იმედას სიტყვა უნდა უთხრა.—

ვოგოთური შედგა, კარგახანს ფიქრობდა რაღაცას, შუბლი ენახვებოდა, სახე უფრო გაუფითრდა, ტუჩები აუთრთოლდა, ოდნავ ასწია, თავს ქალი დაატანა და ამბავი მიამბო: სიჭაბუკეშივე გაითქვა სახელი გოგოთურმა — ფარიკაობაში სიმარდეს და სიმამაცეს უქებდნენ, სწორფერნი მინატროდნენ, ქალები თავათ უგზავნიდნენ ელჩებს: გოგოთურთან წაწლობა სურდათ... მხოლოდ ერთაი გამოირჩეოდა, მანგიათ ძილო არსაითობდა,[1] გოგოთურს არად აგდებდა, გოგოთურთან გზაში შეხვედრას თაკილობდა, სხვებთან მხიარულობდა, გარმონს აიღლერებდა, მღეროდა, სახეგაბადრული ხიბლავდა სწორფერთ...

გოგოთურს ძილოს სურვილი ეპარებოდა, ძილოსთან ყოფნა ეწადა, ელჩებს ელჩებზე უგზავნიდა ძილოს, მეწაწლეო, ემუდარებოდა, წყეული ქალაი მაინც უარობდა... ბოლოს თავათ გამოელაპარაკა გოგოთური, ორიოდე ტკბილი ქართული უთხრა, ოქროს საყურე დაჰპირდა, გარმონს მოგიტანო, არწმუნებდა. მოითვისა ქალაი, მაგრამ ძილო ფეხით გლიდა გოგოთურის გულის სასენო ქართულს ეტყოდა, გოგოთურთან წაწლობას თაკილობდა: ერთის გვარისები ვართო, არ შეიძლებაო წაწლობა, — უწყრებოდა გოგოთურს... ვაჟის გული ნდომით დნებოდა, ქალის სურვილით ითვრებოდა, ძილოსთან წაწლობის ინაბარი[2] ედებოდა. ეშმაკი თუ ჩაუვიდა გულად, ტიალ წერამწერელს თუ ეწადა მომხდარიყო ის, რაც მოხდა... თეთრად უტყდებოდა ღამეები, არ ეძინა გოგოთურს, მუდამ ჟამს ძილო ესურათხატებოდა, ძილოზე ფიქრით იღლებოდა, გულის ფიცარი სტკიოდა, დარდით თმა უთეთრდებოდა, გუნება ეცვლებოდა, ქალის ხელში ჩაგდების ინაბარი ედებოდა... ის დღეც გათენდა (ნეტამც არ გათენებულიყო!..), მაშინ გოგოთურს მზე წითლად მოეჩვენა სიხარულით, ეხლა კი, ეხლა გოგოთურის მზე დამქრალია. გოგოთურის დღე დაღამებული... სანანულად გაუხდა, სანახელად... სინანული დაეწერება გოგოთურის ძვალთ და საიქიოს ჩაჰყვება უცვლელად...

ერთ საღამოს ელჩი ხათუთი ეწვია გოგოთურს: ძილო მარტო იქნებისო შინ, — ამბობდა იგი და უცნაურად იღიმებოდა. გოგოთური ცას შესწვდა, სიხარულით დედამიწა დაკოცნა, ხახმატურს ხელის მომართვა სთხოვა — ციკანი შეუთქვა ძღვენად ქალღმერთს, დაუყოვნებლად წაჰყვა ელჩს და მანგიათ ბოსელს მიაშურა. სარკმელიდან ჩაუჭვრიტა ბოსელში ნაჯდომ ძილოს: ქალი კერასთან ჩამომჯდარიყო, ჩირახის სინათლეზე კერავდა ნაჭრელას და ნელია ხმით მღეროდა:

„ქალი ორ ქოჩორ-ყვითელი, კოხტად ვიყენებ თმასაო,
მაღლად შამავხედ მთაზედა, მდაბლად ჩავხედავ ბარსაო.
როს რა გიამბობ, ძმობილო, ჭალების ნაუბარსაო?
მე და შენ გვაშორშორებენ, ეხვეწებიან ჯვარსაო.
ჩვენ თუ გავსწირავთ ერთურცსა, საღმერთოდ დახვკლენ ხარსაო“.

წუთით შეჩერდებოდა, ჩაფიქრებული ჩირახის სინათლეს მიაშტერდებოდა და კვლავ სიმღერას განაგრძობდა. გოგოთური მისჩერებოდა ქალის თორპილს,[3] ცეცხლის ალზე რომ ანთებულიყო და იწურებოდა გოგოთურის გული, სიყვა-

---

[1] არსაითი — უკადრისი.
[2] ინაბარი — სწრაფვა.
[3] თორპილი — სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულით ღვიოდა და ქალისკენ მიიწევდა, გახელებული გოგოთური ალერ დაერიდა. უხმოდ შეაღო კარები და ამაყად შედგა ქაზდარაში;[1] ძილო შეკრთა, მწყრალად შეხედა გოგოთურს:

— რაისად მოხვედი, გოგოთურ?! — იკითხა მან და ხმა აუკანკალდა.

— შენ ნახვა მეწყალ!

— ძილო მარტოა, ვაჟკაცო, ვაჟკაცობის წესი დაგვიწყებია: ვაჟები ქალების შინ არ იარებიან შავ შუაღამეთ...

— გოგოთურს შენთან ალერსი სწყურიან, ძილო!..

— საალერსო დაელივას უნებურად მოალერსეს!..

— ძილო, გულ დამიდნების!..

— ძილო სამზეოს გაიმწარებს: ორ დღეს არ იცოცხლებს თავს!..

— გოგოთურ უშენოდ ვერ გაიძლებს, გოგოთურს უშენოდ ცეცხლ მოედების, ფიქრ დაღალავს, გულის ფიცარ ასტკივდების, თმა გაუთეთრდების, შენი უნახველობით დაიყმიდების, შენი ნახვა მახწყურდების...

— ქალს პატივ აეხდების. ავ საქმე არ დაიმალების!.. — წყრებოდა ძილო. თანაც შავი დიდრონი თვალებით ხიბლავდა გოგოთურს, წამიწამ ინაბებოდა, ოდნავ ნდომა გადაჰკრავდა სახეზე...

გოგოთური გვერდზე მოუჯდა, ტკბილ სიტყვებს ეჩურჩულებოდა, საამოლექსს ეტყოდა, ნაპარევად ჰკოცნიდა წითელ ლოყაზე... ითვრებოდნენ, ითვრებოდნენ ორივენი სიყვარულით, წერამწერელი თუ უწყობდა ხელს...

ქალს თავბრუ ეხვეოდა, ვაჟის მძლავრი სუნთქვა ათრობდა, ინაბებოდა მკლავმაგარ ვაჟკაცის მკერდზე.

თავათ გოგოთურს საწუთრო ავიწყდებოდა, თვალებიდან სინათლე უშრებოდა, ხელფეხი უთრთოდა, გული უცნაურად უცემდა და... და როგორ მოხდა, დღესაც არ იცის გოგოთურმა... არა, არ იცის, მრისხანე გიორგის ფიცავს!.. მოხდა ორივეს უნებურად ის, რასაც არცერთი არ ელოდა (უბედურება თუ უწყობდა ხელს!..).

ცისპირთ ძვრის ხანთ დატოვა გოგოთურმა გაფერმკრთალებული ძილო და კარის ზღურბლზე ნადგომმა უთხრა:

— ვაჟს იმედა ექვინას, ქალს საძილა. — და ნაძალადევად გაულიმა. ძილოს თავზარი დაეცა: ეხლა შეიგრძნო უბედურება, მაგრამ გვიანლა იყო...

დინჯად მიიზლაზნებოდა ლეგა დღეები, დღეები დღეებს სცვლიდნენ; ქალი ილეოდა, დნებოდა, ნაღველი უძლიერდებოდა... მტირალი გამოუტყდა ორსულობაში გოგოთურს და ფიცი თქვეს: დრომდინ არავისთვის გაემხილათ, — ორივეს სიკვდილი ელოდა, გვარი არ აპატიებდა; ხოლო როდესაც შვილი შეეძინებოდათ, ამის შემდეგ ისინი დატოვებდნენ სოფელს და პირიქით ხევსურეთში გადაიხიზნებოდნენ...

ზაფხული ჩამოილია. დადგა შემოდგომა. თოვლით შეისუდრა მთაგორები. დანაღვლიანდა მიდამო. ძილოს დარდი იმონებდა, უძლიერდებოდა და სამუდამოდ გულში უსაბუდრდებოდა, თითზე ითვლიდა მოლოგინების დღეებს. ორ-

---

[1] ქაზდარი — მიწის იატაკი.

სულობას მაინც ფარავდა, — სისნეულე მოიგონა. იშვიათად გამოდიოდა გარეთ. იჯდა შინ და კერავდა ნაჭრელას, ფიქრობდა გოგოთურზე, შეუყვარდა გოგოთური, ძალიან შეუყვარდა, მაგრამ ერთიმეორეს ერიდებოდნენ. ხალხისა ეშინოდათ.

გოგოთური იტანჯებოდა, მუდამ ძილოსთან ყოფნა ეწადა, მაგრამ ხევსურეთის წესი ვერ დაარღვია: თავის გვარის ქალი ვერ შეირთო ცოლად... ხევსურეთის წესს გადაჰყვა გოგოთური, ხევსურეთის წესს, ის კი... არავინ იხოიშნა, არა. არც ადამიანებმა, არც ჯვარღმერთმა...

ზამთრის სუსხიანი დღეები ახლოვდებოდა. ძილოს შიშით თავზარი ეცემოდა, — „მექოხეობა“ ელოდა ქალბნელს...

ერთ საღამოს ნისლის ცქიოტ-მზირები შემოჰყვნენ არაგვის ხეობას, სიცივის ონჩქივარი დატრიალდა ირგვლივ, საშინლად ციოდა. ადამიანებს მიმოსვლა შეეწყვიტათ. ფრინველები სადღაც გადაკარგულიყვნენ, პირუტყვნი სადგურს მიჰბარებოდნენ, სოფელკარი გატვრინულიყო, სიცივეს გაეკრიახებინა მთაგორთ გულმკერდი, გაჩუმებულიყო სულიერი და უსულო, მდინარეები და ქარიც კი, ქარიც, ესოდენ მძლავრად და მარადჟამ რომ დანავარდობს ჭაუხების კალთებზე...

უცბათ ქალის კივილმა შესძრა სოფელი, მეხივით დაუარა კარმიდამოს და მსმენელთ შიშის ჟრჟოლა მოჰგვარა...

ჩუმი მითქმა-მოთქმა ასტყდა სოფელში:

— ფრახი!..

— უწმიდური!..

— უნამუსო!..

— შეარცხვინა დედმამა!..

— მაკვდას!..

დიაღ... ის კვდებოდა...

გოგოთურის გულში კოცონი ჩაღდებოდა, გოგოთურს ალი ეკიდებოდა, გული სტკიოდა, სინანული ათრობდა, მზე უქრებოდა გოგოთურს, მზე:

ძილო იწვა სოფლის გარეთ, ცის ქვეშ — დანგრეულ „ქოხში“, ცივს მიწაზე ლოგინობდა, სიცივეს და ტკივილს ებრძოდა, სიკვდილს უმკლავდებოდა. მარტო იყო ადამიანთა შორის: „მექოხესთან“ არავის მიეკარებოდა,—უწმიდური იყო, უწმიდური, ყველას ხატისა და თემსოფლის რიდი ჰქონდა, ყველა გაურბოდა; ერთადერთი „მესამრელოე“ ქალი დასდგომოდა თავზე, შორიდან უთვალთვალებდა: წულის შობას ელოდა...

გოგოთურისაგან საშველი არაფერი იყო: ხევსურეთის წესს ვერ დაარღვევდა, ერთხან შესცდა სიყვარულით და მეორედ ვეღარ გაუტეხდა პირს ხევსურთ ქალის გულისათვის, გინდაც ეს არ ყოფილიყო, საიდუმლოს ვერ გაამხელდა დრომდენ...

ქალის კივილი უფრო ძლიერდებოდა, უფრო შემზარავი ხდებოდა, უკუნ ღამეში შავნაბადივით რომ გადახურვოდა სოფელს.

გოგოთური ადგილზე ვერ ჩერდებოდა, გულზე ხელებშემოხვეული დაიარებოდა ბნელს ჭერხოში და ქალის ყოველი წამოკივლება ჩაჩნურ ხანჯალივით უვლიდა ტანში და უწყალოდ ფლეთდა გოგოთურის გულს.

ბოლოს კივილი დაჭრილი მხეცის გულსაკლავ ღმუილად გადაიქცა, მიყრუვდა, ნელნელად მოწყდა და კვლავ სიჩუმე დამყარდა ირგვლივ. ჩაესვენა გოგოთურის მზე, ჩაქრა...

ბიბლიოთეკა

იმ დღის შემდეგ გოგოთურს ძილოს ხმა აღარ მოუსმენია, ძილოს თვალწარბი აღარ დაუკოცნია... იმ დღის შემდეგ ლხინი ლხინად აღარ მიაჩნდა გოგოთურს, სიყვარული სიყვარულად: ძილოს შესწირა სიხარული, სიხალისე, მთელი თავის სიცოცხლე...

უბედურ დღეს დაბადებული გოგოთური არ იპატია არც ღმერთმა, არც ადამიანებმა... ძილო მოკვდა... დიაღ. მოლოგინების შემდეგ მეოთხე დღეს დასტოვა სამზეო, გარდასახლდა იმ ქვეყანაში... მისი სიკვდილის მიზეზი ყველა იყო, ყველა... დარჩა იმედა: დედიდამ გაზარდა და აი...

— ამ დღემდენ მოვახწიეთ ორთავ... საიდუმლოს გამხელა არ მეწადა, მაგრამ... სიკვდილის წინ ვეღარ დავფარე: დამძლია მშობლიურმა გრძნობამ.. ეხლა შენვან ველი შველას: შემარიგე იმედა! — ვედრებით დაამთავრა ამბავი გოგოთურმა, მძიმედ დაეშვა ქვეშაგებელზე და მისუსტებული თვალები შემომანათა.

მე დახმარებას დავპირდი, დავამშვიდე და გათენდა თუ არა, მაშინვე იმედასთან წავედი. შინ არ დამიხვდა: თენების ჟამს წასულიყო შურის ციხის ნაშალთან, ცხენსა და დამწვარ შენობას დასტრიალებდა თავზე. მასთან ერთად იყვნენ მშენებლობის უფროსი და კალატოზები. გავიხმე იმედა. დაწვრილებით ვუამბე მისი მშობლების ამბავი და ვთხოვე შერიგებოდა გოგოთურს. მან იუარა: დროს დავაცალოთო, ამბობდა. რცხვენოდა შეხვედრა...

თავი მეშვიდე

კვლავ დაიწყო მუშაობა, ახმაურდა შრომის ონჩქივარში გახვეული ხევსურეთის მთაგორი. ფშავის არაგვიდან ისმოდა ყრუ გუგუნი ლალამით აფეთქებული კლდეებისა.

ბარისახოს ახალ-ახალი შენობები შენდებოდა. ორიოდე კვირის შემდეგ შურის ციხის ნაშალზე პირველზე უკეთესი შენობა წამოიჭიმა. ინტერნატის და დასასვენებელი სახლის მშენებლობა დამთავრდა, — ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავებივით ისხდნენ ბარისახოს კალთაზე. კოოპერატივის შენობას და ელსადგურს საფუძველი ჩაეყარა. ახალი ამბები გაჩნდა. კვლავ „უცხო" სტუმრები ესტუმრნენ ხევსურეთს. ხევსურები დღითიდღე შეიგრძნობდნენ ახალი ცხოვრების სიკეთეს. თავათ გოგოთური სარჩოობაზე იყო დამდგარი, ფეხზე დაიარებოდა. უფრო დანაღვლიანდა, გულს ჩამხედავი გახდა, ჩანადენს ნანობდა, ბედს იწყევლიდა. ხევსურნი აძაგებდნენ, — ყველას გაეგო მისი ამბავი.

მართალია, ხალხის ნაამბობს არად აგდებდა გოგოთური, მაგრამ იმედა გაურბოდა: იმედას ხალხის მითქმა-მოთქმა ახელებდა, — „ნაბიჭვრობით" თავი ეთაკილებოდა. გოგოთურს იმედასთან ყოფნა სწყუროდა, იტანჯებოდა... უფრო მეტი საწუხარიც ჰქონდა მას: გასამართლების მოახლების დღე ზარავდა, ციხის ხსენება თავზარს სცემდა, ბავშვივით ატირებდა, ხევსურეთის მიწაწყლის დამტოვებელი არ იყო, ხევსურეთში დასაფლავება სურდა და ყოველ წუთს თავის მოკვლაზე ფიქრობდა; ყარაული დასტრიალებდა თავზე: მილიცია სდარაჯობ-

და, — გასამართლებას ელოდებოდნენ. თავათ იმედაც თავდებით იყო განთავისუფლებული. სასჯელი ელოდა ორივეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა გოგოთურის გასამართლების დღე. ბარისახოს ბლომად ხალხს მოეყარა თავი. სასამართლოს მიუჩვეველნი ხევსურნი შემკრთალად გამოიყურებოდნენ. გოგოთურს ნანობდა ყველა.

თავათ გოგოთურს ფერი შესცვლოდა: უფრო გაყვითლებულიყო, წელში იყო მოხრილი. ხელფეხი უკანკალებდა.

— ჩამოახრჩობენ!..

— საჩვენებლად დასჯიან!..

— დახვრეტენ...

— კატორლა მაინც არ ასცდების!.. — ამბობდნენ ხევსურნი. გოგოთურს მონასმენი აკრთობდა. „სიკვდილისად ორთ გაჩენილი"... აიმედებდა თავს, მაგრამ ციხე მეტად ზარავდა, შავი სიკვდილივით უდგებოდა თვალწინ...

შუადღის ჟამს გამოუძახა მას სასამართლომ. მილიციონერი მისდევდა დარაჯად. თავდახრილი მოდიოდა. ხალხის წინ შედგა წუთით, შემკრთალი თვალით გადახედა ხალხს, სულგანაბულნი რომ ელოდებოდნენ გოგოთურის გასამართლებას და ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში გოგოთურს, ციებიანივით აკანკალდა, არასოდეს არ უგრძვნია მას ასეთი შიში. მოიწადინა: დამხობილიყო მოსამართლეთა და ხალხის წინაშე, ეთხოვა მათთვის პატიება, თუ არა აქვე, ბარისახოს კალთაზე დაეხვრიტათ და იქვე დაესაფლავებინათ, მაგრამ შერცხვა ერთ დროს ამაყ ხევსურს: ენა დაება, გონება აერია.. ვინ რას ლაპარაკობდა, აღარ ესმოდა. სასამართლოს პროცესის დაწყება არ შეუნიშნავს. ვერ გაუძლო მკაცრ მზერას, მოსამართლის შეკითხვებს. სული ეხუთებოდა, თავი სტკიოდა. ტუჩები უშრებოდა. ბურანში გადადიოდა. იმედას მიახლოვებაზე გამოფხიზლდა, როდესაც საბრალმდებულო სკამზე დაჯდა ორივე ხევსურეთის წინაშე, ცის ქვეშ... მდურვით შეხედა იმედამ და კვლავ ფიქრმა დასძლია, კვლავ ბურანში დაიძირა... „სცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?!." შეესმა მშვიდი ხმა ვოგოთურს და შეიშმუშნა, თავი ძილში ეგონა, კიო, უნდოდა დაეძახა მაღლა, კი არ დაეძახა, — დაეყვირა, რომ მთელ ფშავ-ხევსურეთს მოსდებოდა მისი ხმა, მაგრამ ენა არ დაემორჩილა, — ღონემ უღალატა...

სასამართლოს ხანი აღარ დაუყოვნებია, მოშორებით ითათბირეს და ერთი მათგანი სანდომიანის იერით წარსდგა ხალხის წინაშე, მწვანე ბუსნოზე[1] ნადგომ მაგიდას რომ შემოხვეოდნენ გარშემო, და ხმამაღლა წაიკითხა სასამართლოს განაჩენი.

ხალხი იშმუშნებოდა, მიდგებ-მოდგებოდნენ, კმაყოფილების იერი გადაჭკრავდათ სახეზე.

გოგოთური არაფერს გრძნობდა. იგი არც ფეხზე ამდგარა, სახეგაფითრებული მიეყრდნო სკამს და მხოლოდ ერთი ამონაკითხი მოხვდა მას ტყვიასავით: ხუთი წელიწადი რომ ახსენა ქერა ახალგაზრდამ და მშვიდი თვალებით გადახედა შემკრთალ გოგოთურს. თუმცა გოგოთურს აღარ მოუსმენია, მაგრამ ახალგაზრდა ოქმის კითხვას მაინც განაგრძობდა... მაგრამ და რადგანაც და ამი-

[1] ბუსნო — მოლი.

ტომაც (ჩამოთვლილი იყო მიზეზები) „ვოგოთურს შეეცვალა სასჯელი პირობით სასჯელად. დაეკისრა: ზარალის ანაზღაურება ორი წლის ვადით და ერთი წელიწადი იძულებითი სამუშაო ხევსურეთის ფარგლებში“... ხოლო იმედა განთავისუფლებული იქნა სასჯელისაგან იმ პირობით, თუ იგი მამას შეურიგდებოდა.

ხევსურნი გაოცდნენ. მოსულებმა ლაღად ამოისუნთქეს, კმაყოფილების ღიმილი შეუთამაშდა ყველას მხიარულ სახეზე, მაგრამ მოხდა ის, რასაც არ მოელოდნენ:

განაჩენის ამოკითხვის დროს ვოგოთურს თვალები დაუბნელდა, თავი მძლავრად ასტკივდა, გული უცნაურად უცემდა ერთხანს, შემდეგ მინელდა, სახე გაუფიორდა, უცნაურმა სურათებმა გაურბინეს თვალწინ და ერთ ადგილზე გახევდა. რამდენჯერმე გამოუძახა მოსამართლემ. იგი არ ინძრეოდა. ბოლოს იმედა მიუახლოვდა, ხელით შეეხო. მამობა უწოდა.

ტკბილი სიტყვა ყრუდ მისწვდა ვოგოთურს, მხოლოდ ერთხელ შეხედა შვილს და უგრძნობლად დაეცა ძირს.

გაოცებულ ხალხს მძლავრმა გრიალმა გადაუარა თავზე და შორს ჭიუხები აახმაურა.

— ორწყლის სახვევი ააფეთქეს!.. — სთქვა ვიღაცამ.

— ძლიეს დაილეწა ხევსურეთის კარები! — გაიხარა დაკონკილმა ხევსურმა.

ყველამ მას გადახედა: ფოცხვერა იდგა მორცხვად და ამოდ იღიმებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით სასუნელი

ნაწილი პირველი

იყო არაბეთს მეფე წარმართი,
ბაღდადში ჰქონდა მას სამყოფელი,
იყო აგრეთვე სომეხთა მეფე,
ვერდ-კაპოტინის ტახტის მპყრობელი.
სომეხთა მეფე სხვა ქვეყნებს ფლობდა,
მხნე და მებრძოლი დაუცხრომელი,
ხარკს მიიღებდა ძალის-ძალათი,
ჰქონდა სიმდიდრე აუწონელი.
მას ძე არ ესვა, ამაზე ფიქრი
განა მას გულში ჰქონდა ნაღველად?
მას ჰყავდა ქალი ულამაზესი,
წოვინარ-ხანუმ ერქვა სახელად.
უფრო ძლიერი იყო ხალიფი,
მოხარკეც ჰყავდა, როგორც წესია,
მან ერთხელ დასძრა თავის ლაშქარი
და ჩვენს ქვეყანას შემოესია.
ცეცხლით, მახვილით
აღარ დაინდო
აღარც მდიდარი,
აღარც ღარიბი,
ხალხი გასწყვიტა,
სომეხთა მეფეც
გახდა მოხარკე
დიდი ხალიფის.
ერთ დღეს წამოღგა მეფე ბაღდადის,
მოიხმო ორი ხარკისამკრეფი:
— წადით სომხეთში, ხარკი მოზიდეთ
ზომაზე მეტი, არა ნაკლები.
მალე ისინიც სომხეთს მივიდნენ,
შეჩერდნენ მეფის კოშკის წინაშე,
და რას ხედავენ: თვალის მომჭრელი
ბჟუტავს სინათლე სარკმლის მინაში.
ნახეს ასული, რომლის მშვენება
ენთო სარკმელში და არ ქრებოდა,
თითქოს ეშხისგან მოელვარე მზეს
სახით დაჩრდილვას ემუქრებოდა.
აბიბინებულ მკერდზე ეყარა
თვალნი ალმასნი და სხვა მრავალი,
თითქოს მთვარეა ბადრი, პირსავსე,
მეშვიდე მთაზე ამომავალი.
მათ ამ ნახვისგან
თავბრუ დაესხათ,
იქცნენ ბნედისგან
მწვავედ ვნებული,
და, რა დაკარგეს
სულმთლად გონება,
იქვე დაეცნენ
გაქვავებული.
ბოლოს ორივე მიჰგვარეს მეფეს:
რამ დაგსაჯათო, რომელმა სჯულმა?
არაფერი სთქვეს, ძლივსღა წარმოდგნენ,
თავის ხალიფთან წავიდნენ ჩუმად.
მათ უმადური დახვდა ხალიფი,
დაულრეჯია სახე ვარამი,
უთხრეს: ცოცხლობდე, დიდო მეფეო,
რად გინდა ხარკი, ან და სხვა რამე!
ჩვენ ისეთი რამ ვნახეთ, ისეთი,
გვიკვირს თუ როგორ შეგვრჩა სულიო,
შენ ჩვენს ადგილზე, გვჯერა სამი თვე
ძირს ეგდებოდი გულწასულიო.
დამორჩილებულ ხალხის ქვეყნიდან
კუთვნილი ხარკი აგვეღო თუნდაც,
ოქროთ და ვერცხლით სავსე
მბრძანებელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტი ქონება რა ოხრად უნდა?
შენ გაქვს მიწები, შენი ქვეყანა
სხვა ქვეყანაზე უდიდესია,
სომეხთა მეფეს ქალი ჰყოლია,
რაც ყველაფერზე უმდიდრესია.
ის იყო ვნახეთ, ცეცხლის ფერია,
გაუფურჩქვნელი ვარდის იერით,
თვალი უკეთესს რას დაინახავს:
რა ლამაზია, რა მშვენიერი!
თავბრუ დაეცა
ხალიფს მაშინვე,
თითქოს მოედო
ტანზე ალიო,
და შეუთვალა
სომხეთის მეფეს:
ცოლად მიბოძე
შენი ქალიო.
მეფემ პასუხად შემოუთვალა:
მე სომეხი ვარ, შენ კი — არაბი,
მე ჯვარს თაყვანს ვცემ,
შენ — წარმართი ხარ,
არა მაქვს თავი დავიდარაბის.
ხალიფმა ჰკადრა: ბრძენო მეფეო,
შენგან არ მინდა სხვა საგანძური,
ნებით იქნება თუ უნებლიეთ,
უნდა მიბოძო შენი ქალწული.
თორემ ბოლო აქვს კაცის მოთმენას,
შენდამი წყრომით, წამოქეზებით
მოვუხმობ ლაშქარს ღამის ოდენას
და წარღვნასავით წამოგესევი.
კვლავ დავანგრიო შენი ქალაქი,
ვამრავლო ლეში, ყორნის სასუქი,
მაშ, მზად იყავი ჩემთან საომრად,
მზად ვარ, — ეს იყო მეფის პასუხი.
ცნობა დაგზავნეს მეფის კაცებთან
და სათათბიროდ შეკრბა სამეფო,
ტახტზე წამოდგა დიდი ხალიფი,
მე, არაბეთის მეფე, ვბრძანებო:
ფიცხელ შეჰყარეთ ჩემი ლაშქარი,
უამრავი და... მტრის დამლუპველი.
ოუ მოუცია ქალი, არა და
მისკენ დასძარით, როგორც ღრუბელი.
კიდეეაც დასძრა
შავი ლაშქარი,
იწყო შუღლი და
გადამტერება,
და შეუთვალა
სომეხთა მეფეს:
ან ქალი, ან მთლად
გაცამტვერება.
მეფე რას ხედავს: მტერთა ლაშქარი
ცის ვარსკვლავებზე უფრო მეტია,
მაინც ეკვეთა მტრებს შემოსეულს,
ბევრი მებრძოლი გააწყვეტია.
ამ დროს ხანუმი ერდოზე იჯდა,
პირდაბურული ფიქრების თალხით,
გულში ამბობდა: შევსთხოვ მამაჩემს,
ბრძოლა შესწყვიტოს, თორემ ეს ხალხი
ჩემს გამო უღვთოდ დაიხოცება,
დაობლდებიან მათი ჩვილები.
არა სჯობიან მრისხანე ხალიფს
მივსთხოვდე ნებით და მორჩილებით?
ბოლოს მივიდა მამასთან კრძალვით:
დაგიღრეჯია სახე, მამაო,
და უთხრა მეფემ: აი, ეს ჯარი
შენთვის მოსულა, ვიბრძვით ამაოდ.
ბაღდადის მეფე სულმთლად ამიკლებს,
ვერ შევაჩერებ დამბით, დარაბით,
ჩემი ქალწული მას როგორ მივცე,
მე სომეხი ვარ, ის კი — არაბი!
მამავ კეთილო! — ეტყვის ხანუმი, —
გთხოვ, ნუ მიწყრები, ნუ მემდურები,
აბა, რათ გინდა გავხდე მიზეზი
სხვისი ცოდვის და უბედურების?
უმალ გერჩიოს ჩემი სიკვდილი,
ვიდრე ხალხის და ქვეყნის დამხობა,
აქ ჯიუტობა უარესია,
სჯობია, ხალიფს მისცე თანხმობა.
მეფემ საჩქაროდ ბჭობა გამართა,
ჰსურს, რომ საკითხი გადაჭრას
დროზე,
თვისკენ მოუხმო თავისიანებს,
შორით მოვიდა ქერი ტოროსიც.
ერთმა სთქვა: გვეყო ამდენი სისხლი,
რაც რომ დაღვარა ორივე მხარემ,
მტერი გვსპობს ერთი ქალის
გულისთვის,

მივსცეთ, წავიდეს აქედან ბარემ.
მეორემ უთხრა: არა, არ მივსცემთ,
ძვირად რომ დაჯდეს მაგის წყენაო,
უნდა ვიომოთ, თუ გვსურს დავიცვათ
ჩვენი ქვეყნის და ხალხის რწმენაო.
ამდენხანს ჩუმად
იჯდა ტოროსი
(ის იქნებოდა
ჩვიდმეტი წლისა),
წამოდგა, მეფეს
დარბაისლურად
დაუკრა თავი
და რჩევა მისცა:
დიდო მეფეო, ნება მიბოძე
მეც გითხრათ, რასაც მიჭრის გონება,
კრებას უნდა, რომ ერთი ქალისთვის
აოხრდეს ქვეყნის ყოფნა-ქონება.
შევწყვიტოთ ომი. ჩემგან შენდამი
გულწრფელი რჩევა არის მხოლოდ ეს,
დაუთმე ხალიფს, წარმოიდგინე,
თითქოს ეს ქალი სულ არ გყოლოდეს.
მეფეც, დიდიხნის ყოყმანის შემდეგ,
მოდრკა. მეორე დღესვე, ალიონს
კაცი აფრინა მეფე ხალიფთან:
მოდით, ინებეთ ჩემი ქალიო.

* *

ხალიფი მეტად გაიხარებდა,
გულზე მოედო შვების წამალი,
ახალ სასიძოდ გამოწყობილი
მეფეს ეწვია თავის ამალით.
ამ დროს გამოჩნდა წოვინარ-ხანუმ
შუქ-მოფინარე სახის ნათებით,
მოკრძალებული მიდის მეფესთან,
მამას გაანდო გულის ნადები.
უთხრა: პირობა მოსთხოვე ხალიფს,
სადმე ამიგოს ცალკე შენობა,
დეე, მთელი წლის განმავლობაში
ჩემს სარეცელში ნულარ შემოვა.
ამიგოს კოშკი, სადაც გორაკი
აჩუხჩუხებულ წყაროს დაჰყურებს,
თან გამაყოლოს ჩემი გამდელი,
როგორც მოახლე, მოსამსახურე.
მეფეც ისმენდა გულისხმიერად
ყველაფერს, რასაც ითხოვდა ქალი.
ადგა, წავიდა დამშვიდებული,
შვილის პირობა უამბო ხალიფს.
თან დაუმატა: დიდო მეფეო,
შენთან არა მსურს მტრობა და ომი,
ამიერიდან მოყვრად მიგულე,
ვიქნები შენი სიკეთის მდომი.
რახან ქალს გაძლევ, მისი პირობაც
შემისრულე მე, როგორც მახლობელს,
აუგე სადმე ციხე-დარბაზი,
შიგ ერთი წელი მარტოდ ამყოფე.
ჩემო ძვირფასო! — ეტყვის ხალიფი, —
ჩვენ შორის მტრობა შეწყდეს ამითა,
რადგან დამითმე წოვინარ-ხანუმ,
აწი მე შენი ხარკიც არ მინდა.
ესეც მეყოფა: თუ შენი ქალის
შუქ-შემოსილი სახე მეღირსა,
ესეც მეყოფა: მეწოდოს სიძე
სომეხთა ქვეყნის მბრძანებელისა.
გაძლევ პირობას კოშკი ავუგო,
ალმაზ-თვალებით გაშუქებული,
ერთ წელს კი არა, შვიდ წელს
მოვითმენ,
მისდამი ტრფობით გაშმაგებული.

* *

ნორეღის ახლოს,
დაბა ტეხტისში,
იყო სამეფო
საგარაკო,
იქ განიზრახა
სომხეთის მეფემ
სიძის ლაშქარი
დააბანაკოს.
ბარდი-ბალახი ტკბილ-საძოვარი,
სასიამოვნო ჰქროდა სიო და,
ეგო მინდორი სპარსულ ნოხივით,
იქვე „რძის წყარო“ ამოდიოდა.
აქ დიდებული სეფა გაშალეს,
ყველაფრით სავსე და საამური,
შვიდ დღე და ღამეს ჰქუხდა ქეიფი
ზურნით, დაფდაფით და სალამურით.
ხანუმ კი მეფეს თხოვდა: ხვალ დილით,
რომ არ მომწყინდეს ყოფნა ამაოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეცი ნება, სადმე წავიდე,
ხვალ ამაღლების დღეა, მამაო.
თან გამაყოლე ტოლ-მეგობრები,
„რძის-წყაროსაკენ“ წავალთ
გუნდებით,
წავალთ, გავიართ, გავისეირნებთ
და საღამოზე შინ დავბრუნდებით.
მეფე დასთანხმდა,
მეორე დღესვე
სიცილ-კისკისით
ცეკვით, ხალისით
მინდვრებს მოედვნენ
ახალგაზრდები,
ხანუმს მოახლე
გაჰყვა თავისი.
მათ ჟრიამულით ხვდება ქვეყანა,
მზეც შუაცაზე აღმართულია,
ზოგი ცხვარს მწყემსავს, ზოგი **რწყავს,**
თესავს,
ყველა მუშაობს, ხელგართულია.
რბიან, გზადაგზა ჰკრეფენ ყვავილებს,
ფრთებ-ასხმულივით მთაზე ავარდნენ,
გაშალეს სუფრა, ჭამეს, დალიეს
და შემდეგ ზღვისკენ გაინავარდეს.
დრო გადის, ხანუმ ხედავს მინდორზე
საღამოს ნამი რომ ასხურია,
მეგობრებს ეტყვის: წადით ნელნელა,
მე დაგეწევით, წყალი მწყურია.
წოვინარ-ხანუმ ზღვასთან მივიდა,
ზღვა კი შფოთავდა შავად ქცეული,
მივიდა, შედგა კლდიან ნაპირზე,
იქვე დაეშვა ქანც-მილეული.
მოახლეს უთხრა: ჩემო გამდელო,
როგორ მწყურია, ნეტავ იცოდე,
აგერ ზღვაა და.. ღმერთი არ არის,
წყურვილისაგან კაცი იწოდეს?
შეკრთა, შეწუხდა ფრიად გამდელი,
სჯობდაო, სახლში რომ მედარაჯა,
აქეთ მივიდა, იქით გაიქცა,
და წვეთი წყალი არსად არა ჩანს.
და სთქვა ხანუმმა: ღმერთი რომ
გრძნობდეს
ამ ჩემი გულის წვას და წვალებას,
სადმე ანკარა წყაროს გახსნიდა,
მომცემდა შვებას და მოწყალებას.
მართლაც გაიხსნა
ზღვა უცაბედად,
ტალღაც დაწყნარდა,
აღარა ცხარობს,
გამოჩნდა ლოდი
და მის გულიდან
ამოჩუხჩუხდა
ანკარა წყარო.
აღტაცებული ამ სასწაულით,
იქვე, ნაპირზე ხტოდენ, ხარობდენ,
ხედავს ხანუმი: კაბის ამარა
ველარ მიაღწევს უკვდავ წყარომდე.
ტანგახდილი და ათრთოლებული
ლოდთან მივიდა გულის ფანცქალით,
ჩაუშვა პეშვი, შესვა... მეორედ
ძლივს ამოავსო... და გაშრა წყალიც...
მაღლა ცა სდუმდა ვარსკვლავიანი,
ძირს — არემარე დაღამებული,
ხანუმი ტოლებს წამოეწია,
სახლში დაბრუნდა გახარებული.

* *

არაბთა ჯარი გავიდა ბილით,
მეფემ თავისი წოვინარ-ქალი
მორთო, მოკაზმა კოხტად, ლამაზად
და გაუგზავნა ბაღდადში ხალიფს.
მეტად გალაღდა დიდი ხალიფიც,
ოქრო, დოვლათი გასცა ულევად,
შვიდ დღე და ღამეს განუწყვეტელი
იდგა ლხინი და მხიარულება.
ხანუმ შევიდა თავის დარბაზში,
და მიიხურა შიგნით კარები,
ხალიფმაც დასთქვა თავის პირობად
შვიდ წელს მას აღარ გავეკარები.

* *

გავიდა ხანი, ერთ მშვენიერ დღეს
წოვინარ-ხანუმ ფეხმძიმე გახდა,
და გაიფიქრა: ზღვისგან თუ არი,
ალბათ განგების სურვილი ახდა.
ეს რომ გაიგო მეფემ, იწყინა,
სახე მქუში და
თვალამრეზილი

გავიდა, თავი განიმარტოვა
და სათათბიროდ იხმო ვეზირი.
ვეზირმა ჰკადრა: დიდო მეფეო,
მდიდარო ვერცხლით, პურით,
ბეგარით,
ქალი მრუში და შემარცხვენელი
რათ გინდა? ერთ დღეს მოვკლათ,
ეგ არი!
ის იყო, ღამით
ნაჯახით ხელში
გამოეცხადა
ხანუმს ჯალათი,
უთხრა: ხალიფის ნება არისო
ეხლავე თავი მოგჭრა ძალათი!
შეკრთა ხანუმი: მეფის ბრძანება
ეგ სადაური სამართალია?
აკი ფეხმძიმე ქალის მოკვლითვე
თქვენ ჰკლავთ ერთბაშად ორ
ადამიანს?
მიდი და მეფეს ასე უთხარი:
ჯერ დამაცალოს, მეყოლოს ბავშვი,
როგორმე ტანჯვას თუ გადავურჩი,
ნუ შემიბრალებს! დე, მომკლას მაშინ!
იცოდეს: დღესაც მე ქალწული ვარ,
მხოლოდ ღმერთია ამის გამგები,
მეკი მგონია — ესე ნაყოფი
ზღვისგან გამიჩნდა ზეცის განგებით.
მეფე დასთანხმდა, უხუცეს ვეზირს
ისევ მოუხმო და უთხრა რჩევით:
კარგი, ვასრულებ ხანუმის თხოვნას,
რაც უნდა იყოს, ცოლია ჩემი!
გავიდა ჟამი, ხანუმმა ბავშვი
ცხრა თვე და ცხრა დღე მუცლით
ატარა,
დაბოლოს ორი ვაჟი გაუჩნდა,
ერთი ზორბა-და, ერთი პატარა!
დედა სიამით
ბავშვებს დაჰყურებს,
სიხარულისგან
ეწევა ცასა,
უფროსს დაარქვა მან სანასარი
და ბაღდასარი მის უმცროს ძმასა!
და რა ახარეს ესე ამბავი —
სახეზე ბრაზი მოედო ხალიფს,
შურით დააევლო ბავშვებს თვალი და
ბრძანა: ეხლავე მოჰკალით ქალი!
მაგრამ ქალისგან ჯალათის პირი
მეფემ მიიღო კვლავ საბრძოლარი:
ეხლა ნუ მომკლავ, ცოტა მაცალე,
ცოდვაა ორი ძუძუ-მწოვარი!
დიდხანს ჰფიქრობდა მეფე, დაბოლოს
კვლავ რჩევისათვის ვეზირს უძახის
და უთხრა: მივცეთ ექვსი წლის ვადა,
სახლში ჩავკეტოთ, როგორც ტუსალი!
არც დღე, არც ღამე,
არც არასოდეს
ნებას ნუ მისცემ
კარში გაშვების,
სიკვდილით დასჯას მერეც
მოვასწრებთ,
დე, გაიზარდოს მანამ ბავშვები!
ასე ექვსი თვე იჯდა ხანუმი,
ბოლოს მიმართა მეფეს მუდარით:
მეფეო, მომეც თავისუფლება,
თორემ მომწყინდა ეგ საბუდარი!
მეც მსურს ნათელი მზე და ბუნება
ეგზომ საამო და საკვირველი,
ჩაკეტილი ვარ ამ გალიაში,
თითქოს ტყვექმნილი ვიყო ფრინველი!
კვლავ ბრძანა მეფემ: კარისმცველებო,
ისმინეთ, ჩემი ბრძანება არი
დღიდან ხანუმმა თავის ნებაზე
დე, ისეირნოს, გაუღეთ კარი!

* *

წამოიზარდნენ
ბავშვები ჩქარა,
მკერდში ჩაუდგათ
ძალა კლდისანი,
მათ თითო წელი რომ შეუსრულდათ,
თითქოსდა იყვნენ ხუთის წლისანი!
დაიწყეს ჯიბრი და ჭიდაობა,
ცას აყრუებდნენ ხმების გუგუნით,
და ცისმარე დღე, ბაღში მათ მიერ
ნაცემ ბავშვების იდგა ზლუქუნი!
ერთხელ ხალიფი მოიხმობს ბავშვებს,
მას შემოხედვა მათი აშინებს,
დაუბრიალებს თვალებს მრისხანედ,

და გაისტუმრებს სახლში მაშინვე.
ერთხელ ვეზირის ბავშვს სანასარმა
გაარტყა და ძირს დასცა ძლეული,
ბავშვს ვერაფერი ვეღარ უშველეს
და დარჩა ასე ყბა-მოქცეული!
ვეზირმა წყრომით შესჩივლა მეფეს:
ბავშვები გახდნენ მეტად ურჩები,
მეფემ სთქვა: რამე ვილონოთ, თორემ
ამ ძაღლის ლეკვებს ვერ გადვურჩებით!

* *

ერთხელ ბავშვები შემოუსიეს,
სცემდნენ, კილავდნენ და ქვებს
უშენდნენ:
ტყუბად შობილნო, მოწყდით აქედან,
ჩვენ რა საერთო გვაქვსო ბუშებთან.
ძმებმა ტირილით შესჩივლეს დედას:
ჩვენი ნამდვილი მამა ვინ არი?
მალე პასუხი გვითხარი, თორემ
აგერ ხრამი და... აგერ მდინარე!
ხანუმმა უთხრა: გინდათ გაიგოთ
მამის სახელი და სამყოფელი?
თქვენი მამაა მეფე ხალიფი,
დიდ არაბეთის ქვეყნის მპყრობელი!
— არა, დედიჯან! — უთხრეს
ბავშვებმა, —
იქ ჩვენს გაკილვას ხალხიც ხედავდა,
ჩვენ, დიდ ხალიფის ძენი რომ ვიყოთ,
„ბუშის“ თქმას ვინლა გაგვიბედავდა?
ხანუმმა ძლივსღა
დააშოშმინა
აღელვებული
თავის ბავშვები,
ერთხანს დატუქსვით ჰყავდა ოთახში,
ნება არ მისცა კარში გაშვების!
მაგრამ, ორი თუ სამი დღის შემდეგ,
ისევ გავიდნენ ძმები ქალაქში,
ისევ „ბუშიო“ წამოუძახეს,
არ გაიკარეს ახლოს თამაშში!
დაბრუნდნენ უფრო გაჯავრებულნი
და აიტუზნენ კართან ბოგინით,
დედის კალთაში ჩარგეს თავი და
გულდაწყვეტილად მორთეს სლოკინი!
ჩავარდა დედა საგონებელში,
დაღონდა, ჭმუნვით შეეკრა სახე,
უთხრა: შვილებო, ხვალ უსათუოდ
გეტყვით ყველაფერს მამის შესახებ.
დილით, ის იყო, გავიდნენ მინდვრად,
შეხვდათ მდინარე მდორედ მდინარი,
სანასარმა სთქვა: ან თავს დავიღრჩობ,
ან მამაჩემი, მითხარ, ვინ არი!
და უთხრა დედამ: ჩემო შვილებო,
თქვენ მამა არ გყავთ, მან მამწარა მე.
— დედი, რას ამბობ? — ჰკითხეს
ბავშვებმა, —
კაცს კაცი აჩენს, განა სხვა რამე?
და მოჰყვა ხანუმ: თუ რომ ვტყუოდე,
ჩემი წაწყმენდა ღმერთმა ინებოს,
რახან ასეა, გეტყვით ყველაფერს,
ყური დამიგდეთ, ჩემო შვილებო.
ერთხელ მამაჩემს ვსთხოვე ნებართვა,
მან აღმისრულა ჩემი სურვილი,
მინდვრად წავედით ამხანაგები,
უცებ მომაწვა გულზე წყურვილი.
ბევრი ირბინა ჩემმა გამდელმა,
სასმელი წყალი არ ჩანდა არსად,
დაბლა დავეშვი ქანცმილეული,
და მოწყალება შევსთხოვე ცასა!
ამ დროს თვალისწინ გაიხსნა ზღვა და
წყაროც გამოჩნდა, თითქოს განგებით,
მიველ, სულ ორი პეშვი დავლიე,
ერთი სავსე-და, ერთიც ნაკლები!
მას შემდეგ, მიკვირს, ეგ სასწაული
ვერ გამიგია, როგორც ანდაზა,
პირველმა პეშვმა შენ გაგაჩინა,
შენ კი — მეორემ, ჩემო ბალდასარ!
ბავშვებმა უთხრეს: ეს ხომ გავიგეთ,
ეხლა კი შენზე მოჰყევი ბარემ.
ეტყვის: მე კიდევ მეფის ქალი ვარ,
მშობა, გამზარდა სომხეთის მხარემ!
ამ საუბარში
დაბინდდა კიდეც,
ხანუმ წავიდა,
წაყვნენ ბავშვებიც...
დასაძინებლად მიწვნენ, მიყუჩდნენ,
დიდხანს ნამგზავრი, ნათამაშები!

* *

მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა,
ბავშვებიც მალე წამოიზარდნენ,
მაგრამ ისინი უკვე ამჩნევენ:
დედას ყოველდღე იპყრობს დარდები.
უთხრეს: დედიჯან, რა დაგემართა,
მუდამდღე სწუხარ და იცრემლები,
არასდროს არ ხარ პირ-მოცინარე,
სულ ბედზე ჰგოდებ და იწყევლები?
ნეტავ რა გიჭირს? ღმერთმა, ხომ ხედავ,
შენ საგანგებოდ მოგცა შვილები,
მოგცა ქონება, მოგცა სასახლე,
მიდამო მინდვრებ-გადაშლილები!
და სთქვა ხანუმმა: დიაღ რომ
ვწუხვარ,
დარდებმაც თვისკენ გადამიბირეს,
განრისხებული მეფე ხალიფი
ღღეს თუ ხვალ თავის მოჭრას
გვიპირებს!
— რაო? — აღმოხდათ ძმებს და ორივე
შეიპყრო ძრწუნვამ, როგორც
თავზარმა, —
შეხედეთ, ხალიფს რა განუზრახავს,
მაგასაც ვნახავთ! — სთქვა სანასარმა.
ერთხელ ის იყო,
ქურდულად, ღამით,
მათ მიუგზავნა
მეფემ ჯალათი:
— წადით დარბაზში, ქალს და მის
ბუშებს
ეხლავ მოსჭერით თავი ძალათი!
ბავშვები ამ დროს იყვნენ ოთახში,
ხტოდნენ, ცელქობდნენ და
თამაშობდნენ,
ხანუმი მარტოდ იჯდა, სტიროდა,
მის გულს დარდები ღრღნიდნენ,
აშრობდნენ!
გაჩნდა ჯალათიც, ხანუმი ეტყვის:
მე უკვე ვიცი მეფის ბრძანება,
კი, მაგრამ... ნუთუ ისე გულქვა ხართ,
ბავშვები მაინც არ გებრალებათ?
— მეც მებრალება ისინი მაგრამ... —
დამშვიდებულად ეტყვის ჯალათი, —
რა ვქნა, როდესაც თქვენი კისერი
მეფეს არ ულირს ერთ ღერ ჩალათი!?
— ჩუმად! ბავშვები შეშინდებიან
საშინელ ამბავს რომ მოისმენენ,
დე, ითამაშონ ბარემ ცოტახანს,
თქვენ კი დასხედით და მოისვენეთ!
ჯალათებმა სთქვეს: ვერ დავისვენებთ,
ჩვენ უნდა ზეზე ვიდგეთ ნიადაგ,
ჩქარა გამოდით, ადგილზე დასჯა
არ გვინდა, სისხლით დავსვრით იატაკს!
აქ სანასარმა ხმას ყური მოჰკრა,
დედის ოთახში შეაღო კარი,
რას ხედავს: ვილაც კარისკაცები,
ხმალ-ამოწვდილად დედის წინ
მდგარი, —
ილანძღებიან უშვერ სიტყვებით,
იმუქრებიან, მეტად წყრებიან,
და მიაძახა: ვინ ოხერი ხართ,
სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებიათ?
— შვილებო! — ბავშვებს შესჩივლა
დედამ, —
უბედურების ცეცხლი მოგვედო,
ხალიფმა ხალხი გამოგვიგზავნა,
რომ ღღეს დედათქვენს თავი მოკვეთონ!
— მიჩვენე, თავი ვინ უნდა მოგჭრას,
ვინ უნდა იყოს ასეთი ავი?
— მე! — მიაძახა ერთმა ჯალათმა, —
ღღეს უნდა მოგჭრათ სამივეს თავი!
— შენ? — სანასარმა შესჭყივლა
ჯალათს,
ერთის მოქნევით გაარტყა ისე,
რომ ამოდენა
კაცს წიწილივით
თავი ერთბაშად
მოსწყვიტა კისერს!
დაფრთხნენ, დაშინდნენ დანარჩენები,
შეტევა ველარ გაუბედნიათ,
თავის ხალიფთან გაიქცნენ ქშენით,
უკანვე აღარ მოუხედნიათ!
ხალიფმა დასძრა თავის მხედრები:
ძაღლის ლეკვები ნახეთ სად არი,
მაგრამ ბრძოლაში
სულმთლად გასწყვიტეს,
ცოცხლად გაბრუნდა
მხოლოდ სარდალი!

როცა ხალიფმა კვლავ მოინდომა
ომში წაესხა ჯარი ახალი,
მაშინ სარდალმა უთხრა უარი
და გადაწყვეტით ურჩია ხალიფს.
— სულ ამაოა იმათთან ბრძოლა,
სჯობს, მათ საქმეში ნულარ ვერევით,
ისინი რაღაც დევგმირებია,
ჩვენ მათ ვერ დავსძლევთ, ვერ
მოვერევით!
და სთქვა ხალიფმა: ეხლა კი მჯერა,
რომ წოვინარი არის ქალწული,
მჯერა — შვილებიც ზღვისგან გაუჩნდა,
ამაზე იჭვიც მაქვს გაქარწყლული!
ბავშვებიც მართლა დევგმირებია,
ვერაფრით ვეღარ შემიშინებია,
დღეიდან ხანუმ ცოლია ჩემი,
მისი შვილებიც — ჩემი შვილებია!

* *

კვლავ გაწყრა ჩვენზე დიდი ხალიფი,
მუდამ რისხვის და სისხლის მდომელი,
კვლავ დასძრა ჩვენსკენ დიდი ლაშქარი,
ომი დაგვიწყო დაუნდობელი!
წოვინარ-ხანუმ ამაზე ფიქრით
ჯავრობდა ღამე და დღე ცისმარი,
წუხელის, მისდა საუბედურად
გასაოცარი ნახა სიზმარი.
და უთხრა ხალიფს:
დიდო მეფეო,
მუდამ გწყალობდეს
ღმერთი ძლიერი,
ომში ნუ წახვალ, სიზმარი ვნახე,
ხიფათს გიმზადებს ბედი ცბიერი!
ვნახე ვარსკვლავი,
რომელიც ერთხანს
წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს
ებრძოდა, მაგრამ,
დამარცხდა, მოსწყდა ზეცის კამარას,
და ჩვენს ეზოში ჩაეშვა, ჩაჰქრა!
— ჩემო სიცოცხლევ! — უთხრა
ხალიფმა, —
სანამ ცოცხალვარ და მიჭრის მკლავი,
უნდა ვიომო კიდის-კიდემდე,
მაშინ მილიმის ბედის ვარსკვლავიც!

ადგა, დაიძრა განრისხებული,
ვერდ-კაპოტინის ეწვია ქალაქს,
და შვიდ წელიწადს მტანჯველ ლაშქარი
ჩვენს დედაქალაქს ეხვია — ოკალად!
ქალაქი მოსწყდა
სოფლის ბარაქას,
შემოზღუდული
ირგვლივ მტრის ალყით,
გაშრა და გაჰქრა პური თუ წყალი,
სიმშილისაგან წყდებოდა ხალხი!
ბევრმა დაკარგა მომავლის რწმენა,
ჭორიკანობდნენ, ილანძღებოდნენ:
დაბრუნდებოდეს ნეტავ წარსული
და ძველებურად პურით ვძღებოდეთ!
ერთმა სთქვა: ეხლა არა გვაქვს პური,
ნამცეცს დავეძებთ მტვერში და მურში,
მაგრამ, ხვალ ამდროს, სხვა დრო
იქნება,
გროშსაც არ მივცემთ ას ლიტრა
პურში!
უცებ წამოხტა ყრო გაანჩხლებით:
მე კი არა ვარ მაგის დამჯერი,
ჰა, მუჭა ოქრო, და თუ ბიჭი ხარ,
მიშოვე სადმე პურის ნაჭერი!
ახია ჩვენზე! ეს ყველაფერი
შექმნა ჩვენშორის მტრობამ,
გლეჯამო...
მაშინ დასწყევლეს ურწმუნო თომა:
გენახოს პური, და ვერ გეჭამოს!

* *

ვერდ-კაპოტინის მეფე კი ამ დროს
ჩუმად საომრად ემზადებოდა,
ერთად შეკრიბა იმდენი ჯარი,
რომ სუნთქვისაგან ნისლი დგებოდა!
და ერთხელ ღამით, ალიონის წინ,
როცა სიჩუმე იდგა ქალაქში,
დასცხეთ! — გაისმა მეფის ძახილი,
ჯარი შეიჭრა მტრების ბანაკში!
თავდაპირველად
ქერა ტოროსმა
მტრებს მიაყენა
მძიმე ზიანი,
ატრიალებდა ხმალს ელვასავით,

კბილით იბრძოდა ვით ავზნიანი!
დაფრთხა, დაიბნა ხალიფის ჯარი,
ბოლოს ერთმანეთს დაუწყეს ელეტა,
ეს რომ შეიტყო მეფე ხალიფმა,
წელში შედრკა და შეწუხდა მეტად!
რას ხედავს: მტერმა მისი ლაშქარი,
გაქლიტა, დადგა სისხლის კუნძული.
დაბოლოს შეჯდა თავის აქლემზე
და გაქცეულებს გაჰყვა ძუნძულით!
დილაზე ადრე ადგა ქალაქი,
სახლებში ხალხს რა დააძინებდა?
ნახეს უზომო პურის მარაგი,
მას ყრო ურწმუნო ანაწილებდა!
მაგრამ წონის დროს მას შეამჩნიეს
ისევ სიძუნწე, შიში და კრთომა,
ვილაცამ თავში დაარტყა გირი
და იქვე მოჰკლა ურწმუნო თომა!
ასე დასრულდა მისი ცხოვრება,
ბოროტი სული ვეღარ შერჩა მას,
მართლაც აღსრულდა
ხალხის ნათქვამი:
ნახა პური და
ვეღარ შეჭამა!

* *

ამ დროს ხალიფი გარბოდა ველად,
შიში მისდევდა მტრისაგან ქცეულს,
კერპებს შესთხოვდა, ეაჯებოდა
და ჰპირდებოდა ორმოც დეკეულს!
მაგრამ, ამაოდ,
უმძიმს ძალიან,
კერპებს მაგისთვის
აღარ სცალიათ!
კვლავ შეევედრა: ყოვლად ძლიერო,
დაბრუნებისას, ვფიცავ, ვეცდები,
როგორმე ხიფათს თუ გადავურჩი
მოგართვა ბლომად ოქრო, ვერცხლები!
ხალიფს კვლავ გული
უწუხს ძალიან,
კერპებს მაგისთვის
აღარ სცალიათ!
ბოლოს ახსენა
კერპთუხუცესი,
როგორც ყველაზე
უხვი, უვრცესი:
— კერპთუხუცესო, აჰა, ისმინე,
უკანასკნელი ჩემი პირობა,
თუ გამოვედი გამარჯვებული,
თუ დავამტკიცე მტრებთან გმირობა,
მყავს ორი შვილი, მათი სახელი
გადაქცეული არის არაკად,
მყავს სანასარი და ბალდასარი,
დე, მომიცია შენთვის ზვარაკად!
მაშინ კერპების ავმა სულებმა
აქლემს ჩაუდგეს ღონე და ძალა,
ხალიფმაც თავი მტერს დააღწია
და მიაშურა სატახტო ქალაქს!

* *

წოვინარ-ხანუმ
უბედურ ბედად
აღმაშფოთებელ
სიზმარსა ხედავს:
აი, სარკმელში ორი სანთელი
ნელინელ იწვის და ითენთება,
ხანგამოშვებით ერთად ორივე
ენთება, ჰქრება, ისევ ენთება!
გამოეღვიძა, ბავშვები თვისკენ
იხმო, ქვითინით ჩაიკრა მკერდში,
უთხრა: შვილებო, იმ წყეულ ხალიფს
რა უნდა ჩვენგან, ნეტავ რას გვერჩის?
სიზმარი ვნახე: თითქოს ხალიფი
არის ჭირში და... მხსნელი არა ჰყავს,
ის დახსნისათვის
კერპებს დაჰპირდა,
რომ თქვენი თავი
მისცეს ზვარაკად!
ხალიფს თქვენ სძულხართ,
ეს ჯალათებიც
სულ თქვენს გარშემო დგანან და
ჰყეფენ,
წადით, მოშორდით აქაურობას,
თქვენ შეგიბრალებთ სომხეთის მეფე!
ძმებმა სთქვეს: ხალიფს
როგორ ვემონოთ,
ვაჟკაცები ვართ, განა ლაჩრები?
სწრაფლ გამონახეს ხმლები, ისრები,
სწრაფლ აღიჭურვენ თავის აბჯრებით!

იქვე ხალიფის საჯინიბოდან
იპყრეს ცხენები ტანმოკაზმული,
დაემშვიდობენ
დედას ალერსით,
ცხენებს მოახტნენ,
აბჯარასხმული!
და უთხრეს დედას: თუ კი ხალიფის
მზე დასავლეთით გადაიხაროს,
მოგვნახოს, მოგვკლას, როგორც
ზვარაკი,
მიართვას კერპებს და გაიხაროს.
შემდეგ, შვილდივით
დასძრეს ცხენები
და გზას გაუდგნენ
ჭენებ-ჭენებით!

* *

გათენდა დილა მტრედისფერული,
ბანზე გამოდის წოვინარ-ქალი,
შორს გაიხედავს ხელ-მოჩრდილებით:
აი, აქლემი მოათრევს ხალიფს.
მისი მხლებლები
არსად არიან,
არსად არც ჯარი,
არც სარდალია.
წოვინარ ეტყვის:
დიდო მეფეო,
მუდამ იცოცხლე
და იჩქეფეო.
რა დაგემართა
ან-და სად არი
ის შენი ჯარი,
შენი სარდალი?
ხალიფმა უთხრა: ეხ, ჩემო ცოლო,
რა ღლე, რა ჭირი ვნახე, იცოდე,
ის იყო ესძლიე გიაურები,
დიდიც, პატარაც არ შეეცოდე!
და შევამწყვდიე ქალაქში ყველა,
ოხრად ვაყრიდი რისხვას ზემოდან,
სულ დიდი: ერთი ან ორი ღლე და
ქალაქი თავად დაეცემოდა.
ჩვენ ღამლამობით გვეძინა მშვიდად,
მტრის უძლურებას ვგრძნობდით
აშკარად,
ერთხელ, უეცრად სეტყვა დაგვეცა,
შემოგვიტია მტერთა ლაშქარმა.
სულ გამიქლიტეს ჯარიც, სარდლებიც,
ვერ გაუმკლავდნენ თავდასხმას,
თავზარს,
მე ბედისბედად აქლემს მოვუსწარ,
მოვახტი და ძლივს ვუშველე თავსა!
გზაშივე რა არ დავპირდი კერპებს,
ჩემი ღალადი ზეცას წვდებოდა,
მაინც არ იქნა ჩემი საშველი,
მაინც ხიფათი არ ამცდებოდა!
დაბოლოს, როცა მსხვერპლად
დავპირდი
მათ სანასარი და ბალდასარი,
მაშინ ისმინეს ვედრება ჩემი
და ამაცილეს მტრების თავზარი!
გავიდა მეფე
მრისხანე, მქუში,
„ვნახოთ“! — ხანუმმა
გაივლო გულში.

* *

ერთ ღლეს ხალიფი შედის დობირში,
კერპთა წინაშე მოხრილი, მფრთხალი,
კერპში შემძვრალმა ავმა სულებმა
მაშინვე მსხვერპლი მოსთხოვეს
ხალიფს!
ამ დროს ხმა ისმის კერპთუხუცესის,
თითქოს გაისმის ხმა ზანზარისა:
დიდო მეფეო, მსხვერპლი გვიბოძე
სანასარის და ბალდასარისა!
მასთან წამოდგა ქურუმთ-ქურუმიც,
მეფის წინაშე წარსდგა ღალადით:
მეფეთ მეფეო, ყოვლად ძლიერო,
მდიდარო ხარკით, გადასახადით,
თქვენ ხომ სომეხთა მეფის ქალისგან
გყავთ ორი შვილი, ორივე ვაჟი,
ისინი მსხვერპლად კერპს უნდა მისცე,
შენი სურვილიც ახდება მაშინ!
კარგი! — თანხმობით
ეტყვის ხალიფი,
ყმა ვარ მონობის
და მოწყალების,
ათი ღლის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან, ახლოს,
სად წყაროს წყალი
გადმოსდის მაღლობს —
მოვიყვან ბავშვებს,
მოვიდეს კერპიც,
დაპირებული
მიიღოს მსხვერპლი.
როცა ხალიფი დაბრუნდა სახლში
ცოლს ყველაფერი უამბო მაშინ!
წოვინარ ეტყვის: მადლობა ღმერთს,
რომ
ბედს მოუცია შენთვის ბარაქა,
გყავს ცხვრების ფარა, დეკეულებიც,
დაჰკალ, მიართვი კერპებს ზვარაკად!
— ქალო, გაიგე! კაცი ჰსურთ-მეთქი,
ისინი თავის ჟინაზე დგანან.
— მერე რა მოხდა? შენს ქვეყანაში
ქუჩის ბავშვები ცოტაა განა?
— ო, არა, არა! შენი შვილები...
თორემ აღსრულდა რისხვა იმათი,
მე კერპთუხუცესს მივეც პირობა,
წელან კიდევაც ამცდა ხიფათი!
— ჩემი შვილები ხომ შენიც არი,
მათი სიკვდილი რად გიხარიან?
კიდეც რომ გსურდეს შურისძიება,
ჩემთან ისინი აღარ არიან!

* *

ძმები კი ამ დროს თავს მამაცურად
გრძნობდნენ, ცხენებიც მიჰყავდათ
მარდად,
ოთხ დღედაღამეს მოუსვენებლივ
იარეს და შორს გასცილდნენ ბაღდადს.
გზაზე მათ ერთი მდინარე შეხვდათ,
მთების ჩრდილები ტალღებს ეფარენ,
მას თავს ესხმოდა პატარა წყარო,
კლდიდან ჩუხჩუხით გადმომჩქეფარე!
და იგი წყარო
ალმასის მსგავსად
მდინარეს სჭრიდა,
სტოვებდა კვალსა
და, შემდეგ, როგორც
ორი ძმობილი,
ვიდოდნენ ტალღებ-გადაჭდობილი!

— საკვირველია! — სთქვა
სანასარმა, —
შეხედე, წყარო ძაფის ოდენი
სჭრის ამ მდინარეს, თან სტოვებს
კვალს და
შემდეგ რამხელა ტალღებს მოდენის?
— რა ძალამ შობა, როგორ ან და სად,
ეს რა წყაროა, ნეტავ, ბაღდასარ?
ძმამ უთხრა: — იგი შვების წყაროა,
ძნელია მასთან მისვლა, მიღწევა,
ვინც რომ წყალს დალევს
მის სათავიდან,
ის დაუძლეველ გმირად იქცევა!
სანასარმა სთქვა: — ვინც ეს გაიგოს,
ვინც იმ სათავის მონახოს ძირი,
იქვე დასახლდეს, იცხოვროს იქვე
და მისი შვილიც იქნება გმირი!
და გადასტოპეს მდინარე დიდი,
აყვნენ მთის წყაროს სულ ზევით,
ზევით,
ერთიც, მეორეც მთა გადალახეს,
არა ჩანს კვალი, არა ჩანს გზები.
ბნელა, მხეცების ისმის თარეში,
ისევ ტყეა და ისევ ხეობა,
არსად კერიის შუქი არ ბჟუტავს,
არსად არ არის მოსახლეობა.
დიდხანს იარეს, იხეტიალეს,
ბოლოს მონახეს წყაროს ბინული,
იქიდან შხეფი ჩქეფდა შუქივით,
ბრჭყვიალა, ცივი, როგორც ყინული!
და სანასარმა უთხრა ბაღდასარს:
ეს არემარე კარგია, ძმაო,
ამ კეთილშობილ წყაროს ნაპირზე
შევდგეთ, არ გვინდა ჩვენ მეტი გზაო!
შენ წადი, მოჰკალ რამე ნადირი,
ხორცი მზად გვქონდეს საჭმელ-
საკვებად,
მე აქ მოვზიდავ ქვებსა და ქვაკირს
და შევუდგები კოშკის აგებას.
ასე: ერთი ძმა წავიდა მარჯვნივ,
მეორე მარცხნივ შევიდა ტყეში,
შვიდ დღეს შველი ჰკლა ერთმა,
მეორემ

კოშკი ააგო შვიდსავე დღეში.
ცხოვრობდნენ ერთხანს კმაყოფილებით,
ლრუბლების მსგავსად ვიდოდნენ
დღენი,
ბოლოს მოსწყინდათ სულ ერთნაირი
ცხოვრება მყუდრო და მოსაწყენი.
და ერთ საღამოს, როს ბაღდასარი
ნადირობიდან დაბრუნდა სახლში,
სანასარს მძიმედ ჩასძინებოდა
და ჩაჰყოლოდა ჭმუნვა სახეში.
მივიდა, მძინარს ფრთხილად ხელი
ჰკრა,
სანასარს ყურში ჩაესმის ჩქამად:
— ადექი, ძმაო, მოსაწყენია
ეს უგემური ძილი და ჭამაც!
ფრინველების და მხეცების გარდა
კაცს არ უნახავს ჩვენი სახენი,
ცა რომ გვწყალობდეს,
ჩვენ დაგვრჩებოდა
მეფე ხალიფის სრა-სასახლენი.
ძმამ უპასუხა: მართლაც რასა ჰგავს
ეს ჩვენი ყოფა ოხერ-ტიალი?
კაცი აქ ლამის ველურად იქცეს,
ასეთ ცხოვრებას სჯობს ხეტიალი.

* *

ადგნენ, წავიდნენ, ჩაწვდნენ
მუშქალაქს,
ნახეს მუშელი — მეფე კეთილი,
შვიდჯერ ზედიზედ მიწას ემთხვიენ,
წამოდგენ გულზე ხელდაკრეფილი.
ასე ქედმოხრით და მოწიწებით
მივიდნენ, დადგნენ მეფის გარშემო,
და უთხრა მეფემ: თქვენ აქ რა გინდათ,
რისთვის მოსულხართ, რას მთხოვთ,
ბავშვებო?
ბავშვებმაც ჰკადრეს: დიდო მეფეო,
თქვენის იმედით არა თუ გვიჭირს,
სამეფო კარის სამსახურისთვის
შორით მოვსულვართ ორი ტლუ ბიჭი!
— მამცნეთ, ვისი ხართ
ამგვარ ყალიბის? —
მათ უპასუხეს:
— მეფე ხალიფის.
ხალიფი? — უცებ შეკრთა მუშელი, —
იმან რომ თქვენი დახსნა ინებოს,
როგორ გავუძლო, ის ძლიერია,
ო, არა, არა! წადით, შვილებო!
წავიდნენ, ისევ იხეტიალეს,
მოესწროთ შეყრა დღისა და ღამის,
გზაში ბევრი თუ ცოტა იარეს,
ბოლოს მიადგნენ არზრუმის ამირს.
მათ გოლიათურ აგებულებას
თვალყურს მიაპყრობს ამირი ბრძენი,
დაჰკითხა გვარი და ვინაობა,
უთხრეს: ჩვენა ვართ ხალიფის ძენი.
— ოი, მომშორდით! — შეხტა ამირი, —
ლამის ვიყარო თქვენზე ჟინია,
დასაბამიდან არაბთაგანის
ცოცხლის კი არა — მკვდრის მეშინია!..
წავიდნენ ფრიად დაღონებულნი,
გზაში ძმებს შორის შეიქმნა ბჭობა:
— ეჰ, ხედავ, ძმაო! — სთქვა
სანასარმა, —
არსად არ გადის ჩვენი ბიჭობა!
ხედავ? როგორც კი ვახსენებთ ხალიფს,
ყველა პირიქით იბრუნებს სახეს,
ყველგან ჭირივით სძულთ ის ოხერი,
დე, ნუ ვახსენებთ იმ ძაღლის სახელს!
და სთქვეს: არიან
თითქოს ობლები,
არ ჰყავთ არავინ,
არ ჰყავთ მშობლები.
ბოლოს მიადგნენ ციხე მინაქერდს,
სადაც ბრძანებდა თევდოროს მეფე,
მათ დახურული დახვდათ ჭიშკარი,
მეფის მსახურნი წინ შეეფეთენ.
უთხრეს: რა გინდათ, სადაური ხართ?
ვისთან მოსულხართ, ან რის
გულისთვის?
და უპასუხეს: გაგვიღეთ კარი,
მოვსულვართ მეფის სამსახურისთვის.
მეფეს აცნობეს, უკანასკნელმაც
მაშინვე თვისკენ იხმო ბიჭები,
შეჩერდნენ, მიწას შვიდჯერ ემთხვიეს,
და შემდეგ წარსდგეს წინ ნაბიჯები.
და მოეწონა მეფეს ორივე
ქერა თმიანი, ლამაზი, კოხტა,

უთხრა: შვილებო, რას ითხოვთ ჩემგან,
თქვენი აქ მოსვლა, სთქვით, როგორ
მოხდა?
მათ უპასუხეს: დიდო მეფეო,
ჩამოგვიყრია თქვენ წინ ყურები,
მაღლა ღმერთია, დაბლა თქვენა ხართ,
გვიპატრონე და გემსახურებით.
ჰკითხა: ვინ არის თქვენი მშობელი,
მოხელეა თუ მიწის მთესავი?
კვლავ უპასუხეს: ჩვენ ვართ ობლები,
არც მშობლები გვყავს, არც ნათესავი.
მეფემ მსახურებს უთხრა: ორივე
ეხლავ მიიღეთ, როგორც სტუმარი,
თან წაიყვანეთ, ასვით, აჭამეთ,
მიეცით ბინა და სასთუმალი!
მეფეს ისინი უყვარდა ძლიერ,
დაკაცდნენ, ძალა შემოიკრიბეს,
მან სანასარი მესუფრედ დასვა,
და ბაღდასარი კი მერიქიფედ.
ერთხელ მეფესთან
მიდის ვეზირი,
დარბაისლურად
საკითხს ეხება:
— ვცადოთ, ამ ბიჭებს ჰყოფნით თუ
არა
რაიმე ცოდნა ან მოხერხება?
მეფემ სთქვა: ასეთ ღონის ვაჟკაცებს
იქნებ გონიც აქვთ ღვთის მინიჭებით.
ვეზირის რჩევა
მოიწონა მან,
სამეფო ტახტთან
იხმო ბიჭები.
უთხრა: ხვალ ვიწყობთ საბრძოლო
თამაშს,
შევარცხვენთ, მტერს ვინც დაბვდება
ზანტად,
ეხლა კი წადით და მოისვენეთ,
ხვალ ალიონზე იყავით მზად.
ძმებმა დაასწრეს მზეს: გალვიძება,
ეჩქარებოდათ თითქოს ნადიმზე,
ადგნენ, ჩაიცვეს, ჩასხდნენ აბჯრებში
და გამოცხადდნენ ბრძოლის ადგილზე.
ბრძოლის წინ მეფემ უთხრა სანასარს:
— ჰა, ჩემი ჯარი შენსკენ დასძარი,
მე აქ დაგხვდები, ჩემთან იქნება
მხოლოდ ვეზირი და ბაღდასარი.
— არა, მეფეო! — სთქვა სანასარმა, —
თუ გსურთ ნამდვილი ბრძოლა
გავმართოთ,
შენ ჩემი ჯარი დაგრჩეს, ვეზირიც,
მე და ჩემი ძმა დაგხვდებით მარტო!
და გაიმართა ბრძოლა სასტიკი,
ასწილად ასკაცს ებრძოდა ორი,
მეფის ლაშქარი სულმთლად, სუყველა
დაეცა, დადგა ზღვა სისხლის ტბორი.
მეფე ვეზირთან
მივარდა ქშენით:
— ოი, დაიქცეს
სახლკარი შენი.
ხედავ, რა გვიქნეს,
რა სასწაული?
ამოგვილეწეს
ჯარიც, აბჯრებიც,
ისინი მართლაც დევგმირებია,
ჩვენ კი — ლაჩრები!

მთარგმნელი
ალიო მაშაშვილი

18/VI — 39 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით სასუნელი

დავითის გაგზავნა მისირს

თაყვანისცემით მოსაგონარო,
შენ, ორმოცნაწნავიანო.
თაყვანისცემით მოსაგონარო,
შენ, ქერო-თოროზ.
თაყვანისცემით მოსაგონარო,
შენ, ძენოვ-ოჰან.
თაყვანისცემით მოსაგონარო,
ბრძენო მოხუცო ქალო.
თაყვანისცემით არვინ გახსენებს,
ჩმიშკინ, სულთანის ცოლო.
თაყვანისცემით არვინ გახსენებს,
ღვარძლიანო მისრა მელიქ.
თაყვანისცემით მოსაგონარო,
შენ, მშვენიერო დავით.
თაყვანისცემით მოსაგონარო,
შენ, ხანუდ ხათუნ.

I

მოვიდნენ ბავშვთან ვერგო და ოჰან —
ბიძებმა ობოლს უწოდეს დავით.
შემდეგ გამართეს ბჭობა და ვერგოს
ოჰანმა უთხრა დახრილი თავით:
„შენ უპატრონებ, თუ მე ვიზრუნო,
რომ ობოლს ჰქონდეს მშვიდობის
რული?“
ძმას ცირან-ვერგომ ძმურად ურჩია:
„სჯობს შენ იშვილო, ხარ ძეს
ნატრული“.
ძენოვ-ოჰანმა მალე დავითი
შინ წაიყვანა — იშვილა ბიძამ.
თან მოიწვიეს მისი ბრძანებით
ქალაქ სასუნში ვინც იყო ძიძა.
მაგრამ ჩვილ დავითს არ მოეწონა
არცერთის ძუძუ და არც იერი.
მაშინ ოჰანმა შეჰკრიბა ხალხი
და თქვა: „მოკვდება ბავშვი მშიერი!
რა ვქნა, რა ვუყო, მითხარით რამე,
როგორ გავზარდო ბავშვი პატარა?“
ურჩიეს ოჰანს: „მისირში, მჰერმა
მრავალი წელი სად გაატარა,
ერთი ძიძაა, რომელსაც რძეში
აქვს მჰერის სისხლი, შესამკობარი.
წინათ მისირში სასუნელ გმირის
ის იყო ცოლი და მეგობარი.
ის გამოკვებავს თავის რძით დავითს,
მჰერის სახსოვრად გაუღებს კარებს.
გაგზავნე მისირს, თორემ ხომ ხედავ
არავის ძუძუს აქ არ იკარებს“.
ოჰანს ალმოხდა: „ვინ წაიყვანოს
შორეულ მისირს ბავშვი ალალი?“
ხალხმა კვლავ გულით ერთხმად ურჩია:
„ახსენი ვაყა, მჰერის ჯალალი,
მის ზურგზე ბავშვი დააკარ
ფრთხილად,
ნუ დააყოვნებ ხანსაც-კი მცირედს.
შემოჰკარ მაგრა ჯალალს მათრახი —
იგი მიიყვანს დავითს მისირეთს“.
ადგა ოჰან და მყისვე შეკაზმა
ცხენი ფიცხი და უმხურვალესი.
როს უნაგირზე დააკრეს ბავშვი,
ოჰანმა ჯალალს უთხრა ალერსით:
„გთხოვ, ჩემო ჯალალ, ეს ჩემი
პირმშო
წყალს არ მიმიცე მავალმა ქარათ.
არც კლდეს აჯახო. ასე უვნებლად
მისირის ხათუნს მიჰგვარე ჩქარა.
ჩემო ჯალალი, შენ განდობ მხოლოდ,
ვინაც სომხეთის ლამპარს ვადარეთ.
არ დასცე ქვებზე, ანდა ჯაგებზე,
არამედ ყველგან ფრთხილად ატარე“.
გაფრინდა ცხენი, გაქრა ღრუბლებში,
გადაუქროლა მთების დიდ წვეტებს...
უცებ სარკმლიდან მელიქის დედამ
შეხედა მტვერის ავარდნილ სვეტებს.
ხან ცას სწვდებოდა ცეცხლი მტვრის
ნაცვლად —

ეს იყო ცხენის ნალების ალი.
და სურდა ხათუნს, მელიქის დედას,
ენახა ჩქარა ცხენი ჯალალი.
ის მიუბრუნდა ჭარმაგ მეკარეს,
მისცა ბრძანება სწრაფი, ფიცხელი:
„ჰეი, მეკარევ! წადი, ხომ ხედავ,
უახლოვდება ჩვენს ჭიშკარს ცხენი“.
მეკარე დახვდა ჭიშკართან ჯალალს,
ეს მას ეგონა სიზმარი კრული...
ისლიმ-ხათუნი ამჩნევს სარკმლიდან
ჯალალს ზურგზე აქვს რაღაც
დაკრული.
ეძახის შვილს და თან ეუბნება:
„მჰერის ცხენია, მას უგავს სახე.
ადექი, წადი, შეიპყარ ცხენი
და უნაგირზე რა უძევს, ნახე!“
მივიდა ახლო მელიქი ცხენთან,
ცხენმა დახარა დაბლა ფაფარი.
ძირს ჩამოიღო მელიქმა ფუთა
და მიუტანა ხათუნს ნაფარი.
მან გახსნა ფუთა და რა იხილა?
შიგ, არტახებით ტან-დასერილი,
იწვა დავითი, მჰერის ჩვილი ყრმა,
რომელსაც გულზე ედვა წერილი.
ოჰანი წერდა: „ჩემო ნარძლევო,
აღარა არის მჰერი ამ სოფლად.
გარდაეცვალა მას მალე ცოლიც
და დარჩა ბავშვი უდედოდ, ობლად.
აჭამე ძუძუ მჰერის სახსოვრად,
ნუგეშად ეგ-ღა გვყავს ჩვენს მოდგმაში.
რომ მოიზრდება, მოიცავს ღონეს,
მე მას წავიყვან უკანვე მაშინ.“
მელიქის დედამ იფიქრა: „ჩემთვის
მჰერს მუდამ ჰქონდა გული კეთილი.
მის მოსაგონრად ბავშვს გავზრდი ისე,
რომ მამა იყოს გამოკვეთილი.
ვაწოვებ ძუძუს... დავაჟკაცდება
და მელიქს ძმობას გაუწევს, ვიცი.
დე მასთან ერთად გახდეს მფლობელი
მთელი მისირის და მთელი მიწის.
მაგრამ, ვაი თუ, როს კაცად იქცეს,
თვის სამშობლოში — სასუნს —
გაიქცეს!“

მისირის მელიქს სიხარბემ ასლია:
ბრძანა: „დაკეტეთ მალე ჭიშკარი,
დააბით კარგად ჯალალი, ოთხივ
გაგვიფრინდება იგი, ვით ქარი“.
მყისვე მელიქის კარისკაცებმა
ჭიშკარს გაუდვეს რკინა ურდულად.
მერე დაეწყვნენ მალვით ყოველმხრივ,
სურდათ შეეპყროთ ცხენი ქურდულად.
ღმერთო, მამცნე, თავს როგორ
ვუშველო, —
ფიქრობდა ვაყა, მჰერის ჯალალი.
გახედა კედელს, აღმართულს ირგვლივ,
შედგა ტორებზე, სწრაფად ნალალი.
როს მოიკრიბა მთელი ძალღონე,
უცებ გაექცა მრავალ ფალავანს
და, მათი წრიდან თავდაღწეულმა,
გადაუქროლა მაღალ გალავანს.
მელიქმა შექმნა ჰმუნვა, ვალალი,
რადგან გაექცა ცხენი ჯალალი.
ჩქარობდა ცხენი სასუნში მისვლას,
ღლითა და ღამით ჰქროდა ფეხ-მალი.
ამ დროს-კი ოჰანს, დავითის ბიძას,
მუდამ გზისაკენ ეჭირა თვალი.
ერთხელ უეცრად დასავლის მხრიდან
ცა მტვერის ქულამ მოავარაყა.
ხედავს ოჰანი, შორ მისირიდან
უკან ორბივით მოფრინავს ვაყა.
ცხენს მიეგება წინდაწინ ოჰან,
„ჩემო ჯალალი, — ალერსით ეტყვის, —
რომელ მთაზე და რომელ ბუჩქებთან
დააგდე იგი ამარა სეტყვის?
რომელმა მგელმა, რომელმა მხეცმა
დაგლიჯა ჩემი დავითი ტკბილი?“
ცხენმა სთქვა: „მთაზე არ დამიგდია,
არც შეხებია მას მხეცის კბილი.
მე ის მივგვარე მელიქის დედას.
თვითონ შემემთხვა ხიფათი ურჩი:
მელიქს უნდოდა ჩემი შეპყრობა,
მაგრამ გავიქეც და გადავურჩი“.
ოჰანმა შუბლზე აკოცა ჯალალს,
სთქვა: „იყოს ყველა მისი მგმობელი,
რომელმაც ვინმეს უთხრას, ასწავლოს
ამ ცხენის ბინა და სამყოფელი“.
შემდეგ დაბა რაში თავლაში,

რომელსაც ჰქონდა საკეტი შვიდი.
წყალსა და საკვებს ჭერის ხვრელიდან
ცხენს თვით აწვდიდა ოჰანი მშვიდი.

II

დავითის ნახვით მელიქის დედას
გაუფართოვდა თვალთა ნაპირი.
მაგრამ რამდენჯერ მკერდზე მიიკრა,
ყოველთვის ძუძუს არიდა პირი.
ისლიმ-ხათუნი მისცემს ერთ ძუძუს,
მეორე მხარეს ბავშვს მიაქვს თავი.
ახლა მეორე ძუძუს შეაძლევს,
არც მას იკარებს ურჩი და ავი.
არ სურდა მისი ძუძუ ეწოვა,
სამი დღე-ღამე იყო მშიერი.
მისირის ხათუნს მწუხარებისგან
სულ შეეცვალა სახის იერი.
იხმო მელიქი და უთხრა წყნარად:
„გულში მე შიში ვეღარ დავმალე —
ეს ბავშვი არ ჭამს ჩემს ძუძუს. ალბათ,
შიმშილისაგან მოკვდება მალე
და ჩვენ შევრცხვებით მის კეთილებთან.
რა ვუყოთ, რომ რძეს არ უშვებს
პირში“?

მელიქი ამბობს: „როცა იქნება,
მაგისი მოდგმა ჩაგვაგდებს ჭირში.
ეს სომეხია, ჩვენ-კი — არაბი,
ნუ მისცემ ძუძუს, გთხოვ, დამიჯერო“.
ხათუნმა უთხრა: „მე ვერ ავიტან,
დავითს შეეხოს სიკვდილის ჩერო“.
„მაშ რაღას ფიქრობ, — მელიქი
ეტყვის, —
სასუნში ჯოგი ჰყავთ მრავალგვარი.
იქ მოდის ბევრი ერბო და თაფლიც,
საჭმელი ტკბილი და სანუკვარი.
ბათმანა ბუღა გაგზავნე სასუნს
და მოიტანოს ერბო და თაფლი.
აჭამე დავითს... თუმც ამისათვის
მალე გვიხილონ ჩვენ დანადაბლი“.
„რათ ამბობს ასე? ძმად გაგიხდება,
შენ იყავ მისი შემწე და ბოძი“.
მან სთქვა: „თუ რამე ცუდი შემემთხვა,
იქნება მხოლოდ მაგის ნაბოძი“.
ხათუნის სიტყვით, ბათმანა ბუღა
წავიდა სასუნს, ხარკის მთხოველი.
რაც შეიძლება ჭამოს-კი ბავშვმა,
ოჰანმა ბუღას მისცა ყოველი.
ბუღამ გუდებით ხათუნს მოართვა
ერბო და თაფლი, ოქროს სადარი.
მათი დამნახი მელიქი ფიქრობს:
აი დოვლათი კიდევ სად არი.
მელიქის დედამ ამ ერბო-თაფლით
ვეღარ მოუკლა მშიერ ბავშვს მადა.
სხვა ბავშვნი წლობით რომ იზრდებიან,
იმდენი ერთ დღეს მან მოიმატა.
დავითის აკვანს ისლიმ-ხათუნი
თავს ევლებოდა, ვით სიო ყანას.
იმედი ჰქონდა — ის და მელიქი
რომ დაიპყრობდნენ ერთად ქვეყანას.
ვეღარ უძლებდა ბავშვს არტახები,
ტყავის თასმები მიაჩნდა არად.
მაშინ ხათუნმა ჯაჭვებით შეჰკრა,
მაგრამ ისინიც დასწყვიტა ჩქარა.
ბევრი ეცადა, ბოლოს ხათუნმა
რა ნახა, ბავშვი იყო ამტანი,
ხარის ძარღვთაგან თასმები დაწნა
და ამ თასმებით შეუკრა ტანი.
ასე შებოჭილ პატარა დავითს
ვეღარ აჰქონდა აკვნიდან წელი.
მაგრამ თასმები არ ტკენდნენ სხეულს.
ამგვარად დაჰყო მან ორი წელი.

III

როს სცნო მელიქმა სიკვდილი მჰერის,
თვის სპასალარებს ბრძანება მისცა —
შეჰკრიბონ ჯარი... მისირის ბატონს
უნდა დაიპყროს სასუნთა მიწა.
წინათ სასუნი იყო მოხარკე,
მაგრამ მჰერის დროს გახდა აზატი.
მკაცრი მელიქი ჩქარობდა, ომით
ისევ მოესპო ხალხის ლაზათი.
ჯარს წინ გაუძღვა შიშველი ხმალით,
მთელი სასუნი მოსრა, არბია.
მიართვეს ხარკი, ძღვენი ორწილად,
მაგრამ მელიქის გული ხარბია:
წაასხა ფარა, რემა, ნახირი.
გაანადგურა ეზო და ყანა.
დაიმორჩილა ყველა მცხოვრები,
ოჰან და ვერგოც ტყვედ წაიყვანა.
გავიდა ხანი. ძენოვ-ოჰანმა

მიმართა მელიქს: „მოგვეც დასტური,
რომ შინ, სასუნში, დავბრუნდეთ
მალე“...
მელიქს დაეტყო ღიმი მაცდური.
აღუთქვა, მაგრამ ჯერ მახვილის ქვეშ
მან გაატარა ოჰან და ვერგო.
მელიქს სურს ხმალქვეშ დავითიც
დადგეს,
კრძალვა და შიში გულს ჩაუნერგოს.
მაგრამ ბავშვმა თქვა: „თუნდ ვნახო
ერთ დღეს
ყველა მელიქი თავებ-მოჭრილი,
მაინც მანდილით მიჯობს ვიარო,
ვიდრე მაგის ხმლის გავხდე მორჩილი.
რატომ მამცირებს, მე ვიცი, ვატყობ:
მას ეშინია და ფიქრობს მარტო,
რომ ხვალ, როდესაც დიდი ვიქნები,
მასზე მახვილი მე არ ავმართო.
არა, მის ხმალქვეშ მე არ გავივლი“.
ამ დროს ვერგო სწვდა, წვერით
ნაფარი.
მაგრამ დავითი იდგა უძრავად,
როგორც მიწაში ფეხებ-ნაფალი.
ვერგომ კვლავ სცადა დავითის მიგვრა,
მაგრამ გაუსხლტა უცებ, მღელვარე.
ამ დროს მან სალკლდეს მოარტყა ნეკი
და კლდემ გამოსცა შუქი ელვარე.
როცა ეს ნახა, მისირის მელიქს
შიშმა წაართვა ღონე და ძალი.
ბრძანა: ჯერ სამი წლისაა, მალე
არ ეყოლება ამ ქვეყნად ცალი.
ვით ტყვე ოთახში, იყოს ნიადაგ.
ჩვენ არ მოგველის მისგან კეთილი“.
როს გაიღვიძა დავითმა დილით,
დახვდა სადგომი კარ-დაკეტილი.
გაბრაზებული მივარდა კარებს,
ჩამოხსნა უცებ რკინის თითებით.
გავიდა გარეთ და ხედავს, ბაღში
დგანან ხეები დიდზე დიდები.
ბაღში ბავშვები რბიან ყიჟინით,
მაგრამ მათმა ხმამ ვერ გაახარა.
მოჰკიდა ხელი ერთ მაღალ ჩინარს,
მოღუნა, დაბლა წვერით დახარა
და უთხრა ბავშვებს: „მოდით, შეჯექით
ამ ხის ტოტებზე, როგორც მხედრები“.
ბავშვები მყისვე გამწკრივდნენ ხეზე,
თან უცქეროდნენ დავითს ვედრებით.
დავითს-კი დიდხანს ხე ეჭირა,
და როს ეტკინა ძლიერ ხელები,
„ჩამოდით მალე, მკლავი მეღლება“, —
შესძახა ბავშვებს მან გახელებით.
მაგრამ ბავშვებმა არ გაუგონეს,
არ მოერიდნენ ხიფათს უჩინარს.
მაშინ დავითმა, ძალ-დალეულმა,
უეცრად ხელი გაუშვა ჩინარს.
გასწორდა ხე და კვლავ აღიმართა
იქ, სადაც იყო ის ამოსული.
ბევრი დაშავდა, ხოლო ბევრს ხიდან
არ დაჰყოლია მიწაზე სული.
დიდგვაროვანმა მათმა მამებმა
მელიქის კარზე შექნეს თათბირი:
„მეფე ხარ, გვიხსენ იმ გიჟისაგან,
თორემ აღარ გვაქვს აქ დგომის პირი“.
დიდმა მელიქმა მრისხანედ ბრძანა,
ისეთ საკანში ის დაემწყვდიათ,
სადაც მზეს აწი ველარ იხილავს,
ვერც მოიშორებს თვალთაგან
წყვდიადს.
და მიუჩინა ბავშვს მამამძუძე, —
იქნება შიში გულს ჩაუნერგოს.
ხოლო ფარეშსა მელიქმა უთხრა:
„როდესაც დავითს ულუფა ერგოს,
ხორცი იქნება — არ გაჰყვეს ძვალი,
ხილი იქნება — არ გაჰყვეს კურკა“...
ერთხელ ფარეში გაანაწყენეს,
შური და მტრობა ჩაიცვა ქურქად.
და სთქვა: „მთელ მისირს ვანახვებ
სეირს —
დავითს მივუტან დღეს ძვლიან სადილს,
ჭამოს და მოკვდეს, ოლონდ-კი მალე
ავისრულებდე სურვილს და წადილს“.
წაუღო ინჯრა, მაგრამ დავითმა
ძვალს ვერაფერი დააკლო ძალით.
მაშინ გაჯავრდა და ალალ-ბედზე
დაგმანულ სარკმელს ესროლა ძვალი.
ძვლისგან გახვრეტილ ჭუჭრუტანიდან
მიწას დაეცა ნათელი ვარდად.
მან გაიფიქრა: ნეტავ რა არის? —
თან დასაჭერად მზის შუქს მივარდა.
დაემხო ძირს და ისევ წამოდგა,

ისევ დაემხო. შუქი დგას იქვე.
ამ დროს კარებში ჩნდება გამზრდელი
და ხედავს დავითს, დამხობილს პირქვე.
მან ჰკითხა: „დავით, რა დაგემართა,
მიწაზე გდიხარ, ასე ვით ევნე“.
დავითმა უთხრა: „ეს აქ მოვიდა
და აღარ მიდის, თუმც დიდხანს
ვდევნე“.
„დახუჭე თვალი“,—ურჩია მძუძემ.
მერმე, რომ მოსპოს შუქი დიადი,
მან ჭუჭრუტანა ჩვარით დაგმანა,
საკანში ისევ დადგა წყვდიადი.
დავითი ამბობს: „მის განსადევნად
რამდენს ვეცადე, რა არ ვიღონე.
შენ-კი ერთბაშად იგი დაგნებდა,
ჩანს, ჩემზე უფრო ხარ ძალის მქონე“.
გამზრდელი ეტყვის: „ჩემო ძვირფასო,
ის ხომ მზე იყო და არა კაცი“.
მან უპასუხა: „თუ მზეა ქვეყნად,
მე აქ რად მტანჯავს წყვდიადი
მკაცრი?“
„ჩემო ძვირფასო, — კვლავ ეტყვის
მძუძე, —
მზეც არი, ღამეც, შავად ბურვილი“.
„მაშ გამიყვანე მზის სინათლეზე“.
„ჯერ მეფეს ვამცნო შენი სურვილი“.
მძუძე ეახლა მეფეს და უთხრა:
„დავითი ითხოვს გასვლას ხაროდან“.
მეფემ სთქვა: „წადი, გამოიყვანე“.
თუმც გულში ეს მას არ უხაროდა.
გამოიყვანა დავითი მძუძემ,
ქალაქში ბავშვი იყო პირველად.
რასაც ნახავდა გზაზე, ხარს თუ ცხენს,
ეჩვენებოდა გასაკვირველად.
გასცილდნენ ქალაქს. უცებ ხედავენ
შეყრილა ხალხი მინდორს ჩქოლიანს.
დავითმა უთხრა მაშინვე გამზრდელს:
„მივიდეთ, ვნახოთ რა ჩოჩქოლია“.
მძუძე-კი ეტყვის: „იქ, ჩემო კარგო,
არაფერია, ვიაროთ სხვა მხრით“.
„გამიძეხ ჩქარა“, — შესძახა ბავშვმა.
„არ ძალმიძს“, — მძუძემ უთხრა
თავდახრით.
„უშენოდ წავალ“, — დაასკვნა ბავშვმა,
გადაუხვია გამზრდელმაც გზიდან.

დადგნენ ისინი მინდორის ბოლოს,
ამჩნევენ, რაღაც მოფრინავს ციდან.
თურმე იქ მყოფნი ისროდნენ გოგუთს,
როს ძირს დავარდა, ერგო გოგუთი
დავითმა ტყორცნა, ნატყორცნის ქარმა
მისირის მელიქს მოხადა ქუდი.
მეფემ სთქვა: „ჰეი, ჩემი გოგუთის
მიწაზე მოლი ვის მოუსრია?“
წავიდნენ, ნახეს, დაბრუნდნენ, უთხრეს:
„დიდო მეფეო, დავითს უსვრია“.
ბრძანა: „მომგვარეთ, თავი მოვკვეთო“.
აქ ვეზირებმა სთხოვეს მუდარით:
„გფარავდეს ღმერთი, ის ხომ ბავშვია,
ვით მტერი, რად გსურს, ნახო
სუდარით?“
თან ვეზირებმა ბავშვის მძუძესთან
გაგზავნეს კაცი და დააბარეს:
„მტკრად გექცეს სახლი, აქ რა
გინდოდა,
ახლავე ბავშვის კვალი დაფარე“.
მძუძემ სთქვა: „ნებით აქ წამოსვლაზე
არც-კი დამიძრავს სიტყვა ბაგედან,
თვით მაიძულა“... ეჯიბმა უთხრა:
„გირჩევ, წახვიდე მალე აქედან“.
მძუძემ დავითი შინ წაიყვანა,
და შეეჩვია ის ოთახს ქვიანს.
ბოლოს შეატყო, რომ ყოველ დილით
მელიქი მიდის, ბრუნდება გვიან.
და ჰკითხა ბავშვმა მისირის ხათუნს —
„დედი, მელიქი სად მივა დილით,
რომ საღამომდე არ ბრუნდება?“
მან ბავშვს მოსწმინდა შუბლი
მანდილით
და მერე უთხრა: „ჩემო პატარავ,
იგი გოგუთის ტყორცნით ხალხს
ართობს“.
„რატომ ნეტავი მეც არ წამიყვანს?
აქ სულ მარტო ვარ და გული
დარდობს.
მავედრე, აწი ნუღა დამტოვებს“.
ხათუნი ეტყვის: „შენ, ჩემო ბიჭო,
ვშიშობ გაგთქეროს ველზე ცხენებმა,
ნუ თუ ვარამი გსურს მომანიჭო?“
ატირდა ბავშვი და თან ლუღლუღებს:
„მხედართგან მე შორს მექნება გეზი“.

ამ დროს მელიქი მოვიდა, დედას
დავითის ცრემლის ჰკითხა მიზეზი.
დედა უცხადებს: „გთხოვ წაიყვანო,
მანაც ისწავლოს გოგუთის სროლა“.
„დავით, ბავშვი ხარ, — მიმართა
მეფემ, —
სად შეგიძლია შენ ჩვენთან სროლა!“
„მოვდივარ შენთან“, იყო პასუხი.
ხათუნმაც უთხრა: „მე მაგის მოთქმის
კვლავ მოსასმენად აღარ მაქვს ღონე“.
მეფემ სთქვა: „არის ჯიუტი მოდგმის,
შეგვამთხვევს ხიფათს“. დედა კვლავ
ეტყვის:
„შენი ორგული ვერ ნახავს ხეირს.
ნუ გეშინია, მახლობელ მთაზე
დასვი, იქიდან უყუროს სეირს.
უფრთხილდი, ქვევით არ ჩამოვიდეს,
თორემ დაღუპავს ცხენთა ხადილი“.
მისირის მეფემ აღუთქვა დედას,
რომ ბავშვს უთუოდ წაიყვანს დილით.
დილას მელიქმა პატარა დავითს
თავისი ხელით მიგვარა ცხენი.
შემდეგ ერთ მთაზე ორი მხლებელით
დასტოვა იგი მეტად ნაწყენი.
როცა მცველებმა შებოჭეს ბავშვი
და აქეთ-იქით დაუდგნენ ფარად,
დიდი მელიქი ჯარით, ამალით
და მამაცებით დაეშვა ბარად.
მალე მინდორზე იწყეს თამაში,
ბავშვი-კი თითქმის ვერაფერს ხედავს.
ხან ოდნავ ესმის საკრავთა ხმები,
ხან თვალს ძლივს მოჰკრავს მარბენალ
მხედარს.
აღარ დაუდგა გული ბუდეში,
თავაზიანად მიმართა მცველებს:
„მოდით, ხელები კვლავ გამიხსენით“.
მცველებმა ნელა გახედეს ველებს
და სთქვეს: „მეფისგან არ გვაქვს
უფლება,
სულ შენზე უნდა გვეჭიროს თვალი,
რომ არ გაგთელონ ფიცხმა ცხენებმა“.
დავითს ერთბაშად მოედვა ალი —
გაჭკრა, ბაწარი დაგლიჯა, მცველებს
უნდათ გაუკრან ისევ მკლავები,
მაგრამ ორივე, ჭიდილის შემდეგ,
შინ წაიყვანა, როგორც კოვები.
მისვლისთანავე მიწაზე დაწვა,
ბორგავდა, როგორც ნაბიჯ ... ბარე.
შეშინებულმა ხათუნმა ჰკითხა:
„რა მოგივიდა, ან რად მძვინვარებ?“
მან სთქვა: „მელიქმა დამტოვა მთაზე,
ეს ორი კაცი თან მომცა მცველად.
მე ვერაფერი ვნახე, დავბრუნდი,
თვითონ-კი ახლაც ნავარდობს ველად“.

IV

შებინდებისას მეფემ თამაში
უცებ შეკვეცა და შეამოკლა.
სთქვა: „სტყორცნეთ მხოლოდ გოგუთი
მთისკენ,
იქნებ იქ დავითს მოხვდეს და მოკლას“.
სტყორცნეს გოგუთი ზედიზედ. ჩქარა
მეფემაც სტყორცნა გოგუთი მძიმე.
შემდეგ ავიდნენ მთაზე, მაგრამ იქ
ვერ ნახეს ბავშვი თვალ-მოციმციმე.
მოდის ამალით მეფე და ფიქრობს —
მცველებმა ბავშვი მოკლეს ეგება...
მელიქის დედა არც ადგა ფეხზე,
შვილს ჩვეულებრივ არ მიეგება.
მეფემ შესძახა: „რა ამბავია,
შორს ისმის შენი გულმკერდის ძგერა!“
დედამ სთქვა: „რატომ იქ დასვი ბავშვი,
არ შესძლებოდა მას თქვენი ცქერა?“
მელიქმა უთხრა: „მოსდგამს სიავე,
არ ესმის სიტყვა და უყვარს კვეხნაც.
უცებ მოარტყან გოგუთი, მოკლან,
მაშინ რაღა ვქნა, ხომ შევრცხვი
ქვეყნად.
იტყვიან, თითქოს მოვკალი ძალით,
თორემ მე სხვაზე არ ვწუხვარ სულაც.
ამიტომ ველთან ახლო გორაზე
დავტოვე, მაგრამ შინ წამოსულა“.
ბავშვს მოუტანეს ვახშამი, მაგრამ
ხელი არ ახლო, იჯდა უძრავად.
დედა აქეზებს: „შეჭამე რამე“,
მან უთხრა: „შენთან ვარ უკაცრავად.
მაგრამ მაცნობე: რად მტოვებს მეფე,
რომ თან ვეახლო, ნუ თუ მას ავნებს?“
დედა სთხოვს მელიქს: „ამყოფე შენთან,

უცქიროს ბავშვმა მამაც ფალავნებს".
„კარგი, გვერდიდან არ მოვიშორებ",
უთხრა მელიქმა დედას ხათრიანს.
და მეორე დღეს, როცა მხედრები
მოედვნენ ქუჩებს დილა-ადრიან,
მისირის მეფე შეჯდა მერანზე
და წასაყვანად დავითსაც უხმო.
წაუძღვა გმირებს, დიდ ბატონ-კაცებს,
და მოედანზე გავიდა უხმოდ.
ბოლოს დავითი მოედნის იქით
მისირის მეფემ დასვა და უთხრა:
„ხედავ ამ გოგუთს, საშიშარია,
ბევრ ვაჟკაცს მიწა მან გაუთხარა.
იდექი მხნედ და სიფრთხილე გქონდეს
აქეთან ნასროლ გოგუთის საფრად.
არც მამაცებში შენ გაერიო,
თორემ შეგიპყრობს სიკვდილის ზაფრა".
„კარგი, მეფეო, მჯერა მე შენი",
უთხრა დავითმა კეთილ იერით.
მამაცებმა-კი ვრცელ მოედანზე
იწყეს გოგუთთა ტყორცნა ძლიერი.
დავითი იჯდა მიწაზე ჩუმად
და თამაშობდა ფხვიერი თიხით.
ის ხან იყრიდა ფეხებზე მიწას,
ხან გახედავდა მოედანს რიხით.
ყველა მამაცი გოგუთის მტყორცნი
იყო ნაცადი და მონავარდე.
ისე ტყორცნიდნენ ველზე გოგუთებს,
თითქოს ერთმანეთს ესროდნენ ვარდებს.
ასე თამაში იყო შუადღემდე,
საოცარი და ძნელ დასაჯერი.
დავითი იჯდა იქვე, მანამდე,
ვიდრე მელიქის არ დადგა ჯერი.
როგორც მოვიდა მელიქის რიგი,
და შეჯდა მარდად მერანზე იგი,
ატყდა ჩოჩქოლი მაშინვე ჯარში —
მის საცქერელად მოკრბა ამალა.
ხელში ეჭირა მძიმე გოგუთი,
ხალხმა სიამე ველარ დამალა.
სროლილობს გოგუთს მარცხნივ და
მარჯვნივ,
ხან მაღლა სტყორცნის, კვლავ ხელით
იჭერს.
ხანაც აისვრის ისე ძლიერად,
რომ ნაპერწკლები ცვინდება ცის ჭერს.

და სთქვა დავითმა: „წავართმევ გოგუთს,
რაც უნდა მიყოს და დამდვას ბრალი"...
როს მეფე გოგუთს მიწას დასცემდა,
ჩნდებოდა უცებ დიდი ნაპრალი.
დავითი ჩადგა ერთ ამ ნაპრალში,
აავსო მიწით თავისი ზუჩი.
აავსებს — დაცლის, ყოველ დაცლისას
„ეს ერთი",—ამბობს მოკუმულ ტუჩით.
მან ჯერ არ იცის, რა არის „ორი",
არც სხვა რამე აქვს გამონაცადი.
მეფეს კიდევ სურს გოგუთის ტყორცნა,
აფრთხილებს: „დავით, მაქედან წადი!"
შესძახა სამჯერ. დავითს არც ესმის.
მაშინ იყვირა ხმითა მჭექარით:
„ჰეი, მამაცნო — კაკან და ასლან,
მიდით, დავითი მალე შეჰკარით!"
კაკან და ასლან ხუთი მამაცით
წავიდნენ, უნდათ შეიპყრან ურჩი.
მაგრამ ფეხიც-კი ვერ აცვლევინეს,
ის კვლავ ნაპრალში მიწას წყავს
ზუჩით.

გამოელიათ მამაცებს ღონე —
ძირფესვიანად ვინ მოთხრის მუხას?
გაოცდა ყველა — ჯარი და ხალხი,
ამ დროს მეხივით მეფემ იქუხა:
„ესროლეთ დავითს, მოკვდეს ახია!"
მასთან საომრად ამალა იძვრის.
ის-კი ცალხელით რომ იჭერს გოგუთს,
მეორე ხელით უკანვე ისვრის.
გაოცდა მეფეც. ამბობს: „მაცადეთ,
მე ვტყორცნი გოგუთს. მეტს ვერ
ავიტან.
ახლავე მოვკლავ მას ერთი დაკვრით
და მოვიშორებ ჯიუტს თავიდან".
ესმა ეს დავითს და შემოსძახა:
„მელიქ, მესროლე, ვარ შენთვის ურგი.
შენ ჩემი ხალხი არ გაგქცევია,
არც მე ვარ მხდალი—გაჩვენო ზურგი".
მაშინ უყვირა მეფემ ამალას:
„დადექით განზე, ის მინდა
მსხვერპლად".
სტყორცნა გოგუთი, თან დაატანა:
„ფერფლი იყავ და იქეცი ფერფლად".
დავითს ეგონა, თითქოს მის თავზე
ფრინავს დოლაბი განაცხელები.

კვლავ მოიკრიბა მთელი ძალლონე
და გოგუთს მყისვე სტაცა ხელები.
მერმე დავითმა მეფის გოგუთი
შეათამაშა, სთქვა: „მსუბუქია“.
დანაღვლიანდა მელიქი მეტად,
დღეს მისი მკლავი არვის უქია.
მელიქს ტოლებმა გაკილვით უთხრეს:
„მეფეო, ლონით იყავ ამაყი.
მაგრამ ხომ ნახე, ჯერ კიდევ ბავშვმა
ქარს გაატანა შენი ამაგი“.
მეფემ სთქვა: „ეჰე, ეს როგორ მოხდა,
ჩემი გოგუთი, ფოლადის ლახტი,
ვესროლე დავითს და ვერ მოვკალი.
იქნება აწი წამართვას ტახტიც“.
დავითმა კიდევ დახედა გოგუთს,
მერმე მუხლებ-ქვეშ იგი დამალა.
ამ დროს ცხენებით მოიჭრნენ მასთან
კაკან და ასლანი და სხვა ამალა.
ეძებდნენ გოგუთს, ბოლოს დავითმა
შორით ანახვა მათ დანაკარგი.
თან ატრიალებს ხელში და ამბობს:
„აი მელიქის გოგუთი კარგი“.
შემდეგ იმავე გოგუთით მოჰკლა
კაკან და ასლან, სხვა გმირიც ხუთი.
შეიქნა ჯარში ალიაქოთი,
და მამაცები სულშენახუთი
ეახლენ მეფეს და უთხრეს: „მელიქ,
ვიყავით ყველა გულებ-მზიანი.
მაგრამ შენმა ძმამ, გიჟმა დავითმა
ჩვენ მოგვაყენა დიდი ზიანი.
მოკლულნი როგორ წავიღოთ ქალაქს?
ვერც დავბრუნდებით უკან მარულით.
გვეტყვიან: „წადით თქვენ გასართობად,
თუ კაცთა ჟლეტა გსურდათ ფარული“.
მძვინვარე მეფემ იძრო მახვილი
დავითის თავის მყის მოსაკვეთლად.
ყვირის: „მსურს მოვკლა ის ძალლის
ლეკვი!“
მაგრამ წინ ხალხი დაუდგა კედლად.
უთხრეს: „აჰაი,, მართლა გსურს მოკლა?
—ცოდვაა. შური გულში ნუ გიდევს.
თავი ანებე.
ბავშვია. ჭკუა არა აქვს კიდევ.
მის ნაცვლად შენი გოგუთი იპყრო
თვით ანგელოზმა, ღვთის ძალის
მქონემ“...

ზოგმა იფიქრა — მამისგან მოსდევს,
უთუოდ მკლავში აქვს მჭერის ლონე.
ვერ შესძლო მეფემ დავითის მოკვლა,
დავითმა უმალ დატოვა ველი.
შინ მიირბინა. ხათუნი ეტყვის:
„ვინ მოგდევს, ხიფათს იქნება ელი“?
„მისირის ბატონს სურს ჩემი მოკვლა“,
სთქვა მან სიტყვები დაულამბავი.
შემდეგ მეფეზე გულნატკენ დედას
უამბო წვრილად მთელი ამბავი.
საღამოს მელიქს ხათუნმა ჰკითხა:
„რათა ხარ უბრად, მზერა ნაკაფი“?
„რა მაქვს სათქმელი! დღეს მე
დავითმა
ხალხის წინაშე დამასხა ლაფი:
როცა გავტყორცნე ჩემი გოგუთი,
იგი ცაშივე მან დაიჭირა“.
„მხოლოდ ეგ იყო? — კვირობს
ხათუნი, —
ეგ მიგაჩნია ძმისაგან ჭირად?“
მეფე აღანთო დედის სიტყვებმა,
მივარდა დავითს, როგორც მოახლეს,
და უთხრა მკვახედ: „ჩემს ნასროლ
გოგუთს
როგორ გაბედე და ხელი ახლე?“
„რატომ, მეფეო, — ჰკადრა დავითმა, —
არ მერჩის მკლავი შენზე ნაკლებად?“
ისევ შეიპყრო შურმა მელიქი,
აღმართა ხელი მის ასაკლებად:
„დედა, მე მინდა მოვკლა დავითი“.
მაგრამ ხათუნი ეცა კივილით:
„რას ჩადი, თითქმის ეგ ძმაა შენი,
არ ამატირო, შვილო, ტკივილით“.
მან უთხრა: „დედა, დღეს თუ დავითი
გოგუთში ველზე მე შემეცილა,
ხვალ ის წამართმევს მთელ
საცხოვრებელს
და დამარცხებას მარგუნებს წილად“.
„ჩემო ძვირფასო, — დაუტკბა დედა, —
დავითი შენი მახვილი არი.
ლხინში თუ ჭირში, ყოველთვის,
ყველგან
უნდა ერთმანეთს თქვენ მისცეთ მხარი.
დავითის მამა განთქმული იყო,
ვით ფალავანი და გმირთა-გმირი.

მაგიც მამაცი იქნება, ვიცი,
მახვილით მისებრ მტრების გამგმირი“.
მეფემ სთქვა: „დედა, ჩემი გოგუთი
სხვებს როცა ხვდება, იქვე ქრებიან.
დავითმა ისე იოლად ხპყრო,
ძალლონე არც-კი მოუკრებია.
თანაც ჩემგანვე ნატყორცნ გოგუთით
მომიკლა შვილი მამაცი გუნდად.
ო, არა, დედა, მეტს ვერ მოვითმენ,
მე მაგას თავი მოვკვეთო უნდა“.
მელიქმა იხმო იშხანთა კრება
და სთქვა: „იშხანნო, რას იტყვით, ნეტავ,
ეს ბავშვი უკვე ჩემს გოგუთს იჭერს
და გოგუთითვე ჩემს კაცებს კვნეტავს“.
იშხანთა შორის ერთმა კეთილმა
მიმართა მელიქს: „მისმინე, მეფევ,
ის ხომ ბავშვია, ჯერ უსუსური,
ჭკუითაც მცირე და მოიეფე“.
„არა, იშხანო,—უთხრა ხელმწიფემ,—
შენზე და ჩემზეც მეტი აქვს გონი“.
„მეფევ,—ჰკადრა მან,—სჯობს გამოვცადოთ,
არის თუ არა ის ჭკუის მქონი.
თუ არ აღმოჩნდეს კვლავ უგნურ ბავშვად,
მაშინ მეც მასთან მომკვეთეთ თავი“.
მელიქმა ჰკითხა: „რა გვარად, როგორ
გავიგოთ მისი განზრახვა ავი“?
მან მოახსენა: „სინი ოქროთი
დავდგათ ერთ მხარეს, ვერ მიწვდეს ჩერო.
მეორე მხარეს ლანგარი ცეცხლით,
ოქრო-ცეცხლ შორის ის გავაჩეროთ.
თუ ცეცხლს შეეხო, ის იმას ნიშნავს,
ბავშვი ყოფილა, გონებით მქისე,
ხოლო თუ ოქროს — ყრმა და ჭკვიანი,
და როგორც გსურდეთ, დასაჯეთ ისე“.
იხმეს დავითი, კარისკაცებმა
ერთ მხარეს ოქრო დაუდგეს ჯამით,
მეორე მხარეს — ცეცხლი, და უთხრეს:
„აიღე, დავით, გაძეხი ჭამით“.
დავითს სწადს ოქრო, მაგრამ განგებით
ცეცხლს სტაცა ხელი, მიეცა წყენას —
ალმოდებული თითები უცებ
ჩაიდვა პირში, დაიწვა ენაც.
იყვირა ცივად. მტირალი დავითი
მყის გამოუღეს პირიდან ალი.
ხათუნმა ბავშვი ჩაიკრა, მასაც
სდიოდა ცრემლი, ვით ვერცხლის წყალი.
ხათუნმა მელიქს უთხრა: „ხომ ნახე,
ბავშვი ბეცია, ვერაფერს იგებს.
ოქროს მაგივრად ცეცხლს ჰკიდა ხელი,
ხახა დამწვარი, ხმას ველარ იღებს“.
ახლა კეთილი იშხანი ეტყვის:
„მეფეო, ძუდამც გექნეს წყალობა.
დარწმუნდით, მგონი, დავითის გული
სუფთაა, როგორც ჩიტის გალობა“.
მან უპასუხა: „მჯერა, დავითი
მართლაც ყოფილა კვლავ უმეცარი“.
სთქვა და მელიქი წავიდა, როგორც
ჩვენება უცხო და უეცარი.

* *

ხეტიალის დროს ერთხელ დავითმა
ჰპოვა სარდაფი, მარტოდ რჩენილი.
ხედავს კარებზე არ ადევს რაზა,
შიგვე კიბეა ზღურბლზე ბჯენილი.
ჩაყვა ამ კიბეს. საჯაბადროში
იდვა მელიქის გოგუთი დიდი.
დასტაცა ხელი. აიღო მჩატედ,
მისი სიმძიმის არა აქვს რიდი.
ბერმე მიწაზე დააგდო განგებ:
უცებ შეინძრა მთელი ქალაქი.
შეშინდა ყველა — დიდი, პატარა,
დასტოვეს თავის ბინა, ალაგი.
მელიქმა ბრძანა: „ჩემი გოგუთით
არი ქალაქში ეს ხმა, გუგუნი.
ნახეთ, რა მოხდა! ვის სურს მზის ნაცვლად
ჩემს სამეფოში იყოს უკუნი?“
ვეზირი მიხვდა, ვინც იქნებოდა,
ადგა, გაიქცა ქალაქის კიდეს,
როცა მივიდა სარდაფის კართან,
გუგუნი ერთხელ მოესმა კიდევ.
ჩასძახა: „დავით, წყეულიმც იყავ,
მაგ შენმა სულმა კვნესით იბოლოს!
ამოდი ზევით, თორემ მელიქი
მოვა და მყისვე მოგიღებს ბოლოს!“

გარეთ გამოსულს ვეზირმა უთხრა:
„დედასთან მალე გაფრინდი, დავით.
აქ თუ მოგისწრო მეფემ, იცოდე,
შინ ვეღარ მიხვალ ცოცხალი თავით“.
მართლაც მოვიდა მელიქი ჯიქურ,
ყვირის: „ვეზირო, ურჩი სად არი?“
„არ ვიცი,—ეტყვის ვეზირი მშვიდად,—
მე ღია დამხვდა სარდაფის კარი“.
მეფემ სთქვა: „ალბათ, დავითი იყო,
ჩემს გოგუთს მეტი ვერავინ ასწევს“.
გავიდა მძებრად ქალაქში, მაგრამ
დავითის კვალი არაფერს აძევს.
დაბრუნდა სახლში და ხედავს დავითს,
თავის ლოგინზე ძილში მცინარეს.
მელიქმა სწრაფად მშვილდს მოხსნა
ლარი,
სურს წაუჭიროს ყელზე, მძინარეს.
ამ დროს ხათუნი ეტყვის: „შეჩერდი,
დედის ღირსება რათ გსურს ამყარო“.
მელიქი ამბობს: „უნდა მოვაშთო,
ჩემი გოგუთით შესძრა სამყარო“.
მაშინ გულმკერდი მან გაიშიშვლა
და უთხრა მელიქს: „თუ ამბობ
მართალს,
ამ ძუძუებით მონაწოვი რძე
შეგერგოს შხამად მისირის სარდალს“.
მელიქი შედრკა: „დედა, ეგ ბავშვი
გველის მართვია, ავი და უნდო.
მაინც შემამთხვევს ხიფათს ოდესმე,
თუ გინდ ეს გული ლამპრად ავუნთო“.
დიდხანს იდავეს. ბოლოს ვეზირი
მოვიდა, ხათუნს მიმართა ნელა:
„ო, დედოფალო, სასუნში დავითს
რათ არ აგზავნი? მისთვის აქ ბნელა.
ხვალ თუ ზეგ მეფე უთუოდ დასჯის.
დღესვე საგზალი მას განუწესე.
წავიდეს მალე თვის ქვეყანაში,
კმარა, რაც დაჰყო ამ ჩვენს ფუძეზე“.
ხათუნმა დავითს უთხრა: „თუ წახვალ
სადაც ცხოვრობენ შენი ბიძები?“
„თუ მყვანან, — სთქვა მან, — ბიძები
მართლა,
წავალ ახლავე, ღმერთს გეფიცები“.
„ჩემო ძვირფასო, — ხათუნი ეტყვის: —
შენს ბიძებს ბედად ხუნდები ერგოთ.
ცხოვრობენ უხმოთ ქალაქ სასუნში,
ერთს ჰქვია ოჰან, მეორეს — ვერგო“.
უთხრა მან: „ადრე რათ არ შეგეტყობ?
ახლა-კი, დედა, გთხოვ გაისარჯო:
წინდა, წულები მსურს ათი წყვილი,
თან მომიმზადე ათი დღის სარჩო“.
ისმილ-ხათუნმა გამოუტანა
ათ-ათი წყვილი წინდა, წულები,
ათი დღის სარჩო. და ეუბნება
გზაზე მდგარ დავითს შენაწუხები:
„წადი ბიძებთან, წა, სანატრელო,
და იყოს ღმერთი შენი მფარველი“...
მეფემ-კი იხმო ორი მამაცი,
ლახტით ორივე კლდეთა მბარველი.
ბათმანა ბუღა, ჩარბაგარ ქამი
როცა ეახლენ, მეფემ მათ უთხრა:
„წაჰყევით დავითს და შვიდ მთის იქით
ხიდთან სამარე მას გაუთხარეთ.
როდესაც მოკლათ, მე მისი კაბა
თან მომიტანეთ, სისხლში ნაღები.
მომართვით დოქით იმისი სისხლიც,
მსურს შევსვა, როგორც ღვინო ნაქები“.
დედა-კი ფიქრობს, — არ დააბრკოლოს
მისირის გზაზე რამე შემთხვევამ.
ემშვიდობება დავითი ხათუნს
და მოწიწებით ხელზე ემთხვევა.

* *

მისირში იყვნენ, სხვების ფარულად,
ქრისტეს მორწმუნე მხნე ფეიქრები.
საღამოობით ერთის ბინაზე
იკრიბებოდნენ წმინდა ფიქრებით.
ამ ფეიქრებმა გაიგეს სადღაც —
დავითის მოკვლა ჰსურთ მუხანათებს.
შეკრბენ სასწრაფოდ და ქერო-თოროზს
მისწერეს: „მზე ცას ვიდრე ანათებს,
მანდ გასაპნული თავი და სახე
აქ გაიპარსო — ისე იარე.
მოდი, ბავშვი თვით მიგვარე სასუნს,
ის უმკურნალებს ხალხის იარებს“.
და ფეიქრებმა წერილი იგი
მისცეს ერთ მამაც ჭაბუკს ვედრებით:
„წადი თოროზთან სასუნში ცხენით,
გვჯერა, სისწრაფით გრიგალს ედრები.
საღამოს მიხვალ — საღამოსავე
ის წამოვიდეს, ლტოლვა ემართოს.
დილას მიაღწევ — დილითვე აქეთ
დაუყოვნებლივ გამოემართოს“.
ჭაბუკი მყისვე გაქრა მოკლე გზით...
შევწყვიტოთ ახლა აქ ლაპარაკი.
მივმართოთ მარტო ჩვენ ქერო-თოროზს
და გავაგრძელოთ მასზე არაკი.

ორგმანი **რაუდენ გვეტაძის**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ. ჩხიკვაძე

ახალი ხმელეთი

რომანი[1]

თავი მეცხრე

იორდანემ აიყარა გული სამუშაოზე, ოჯახზე, ხვალინდელ დღეზე. დაღვრემილი ზის ჭვარტლიან ფაცხაში და დღე ისე გადის, ცოლშვილს ერთ სიტყვას არ ეტყვის. არც ჭამა-სმა ახსოვს, არც ძილი და მოსვენება. ხუთი დღეა, რაც ციხიდან გამოუშვეს, მაგრამ ჭაობისკენ ერთხელაც არ გაუხედავს, არც იქ ჩარჩენილი შეშა მოგონებია.

მარინეს ფეხმძიმობაში ფერხორცი მოუვიდა. სახსრები შეურგვალდა, ჩამორეცხილი მკერდი წამოებრუცა, მაგრამ ამ ერთი კვირის განმავლობაში ისევ ფარგასავით გახმა, მოტყდა და მოიბღუნძა. გოჩამ კრტიმლობას გაანება თავი, თითქო ისიც გრძნობს მამის თავმოჭრასა და კუთხემეზობლობაში შერცხვენასო. აკი, სკოლაში ვილაც ბიჭმა წამოსძახა კიდეც ქურდის შვილიო. გოჩამ ტირილით დააღამა.

იორდანემ—თითქო ასეთ წამოძახილს ელოდაო,—ოჯახი მიატოვა და სადღაც გადაიკარგა. თუ წინათ ჭალადიდის ჭაობში მიიჩქაროდა იორდანე, ახლა სოფლის საბჭოში მიიჩქარის, ხალხს ეტანება. ორი მოსაუბრე რომ სადმე ნახოს, მთელი დღე იქ დაალამებს, თვითონ არაფერს ამბობს, არც არაფერს იკითხავს ხოლმე, რაგინდ საინტერესო ამბავს მოჰკრას ყური. ზის შორიახლო და გულმოდგინედ უსმენს, რას ამბობენ, რაზე საუბრობენო.

იორდანე ხშირად ამჩნევს, რომ ზოგიერთი ნაცნობი ეჭვის თვალით უყურებს მას, ზოგჯერ დაუფარავი ზიზღითაც. ზოგი პირს არიდებს, სალამს არ აძლევს... თუ იორდანე მიესალმება, არ პასუხობს, თითქო სასაბს ეძებს ჩქარა გაშორდეს ქურდობაში ეჭვმიტანილ მეზობელს. მაშინ იორდანე თვალებამდე იბურავს თავს გახუნებული ჩაბალახით, თითქო შუბლზე დაღი ეკრას: ხარების ქურდიო.

მოახლოვდა კრეფა-ტეხა.

იორდანემ ორ-სამ დღეში მოათავა სთველი. მაქიმედ ქანთარიასგან ზამთრის საყოფი სიმინდი კალოზე იყიდა და ოდა-სახლისათვის შემონახულ დანაზოგს „თავი გაუფშვნა". ერთხელაც არ შეყოყმანებულა, მამასისხლად თავმოყრილი გროშები რომ ასე მოულოდნელად გაანიავა.

მოათავა თუ არა ოჯახური მისახედ-მოსახედი, ჭალადიდის ტყეს ჩამოუარა. უცნობი თუ ნაცნობი ადგილები მოითარეშა. კვალს ვერაფერს წააწყდა და ახლა ბაზრებს მიაშურა იორდანემ. მოიარა ხორგა, ქვალონი, ახალსენაკი,

---

[1] იხ. „მნათობი", № 4

ფოთში ორ-სამჯერ იმოგზაურა. (თხუთმეტი წელიწადია ფოთში მოგზაურობს იორდანე და პირველად ახლა ჩაჯდა მატარებელში. კარჭაპა და რიონის პირად დასაყადლებელი შეშა ალარ მოგონებია).

ბერულავაც სთველით იყო გართული. გაათავისუფლეს ციხიდან თუ არა, მეორე დღესვე გაუნაღდა „ბონდოს არტელს“ ხარების ღირებულება, ხელწერილზე ხელი მოაწერა: ვეცდები კვალი მოვძებნოო და დაშოშმინდა. მას შემდეგ არც საქონელი მოგონებია და არც დაკარგული ხარების ძებნით აუტკივებია თავი. მოსავალს ბარაქიანი პირი უჩნდა... უტუმ ნაადრევად მოჭკიდა ხელი კრეფა-ტეხას. ჭყინტი და ოდოში ხშირად ხვდებოდა ზღვასავით დამდგარ ყანებში, ჩალაც ჯერ კიდევ ფერუცვლელი იყო, მაგრამ უტუ ზარალს ალარ ანგარიშობდა. ჩქარობდა მოსთველებას, თითქოს ეშინოდა, „სხვებმა“ არ დამასწრონო!

ერთ დღეს ჯონდომ ამბავი მოუტანა: იორდანე რიონს გალმა ვნახე სახუნდარს, რაღაც საეჭვოდ უტრიალებდა გარშემოო.

— სახუნდარს უტრიალებდა? — გაიმეორა შეშფოთებულმა უტუმ და ჯონდოს ფიცხელი დავალება მისცა: უთვალთვალე, სხვებიც მიუჩინე... დაწვრილებით შეიტყვე: სად დადის, კვალის პოვნაზე რახ ამბობსო.

იმ დღიდან ბუხუტია-„შვილობილი“ სანაოზე დაინიშნა მეთვალყურედ. ჯონდომ რკინისგზის სადგურისა და გზატკეცილის მეთვალყურეობა იკისრა. ჩაჩუტებიც გაიჩინა, ზოგი უანგაროდ, ზოგი ამათუიმ შეპირებებით.

საგანგებო ღონისძიებებმა გასჭრა.

გადადგამს სადმე ფეხს იორდანე თუ არა, უტუ აჩრდილივით აედევნება უკან. თუ პირველ მატარებელს იორდანე გაჰყვა, — მეორეთი უტუ ზიიჩქარის იმავე მიმართულებით.... ბაზრებზე ხვდებიან ერთმანეთს.

უკანასკნელად ფოთის ბაზარზე შეხვდა უტუ იორდანე ღვამიჩავას. იორდანე მეტყავეთა ჩიხში შესულიყო და საქალამნეებს სინჯავდა. უეცრად უტუ შეეფეთა. უტუ გულგრილად მიესალმა და თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა: მეველეს საქალამნე შევპირდი და ხეირიანი ტყავი ვერსად ვერ მივაკვლიეო.

იორდანეს ცალყბად ჩაეცინა. უტუ მოაბრუნა და ტყავების ვებერთელა საწყობში შეიყვანა. ნოქარს თითი დაუქნია და რგოლებად დახვეულ ტყავებზე ანიშნა: გახსენი და გვიჩვენეო.

გადმოაქოთეს მთელი საწყობი. ორმოცამდე ტყავი გაშალეს და გულმოდგინედ გასინჯეს. მერე შოლტებად დაჭრილებს მიადგნენ და სათითაოდ გამოივლეს ხელში. იორდანე ფერდის ჩამონაჭერებსაც ისეთივე გულმოდგინებით სინჯავს, როგორც ზურგიელისას. ნოქარს გაუკვირდა: ნუთუ გლეხკაცმა ის არ იცის, რომ ფერდის ჩამონაჭერი საქალამნედ არ გამოდგებაო. შორი-ახლო ჰკითხა: რანაირ საქალამნეს ინებებთო. იორდანემ ქარვასავით გამჭვირვალე ზურგიელი გამოაძრო ასხმულიდან და უტუს ჩაულაპარაკა: თუ მართლა გინდა ყიდვა — საუკეთესო ნაჭერიაო.

უტუმ გასინჯა, წალმა-უკულმა ატრიალა, სადღაც ნაბუზარი უპოვა და დაიწუნა. ნოქარმა მეორე შესთავაზა, მაგრამ უტუმ თავი ააღირა და ბოდიშიც არ მოუხდია, ისე გამოვიდა საწყობიდან.

ახლა მეზობელ საწყობში შევიდნენ — იქაც დახვეულ ტყავებიდან დაიწყეს. ოცამდე ხვეულა რომ გახსნეს, ნოქარმა რაღაც იაზრა და მოურიდებლად ჰკითხა უცნაურ მუშტრებს: რამდენი საქალამნე გნებავთო? იორდანე არ დაიბნა.

— კოლექტივის დავალება მაქვს — სამი-ოთხი ტყავი უნდა ვიყიდოთო. მოდგნენ და აქაც სათითაოდ გაახსნევინეს ნოქარს წვითა და დაგვით დახვეული ტყავები.

ბოლოს ნოქარმა დახლ ქვეშ შეიხედა. წყვილი ხარის ტყავი გამოიტანა და სინათლეზე გაშალა.

იორდანემ დახედა თუ არა ტყავს, კინაღამ იკივლა: ეს არისო. უტუ გულმოდგინედ ჩაცუცქდა და ახლად წამხმარი ტყავი კიდით-კიდემდე მოაფათურა. დაღი რომ გასინჯა — თავი გააქნია. ლომა და ნიკორა ორლურსმნიანი ცხენის ნალით იყო დადაღული. ეს დაღი ოთხლურსმნიანი აღმოჩნდა.

— ფერიც ძალიან გავს, უტუ-პატენი! — უნებლიედ გაამჟღავნა ხვაშიადი იორდანე ღვამიჩავამ და უტუს ეშმაკურად შეხედა. უტუმაც მზაკვრული ღიმილით უპასუხა, თითქო ერთმანეთს დასცინეს, რომ შეხვედრისთანავე არ გაამჟღავნეს მეტყავეთა ჩიხში მოსვლის ნამდვილი მიზეზი. უტუმ ერთხელ კიდევ გადახედა ჭილობივით გაფენილ ტყავებს. ერთ მათგანს მარცხენა ლაჯის ქვეშ თეთრი ნიშანი უპოვნა და იორდანემაც გადაჭრით სთქვა ეს არ არისო.

— უკეთეს ტყავს ვერ იშოვით, — შენიშნა ნოქარმა.

უტუმ წყვილი საქალამნე აარჩია მეველესათვის, გაახვია და უხმოდ გავიდა საწყობიდან.

კიდევ კარგა ხანს იტრიალეს მეტყავეთა ჩიხში. უტუ ნაცნობს შეეფეთა და შეჩერდა. იორდანემ აღარ დაუცადა. ქუჩას გაჰყვა და გვასალიას დუქანს მიადგა უეცრად. დაღლილ-დაქანცულმა შიმშილი იგრძნო სამიკიტნოს დანახვაზე და დუქანში შეუხვია. თან ისიც აინტერესებდა: რა ჰქნა გვასალიამ, მართლა ჩამოართვეს დუქანი, როგორც თვითონ შიშობდა გაზაფხულზე, თუ დღესაც ისევ ვაჭრობსო.

დახლში ვიღაც უცნობი იდგა, დაბალი, ჩუმპეგადმობრუნებული, ქვიჯასავით თავბოლოსწორი. გოჭისებრ წვრილსა და მღვრიე თვალებს ძლივს-ძლივობით აფახურებდა. მოპარსული თავი ისე ულაპლაპებდა, თითქო ცხვრის დუმით გაუპოხიათო. როცა დახლში იდგა, დარბაზიდან თავი-ღა მოსჩანდა.

იორდანე კუთხეში მოკალათდა. წიწაკიანი ხარჩო და ერთი ბოთლი იზაბელა დაუკვეთა. ცალი თვალი სამზარეულოსკენ ეჭირა, — გვასალია თუ გამოჩნდებაო.

სანამ იორდანეს კერძს მოუტანდნენ, უტუც შემოიბიჯგა დუქანში. დახლიდარს აგდებულად მიესალმა. მაკარ სად არისო. ჰკითხა.

ჩქარა გიახლებათო, უპასუხა დახლიდარმა. ბებერ ლომივით აღაშკმო პირი და ისე მაგრად დაამთქნარა — კინაღამ ღრანჭი ამოუვარდა.

უტუმ ზიზღით შეხედა დახლიდარს, შებრუნდა და ცარიელ მაგიდებს დაუწყო თვალიერება. იორდანეს ორ-სამჯერ აუარ-ჩაუარა — იქნება შემიპატიჟოსო. (ძალიან უნდოდა მასთან ერთად დამჯდარიყო).

იორდანემ თავი ჩალუნა და კატასავით გაილურსა. გულში ასე გაიფიქრა: ამას რას გადავეკიდე — როგორ ლანდივით დამდევსო.

რაკი იორდანემ არ მიიპატიჟა, უტუმ მოშორებით აირჩია მაგიდა. სადილი შეუკვეთა. ღვინო ზემოური მომიტანეო, — ხმამაღლა გააყოლა მიმავალ მსახურს... ქუდი მოიხადა და ბუზებისაგან მოთხვრილ კაჩხას ჩამოაცხეტა.

იორდანეს კერძი მოუტანეს.

ბიბლიოთეკა

სანამ კერძს ხელს დაყოფდა, ერთი ჭიქა ღვინო დალია იორდანემ. თავი რომ ასწია, უტუს მოხეტიალე თვალებს შეეფეთა და დაუცლელი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

ნეტა რას მათვალიერებსო, — გაუელვა ბრაზისაგან და იმდენი ეცადა, რომ ბერულავას ზურგი შეაქცია.

დუქანში შეზარხოშებული დარდიმანდები შემოვიდნენ. ერთი მათგანი, ფაფახიანი ბრგვე ვაჟკაცი დახლს მიადგა. დახლიდარს საყელოში წვდა და გადმოათრია.

— გავაპრტყელო? — ჰკითხა თავისიანებს და დახლიდარს მუშტი დააზმანა თავზე.

— რაღა გაპრტყელება უნდა, თამაზ ბატონო, ისედაც ჩამურს წააგავს. — ჩაურთო უტუმ და შეზარხოშებულ დარდიმანდებს მოწიწებით მიესალმა.

თამაზმა ხელი ჩამოართვა უტუს. შებრუნდა და დახლიდარს შეჰკივლა: გადამირჩი, ვეფხო, გეფიცები ფაქიზოსო. დარბაზს თვალი მოავლო და ამფსონებთან ერთად განიერ მაგიდას მიუჯდა.

— რას გვაჭმევ, ვეფხო? — იკითხა თამაზმა მოგვიანებით.

— რაც გნებავთ, ბატონო!

— რაც გნებავს რომელია? სუკის წვადებს გვაჭმევ, მცვრიანს, ავთანდილისებურს? ჯერ ისა სთქვი: შენ იცი ვინ არის ავთანდილი?

— ვიცი, ბატონო!

— მეტი რა გითხრა... მართლა იცნობ ავთანდილს?

— ცნობით ვერა, ბატონო! თამარისდროინდელ კაცს კი არა, გუშინდელ ღლაპებს ველარა ვცნობ... — შეიფერა დახლიდარმა მწიგნობრული საუბარი და ყურებამდე გაიღიმა.

— ყოჩაღ, ვეფხო! გცოდნია ავთანდილი... მაშ მცვრიან მწვადებს შეგვიწვავ?

„ნახტომსა შველსა ფერდსა ჰკრა ისარი ორბის ფრთიანი...
დაჯდა და ცეცხლი დაანთო, მწვადი ააგო მცვრიანი“...

ხომ აგრეა, ვეფხო?

— აგრე გახლავთ, ბატონო!

— ვეფხო!

— ბატონო!

— ხომ „იქაური“ სუკებია, ცოლშვილს გაფიცებ! — თითით ანიშნა თამაზმა რომელიღაც ადგილზე და თვალებში შეატყდა, არ ითალლითოსო.

— იქაურია, ბატონო. ოცი ნიმუტი არც კი იქნება, რაც ჩამოიტანეს სახუნდარიდან.

უტუ შეიჭმუხნა.

იორდანემაც ყური სცქვიტა. „იქაური“, „სახუნდარიდან“ — გაუჯდა ტვინში და ველარ მოისვენა. სახუნდარზე რაღაც ხმები დადის ეს ერთი ხანია. სა-

ლაყანიას ქვრივს რომ უშობელი დაეკარგა, პირველად მაშინ ახსენეს სახუნ-
დარი. საჩოჩიოში რომ ხარები მოიპარეს არტელიდან, მაშინ მეფეული
ალაპარაკდა: სახუნდარში აუწონავი ხორცის საყასბო გაუხსნიათ ეჭ-
რაგებსო.

— შეგვიწვი. — წაიღო დაკვეთა ვეფხო დახლიდარმა.

იორდანე გველნაკბენივით წამოვარდა. ახალხელდაყოფილი კერძი და-
ტოვა და აფუსფუსებით გავიდა დუქნიდან. განუყრელი ყავარჯენიც იქ დარჩა.

უტუმ თვალი გააყოლა იორდანეს. ხელუხლებ სადილსა და სავსე ბოთლს
რომ შეხედა, თვალებში სისხლი ჩაუდგა. შეშფოთებული წამოდგა სუფრიდან.

ვეფხომ სწორედ ამ დროს გამოიტანა უტუს სადილი. მხრებაწყობილს
რომ შეხედა, ბოდიში მიაგება — დაგიგვიანეთო. ვეფხოს მოეჩვენა, ალბათ, სა-
დილის დაყოვნებამ გააბრაზა ბერულავა და წასვლას აპირებსო.

უტუ თვალებში შეატყდა ვეფხოს. ცალი ხელი წელზე შემოიდგა, ცა-
ლით ისე დააწვა სკამს, მანჭვლები აჭრიალდნენ.

— რა მოხდა, უტუ-პატენი! — ნაცემარ ძაღლივით მოიკუნტა ვეფხო და
ოშხივარავარდნილი კერძი ხელში ჩააცივდა.

— ენა მიგისწრებს თხასავით...

უტუმ სკამი მაგიდას მიუნარცხა, ქუდი დაიხურა და აჩქარებული გავი-
და დუქნიდან.

ვეფხომ ამოიხვნეშა, მაგრამ ახლა თვითონაც მიხვდა, რომ უკვე გვიან იყო.

* *

რკინიგზიდან შარაზე გადაუხვია იორდანემ. გზა გამოუგრძელდა. მანკი-
ანი ფეხიც ატკივდა. ბრეკს მიადგა და მარცხენა პაჭიჭის ლეკვერთხი შეის-
წორა. ასე მოეჩვენა — თითქო ლეკვერთხი უჭერდა ფეხზე, როცა გზა განაგრ-
ძო, მოყრუებული ტკივილი კვლავ გაუახლდა. იორდანემ მარჯვენა ხელი შე-
ათამაშა, გეგონებოდათ რაღაცას დაეძებსო, და უეცრად შენიშნა, რომ უჯო-
ხოდ იყო. ახლა მიხვდა იორდანე, თუ რატომ გამოუგრძელდა გზა, რატომ ას-
ტკივდა ფეხი და რატომ ეხამუშებოდა ყავარჯენზე დაჩვეული ხელის თავისუ-
ფალი მოძრაობა.

შარის მარცხენა კედრით გადაყელა და შეყვითლებულ ჩირგვებში ობო-
ლი ლუკუმხა მოსჭრა, საბიჯი ჯოხი რომ გამოეკოპიტებინა სახელდახელოდ.

ჩირგვებში ფოთიალმა აჩქარება გადაავიწყა იორდანეს. აღარც ის ახსოვ-
და, თუ სად მიიჩქაროდა ასე თავდავიწყებული. მწიფე ქორმაყვალი იხარბა და
ჯრეფას შეუდგა. დასისხლიანებულ კურკანტელს ხელი შეავლო — თითქო
წლის მოსავალს შეხარისო. ოქროსფრად ბრჭყვიალებდა სამოსელშეყვითლე-
ბული მინდორ-ველი. ზლაზვნით გამოვიდა შარაგზაზე და გულდაწყვეტით წა-
ილუღლუღა: ამ ფოთლების ცხოვრება რით განირჩევა ადამიანის ცხოვრებისა-
განო. თავი ჩაღუნა და ფიქრებს მიეცა.

ბილიკიდან უტუ გამოვიდა შარაზე. იორდანემ მხრებზე გადაიფურთხა:
ფუი, ეშმაკსო.

უტუს ახალოხის ღილკილოები გაეხსნა და შილიფად მოაბიჯებდა. იორდანეს რომ შემოხვდა, ნაბიჯს უკლო. ცხვირსახოცით ოფლი შეიწმენდა და, რა ძალიან დაცხაო, — შესჩივლა იორდანეს.

იორდანემ მოკლედ მოუჭრა: ჩვენში სანაქებო შემოდგომა იცისო.

უტუ მიხვდა: მასლაათის გუნებაზე არ არისო და აღარ დააძალა. ნაბიჯი შეუთანხმა და მხარდამხარ გაჰყვა იორდანეს.

დიდხანს იარეს მომდურავებივით. უტუ ამ ხნის განმავლობაში ერთ რამეს ფიქრობდა: გაასწრებ, ინანებ, ჩამორჩები, იმასაც ინანებო.

აგოლგოთებულ რიონის შხუილმა დაარღვია მყუდროება. „ხე და მიწა" **მოქონდა მთაში უეცრად მოდიდებულ მდინარეს.**

უტუმ ლუსკუმა ტალღებს შეხედა და მოულოდნელად ჰკითხა იორდანეს: **ცურვა კიდევ იცი?**

— ცურვა კი არა... — კუშტად მიუგო იორდანემ. — **ხანდახან** ისიც კი მავიწყდება, ყური სად მაბია. რაზე მკითხე?

— წყალს შევხედე და ჩვენი ბავშვობა მომაგონდა. გახსოვს, სანაძლეოს **რომ ვდებდით** — ვინ უფრო მარჯვედ გადავა მეორე ნაპირზეო. **შენ ხშირად** გვიგებდი სანაძლეოს.

— ეჰ... მის შემდეგ... — ჩაიქნია ხელი იორდანემ, — ოცდაათი წელიწადია წყალში ტანგახდილი არ ჩავსულვარ.

ბორანთან მივიდნენ.

იორდანემ შუბლი მოიჩრდილა და რიონზე გადაჭიმულ მავთულს გააყოლა თვალი: გალმა ბორანი თუ დგასო.

— წაუღია... — წყენით აღმოხდა იორდანეს. მავთულის დასამაგრებელ ბოძს მიეყრდნო და ნავები შეათვალთვალა — **რომელი** გამოდგებაო. **თანაც ყოყმანობდა** — ღირს თუ არა ნავით გადასვლაო.

— რას უყურებ? — გულუბრყვილოდ შეეკითხა უტუ.

— გადასვლა მინდოდა. ქანთარიადან სიმინდი ვიყიდე, გახმობამდე გამოტანას ვერ ვახერხებ და... ვფიქრობდი, სასიმინდეს მაინც გამოვხურავ-მეთქი.

— ო, ყველაფერი კაი მოგვაგონდა, — გამოაჭყიტა თვალები უტუმ, — **დღეს** რომ საქალამნე ვიყიდე, რაღა შინ ვათრიო, ბარემ ქე დავუტოვებდი მეველეს. — ჩოხა-ახალოხი შემოიკალთა და სწორედ იმ ნავს მიადგა, **რომელსაც** იორდანე ათვალიერებდა. ნიჩბები გასინჯა და ნავი წყალში შეაცურა.

— დაუჯექ ნიჩბებს, — ბრძანების კილოთი მიუბრუნდა იორდანეს, — ერთ **წამში** გადავალთ.

იორდანეს ფერი ეცვალა. უარის თქმა მაინც იუკადრისა და უყოყმანოდ **მოუჯდა ნიჩბებს.**

უტუმ შეხვეული საქალამნე ნავში ჩააგდო და უკანა ბაქანზე მომარაგდა. ნავი საქანელასავით აბორძიკდა. **უტუ** ისე თამამად იდგა მოქანავე ნავის ვიწრო ბაქანზე, თითქო მისთვის სულერთია, ნავი რომ გადაყირავდეს — მხარულით გადასჭრის **მდინარეს** და **უვნებლად** გადავაო. **უტუ საუკეთესო** მცურავად ითვლებოდა **საღვამიჩაოში.**

იორდანემ ოსტატურად **მოუსვა** ნიჩბები. ბორნის მავთული ქვემორე ჩამოიტოვა და მდორე ფონისაკენ აიღო გეზი. ნაპირს **რომ** გაცდნენ, **დაუტვირ-**

ბიბლიოთეკა

თავი ნავი ყავარივით აფარფატდა. ხან ყალხზე შედგა, ხან ცხვირით ნაკადულშვა აფურთუნებულ ზვირთებში.

უტუმ წონასწორობა დაჰკარგა. ორ-სამჯერ მოსწყდა ბაქანს და წაიფორხილა, მაგრამ ნავის კიდეზე ხელის ჩავლება მაინც ითაკილა. ფეხები გაჩაჩხა და ცალი მუხლი მიაბჯინა ნავის კედელს.

იორდანე გაღმა ნაპირს მიჩერებოდა. წერტილებად მოჩანდნენ ნაპირზე ზურგით გადმობრუნებული ნავები. მავთულის დასამაგრებელი ბოძები ლობის სარებს არ აღემატებოდნენ. მზემ საშინლად დააჭირა. დასცხა იორდანეს. უტუს ოფლი გადაასკდა. ჩოხა გაიხადა და ბაქანზე დაადგა.

ახლა ნავიც აღარ ქანაობდა წელანდებურად, არც ნიავი ქროდა და თაკარა მზე ულმობელად თუთქავდა მგზავრებს. იორდანე აინუნშიაც არ იგდებდა შემოდგომის უჩვეულო ხვატს, მის გამოცდილ მარჯვენს ლარივით სწორად მიყავდა ნავი ნაპირისაკენ. ასიოდე მეტრის მანძილზე რომ შესტოპეს, აბუყბუყებულ მორევში მოექცნენ. ნავი ციბრუტივით დატრიალდა. დაჰკარგა გეზი და განიერ წრეს ორ-სამჯერ შემოუარა. იორდანეს ბრაზი მოერია — როგორ მოვტყუვდიო... ცალი ნიჩაბი ხელიდან გაუშვა და ცალით წყლის მდინარებას გააყოლა ნავი. გაარღვია მოჯადოებული წრე, მოსხლტა და ჩანჩქერში გადაეშვა. იორდანემ თვალის დაფახურება ვერ მოასწრო, ბორნის მავთული უკან ჩამორჩა და ოციოდ ნაბიჯით დაბლა დაექანა.

შეკრთა იორდანე. გეზის დაკარგვა მკლავის სისუსტეს დააბრალა. ამიტომ ისე დაძაბულად მოუსვა ნიჩბები, კინაღამ კისრის ძარღვები დააწყდა.

ნავი ფონში გადაეშვა. იორდანემ კმაყოფილებით მოხედა გადალახულ სიძნელეს და გავლილსა და გასავლელ მანძილს შეავლო თვალი, შუაგზაზე თუ ვარო. გასაქლელი საგრძნობლად სჭარბობდა გადალახულ მანძილს და იორდანემ უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

უტუმ ახალოხის ღილკილოები ბოლომდე ჩაისხნა და ნავის საცობი მოაფათურა. ნავი რომ ხელმეორედ აყირავდა, უტუმ დრო იხელთა, საცობს მთელის ძალღონით მიაწვა, მოარყია და იორდანეს მშვიდად გასძახა: თუ დაიღალე, შეგეცვლებიო.

პასუხი ვერ მოასწრო იორდანემ, საცობმა იფეთქა და ხარისთვალისოდენა ხვრეტილიდან თქრიალით შემოიჭრა გაძრული ტალახი.

— ვიღუპებით... — იკივლა უტუმ და საცობის ხვრეტილს ხელის გული დააბჯინა. მეორეთი ჯამს მიწვდა შემოსული წყალის ამოსარწყავად. ფაციფუცში საცობი წყალს გააყოლა, მოწოლილი ნიაღვარი ხელისგულით ვერ შეამაგრა და ნავში გუბე გაჩნდა.

იორდანემ ხელი უშვა ნიჩბებს.

— მომეცალე! — უკივლა უტუს და საცობს ხელისცნობა დაუწყო ძებნა ნავის ფსკერზე. როცა ვერ იპოვა, ჩაბალახი მოიქიშტა, ხვრეტილს დააფარა და მხარბეჭით დააწვა გასამაგრებლად.

წყალი შედგა.

— ამორწყე და მიუჯექ ნიჩბებს! — უბრძანა იორდანემ ბერულავას და ჩამდგარ გუბეში ზუთხივით გაიშხვართა.

უტუ უსიტყვოდ დაემორჩილა. ჯერ წყალი ამორწყო, მერე ნიჩბებს მიაშურა, მაგრამ ახლა იორდანეს შეეცარა ხელი ხვრეტილზე და წყალი ისევ თქრიალით შემოიჭრა ნავში.

— გასწი, რაც ძალი და ღონე გაქვს! — უკივლა იორდანემ შეშფოთებულ უტუს და თვითონ ნავის ფსკერზე გაწვა მოწოლილი თქეშის შესაჩერებლად.

იორდანეს გაუძნელდა წყლის დამაგრება. რაც დრო გადის, ღონე აკლდება. კისრამდე წყალში ჩასველებულს ოფლი წურწურით ჩამოსდის პირისახეზე. გულს მაინც არ იტეხს. ღონეს იკრებს და დროჩართვით უტუს ამხნევებს: არ შეშინდეო.

უტუ თავგამოდებით უსვამს ნიჩბებს. იორდანე ფიქრობს — საცაა გავალთო და იმედმოცემული „ფრჩხილითა და კბილით" ებრძვის მოსალოდნელ უბედურებას.

უტუ უკან აღარ იხედება. ნავის ფსკერზე გართხმული იორდანე წამებს სთვლის, როდის გავინაპირებთო, მაგრამ ტალღების ტყლაშუნი ესმის და გული ეკუმშება.

— აღარ გავედით? — შეშფოთებულად იკითხა იორდანემ და ცალფერდად წამოიწია ნავიდან.

რეტი დაესხა იორდანეს. ჩამოქნილ სანთელს დაემსგავსა.

ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ ნაპირთან. მთავარი კი ის იყო, რომ უტუს ამ ხნის განმავლობაში წყლის მიმართულებით წაეყვანა ნავი, თავიდან აღებულ გეზს ორასამდე მეტრით ჩამოშორებოდა. აქ კი ფონი თავდებოდა, იწყებოდა უფსკრული და გადაულახავი ჩანჩქერი.

იორდანე გიჟივით წამოვარდა და ბარბაცით გაექანა ბერულავასაკენ.

უტუ შეკრთა გაფითრებული იორდანეს დანახვაზე. ნიჩბები მიუშვა და იორდანეს შემოეგება.

— ეს რა არის, უტუ? — ძლივს დაიბუხუნა იორდანემ.

— წაგვიღო... ჩემი რა ბრალია?

იორდანემ სული მოიბრუნა. მარცხნივ გადაიხარა, უტუს სწვდა პერანგის საყელოში...

— ამიტომ მკითხე, ცურვა თუ იცი? — დაიღმიჯა იორდანე, — დაღუპვას მიპირებდი?

კომშისოდენა მუშტი მოუქნია და ცხვირპირში ჩაახალა.

— იცურავე, თუ ვაჟკაცი ხარ! — დასტოვა იორდანემ უკანასკნელი სიტყვა და კალმახივით გადახტა წყალში.

მხარული მოუსვა იორდანემ... ნაპირზე რომ გავიდა, მუხლებსა და მკლავებში მოუსავდა. სულს ისე ითქვამდა, გეგონებოდათ საბერველი უბერავსო. მოლზე გავიდა და გულალმა გაიშხლართა.

სული რომ ჩაიხოხინა — წამოჯდა. გულმა არ მოუთმინა და ნავს შეხედა — რა დღეშიაო.

ბერულავა ჯერ კიდევ ნავზე იდგა. ნავი ბორძიკობდა. დაბლა-დაბლა იწევდა... უცებ ცხვირით გადაეშვა. გადაიხარა და ყირამალა წავიდა ფსკერზე. ბერულავამ გადახტომა ძლივს მოასწრო. ორ-სამჯერ გააფართხალა ხელი და მიშველეთო, დაიყვირა.

ილუპება! — გაუელვა იორდანეს და უაზროდ გადაეშვა წყალში საშველად.

უფსკრულის თავზე წამოეწია გრძნობადაკარგულ ბერულავას. თვალები გადაეშტერებია და უსასოდ მიყვებოდა აზვირთებულ ტალღებს. იორდანემ წინიდან წამოუარა. გასავათებულ ბერულავას ფეხში წაავლო ხელი და ნაპირისაკენ შებრუნდა, დიდის ვაგლახით გამოათრია ნაპირზე, შეანჯღრია და ჯირკივით დააგდო მოლზე.

— ახლაც ამედევნები? — ჩასძახა ზიზღით ლაშებჩალურჯებულ ბერულავას და თვითონ სახუნდარს მიაშურა.

ცოტა რომ განვლო, მაშინ ჩაფიქრდა, რატომ გადავარჩინე, ნეტა თუ ვინმე გვიყურებდაო. შედგა და რიონს ორივე კედრით მოავლო თვალი.

ძეხორციელი არვინ სჩანდა. მზე თოხისტარზე მიწურულიყო. იორდანემ ნაბიჯს მოუჩქარა.

მოგვიანებით უტუც შეირხა. მეწამულ ცას გაოცებით აჰხედა. ადგომა სცადა, მაგრამ დაბეგვილმა წამოჯდომა ძლივს მოახერხა. ჯერ წყალს შეხედა, მერე ნაპირს მოავლო შეშინებული თვალები... მიხვდა, რომ მისი მშველელი იორდანე იყო, მაგრამ სადღაა თვითონ იორდანე?

უტუმ სახუნდარისკენ გაიხედა. თოფმოსაწყერზე იორდანეს ლანდს მოჰკრა თვალი. ძლივსძლიობით მილახლახობდა.

უტუ აინთო. თვალებიდან ნაპერწკლები გადმოაფრქვია. გამოდევნების ჟინი ყელში მოაწვა, ძარღვები გაუთბა და გაყინული სისხლი აუშიშინდა, მაგრამ ადგილიდან დაძვრა ვერ შესძლო.

— მაჯობე, ზღმურტლიანო! — დაიბუხუნა ცხოველური სიბულვილით.

იორდანე თვალს მიეფარა. უკან ერთხელაც არ მოუხედნია — ისეთი დაჯერებული ნაბიჯით მიდიოდა, ალბათ ფიქრობდა, უტუ ხელს ველარ შემიშლისო.

ჭაობს მიადგა იორდანე. ლაქაშებში ღორივით გაძვრა და თხემლარში შევიდა.

აქ იყო სახუნდარი...

იორდანემ მიწას დახედა, ნაკვალები რამ თუ აჩნიაო. ჩქარა ახალი გათელილი ბილიკი იპოვნა და არ შეყოყმანებულა, პირდაპირ ბილიკს აედევნა.

ნორჩი თხემლარი ისე იყო გაბურდული, ხუთიოდ ნაბიჯზე აქლემს ვერ დაინახავდა კაცი. იორდანე კვერნასავით მიძვრებოდა ქორმაყვალითა და ეკალბარდით გაკრულ ტევრში. მიწას მეძებარივით ჩასცქეროდა — ნაკვალევი არ დავკარგოო.

ტყის სილრმეში წკნელის კარავი შენიშნა.

— ეს უნდა იყოს... — ჩურჩულით სთქვა იორდანემ. თხემლარი იფარა და კარავს უკანა მხარედან წამოუარა. კარავის კედელი გასახმობი ტყავებით იყო დაფარული.

იორდანე გაიტრუნა.

კარავიდან ვიღაც გამოვიდა. მზის გულზე მიფიცხებული ტყავი შეაბრუნა. ორჯერ დაუსტვინა და კარავში შებრუნდა. სტვენაზე სტვენით უპასუხა ვიღაცამ.

დაბინდებისას თავახვეული კაცი მოადგა კარავს.

— რა უყავი?

— მოვიყვანე, — უპასუხა თავახვეულმა.

იორდანე სიხარულით ცას გამოეკერა. ისე მოდიოდა, კოჭლობასაც ელარ შეწამებდა კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

მეორე დღეს დილით პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა, რამოდენიმე მილიციელის თანხლებით, სოფელში ჩამოატარა წუხელ სახუნდარში დაპატიმრებული ბოკუჩა ჯალაღანია, ლანჩხუთელი შლეგიშვილი და ერთი უცნობი. უცნობი — მაკარ გვასალია აღმოჩნდა.

სოფელში ჭორი გავარდა: სახუნდარისთვის ალყა რომ დაურტყამთ, ჯონდო ბერულავა კარავს გარეთ ყოფილა, სროლა აუტეხია და გაქცეულაო. შუადღისას უტუ ბერულავაც დააკავეს...

* *

ჯონდომ მოასწრო მიმალვა. ტყე-ტყე იარა რიონის მარცხენა კედრით. სოფელ ფოთს ქვემოთ ფონი მოსძებნა. გაიხადა ტანსაცმელი, თავზე შემოიკრა... მამის სახსოვარი მაუზერი და ვაზნები მარცხენა ხელში დაიჭირა და ფონი გადასცურა.

ნამგზავრსა და ოფლიან ჯონდოს წყალი ეცივა. ძაგძაგი აუვარდა. ჯიბე მოაფათურა, ასანთი იპოვა, მაგრამ ცეცხლის გაჩაღებაზე ხელი აიღო. დიდხანს იდგა გონებაშეკრული. შარაგზასთან ახლო იყო, მაგრამ ალარ იცოდა საით წასულიყო. სამშვიდობოს გასულს მამის დარდი არ აძლევდა მოსვენებას.

— წავიდე?.. — ხმამაღლა შეეკითხა თავისთავს ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ.

მაინც ვერ გადასწყვიტა. ხელები შეიორთქლა და ცას აჰხედა.

შევახშმებული მთვარე გადმოდგა აჭარის ქედზე.

ჯონდომ მიდამოებს მოავლო თვალი. ადგილმდებარეობა იცნო და შარაზე გამოვიდა.

სდუმდა ყველაფერი. სადღაც შორს რწმოდი კვნესოდა. გული შეეკუმშა ჯონდოს. სმენად გადაიქცა. მოგვიანებით თბომავალის გუგუნი შემოესმა. სიცივით გათოშილსა და ძარღვებმოშლილს ძაგძაგი დააწყებინა. ვერც ახლა გადასწყვიტა საით წასულიყო.

— ბოკუჩამ რო გაგვცეს?! — აღმოხდა ერთბაშად. საჩვენებელი თითი შუბლზე მიიდვა და უყოყმანოდ გაქანდა ჭალადიდისაკენ.

საღვამიჩაოს საზღვრად ხშირი თხემლარი იწყებოდა. ჯონდომ დიდხანს უტრიალა უსიერ ტყეს. შუაღამისას შარაგზის მოსახვევში მოხდენილი კონცხი აირჩია და ჩასაფრდა.

მაუზერი მოიმარჯვა ჯონდომ. არ გიღალატებს და ნურც შენ ულალატებო, — მოაგონდა უტუს სიტყვები. ცალი თვალი შარისაკენ ეჭირა.

* *

პატიმრები რაიონულ ცენტრში ჩაიყვანეს. აცნობეს პარტრაიკომს, რაიაღმასკომის თავმჯდომარესაც დაურეკეს. მოადგილემ უპასუხა: ხორავა რაიონშია წასული — ხვალამდე არ დაბრუნდებაო.

ამ დროს პაჭუ ხორავას ოჯახი უჩვეულო ფაციფუცში იყო. ქალები სამზადისში ფაცურობდნენ. გაგანია ცეცხლზე ოშხივარი ასდიოდა ,,ახდაბრალულ გოჭებსა და ინდაურებს. სარახე ქვაბში ბერწი უშობელის სათბილო იხარშებოდა. სასტუმრო დარბაზიდან ცისკრის საგალობელივით ისმოდა ძველისძველი „მრავალჟამიერ". ქალების უეცარი შეკივლება და თავაწყვეტილი სიცილ-ხარხარი არღვევდა მყუდროებას.

ქალაქგარეთ ცხოვრობდა პაჭუ ხორავა. მისი ეზო-მიდამო გურიელის სასახლეს გააწბილებდა. თვალს იტაცებდა ტროპიკულ ხეივნებში ჩაფლული უზარმაზარი ორსართულიანი ოდა, სამზადისი, საჯინიბო (ამჟამად გარაჟად გადაკეთებული), სასიმინდე და წვრილი ნადგამობა. ეზოში მორცხვად ილიმებოდნენ ნაირნაირი ყვავილები, ხავერდივით გლუვი და ჭისფერივით გულგახსნილი ვარდები, ნაზი, ცისფერი ჰორტენზიები. ეზოს მიღმა ოქროსფრად ჭახჭახებდნენ ციმციმა ვარსკვლავებივით შეხურხლული მამდარინები, ფორთოხალი და იაპონური ფეიხოია. ინდიხურმას ტოტები ასკდებოდა.

კაცი არ დაჭაჭანობდა თვალწარმტაც ეზოში. ბაღი და ხეხილნარი საამურ მყუდროებაში მისცემოდა წუთიერ განცხრომას.

ოდის პარმაღი არწივისებური მედიდურობით გადაჰყურებდა განსწავლული მებაღის ოსტატური ხელით ჩარაზმულ კვიპაროსებს, ტუიასა და ფინიკურ პალმებს. პარმაღის სვეტები ვაზს დაებურა. ქოლოში მტევნები გიშერივით იწვოდნენ ჩამავალი მზის ფერმკრთალ სხივებზე.

ქუჩაში სიწყნარე იყო. ხანდახან ხორავას ოდის კარი იღებოდა მოულოდნელად და თითქო ცამ დაიქუხაო, გახურებული ორკაპი კრიმანჭული გრგვინვასავით გადაუვლიდა ხოლმე საღამოს მყუდროებაში გარინდულ მიდამოებს.

ქუჩაში ეტლი გამოჩნდა.

— ჩვენი თავმჯდომარე ქეიფობს! — მიიბრუნა პირი მეეტლემ ვიღაც უცხო მგზავრისაკენ.

— ჩქარა გარეკე! — გაისმა ხმადაბალი პასუხი და დაოთხილი ცხენები მიწას გაეკრნენ.

დაბინდდა.

წკრიალა მოძახილი ჭერს ჩამონგრევას უქადის.

ოშხივარავარდნილ სათბილოს გრძელტარიანი ყამით სთლის ხიტი მალანია.

ხიტი თამადაც არის ხორავას ოჯახში.

შეზარხოშებული სტუმრები უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, როგორც სვანები. ქალებს ყურის ბიბილოები ანაკვერცხლებიათ.

„თამადაო, ჩანჩალაო", — წამოიწყო ერთმა და ხიტის ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

ხიტი გაწითლდა. მას გადაჭარბებულად მოეჩვენა რაიონულ საავადმყოფოს გამგის, ექიმ ბერგსონის ცოლის ასეთი თამამი ჟესტი. მაგრამ ექიმ ბერგსონის უდარდელმა საპასუხო სიცილმა, ხიტიც წაათამამა.

ყანწებიო! — დასჭყივლა და „ამ გახსენებაზე" ბერგსონების სადღეგრძელო დალია.

— ალავერდი მასპინძელთან ვარ! — არ დააყოვნა ხიტიმ და ცარიელი ყანწი ცერის ფრჩხილზე გადმოაპირქვავა. ასე მტერი დაგეცალოსო, — დასძინა და გადაულოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორავამ დარდიმანდულად ჩამოართვა ყანწი. ბერგსონებს მიუახლოვდა. სადღეგრძელო სთქვა და მადამ ბერგსონს ხელზე აკოცა.

ცარიელი ყანწი მერაბ მერაბიჩს გადააწოდა მასპინძელმა.

— სიამოვნებით ვსვამ, მეგობრებო, ქალბატონ ტერეზასა და იოგან ბერგსონების სადღეგრძელოს. ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ იოგან კარლოვიჩს. ვიცნობთ, როგორც საუკეთესო სპეციალისტს, შესანიშნავ ადამიანსა და იშვიათ მეგობარს. ჩვენ ვიცნობთ ტერეზა ფრიდრიხოვნას... უმშვენიერესსა და უნაზეს ადამიანს... ჰომიროსის თქმისა არ იყოს, ქალბატონი ტერეზა, ისე როგორც მშვენიერი ელენე, უთუოდ ღირსია ერთი ომის... და ამ ომში, ნებას მივცემდი ჩემს თავს, მეკისრა...

— მერაბ მერაბიჩ! — გაფრთხილების კილოთი შესძახა ხორავამ და ხანჯალზე გაიკრა ხელი ანაზდეულად (დღეს ჩერქეზულად ეცვა ჩვენს მასპინძელს).

— ბატონო ჩემო! — შეიფერა კახაბერმა მასპინძელის ხუმრობა და თითქო საბრძოლო გამოწვევას ესალმებაო, მოწინააღმდეგეს თვალში შეატყდა.

— პოეტების ხსენება არ იყოს, მერაბ მერაბიჩ! — კიდევ უფრო აუწია ხმას მასპინძელმა და კახაბერს მგლის თვალი უჩვენა.

— რა ვქნა, ბატონებო! თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, პოეზია ჩემი აღთქმის ქვეყანაა... პოეტური შედეგრები ჩემი ცხოვრების სახარება... ასე რომ მე უდიდესი კმაყოფილებით ვსვამ მშვენიერი ტერეზას სადღეგრძელოს და უდიდესი სიხარულით ავიღებ ხელთათმანს, თუ კი ვინმე საბრძოლველად გამომიწვევს...

საერთო ტაშითა და სიცილხარხარით აგვირგვინებენ მერაბ მერაბიჩის სადღეგრძელოს. იოგან ბერგსონი ცარიელი წისქვილივით რახრახებს თავშეუკავებელი ჰომერული სიცილისაგან.

სასტუმრო დარბაზის უკანა კარი გაიღო და ფერწასულმა დიასახლისმა პაჭუს თითი დაუქნია: აქით გამოდიო.

ხორავამ, თითქო რაღაც იაზრაო, წარბი შეხარა და უსწორმასწორო ნაბიჯით გაქანდა მოსაზღვრე ოთახისაკენ. სტუმრებმა თვალი გააყოლეს შეშფოთებულ მასპინძელს. გატყდა ლხინი. სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე ხანგრძლივი და მეტად უხერხული.

ხორავამ დარბაზის კარი გაიხურა და ფერწასულ დიასახლისთან ერთად კაბინეტში შევიდა.

— Странно! — წყენით აღმოხდა ტერეზა ფრიდრიხოვნას. მას მოეჩვენა, თითქო მერაბ მერაბიჩისა და პაჭუს ხუმრობა დაედო საფუძვლად დიასახლისის გულისწყრომას. სხვებიც დაეჭვდნენ დიასახლისის საქციელის გამო. იოგან ბერგსონს ხელში შერჩა გავსებული ყანწი. გამოცლის სურვილი აღარ ჰქონდა და ვერც დადგმას ახერხებდა ამ უცნაური სასმისისას.

კახაბერს კენტად გაეცინა. გადახედა დაღვრემილ თანამესუფრეთ და სახე წამოეფაკლა. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა. იოგან ბერგსონს ყანწი ჩამოართვა, ჭიქებში გადაასხა და ცარიელი სასმისი თამადას დაუბრუნა.

ხიტი კრიჭაშეკრული იჯდა. უხმოდ ჩამოართვა ყანწი კახაბერს, წყვილს შეუტოლა და ბუფეტის კარადაზე დააწყო.

მასპინძელმა დააგვიანა. კაბინეტში ჯონდო ბერულავა დაუხვდა პაპუს. გალენჩებული იდგა, სახეზე ბული ასდიოდა. გზაგამოვლილს ოფლი ჯერაც არ შეშრობოდა. დაინახა თუ არა პაპუ, შუბლი მოიწმინდა... ხელი ჩამოართვა, მაგრამ ხმის ამოღება ველარ მოახერხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ამბავია, პატენისკუა! — დაასწრო ხორავამ. ჯონდოს ხელი გამოსდო და ირანული ხალით დაფარულ ტახტზე დასვა. თვითონაც გვერდით მოუჯდა, ცოლს თვალით ანიშნა, დაგვტოვეო.

როცა დიასახლისი სასტუმრო დარბაზში დაბრუნდა, ჯონდომ სული მოიბრუნა და ჩურჩულით უამბო ხორავას თავისი განსაცდელი. ჯონდო ისე ღელავდა, მთელი სხეული უთახთახებდა საუბრის დროს. ცალი თვალი და ცალი ყური სასტუმრო დარბაზისაკენ ეჭირა, — არავინ გვითვალთვალებდესო. ამბავი დაასრულა და მძიმედ ამოიოხრა.

— მაშ უტუც დააპატიმრეს? — მოგვიანებით ამოიდგა ენა მასპინძელმა და პაპიროსის კოლოფს წაეპოტინა აღმოსავლურ ყაიდის, ფეხებდაბალ მაგიდაზე.

— დღეს შუადღისას... გადაგზავნეს კიდეც...

— М-да-а! — გამოაზოგა ხორავამ და ასანთს გაჰკრა, — მაშ, ბოკუჩა დაჭრილია, არა?

— სჩანს ხელი ამიკანკალდა... სკვინჩას არ ვაცდენ და... მიკვირს.

— იქნებ მოგეჩვენა... შეიძლება არც კი დაჭრილა, — ჩააცივდა ხორავა და თავდასხმის სცენა თავიდან გაამეორებინა ჯონდოს.

— ალბათ უძილობამაც იმოქმედა, — თავის გამართლების კილოთი უამბობდა ჯონდო, — მთელი ღამე ვუთვალთვალებდი. გათენებისას წამთვლიმა კიდეც. თვალი რომ გავახილე, მზე კარგა ხნის ამოსული იყო. ჩაცვარულ ბალახზე ხელი დავისველე და თვალები ამოვიწმინდე. გამოვცოცხლდი ერთბაშად. გზას გავხედე, მაგრამ ჭაჭანება არ ჩანდა. დაბალი სადილობისას ჩამოატარეს პატიმრები, ბოკუჩა შუაში მოემწყვდიათ. საფარისაკენ ლანჩხუთელი შლეგიშვილი იდგა, იქით კედრით მაკარ გვასალია. მცველები შორი-ახლო მიყვებოდნენ, ერთიც წინ უძღოდა იარაღმომარჯვებული. დავინახე თუ არა, გული ამიფართქალდა. ვესროლე და შლეგიშვილი წავაქციე. გვასალიამ მცველებს მიაშვირა. ბოკუჩა კენტად დარჩა. დავუმიზნე და... დავაცდინე, მეორეს მესამე მივაყოლე... წაიქცა, ცოცხალმკვდარი დააგდეს საკაცეზე. ამბობენ, რაიონულ საავადმყოფოში დააწვინესო.

— საავადმყოფოში? — გაიმეორა ხორავამ.

— დიახ, რაიონულ საავადმყოფოში.

ხორავა გამოცოცხლდა. უაზროდ წამოდგა და რამდენიმე წრე შემოხაზა განიერსა და ვრცელს კაბინეტში.

— კარგი. — შედგა ჯონდოს წინ მასპინძელი. — შენ კი... დროებით მაინც გაეცალე აქაურობას... ხომ გესმის?

— მამაჩემი?

— ვიღონებ რამეს... თუ გვასალია არ წახდა, ხომ კარგი... თუ არა და... ერთი სიტყვით, ვნახოთ!

ხორავამ ხელი გამოსდო ჯონდოს. პარმაღამდე მიაცილა და სასტუმრო დარბაზში შებრუნდა. სტუმრები ყურჩამოყრილნი ისხდნენ.

— რას მოგიწყენიათ, მეგობრებო! — გამოიცვალა იერი ხორავამ და ხიტის შესძახა, სასმისებიო.

ხიტიმ ველარ მოითმინა. მასპინძელთან მიირბინა და ყურში ჩასჩურჩულა: რა ამბავია ჩვენს თავზეო.

ხორავამ ხმამაღლა უპასუხა: არაფერი, ჩემო ხიტი. ქეიფი გრძელდებაო.

ხიტი ისევ გამხიარულდა. თამადის სკამს დაუბრუნდა და გატეხილი ლხინის გასამრთელებლად ყანწები მოითხოვა ხელმეორედ.

ქეიფი დილამდე გრძელდებოდა.

* *

მთელი რაიონი გააკვირვა პატიმრებზე თავდასხმამ. შლეგიშვილი მოუკლავთ. ჯალალანია სასიკვდილოდ დაუჭრიათ. მცველთათვის ხელი არავის უხლიაო, — უამბობდნენ ერთმანეთს შინა თუ გარეთ...

პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა რაღაც იაზრა. გაქცეულ ჯონდო ბერულავას საძებრად რაზმელები აფრინა და თვითონ კვლევა-ძიებას შეუდგა. ფიცხლად გამოიძახა მაკარ გვასალია. ბოკუჩა ჯალალანიასთან გამომძიებელი აფრინა საავადმყოფოში.

ბოკუჩა სასომიხდილი იწვა. ბოდავდა. ჩვენების ჩამორთმევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. დილით ოპერაცია გაუკეთეს და ერთბაშად მოსულიერდა. ახლა ხელმეორედ მოაკითხა გამომძიებელმა. მთავარ ექიმს ბერგსონს წინასწარ გააცნო ჩვენების ჩამორთმევის მიზანი, მაგრამ ბერგსონმა მოკრძალებითა და ზრდილობიანი უარით გაისტუმრა გამომძიებელი. ორ-სამ დღეში სიცხე დაუვარდება და სჯობს დაველოდოთო, — იმართლებდა თავს ექიმი ბერგსონი.

საღამოს თვითონ პოლიტსამმართველოს რწმუნებული ესტუმრა საავადმყოფოს. ინახულა დაჭრილი და თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ასეთ მდგომარეობაში მართლაც უნაყოფო იქნებოდა კვლევა-ძიების ჩატარება.

გამოთხოვებისას მთავარ ექიმს სთხოვა, ყოველ დილა-საღამოს ეცნობებია სამმართველოსთვის ავადმყოფის მდგომარეობა და წავიდა.

მეორე დღეს, მართლაც დაეტყო ავადმყოფს გაუმჯობესება. სიცხე დაუვარდა, ჭრილობას პირი წაუბიცდა, მოძრაობის უნარიც მოემატა.

ქირურგმა ორდინატორმა სიხარულით აცნობა ეს ამბავი საავადმყოფოს მთავარ ექიმს და მორცხვად დასძინა: მოხარული ვარ, რომ რთულმა ოპერაციამ სასურველი შედეგი გამოიღოო.

ბერგსონმა ხელი ჩამოართვა ორდინატორს. მოიბოდიშა. საქმეებში გართულს, სულ გადამავიწყდა აღმენიშნა თქვენი დამსახურება მეცნიერების წინაშე... კარგია, რომ თითონ მომაგონეთო. ადგა და ოფიციალური მადლობა გამოუცხადა ბრძანების წიგნში ჩაწერით. პოლიტსამმართველოს რწმუნებულს დაურეკა: ჯალალანია თავს უკეთ გრძნობს, ხვალ შეგიძლიათ ინახულოთ და ესაუბროთო.

იმ საღამოს კვლავ ინახულა ბერგსონმა ავადმყოფი, ჭრილობა გაუსინჯა და მოულოცა გადარჩენა. თან მზაკვრულად დაატანა: მე ვიცი თქვენი მდგომარეობა... ჩემი რჩევა იქნებოდა — ყველაფერში გამოტყდეთ და დანაშაულის აღიარებით მაინც შეიმსუბუქოთ მოსალონელი მკაცრი სასჯელიო.

ბოკუჩა გაწითლდა: შვილს არ დავზოგავ, თუ კი სიმართლეს დამიჯერებენო — წაიდუდღუნა და უღიმღამოდ შეხედა მთავარ ექიმს.

— ხომ არაფერი გაწუხებთ? — სხვათაშორის ჰკითხა გამოთხოვებისას...

— უძილობა მკლავს, ბატონო ექიმო! — მორცხვად მიუგო ჯალალანიამ.

— უძილობა? ეხლავე, ჩემო კეთილო!

ერთი წუთით გავიდა ბერგსონი... და მოყვითალო ხსნარით სავსე შპრიცი შემოიტანა...

— ისეთ წამალს გაგიკეთებ, დაბანგულივით გეძინოს მთელი ღამე.

ავადმყოფს პერანგის სახელო წაუკაპიწა და მარცხენა მკლავზე ნემსი გაუკეთა. გამოთხოვებისას „ძილი ნებისა“ უსურვა და ფეხაკრეფით გავიდა.

შინიდან პაჭუ ხორავას დაურეკა ბერგსონმა: ავადმყოფს საძინებელი ნემსი გავუკეთე, საფრთხილო არაფერიაო. პოლიტსამმართველოს რწმუნებულსაც ელაპარაკა. ჯალალანიამ საგრძნობლად მოიკეთა, ხვალ დილით გელოდებათო.

ჯალალანიას ნემსის გაკეთების შემდეგ საამურმა ჟრუანტელმა დაურბინა ძარღვებში. ექიმის თანაშემწემ რომ მოაკითხა შუქის ჩასაქრობად, ბოკუჩა უკვე თვლემდა. შეკითხვებით აღარ შეაწუხა, ჩააქრო შუქი და ცერებზე შემდგარი, გავიდა პალატიდან.

პოლიტსამმართველოს რწმუნებულს ძილი გაუტყდა. მოუთმენლად ელოდა ჯალალანიასთან შეხვედრასა და საუბარს. ბრალდებულ გვასალიას დაკითხვა უნაყოფო გამოდგა. სიტყვა ვერ წამოაცდინა ძიების სასარგებლოდ. აუწონავ ხორცს ვყიდულობდი... აბრაგთ მეთაური ლანჩხუთელი შლეგიშვილი იყო. ბერულავების მონაწილეობას გადაჭრით უარყოფდა. უტუს დაკითხვა „წყლის ნაყვას“ მოგაგონებდათ... ვინ გვასალია, რომელი შლეგიშვილი. ჯალალანია თუ ქურდი იყო, აზრადაც არ მომსვლია, თორემ ოჯახში როგორ შემოვუშვებდიო.

ერთადერთი იმედი ისევ ბოკუჩა იყო. რწმუნებულს ეჭვი არ ეპარებოდა ბერულავას აბრაგობაში. ისიც სჯეროდა. რომ ბოკუჩა ამ საშინელი განსაცდელის შემდეგ გამოტყდებოდა დანაშაულში და სხვებსაც დაასახელებდა.

მაგრამ საოცარი რამ მოხდა იმ ღამით. კიდევ უფრო საოცარი და გამოუცნობი, ვინემ აბრაგ პატიმრებზე თავდასხმა.

დილით ადრე ისაუზმა პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა. ცხრა საათზე უკვე საავადმყოფოში იყო. მთავარ ექიმის კაბინეტის კარი შეაღო. არავინ იყო. ახლა სამორიგეოში შეიხედა, არც იქ დაუხვდა ვინმე. უკანასკნელად იმ პალატაში შეიხედა, სადაც ჯალალანია იწვა. პალატა ცარიელი აღმოჩნდა. ლოგინი აელაგებინათ და ზეწარგადაუფარებელი ნაალი ეგდო ტახტზე.

დერეფანში გამოვიდა რწმუნებული. ამლაგებელ ქალს მოჰკრა თვალი და შეშფოთებული ხმით ჰკითხა: მთავარი ექიმი სად არისო.

პროზექტურაში არიან... მიცვალებული უნდა განკვეთონო.

რწმუნებულმა დამლაგებელი გაიყოლია და პროზექტურის კარი შეაღო გაუფრთხილებლად.

საოპერაციო მაგიდაზე ჯალალანია ესვენა.

— რა მოხდა? — ძლივს მოიბრუნა ენა რწმუნებულმა.

— გულის დამბლა... — ყრუდ უპასუხა ბერგსონმა და განკვეთილი მკერდის ღრუ საჩქაროდ ამოჰკერა.

* *

კვლევა-ძიებამ კარგა ხანს გასტანა. ვერც გვასალია და ვერც უტუ ბერულავა ვერ გამოსტეხეს დანაშაულში. გვასალია ასე უჩვენებდა: ჩემთან შლეგიშვილი ჩამოვიდა ფოთში. აუწონავი ხორცი შემპირდა დაკლებულ ფასებში. მისამართი მომცა და წავიდა. მე სწორედ იმ დღეს ჩავედი [illegible] სახუნდარში, როცა მათი დაპატიმრება მოხდა. უტუ სულ უარობდა: ღმერთს გეფიცებით, არაფერი გამეგება... არც გვასალიას ვიცნობ, არც შლეგიშვილს. ბოკუჩა ჯალალანია თუ მაგ საქმეში ერია არ მეგონა, თორემ სახლში როგორ შემოვუშვებდიო.

— თქვენი ხარები? — შეეკითხა უკანასკნელად გამომძიებელი.

— ჩემი ხარები სად არის? — შეშფოთებულად იკითხა ბერულავამ.

გამომძიებელმა სახუნდარში ნაპოვნი წყვილი ტყავი გამოიტანა და ბერულავას აჩვენა.

დიდხანს უცქირა უტუმ ნისლა ტყავებს. დაღი ორ-სამჯერ გაუსინჯა. ბოლოს გადაჭრით იუარა. ჩემი ხარები გალა ნისლა იყო... მსგავსებაა, მაგრამ ნამდვილად ჩემი არ არისო.

გამოიხმეს იორდანე ღვამიჩავა. აჩვენეს ტყავები. იორდანემ გადაჭრით განაცხადა: სწორედ ეს არისო. სხვა მეზობლებმაც ეს დაადასტურეს.

კვლევა-ძიების დასასრულს მაკარ გვასალიაც გამოტყდა. ბერულავა მონაწილე და მეთაური იყო აბრაგთა ბრბოს ყოველ მოქმედებაში. თავისი ხარები იორდანე ღვამიჩავას გასასვრელად მოაპარვინა ბოკუჩა ჯალალანიასო.

პატიმრებზე თავდასხმის მოწყობა გაურკვეველი დარჩა.

აბრაგთა ბრბოს ცოცხალი მონაწილენი სახალხო სასამართლოს გადასცა პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა.

განაჩენი ასე თავდებოდა: მაკარ გვასალიასა და უტუ ბერულავას, აბრაგთა ბრბოს სულისჩამდგმელებსა და ხელმძღვანელთ, მიესაჯოთ ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, გადასახლებითა და პირადი ქონების კონფისკაციით. სასჯელის მოხდის შემდეგ ჩამოერთვას ხმის უფლება, პირველს (გვასალიას) სამი წლით, ხოლო მეორეს (ბერულავას) ხუთი წლით.

ბრალდებულ შლეგიშვილსა და ბოკუჩა ჯალალანიაზე საქმის წარმოება მოისპოს მათი სიკვდილის გამო.

მაკარ გვასალია და უტუ ბერულავა საშობაოდ გადაასახლეს. ბერულავას ეზო-მიდამო საღვამიჩაოს არტელს გადაეცა. ოჯახის წევრებს ეწერი მოუზომეს სოფელ-გარეთ და იქ დაასახლეს.

ჯონდო ჯერ კიდევ გავარდნილი იყო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჭუჩიშვილი

უკრაინა და საქართველო

ჩვენ ძმები ვართ!
ჭირიც, ლხინიც
ერთად ვზიდეთ,
ერთად ვნახეთ,
ულელში თუ
ბორკილებში
ერთნაირად
ვივაგლახეთ,
ენას გვჭრიდნენ,
სულსა გვხდიდნენ,
გვმარხავდნენ და
ვერ დაგვმარხეს!
დიდ რუსეთის
ხალხთან ერთად
ფრთა შეესხა
ჩვენს ფიქრ-ზრახვებს:
„სიკვდილი,
ან გამარჯვება!“
იარაღით
მტერთ შევძახეთ
და მონობა,
საზიზღარი,
სამუდამოდ
ძირს დავამხეთ!
ბევრი სისხლი
დაიღვარა,
გაჭირვებაც
ბევრი ვნახეთ,
მაგრამ ფიცი,
ძმობის ფიცი,
არ გავტეხეთ,
არც შევლახეთ
და დღეს ჩვენი
ძლიერება
ძველ მსოფლიოს
აცახცახებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრ. აბაშიძე

ანდერძნაშაგი

ოცდახუთი წლის ახალგაზრდა ჩემსავით,
იქნებ,
ასეული წლის შემდეგ
შლიდე ჩვენს მატიანეს,
ნახავ მხარდამხარ თაროებზე
მთვლემარე წიგნებს
და ჩემ დროინდელ წიგნთსაცავებს
ნახავ მტვრიანებს.
მე გადმოგხედავ
თაობების და წლების მიღმა,
ალვის ხესავით ცერზე ვდგები,
ვიგრძელებ კისერს;
რომ შემახვედრო, როგორც ზღაპარს,
და როგორც სიზმარს,
მარადისობას გაფითრებულს,
ბოლნისის ქვის ფერს.
დევს ჩემი წიგნიც,
მოხატული საფლავის ქვისებრ,
შენდობას არ გთხოვს,
შენთან სხვა აქვს მას სათხოვნელი,
იგი შორი გზით დაქანცულა
და სუნთქავს ისე,
ვით დაცემული მორბენალი მარათონელი.
მასაც ჰყოლია უსახელო
ვინმე მკითხველი,
მას შთაგონებად
მზე და შუქი ადგა სტალინის,
ახლა შენ წინ დევს
ჩემი წიგნი ფურცლებყვითელი,
ასეული წლის
მტვერი ფარავს და ნაფტალინი.
იგი ზარია,
უკაცური უდაბნოს ზარი,
არ რეკავს თვისით,
კაცის მოსვლას ელის სტრიქონი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეეხე ამ ზარს,
აჟღერდება გულამომჯდარი
და ხალხს მოუხმობს,
ვით საყვირი იერიქონის.
მე თაობა ვარ,
ჩამოვხსენი ყველა ზარები,
გადავადულე,
ზარბაზნები დავდგი პირღია....
კარზე არასდროს მივდგომივარ
მღვდელს აღსარებით
და ზიარება
არასოდეს არ მიმღია.
კვირტებს მოვყევი,
შემდეგ გაშლილს,
მწვანე ფურცლიანს,
მაშინ მოვედი,
როცა ქვეყნად მართლა გათენდა,
ფეხი ამიდგა
მშობლიურმა რევოლუციამ,
და ანბანზე წინ
შევეჩვიე ახალ კალენდარს.
ჩემი ბავშვობაც
არ ყოფილა უიავარდო,
მას ახლაც ვხედავ,
მასთან წლები არ დამაშორებს,
მოგვნატრებია ხშირად
თეთრი პური და მარტო
დავჯერებივართ
ცარიელა სათამაშოებს.
მაგრამ ამგვარი მოგონება
ვერ დაგვალონებს,
განა უჩრდილოდ
გაჩენილა ქვეყნად ნათელი?!
ჩემ დროს სურათით
ვეცნობოდით ყმებს და ბატონებს
და კაცის ენად ითვლებოდა
ენა ქართველის.
შემდეგ... ვანგრევდით ძირგამომპალ,
ბებერ დასავლეთს,
და თავდებოდა
კომკავშირის კრება ყიჟინით,
გეოგრაფიის გაკვეთილზეც
ეს შემასწავლეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ქვეყნად ორი ქვეყანაა:
ჩვენ და ისინი!
შენ მუზეუმში ნახავ
ქარტას მრავალფეროვანს,
შენი გლობუსი ერთფერია,
მარტო წითელი,
შორით ვინატრებ შენთან მოსვლას,
მაგრამ ვერ მოვალ, —
ეს წიგნი მოვა
და შენ იყავ ამომკითხველი:
მე ხიდი ვიყავ, —
წინა კაცი მუდამ ხიდია,—
შენ გაიარე
და მას შემდეგ
ნალმით სავსე ვარ...
ჩემი თაობის ნაოცნებარს
თუ გაჰყიდიან,
თუ იფიქრებენ ერთი წამით
უკან დახევას, —
იფეთქებს ხიდი,
მოლალატე კაცის მხილველი,
ეამგადასულის,
ძველთა ძველის ამოსაგდებად,
საუკუნეებს გადმოლახავს
და რკინის ხელით
ჩემი თაობა
შენს ძახილზე გამოცხადდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო ადაგია

სვანური ცეკვა

მაღალ კოშკებთან დგანან ჯმუხები,
დუმილი — (შეჰკრეს მთებმა კარები),
ჰშვენით ნაქარგი ახალუხები
და მოჭედილი სატევარები!
და როცა ორმა მხარი მხარს გაჰკრა,
სჭექეს (და მთებმა გახსნეს კარები)!
ახალუხების შრიალებს კალთა
და ჯახუნობენ სატევარები...
შემდეგ დადინჯდნენ და როკვას უკლეს
(მისწყდა ლანქერის ხევში ხრიალი)...
შემოუერთდნენ ახლა ჭაბუკებს
ბერიკაცებიც სატევრიანნი!
შეიძლეს, გაჰკრეს მარდად ცერები,
ბუჩქებს, ბალახებს ცვარი ასხურეს,
მიწას ჩაარჭვეს მათ სატევრები,
ნაბდის ქუდები ჩამოახურეს!..
აი, ქალებიც. ხელი დასტაცეს —
(მათ ჩითის კაბებს ჰგვანან მდელონი),
შემოუერთდნენ ცეკვით ვაჟკაცებს
ქალიშვილები უსატევრონი!
ხტიან ცერებზე, სცვლიან ადგილებს,
წკრიალებს მათი ხმები რჩეულად, —
ახლა შრიალი გააქვს მანდილებს
და სატევრები დაჩუმებულან! —
შეჯგუფდნენ, დასცხრნენ (დადგა ზაფხული,
მთაც და ფერდობიც ხარობს მწვანეთი)!
სვანეთი ცეკვით გამოსახული,
უძველესი და ნორჩი სვანეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლ. სულაბერიძე

*
* *

ხეს ყვავილები დასცვივდა თეთრი,
ნორჩი ფოთლები აესხა ფრთხილად.
დღეს მე ქალაქში ბარათი დედის
შემომიტანა მაისის დილამ.
შემომიტანა, თვითონაც დარჩა,
მახარობელი ნათელ მერმისის.
შემდეგ გარემოს ჩააცვა ფარჩა,
ბედნიერების შესაფერისი.
მწერს დაშორებულს მოხუცი დედა:
„ეს გაზაფხული გულს მიხალისებს.
მომნატრებიხარ... ყმაწვილი, ნეტა,
მღელვარე მკერდში ჩაგიკრა ისევ“...
აფრთოვნებული მეც, როგორც ბავშვი,
ვკითხულობ დედის უნაზეს წერილს...
მაისი ახალ ფოთლების აშლით
ჩემი ცხოვრების დღეებზე მღერის.
ო, კარგო დედავ, ულვაში შავი
შემომპარვია, ვგრძნობ სიჭაბუკეს.
ბავშვი აღარ ვარ, ტალღები მძლავრი
მეც დამაჯახა ცხოვრებამ უკვე.
და სცვივა ხეებს ფიფქები თეთრი,
ელვარებს შუქი უამრავ ფერთა.
დღეს მე ბარათი მივიღე დედის
მაისთან ერთად, მაისთან ერთად...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Გ. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ

ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ

რაინდული რომანი [1]

XLV

მორიელების წინაშე შიში გადაავიწყა ჟამიანობამ ნონაის. მოსვენებას არ აძლევდა არსაკიძეს მხევალი. დაფათურობდა, მდუღრავდა დგამს, ნოხებს, ფარდაგებს და დოშაკებს. მდუღარეს ასხამდა სარდაფებში, ჭუჭრუტანებში, ღრუებში. ვირთხები და რწყილები ელანდებოდა ყველგან.

ჩამოეკიდა პატრონს: სამუშაოზე ნუ მიხვალო, ბატონო! ღარიბ ხალხს ემტერებაო ჟამი, თავს ნუ გადააყოლებ უფლის სახლს, ღმერთს ბევრი აქვს ეკლესიები, ვენაცვალე მის მადლს, ხოლო საწყალობელ დედაშენს შენზე ამოსდისო მზე.

ბოდოკია გზაზე დაუხვდა არსაკიძეს: სამას ლაზს უარი ეთქვა სამუშაოზე. ლაზების მაგალითს აჰყოლოდნენ სამცხელები, ბოლნისელები და ბერძნები.

ჟამისაგან მოვისრებით მაინც, ბარემ მოსვენებული შევეგებოთო სიკვდილს. სახელოსნოები დაეგდოთ, ხარაჩოებიდან ჩამოსულიყვნენ, ტაძრის ჩრდილში წამოწოლილიყვნენ მონები, ფანდურს უკრავდნენ, მღეროდნენ ზოგნი, მოხუცებს გარს მოსხდომოდნენ ჭაბუკები. აამბობინებდნენ ჟამიანობის ძველ ამბებს.

არსაკიძე რა დაინახეს, წამოიშალნენ მონები, კალატოზები და ზემდეგები გამხნევდნენ.

ლაზები გარს შემოერტყნენ თვისტომს.

„ლაზებო, მიმართა არსაკიძემ ბრბოს, მართალია, ჟამიანობა დაიწყო, მაგრამ გახსოვდეთ, ჟამის საფრთხე ყველას გვიქადის, ხომ ხედავთ, მეც თქვენთან ვარ განსაცდელის ჟამს, ლაზებო. სიკვდილი ისეთი რამეა, უჟამოდაც არ აგვცდება, იცოდეთ, რადგან არავინ იცის, რა ჟამს გვეწვევა იგი. ხომ ხედავთ, რა შლეგია სიკვდილი, ისეთ უგნურ ცხოველებს თან დაჰყვება, როგორიცაა ვირთხები და რწყილები.

თქვენ თვითონ განსაჯეთ, ლაზებო, უქნარობაში რომ დავიხოცოთ, იმას არა სჯობს, ჩვენი მოვალეობის შესრულებისას გვეწვიოს სიკვდილი. ეგეც იცოდეთ, ძმებო, ზარმაცებსა და მშიშარებს უმალ ეწვევა იგი, ვიდრე მამაცებსა და გამრჯელებს.

რას იტყვიან იბერიელები? მშიშარანი ყოფილანო ლაზები. იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეს, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარნი.

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი.

---

[1] დასასრული. იხ. „მნათობი", № 4

აბა მოიგონონ უხუცესებმა თქვენ შორის, სარკინოზებთან ან ბერძნებთან ომებში თუ ოდესმე გიღალატნიათ მათთვის?

ახლა ვირთხებისა და რწყილების მიერ გავრცელებულმა ჭამმა რომ გვასწავლოს ღალატი, სირცხვილი იქნება უთუოდ, ლაზებო.

ეგეც იცოდეთ, ძმებო, არავინ ისე საძაგებელი არაა ამ ქვეყანად, როგორც ძმების მოღალატე, მშიშარა ვაჟკაცები, ლაზებო."

„მართალს ბრძანებს, მართალს ბრძანებს ოსტატი." მიაძახეს ლაზთა შორის უხუცესებმა.

არსაკიძე პირველი ავიდა ხარაჩოზე, თუმცა თირკმელებს იტკიებდა ამ დილითაც. ბოდოკია უკან მისდევდა ოსტატს, მოხუცი ლაზებიც მათ მიჰყვნენ. ბოლოს შერცხვათ ახალგაზრდებს. ახლა სამცხელები და ბოლნისელები წამოიშალნენ, ბოლოს ბერძნებმაც ითაკილეს ჯაბანის სახელი.

სადილობის დრომ მოაწია თუ არა, დაიცალა სახელოსნოები, ხარაჩოებიდან ძირს ჩამოვიდნენ მუშები.

ტაძრის გალავნის კუთხეებში ფარდულები იყო ხელოსნების სამყოფლო.

კოცონები ენთო ამ ბარაკების წინ, უზარმაზარ ქვაბებში ოსპის წვენი იხარშებოდა, ქვაბებს გარს მოსდგომოდნენ მონები, ბალღებივით შესციცინებდნენ მესადილეებს.

შიმშილისგან ღონემიხდილნი ფანდურს უკრავდნენ, ნაღვლიანად ღიღინებდნენ ზოგნიც.

ლოდზე ჩამომჯდარიყო მწითური ლაზი, აჩხაკუნებდა ფანდურს, ზედ ამღერებდა სიყვარულის ლექსს. სიყრმეშივე განაგონი ჰქონდა არსაკიძეს ეს ჰანგი, ახლა ძლივს არჩევდა ლაზურ სიტყვებს ფანდურის ხმაზე:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და მითხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას.

გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენ სამყოფლოს, შენს სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ მოღალატეს, მაგ ნაფერებ ქმარს.

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას".

არსაკიძე განზრახ დაყიალობდა ბარაკების წინ, ბრბოში.

ახლა შენიშნა: სიკვდილის საფრთხემ შაირობა და სიმღერა მოანატრა ხალხს. აჩხაკუნებდა ფანდურს, სევდიანად კვნესოდა მწითური ლაზი.

შაირი გრძელი იყო, მიჯნურის მუქარა უსაზღვრო, ყოველი ტაეპი ერთი და იმავე სტრიქონით იწყებოდა და თავდებოდა:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას".

უცნაურად აეკვიატა ეს ლექსი.

შორენა მოაგონდა. მერე თვალები გაუშტერდა გაოგნებულს, თავისი სიტყვაც გადამარცვლა ხსოვნაში.

ახლა დარწმუნდა: ერთი რამ გულისგარედ წამოსცდა წელან.

განა დედა ყველაზე საყვარელია ამ ქვეყანაზე?

ან ძმა ყველაზე ძვირფასი?

ეგეც არის, ვერც დედობას გაგიწევს სხვა ვინმე, ველარც ძმობას.

შორენა მუდამ სწუხდა: რად არა მყავსო ძმები?

ახლა მას ძმები რომ ჰყოლოდა, ხომ არ დასჭირდებოდა ვაჟიცოცის საქმე თავათ ეტვირთა? -

ვაჟები გვერდით ამოუდგებოდნენ კოლონკელიძეს, ისინი მიუზღავდნენ მეფე გიორგის სამაგიეროს.

მწითური ლაზი აჩხაკუნებდა ფანდურს და მღეროდა:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას"...

მართლაც ზღვასავით მოუსვენარი იყო შორენა.

მაგრამ ახლა გადაუკეტეს ამ ზღვას კიდენი, დარწმუნებული იყო არსაკიძე, ჟამიც ვერ შეჰბედავდა სანატრელს. შესაძლოა, ჟამს გადაერჩინა კიდევაც იგი. დღე და ღამე დაკეტილი იქნება მცხეთის ზღუდენი, სამი დღის შემდეგ წყაროსთვალის წმ. გიორგის დღეობა იქნება ფხოვში. ამაოდ მოუცდიან ხატობაზე ხევისბერები.

განა მარტო ეს იყო საფრთხე?

ყველისციხის პატრონი ისეთი თავაწყვეტილი ვინმეა, ერთიც ვნახოთ, მოეწყინა მცხეთაში მომწყვდეულს და ამ ჟამიანობის დროს ქორწილი მოუნდა?

მაშინ?

მწითური ლაზი მღეროდა კვლავ:

„და მოგიკლავ მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს."

ახლა თავათ დაფიქრდა არსაკიძე.

ყოველი ქალი ზღვასა ჰგავს მართლაც, არავინ იცის, ან ერთი როდის აღელდება ან და მეორე?

ერთიც ვნახოთ, გირშელს გაჰყოლოდა შორენა, მაშინ?

მას, არსაკიძეს, თუ ეყოფოდა იმდენი გამბედაობა, უბირი ლაზი ჭაბუკის ვაჟკაცობის შესაბამისი?

„აააა?..."

სწორედ ამ წუთში ბოდოკია ამოუდგა გვერდით.

ამასობაში ორი მონა მიეახლა ოსპით გაფიფინებულ ქვაბს, ხელკეტი გაუყარეს და პირველი ფარდულისაკენ წაიღეს ხვნეშით.

ისევ მეფანდურეს მიუგდო არასაკეძემ ყური.

უნდოდა გაეგონა, თუ რითი დასრულდებოდა გამიჯნურებული ლაზის ქადილი ამ შაირში?

ბოდოკიამ ხელი წაუცაცუნა მარჯვენაზე:

კანკელი უკვე დავდგით, ახლა აღსავლის კარების გამო უნდა გეთათბიროთო, ოსტატო!

უგრეხელისძე, კალატოზი, წამოეწიათ კანკელამდის მისულთ. სახეშეცვლილი, ფერგამკრთალი ეუბნება არსაკიძეს:

პირველ ფარდულში იფეთქაო ჟამმა.

როცა ხუროთმოძღვარმა და სამმა კალატოზმა პირველ ფარდულამდის მიაღწიეს, თავზარდაცემული მონები გამორბოდნენ თავპირისმტვრევით ეზოში.

მონას, წათაიას, გამოსჩენოდა იღლიაში პირველი სვირინგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფრთხალიყვნენ ნარებზე მწოლარენი, სწორედ ამ დროს შეეტანათ ოსპით სავსე ქვაბი ფარდულში.

დასტაკებოდნენ მზარეულებს მუშები, ორივენი წაეჭიდა ქვაბს, გადმოუყირავებიათ, ხელფეხდათუთქულნი მიწაზე ფართხალებდნენ, გულისმომკვლელად ყვიროდნენ ბედშავნი.

ფარდულის კარებს აწყდებოდა დაშინებული ბრბო, შიგ შესვლა ვერ გაებედნა ვერავის.

შემოესმა თუ არა დამდუღრულების ყვირილი, ბრბო გაარღვია არსაკიძემ, გზა შეუკრეს კალატოზებმა:

ნუ შეხვალ ამ ფარდულში, ოსტატო, ჟამიანი მანდ წევსო ახლაც. ბოდოკიაც გამოეყო ლაზებს, თან გაჰყვა ხუროთმოძღვარს მეფისას.

აიყვანეს დამდუღრულები, გამოათრიეს სათითაოდ გარედ. მოატანინეს მარილი, დამდუღრულებსაც არ გაეკარნენ მონები.

თავათ გახადეს დამწვარებს სამოსი, მარილი დააყარეს დათუთქულ სხეულზე ორთა.

ხელის დაბანაც ვერ მოასწრო არსაკიძემ, გიორგი მეფე, ზვიად სპასალარი, მცხეთის მიტროპოლიტი, ამალითურთ შემოსულიყვნენ ეზოში, ტაძარი დაეთვალიერებინათ, შემდგომ ამისა წინასწარ გამოეკითხათ ყოველივე წვრილად.

განმგეთუხუცესი თავზე წამოადგა ხუროთმოძღვარს მეფისას.

ეუბნება, გიხმობსო მეფე.

არსაკიძე ხელს იმშრალებდა იმ წუთში.

მოახსენა: ჟამიანის ფარდულში ვიყავი, ამიტომაც ვერ ვეახლებიო მეფეს.

ხელახლა მოვიდა განმგეთუხუცესი:

მეფე გიბრძანებსო მოსვლას.

არსაკიძე მიეახლა, საპატიო მანძილზე შესდგა, თაყვანისცა გიორგის, მეფემ გაუღიმა, ახლოს მოსვლა უბრძანა.

„შენზე ნაკლებად მამაცი ხომ არ გგონივარ, ლაზო?“

მერმე გაუღიმა, მაგრად ჩამოართვა ხელი და ეს უთხრა:

ხუროთმოძღვრების დიდოსტატი დიდი ვაჟკაციც ყოფილხარო, ლაზო!

XLVI

გამართლდა ფარსმან სპარსის სამთვარიოს წინათქმა. შაბათ საღამოს მცხეთიდან დასავლეთით გამოჩნდა ერთი სავსებით უცნაური ვარსკვლავი მახვილის სახისა.

ქარი ჰქროდა, აზანზარებდა ცასა და მყარს.

დიდხანს უთვალთვალებდა სახლის ჩარდახიდან ფარსმან სპარსი ამ ვარსკვლავს, როცა იგი დასავლეთის კერძო გაჰქრა ისევე, ფარსმანი ძირს ჩამოვიდა.

ვარდისახარი ტანზე იხდიდა სწორედ.

მივიდა, შიშველ მკლავზე უჩქმიტა ცოლს. ეუბნება:

„თუ მეფემ მალემსრბოლი გამოგზავნოს კვლავ, ასე უთხარით: ავათაათქო ფარსმანი.“

„მეფე უფლისციხეს წასულა ამ დილით.“

ამცნო ვარდისახარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენ ვინ გითხრა ეგა?“

„სამთავროში ვიყავი, იქ ამბობდნენ ბერები.“

„დღეს წირვა იყო სამთავროში განა?“

„მთავარეპისკოპოსი ილოცავდა, მთელი მცხეთა მანდ იყო.“

„რაო, რა იჩურჩუტა რაჟდენმა?“

„უშჯულოებისა ჩვენისათვის წარმოგვივლინაო უფალმა ჟამი. მწვალებელნი და მკრეხელნი მომრავლდნენო მცხეთაში. საერისთავოებშიაც დაეთრევიან ზოგნი, აპამპულებენო ქრისტეს შჯულს“.

ფარსმანს ენიშნა რაჟდენის სიტყვები.

„მაინც რას ამბობენო ის მწვალებელნი, როგორა სთქვა მიტროპოლიტმა, ვარდო?“

შეეკითხა ცოლს.

„ღვთისმშობლის უხრწნელობის ამბავს სათუოდ სთვლიანო ზოგნი, ხანაც ასეთ კითხვებს აძლევენ მართლმორწმუნე ქრისტეანებს: რამდენი ანგელოსი დაეტევაო ნემსის წვერზე?“

ფარსმანმა შენიშნა, ვარდისახარიც ამრეზილი იყო ამ „მწვალებლებისა და მკრეხელების“ მიმართ. იგინებოდა, ასე ამბობდა: მე რომ ვიცოდე, ასეთ მკრეხელობას ვინ ჩადის, პირველი ჩავქოლავდიო ამ სიტყვების წარმომთქმელს.

„განა ასე საჭიროა დიაცისათვის უხრწნელობა? არც შენ ყოფილხარ მაინცდამაინც უბიწო, ვარდო, მაგრამ შენ ხომ უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე რომელიმე, უხრწნელი ქალწული, ხომ?“

ვარდისახარი აპილპილდა.

„თუნდაც ფანასკერტელის ქალი, რუსუდან, არა? ერთი იგი გყავდა უხრწნელი?“

დაუყვავა ფარსმანმა იჭვნეულ დიაცს.

მიეახლა, შიშველ ქედზე ხელი მოულაციცა, ეუბნება იდუმალი ხმით:

„ხვალ ნუ გახვალ ქალაქში, ვარდო. შენ ხომ იცი, სვეტიცხოველის მშენებლებს დარევიათ ჟამი, ლაზი მოუკლავს ერთი.

შენ ხომ გაგეხარდება, ეგ ლაზები ერთბაშად რომ გასწყვიტოს ჟამმა, ااا, რას იტყვი, ვარდო?“

ეს უთხრა ფარსმანმა ცოლს, თვალებში ჩააცქერდა ღიმილით.

სალოკი თითი მიადო ნიკაპზე, სწორედ იქ, სადაც ოდნავ, სულ ოდნავ ჩაზნექილი იყო კანი (ეს მოსწონდა ბებერ ფარსმანს ფრიად. ეროსის თითით დატვიფრული აქვსო ნიკაპი, ეროსის თითის მეტი ჯერ არაფერი მოხვედრიაო ჩემს ცოლს, იხუმრებდა ხოლმე ვარდისახარის თანდასწრებით ფარსმანი).

არად მიიჩნია ეს მოფერებაც ქალმა. მშვილდივით მოდრეკილი წარბები ზეაწკიპა, მოვის პერანგზე მარგალიტის ღილები შეიხსნა და ეუბნება ქმარს:

„მე ფხოველი დიაცი ვარ, იცოდე, არ მიყვარს, როცა ჩემს მაგივრად სხვა იძიებს ხოლმე ვინმეზე შურს. შენ რომ გულისხმობ იმ ლაზს, ჟამსაც არ დავანებებ, იცოდე.“

„ჰე, ჰე, ჰე, ხითხითებს ბერიკაცი, ახლა მარჯვენა ძუძუს დაადგა თვალი, ეჭილიკება ცოლს:

ამ ძუძუზე გიკბინა მალემსრბოლმა მეფისამ, ვარდო? რა უცნაურია ეს მეფე გიორგი, ვარდო, როგორ დაგეშილი ჰყავს ავაზები და მალემსრბოლები? ვისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკბენაც თავათ მოუნდება, სწორედ იმათ დაჰკბენენ იგინი. ააა, შენ რას იტყვი, ვარდო?"

უარესად მოიღუშა დიაცი. სანახევროდ ვაშიშვლებულ ძუძუებზე ორივე ხელი დაიფარა და ამრეზილი გაიშოთა საწოლზე.

მცირე ხანს იწვა გაოგნებული, მერმე დაამთქნარა და კედლისაკენ იბრუნა პირი.

თებრონია კარისალაგთან მიგდებულიყო, პირქვე დამხობილი ხვრინავდა დიაცი.

ფარსმანმა ცას ახედა. თავისი საწოლი სარკმელთან მიაჩოჩა. შემდგომ ამისა, ზეზეურად წამოწოლილი დიდხანს უთვალთვალებდა ვარსკვლავეთს.

ხელახლა გამოჩნდა ის ვარსკვლავი მახვილის სახისა.

მცირე ხანს უმზირა ფარსმანმა, მერმე უკან მოიხედა ანაზდად.

ვარდისახარი უძრავად იწვა. ტყირპიანი თებრონია ხვრინავდა კვლავ.

„ხომ არ გძინავს, ვარდო, ააა, ვარდო?"

არაო, მიუგო დიაცმა და დაამთქნარა ხელახლა.

„ხვალ ნაშუადღევს დიდი მიწისძვრა იქნება, იცოდე, ნურავის ეტყვი, ნურც შენ გახვალ ქალაქში, ვარდო, შესაძლოა ქარვასლები წამოიქცნენ, მეფისა და კათალიკოსის სასახლე გაცამტვერდეს, სვეტიცხოველი აყიროსავით მოაძროს, შენ ნურსად წახვალ, იცოდე, თებრონია გაგზავნე ბაზარში, ვარდო."

ვარდისახარი წამოდგა საწოლზე. საკუთარ ყურებს არ უჯერებდა ამის გამგონე, ხოლო ფარსმანმა განაგრძო:

„შესაძლოა ამალამ, ნაშუალამევს შეგვატოკოს სატანამ მცირედ, მაგრამ შენ არ შეგეშინდეს, ვარდო."

ვარდისახარი ზეწამოიჭრა. „მაგას რას ამბობ, კაცო, სჯობს ტანზე ჩავიცვათ, არა?"

„ნუ გეშინია, დიაცო, ამალამ არ უნდა იქნეს ისე ძლიერი, ალბათ."

ვარდისახარი საწოლიდან წამოვარდა შეშფოთებული, ფეხშიშველა დარბოდა აგურის იატაკზე, მერმე კუთხეში დაიჩოქა ხატების წინაშე.

მუშტები დაუშინა თავის მშვენიერ მკერდს, თითქოს ინანიებდა საკუთარ, ხორცისმიერ ცოდვებს. ლიტანიობდა, იატაკს უსწორებდა შუბლს.

ლოცვა მოათავა თუ არა, ფარსმანს წამოადგა თავზე ნახევრად შიშველი დიაცი.

ეუბნება:

„თებრონია არ გავაღვიძოთ?"

„ნუ, ნუ გააღვიძებ თებრონიას ბედშავს, ძილში სიკვდილის მონატრულია თებრონია, ვარდო."

დიაცი გააოცა მისმა უგულობამ. ფარსმანი ისევ სარკმლისკენ მიბრუნდა, დამშვიდებული უთვალთვალებს ცას.

„თებრონია, თებრონია," უყვირის დედინაცვალი გერს. თებრონია განაგრძობს ხვრინვას. ბოლოს წიხლი ჰკრა ვარდისახარმა მძინარეს.

დამდუღრულივით ათუხთუხდა ტყირპიანი დიაცი, თვალებს იფშვნეტს შეშფოთებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შემოესმა მიწა იძვრებაო, ნახევრად შიშველი წამოვარდა მყისვე, დაფათურობდა, ეძებდა ირგვლივ დაყრილ ძონძებს, პირველვარს ეწერა, ევედრებოდა ღმერთს: გადაარჩინეო ეს ქვეყანა წარღვნას.

ახლა ვარდისახარსაც გადაედო შიში.

ზანდუკს მივარდა, საჩქაროდ ამოჰყარა თავისი კაბები, შორენას მიერ ნაჩუქარი ქათიბები, საწმერთულები, პერანგები, მანდილები, ქუდები, ვერცხლის ჭურჭელი, ზოგი ნაჩუქარი, ზოგიც ნაპარავი, მაგრამ ერთბაშად წარმოიდგინა, ვერ მოვასწრებთო ყოველივეს გარეთ გატანას.

თებრონია მოიშველია, ისევ ჩაჰყარეს ეს ნივთები, ახლა სავსე ზანდუკს დაეჭიდნენ დიაცები, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრეს იგი.

ვარსკვლავეთს უთვალთვალებდა ფარსმან სპარსი კვლავ.

ხელახლა ამოჰყარეს ზანდუკიდან საბადებელი, თებრონია დატვირთა ვარდისახარმა, მერმე თავათ დახვია მკლავები და გარეთ გაათრიეს მზითევი.

ფარსმანი მობრუნდა, ამშვიდებდა ცოლს, ეფიცებოდა: დღეს არ იქნებაო ძლიერი მიწისძვრა, ყურიც არ ათხოვა შეშფოთებულმა.

ფარსმანი ისევ სარკმელისკენ მიბრუნდა, შესცქეროდა შეწითლებულ ცას.

კვლავ შემოვარდა ვარდისახარი, სპილენძის ჭანგები დავიწყნოდა, თმის სახვევი, ზანდუკში.

როცა ჭანგები იპოვნა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა მეუღლე.

„ადექი, ბაღში გამოდი, ბატონო.“

ადგილიდანაც არ დაძრულა ფარსმანი, გულში გაეცინა, სპილენძის ჭანგებზე უფრო გვიან რომ გაახსენდა ცოლს. თვალიც არ მოუცილებია მახვილის სახის ვარსკვლავისათვის, ისე მიაძახა დიაცს:

„გაეთრიე, დედაკაცო, გარედ, თორემ თავზე დაგეცემა ჭერი.“

კარისალაგთანაც არ იყო ვარდისახარი მისული, როცა მაგრად შეტოკდა ციხისებური სახლი, შეტორტმანდნენ კედლები, ახლა ფარსმანმაც იკადრა წამოხტომა, ფეხშიშველა გაირბინა ქვიტკირის დარბაზი და მიაძახა კიბისთავთან წაქცეულ ცოლს:

„ეგებ დაილეწოს ეს ქვეყანა, ვარდო, ახალში მაინც მიმიწვევენ ხუროთმოძღვრად.“

„თებრონია, თებრონია,“ კივოდა ვარდისახარი, მაგრამ თებრონია პირქვე-დამხობილი ეგდო მიწაზე და სტიროდა.

ჭარი აფორიაქებდა ხეებს, ასე რომ დედინაცვლის ძახილი არც კი მისწვდენია ამ წუთში მას.

XLVII

სვეტიცხოველის კედელზე შვიდს უჩვენებდა მზის საათი, როცა პირველად შეტოკდა მიწა. არსაკიძე ხარაჩოზე იდგა, კალატოზებს უძახოდა: აქ ამოვიდესო ერთერთი.

მან ერთმა შეიცნო ეს. ძირს ჩამოვიდა, კალატოზებს მკერდზე მიადო გაშლილი მკლავები: ეზოში გავიდეთო, ეუბნება.

გაოცდნენ დამსწრენი.

დასავლეთის კედლის გასწვრივ კატა გასულიყო ხარაჩოზე, მანდ დაბუდებულ მტრედებს ზვერავდა.

ერთბაშად უცნაური კნავილი ასტეხა, საშინელის სისწრაფით დაეშვა ძირს. არსაკიძემ უყვირა მონებს: დაუყონებლივ დასცალეთო ხარაჩოები.

ამ დროს მეორეჯერ შეტოკდა მიწა.

ხოლო მესამეჯერ ისეთის ძალით შეჰქანდა ნიადაგი, არსაკიძემ ტაძარს შეეხედა, ასე ეჩვენა: ეკლესია შეტორტმანდა და გადაწვაო განზე.

შემზარავი გრუხუნი გაისმა, სამ ადგილას დაირღვა გალავანი.

ყვირილით გამოცვივდნენ ლაზები და სამცხელები ეზოში, პირქვე დაემხვნენ, დაიწყეს ლოცვა.

შუკაში დედაკაცი მიელალებოდა ცხვრებს, ბღავილი მორთო პირუტყვმა, გაიფანტა ფარა, ძაღლებმა შემზარავი ყმუილი მორთეს, აზმუვლდნენ ძროხები, დედაკაცები გაბმულად კივოდნენ.

ქოსსა ჰკრეს არაგვის კარისა და მუხნარისას ციხეებში, მონასპანი გარედ გამოსცვივდნენ, მოედნებზე დაფდაფების ცემა ასტეხეს ჯარებმა.

ძელსა სცეს ეკლესიებში ზედიზედ.

ბერებმა და მონაზნებმა საოსტიგნოები დააგდეს.

ისმოდა ტირილი, ღაღადისი და გალობა:

„შენ გესავ, უფალო“.

* *

სვეტიცხოველი გადარჩა, ახლა შორენას მისწვდა არსაკიძის ფიქრი.

მთავართა სანათლომდის ძლივს მიაღწია აქელებულმა.

დიაცები ირეოდნენ ხურსისეული სასახლის ეზოში.

ვიღაც თავმოტვლეპილ მოხუცს ელაპარაკებოდა გურანდუხტი.

არსაკიძემ ზნაურა შეიცნო, კოლონკელიძიანთ კარის ეკლესიის ნადიაკვნარი.

სამი შეკაზმული ცხენი თავლის კარებთან ება. ჩალისფერ ულაყს ყურებზე ეფერებოდა შორენა. მხოლოდ მას არ ეტყობოდა შეშფოთება სახეზე.

შორენა, გურანდუხტი და ზნაურა ზედაზენს წასვლას აპირებდნენ, თურმე, იმ დილით.

გურანდუხტი შეძრწუნებული მოუთხრობდა არსაკიძეს მესამეჯერ შეტოკების ამბავს. საწოლიდან გადმოვარდნილა, შორენა თავლაში ყოფილიყო, ცხენს აკაზმვინებდა თურმე ზნაურას.

არსაკიძის დანახვაზე გამოჰქანდა ერისთავის ქალი, სტუმარს მიესალმა, უამბობდა, რომ საცოდავად აჭიხვინებულან ცხენები.

სწორედ ამ დროს თავშიშველი, ფხოველი მონა შემოვარდა ეზოში, ჯიქურ მიეჭრა შორენას და ეუბნება:

ლასტის ჯებირი გაარღვიეს ირმებმა, ორი ხარი და ერთი ფური საჩიხედან გაგვექცაო. ბევრი ვსდიეთ სასახლის ბაღში, ახლოსაც არ გაგვიკარაო არც ერთი.

„ნებიერა ხომ არ გაქცეულა, თუ იცი, ბაღათურ?“

ეკითხება შორენა.

„სწორედ ნებიერა გადახტა პირველი, ერისთავის ასულო.“

ბალათურ საჩიხეში ყოფილიყო, როცა მესამეჯერ იძრა მიწა. ქვას ადუ-ლებდაო ირმების ჯოგის ერთობლივი ბღავილი.

„ცხენები მოგვგვარე, ზნაურა, ეუბნება შორენა დიაკონს. მე და ტა მივ-ყვებით ირმებს, თორემ ბიჭები ვერ დაიჭერენ მათ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალათური ასე ამბობდა:

სასახლის ბალიდან გასულნი არიან უკვე, მუხოვანში სციცქნიდნენო ნეკერს.

ეტყობოდა: გურანდუხტს არ უნდოდა მარტოკანი გაეშვა ქალ-ვაჟი.

დიაკონი წარიტანეთო თან, ძველი მონადირეაო ზნაურა.

შორენა მთავარ დარბაზში ავიდა, მშვილდი მოუტანა არსაკიძეს, თავა-თაც მხარზე ჰქონდა ერთი.

ხმალი ზედა მაქვს, რად მინდაო მშვილდი?

ესა სთქვა არსაკიძემ, მაინც გამოართვა კაპარჭიანად.

მთავართა სანათლოის ქუჩებზე თავთავიანთი საბადებელი გამოეტანათ მცხოვრებლებს. დიაცები ტიროდნენ, აკვნიანად გარედ გამოყვანილი ბალღები ლნაოდნენ.

ძაღლები ყმუოდნენ, მოხუცები დარღვეული ქვიტკირების ბალავარებზე კრეფდნენ დამსხვრეული დგამისა და ჭურჭლის ნამუსრევებს.

მეფის სასახლეში უთავჯამოდ დაქოთქოთებდნენ კარისკაცები და მსახურე-ბი, საწოლ დარბაზში ჭერი ჩამონგრეულიყო, დაეშავებინა მესაწოლე მეფისა.

კიბეებზე ჩამოჰქონდათ ნოხები, ფარდაგები, მაფრაშები, ზანდუკები, სა-ჭურჭლენი.

საყდრის იარაღები, ცხენსაკაზმები, დედოფლის საპირფარეშოს დიდძალი ხელსაწყონი, მისივე ქათიბები, ჩექმები, დიბის კაბები, აურაცხელი სტავრა, ოქ-სინო და ხატაური ფარჩა...

სასახლის ბალიდან მუხოვანში გაიყვანა ბალათურმა შორენა და მისი მხლებ-ლები.

უჩვენა ის ადგილი, სადაც ნეკერსა სჭამდნენ ირმები.

ნაწვიმარი იყო და ახალ ნაკვალევს მიჰყვნენ ცხენოსნები.

უნაგირი მოჰქონდა ვილაც მწითურ მონასპას.

ჩიოდა:

ცხენი მომიკლაო მიწისძვრამ. თავლა ჩამოქცეულიყო, ზედ დასცემოდა პირუტყვს.

ირმების გამო ესა სთქვა მწითურმა:

იმ ველს გადახვალთ, წიფლნარს გაივლით, იმ წიფლნარის გადალმა ასი უტევანის მანძილზე დაარღვია მიწისძვრამ ქალაქის ზღუდენი, იქ გადავიდოდ-ნენო ირმები, უთუოდ.

შორენა იმედს არა ჰკარგავდა, ბალახს დანატრებულნი არიან ირმები, თუ სადმე წავუსწარით, ნებიერას მაინც უცილოდ დავიჭერთო.

მე არ გამექცევაო ნებიერა.

ქალაქის ზღუდე ბალავრიანად დაელეწნა მართლაც მიწისძვრას.

გასცდნენ თუ არა დარღვეულ გალავანს, შორენამ ცხენს მათრახი სტკეცა პირველად.

მშვილდოსან ეროსს მიაგავდა თავათ, სიყვარულის მაცთუნებელ ღმერთს.

არსაკიძეს ღიმილს ჰგვრიდა ირმების დაჭერისათვის ოცნებაც, ბინაურებია ირმები, მაგრამ თავისუფლებას რა იგემებენ, სიახლოეს არ გაგვიკარებენო.

მაინც უხაროდა საყვარლის გვერდით ჭენება ცხენისა.

ასე ფიქრობდა: გავივლით მცირეს, გულს გადავაყოლებთ, ორივეს შეიგ-ნებს უნაყოფობას დევნისას, დროზე შემოვიქცევითო უკან.

მცხეთა ჯერ კიდევ მოსჩანდა ცისკიდურზე, არსაკიძემ თავის საყვარელ ქმნილებას მიჰხედა და გაჰქუსლა ცხენი.

უხაროდა ორივენი, უძვირფასესნი, რომ გადაურჩნენ საშინელ სტიქიონს.

მეურმე შემოეყარათ ტყის პირად.

ნარეკვავისკენ გარბოდაო წყვილი ირემი.

ახლოს, ძლიერ ახლოს ჩაუარეს ურემს, ხნულები გადაიჯირითეს და მიჰ-ყვნენო, „ეჰე, იმ საურმე გზას.“

„ხარები თუ ფურები?“

ეკითხება ზნაურა.

„ერთი ფური და ერთიც ხარი, ბატონო.“

მიუგო მეურმემ.

ხნულებზე გადაიყვანეს არსაკიძემ და შორენამ ცხენები.

მიწა დათქერილი იყო, კვალი პირდაპირ მიდიოდა ჩრდილოეთისაკენ.

ხნულები მოთავდა, ნაურმალზე გადასდიეს ნატერფლებს.

ადამიანთა ნაჯაფარის იავარქმნა არც კი შეესმინა ბუნებას.

უკანა ფეხებზე დაცუცქულიყო კურდღელი, ქანდაკივით იდგა ველის პირ-ზე, თათს უცაცუნებდა იქვე მწოლარე ძუს.

ბრაწივით შეემართა ცალიც, ჰირუტყვული ენით ანიშნებდა: ტყისპირად წამო, ნეკერი მოვციცქნოთო მცირე.

ცხენების ფეხის ხმაზე დაფრთხნენ ორივენი.

მელიკუდის ზღვაში მიტოპავდნენ, მხოლოდ ოთხი ყური მოუჩანდათ მორ-ბენალთ.

ლანდებივით გამოეყვნენ მელიები კურდღლისფერ ჯაგებს, ძუ წინ გარბო-და. გაიცუნცულებდა მცირე მანძილს, მერმე შესდგებოდა, მოხედავდა ქმარს; უსიტყვო მზერით ეუბნებოდა: წამოჩანჩალდიო, ჩემო კაცო.

შორენა ნაურმალს აცქერდებოდა. ჯერ არც ურემს, არც საქონელს არ გადაეარა ზედ, ლარივით მისდევდნენ ირმის ჭლიკების ნატერფალნი შარას.

ახოში ქედნების გუნდი წამოიშალა, მუხოვანს მიაშურეს ფარფატით.

გნოლები ჯერ მელიკუდით დაფარულ მინდორზე გარბოდნენ, მერმე იგი-ნიც აფრინდნენ გუნდად, კაკბები კბოდეებისკენ გაჰქანდნენ, ხევში დაბერვილ ლოდებს შეეხიზნენ და ასტეხეს კრიახი, გუნდის მეთაურები ლოდებზე ადი-ოდნენ წინასწარ, ზვერავდნენ გარემოს, კაკანებდნენ, წყვილ-წყვილად მიჰყვე-ბოდნენ მზვერავებს.

მელიას, ძუს, შიში გადაავიწყა შიმშილმა. კორდზე შესდგა, დაფიქრდა ნერწყვმორეული.

კარგად არ იცოდა რა მოემოქმედნა?

გნოლებს გამოსდგომოდა, თუ ქარაფებიდან მოეარნა, ბალახში გატრუნუ-ლიყო და მოულოდნელად თავს დასხმოდა კაკბებს?

არსაკიძე ხედავდა, როგორ ნეტარებდნენ ბუნების წიაღში წყვილები, აქ არც ალერსი იყო დაშლილი და არც სიყვარული, ამ საფირონის ცის ქვეშ დაგებულია ფოთლების ფარჩა, წყვილად და ერთად ცხოვრობენ ეს საყვარელი ფრინველები და ნადირები.

ქვეყანა ვრცელია, ყველას თანაბრად ატფობს მზის თვალი, დედალსა და მამალს, ხვადსა და ძუს, ფურსა და ხარს.

ირმის ნაკვალევმა სავსებით ნორჩ ტყეში შეიყვანა მხედრები.

ტყე მეჩხერი იყო, აქაც აშკარად ამჩნევდნენ წყვილი ირემის ნაკვალევს.

არსაკიძე ასე ამბობდა: ალბათ, მესამე ნეკერს შეჰყვებოდაო რომელიმე ტყეში.

მხარმარცხნით მთებია, მხარმარჯვნით სოფლები, უთუოდ ამ გზას აირჩევდაო იგიც.

ნორჩი წიფლების წვეროკინები უზანგებამდის სწვდებოდა მხედრებს, ამ ტყესაც მისწვდენოდა დილანდელი წვიმა, ამიტომაც საწმერთული დაუსველდა შორენას.

არსაკიძე ნაღვლობდა: ეს საწმერთული, ხოხბისყელისფერი, ნეტავ არ ჩაგეცვაო ამ დილით.

„განა მე ვიცოდი, მიწა იძვრებოდა, ან ნებიერას დევნა მოგვიხდებოდა მე და შენ?“

„ნეტავ შენ გვერდით მატარა მუდამ, მიუწვდენელის საძებნადაც გადავიხვეწო ამ ქვეყნიდან თუნდაც.“

ეს უნდოდა ეპასუხნა უტას, მაგრამ ნაცვლად ამისა ეუბნება შორენას:

„როგორი უცნაურია ბუნება, ჩემო, ადამიანებს ჭერი დაგვექცა თავზე, აქ კი ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდნილა ზედმეტი.“

შორენამ არა მიუგო რა, იგი კვლავ ირმის ნაკვალევს უთვალთვალებდა.

არსაკიძემ კიდევ შეხედა, შესწითლებოდა ძველი სპილოს ძვლისფერი ღაწვები, ყაყაჩოსავით შეფაკლოდა პატარა, მშვენიერი ყურები.

წიფლნარიდან გავიდნენ თუ არა, პირველად შორენამ მოჰკრა თვალი: ახოში სძოვდნენ ხარი და ფური. ლომისფერი ნებიერა იცნო პატრონმა და ადგილიდან მოსწყვიტა ანაზდად ცხენი.

შემოესმათ თუ არა ცხენების თქარუნი, თავი ააღირა ორივემ, ფური და ხარი გაჭენდნენ წყვილად.

არსაკიძემ წინასწარ იცოდა, თუნდაც ტრამალზედაც, სავსებით ამაო იყო მათი დევნა ცხენდაცხენ, არც მისძალებია თავდაპირველად ცხენს, ამიტომაც მის ულაყს გაასწრო შორენას იაბომ.

როცა ასიოდე უტევანის მანძილზე წამოეწიენ ცხენოსნები, კეკლუცად მოიღერა ლომისფერმა ნებიერამ ყელი, მკერდი შეუშვირა ჰაერის ქროლვას, ხარმა ზურგზე გადაიწყო ქორბუდიანი რქები და თვალისმომჭრელი სისწრაფით გაქანდნენ წყვილად, თითქოს ეროსი ჩასვლოდათ გვამში.

არსაკიძეს უცნაური აღტაცება მოჰგვარა ამ საოცარმა სანახაობამ, ალბათ, გიორგი მეფის საჩიხეში თვალი დაუდგამს ფურისთვის ხარს, ახლა იდროვა, გაიტაცაო მიჯნურმა მიჯნური.

თავათაც უყივლა ცხენს, თავათაც გამოუდგა წინ მიმქროლავ საყვარელს.

ველი მოთავდა, ხნულები დაიწყო, ცხენებს უჭირდათ ხნულში ჭენება. არსაკიძე თრთოდა, ეშინოდა: შორენას ცხენს ფეხი არ ჩავარდნოდა ასარწყავ რუში თუნდაც. ეეფერებოდა ერისთავის ქალს, ამაოდ მივსდევთო ირმებს.

ყამირიც მოთავდა, ახლა ჯაგნარი დაიწყო, ხრამმა გადაუჭრა ცხენოსნებს გზა.

შეეფერა არსაკიძე, გავბრუნდეთო მცხეთაში.

სამსჭვალივით გულზე მოხვდა ვაჟის ნათქვამი დიაცს.

„მცხეთაში მიგეჩქარება?

როდის მოათავებ მაგ შენს სვეტიცხოველს, როგორც ვატყობ, მეორედ მოსვლა მოუსწრებს მის დასრულებას.“

ვაჟი მიხვდა: იჭვნეულობდა დიაცი.

უნებლიედ იცრუა: არა, საქმე არაფერი მაქვს ბევრი, მაგრამ ამაოდ დავშვრებითო მაგ ირმების დევნით.

შორენამ ცხენი შეაყენა, უკან მოიხედა. აღარსად სჩანდა ზნაურა.

ბოლოს დაინახეს შორიდან, ახლა გამოვიდა იგი ტყიდან, ძლივს მობობლავდა დიაკონი ველზე.

„იცი, უტა, შენ ნუ მოსცდები საქმეს, თუ გინდა დაბრუნდი, მე და ზნაურა ვივლით ასე მცირე ხანს, ეგერ რომ ტყე სჩანს, იმის გადალმაც თუ ველარ ვნახეთ სადმე, გამოვბრუნდებით“.

იწყინა არსაკიძემ:

„როგორა გგონია, ჩემო, ამ ტყეში მიგატოვებ და მარტო წავალ შინ?“

„მეც შენსავით მუდამ შეუძლებელსა და მიუღწეველს მივეტრფოდი ჩემს სიცოცხლეში, უტა, შორიელი მუდამ უფრო სანუკველია, ვიდრე მახლობელი, ის, რაც ხელზე ახლია, მუდამ მოსაწყენია თურმე.

დღენიადაგ ხარაჩოებზე დაბობლავ, მოდი, ეს დღე ჩემთვის დაკარგე, უტა, მე ისეთი გრძნობა მაქვს და ისეთი სიზმრები... ხათუთას ცუდად ჰქონია ეს სიზმრები მინიშნებული...

ველს რომ დავინახავ, გზას რომ დავხედავ, უცნაური მღელვარება შემიპყრობს, მინდა ვიარო, ცისკიდურიდან ცისკიდურამდის ვიარო და აღარ მოვბრუნდე ჩემს სამყოფლოში არასდროს.“

„შენთვის ერთ დღეს კი არა, მთელ ჩემს სიცოცხლეს დავლევ თუ გინდა, შე სანატრელო.

სვეტიცხოველი მოვათავე გუშინწინ, ახლა „სიზმარი“ უნდა დავასრულო როგორმე.“

ეს უნდოდა ეთქვა არსაკიძეს, მაგრამ მოერიდა, ქალაჩუნობად ჩამომართმევსო, ამიტომაც აგრე უთხრა:

„ერთი დღე? შესაძლოა შენთვის მთელი სიცოცხლეც შევაგდო სასწორზე, მაგრამ“...

„მაგრამ, რაო?“

ჩაჰკითხავდა ქალი.

„მაგრამ არიან ისეთი სიტყვებიც, რომელნიც გამოთქმისაგან შეიბღალებიან ხოლმე. მხოლოდ იმ სიტყვასა აქვს წონა, რომელთაც საქმე მოჰყვება და მსხვერპლი. უმსხვერპლო სიტყვა ისევე ამაოა, როგორც უსურნელო ყვავილი, უნათლო შუქი, გინა სიტფოს მოკლებული მზეი.“

მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდნენ, მერმე ისევ ქალმა დასძრა სიტყვა:

„მე ასე მგონია, უტა, ნებიერას რომ დავენახე, არ გამექცეოდა. ჩემი ბრალია, ცხენი არ გამეჭენებია, ისე მივახლოვებოდი, დავიჭერდი

ტყის ინდოურები ჯეჯილებიდან ადგნენ. არსაკიძემ ისარი ესროლა, მეწინავე ინდოური შეტორტმანდა ჰაერში, დაეცა მიწაზე, ზნაურამ აიყვანა ჯერაც ცოცხალი, თასმით მიიბა ქამარზე.

შეჯდა ისევე ცხენზე, ფართხალებდა ინდოური საწყალობლად. ისედაც უცნაური ანაგობა ჰქონდა ზნაურას, თავზე ფხოვური ფაფახი ეხურა, ქორის ბუდისებრ გაბურძგვნილი, წელზე შებმული ნასხვისარი ხმალი მუხლამდის უწევდა ცხენს, პირუკუშებრუნებული ჯუბაჩა ეცვა ტყავისა, გაწეწილი და დაფხრეწილი. ახლა, როცა ეს ინდოურიც წელზე მიიბა, შორენამ და კონსტანტინემ ველარ შეიკავეს ღიმი.

წამოეწიათ ზნაურა, უჩივოდა თავის ცხენს, გამიოჩნდაო ეს სამგლე.

სვავები წამოიშალნენ დათვის მიერ გაგლეჯილი ძროხის ლეშიდან, მახლობელი მუხიდან ყვავები უთვალთვალებდნენ მათ, ჯერაც არ ჩაევლოთ ცხენოსნებს, ისე დაასხდნენ ისინი ლეშს.

ზნაურამ სულ ახლოს ჩაუარა მათ, არც შეპუებიან დიაკონს, არხეინად განაგრძეს **თავხედებმა საუზმე.**

მოთავდა ფურცლოვანი.

ჯაგები.

ბარდები.

ველი. ისევ ალმართები, ქარაფები და უფსკრულები, ისევე ველი...

ხარირემი ბლავოდა სადღაც.

სვავები სერავდნენ ცას.

წიწვიანი ტყე დაიწყო. აღარ ისმოდა ირმის ბლავილი. მხოლოდ გულყვითელა წივოდა საწყალობლად. დედალი სატრფიალოდ უხმობდა მამალს, რადგან დუმილში გარინდულ ბუნებას მთლად გადავიწყნოდა, რომ მიწა შეირყა ორსამჯერ, ადამიანები სადღაც სტიროდნენ, ზოგს ჟამი აწუხებდა, ზოგს მიწისძვრა, **ხოლო ზოგსაც მოსალოდნელი სიმძიმილი სიყვარულისა.**

ცხენები ერთად მიდიოდნენ სავსებით მდუმარე ტყეში, გულწითელა იძახოდა მხოლოდ. გახედა არსაკიძემ დიაკს, სისხლი აემღვრა, უნდოდა უფრო მჭიდროდ მიახლებოდა საყვარელს, თავი გადმოეწია მისთვის და ეკოცნა ყვრიმალში, ველის ყაყაჩოსავით შეწითლებულ, პატარა ყურს ქვემოდ, მაგრამ შტოების ლიწინი მოისმა. ეს დიაკონი მოფოხრიკობდა თავისი ჯაგლაგა ცხენით.

არსაკიძემ ცხენი შეაყენა, მშვილდს წაეპოტინა. ნაყოფით დახუნძულ პანტაზე ადამიანივით შემდგარიყო ორ ფეხზე დათვი.

წინა თათით ხეს მოსჭიდებოდა, ცალითაც ტოტებს ბერტყავდა, იღეჭებოდა თავათაც.

პანტის ხის ქვეშ ბელები ძიძგნიდნენ პანტას.

მხედრები რა დაინახა, ძირს ჩამოვარდა, აიყოლია ბელები, უკმაყოფილო ბლავილით ქარაფიდან გადაიხვეწა;

სხვებიც ალმოჩნდნენ მახლობელ ხეებზე, ისინი უარესად აბურდღუნდნენ და გადაეშვნენ კბოდეებიდან.

ტყე გაიარეს, კვლავ ველს გადახედეს მხედრებმა.

ხევს გადალმა გორმახები იყო, მათ გადალმა მთები, მთებს გადალმა მწვერვალები, კავკასიონის მწვერვალები ერთობლივად შაბიამანის ფერისცვალებ.

მიჭრიალებდნენ ურმები, ბავშვის კუბო მიჰქონდათ სამი, სოფელში ორიოდე ქვითკირი დაენგრია მიწისძვრას, ეკლესიის გუმბათი ეგდო მიწაზე.

სვეტიცხოველი გაახსენდა არსაკიძეს, გამარჯვებული გოლიათი, ტაძართაგანი.

ტბას ჩაუარეს ველზე მთვლემარეს, კაშკაშებდა მარტოხელა მზის თვალი მასში, იხვებისა და ბატების ფრთების ბარტყუნი ისმოდა, როგორც ერთობლივი ტაში. ასე ეგონა არსაკიძეს: ბუნება ტაშს უკრავსო საყვარლის მომტაცებელ ხარირემს.

წამოიშალნენ ჭაობის ფრინველები, დასავლეთისაკენ დაფარეს ცისკიდე სრულად.

კვალი დაიკარგა ამ ტბასთან, ახლა ირმის ბღავილი მოისმოდა ჩრდილოეთიდან.

„ნებიერაა“.

ამბობს შორენა.

„ირმის მყვირალობა დაწყებულია, ალბათ, ამ მთებში ირემი სხვაც ბევრი იქნება, ჩემო.“

თოხარიკზე გადაიყვანეს ცხენები.

ბალღივით ხარობდა შორენა.

„შენ ხომ დააკვირდი იმ სოფელს, ამ ზეგანებზე ნაკლებად უვნია მიწისძვრას ხალხისთვის.“

ეუბნება კონსტანტინე შორენას.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ნაღვლიანად ამბობს დიაცი:

„ფხოვში თუ იყო ნეტავ? ვინ იცის, რა დღეშია საცოდავი მამაი?“

ალმართი მოათავეს, ზეგანზე გავიდნენ ოფლში გალვარული, აქშინებული ცხენები.

ჯვარედინ გზას მიადგნენ ბოლოს. მზეს გადაესწრო მწვერვალს გადალმა, აფახულებდა სპილენძისფერ წამწამებს.

დაწინაურდა ზნაურა.

მხარმარცხნისაკენ გაიშვირა ხელი.

ამბობს:

„ოვსთა სოფლებია აქეთკენ.“

მხარმარცხნისაკენ აჩვენებს შორენას:

„ფხოვის გზა ეგაა, ერისთავის ასულო.“

„ჩრდილოეთისაკენ?“

შეეკითხა არსაკიძე.

„ქორსატეველას ციხისაკენ მიდის ეს ურმის გზა პირდაპირ.“

მერმე ხელი მიიჩრდილა დიაკონმა თვალებზე.

„ეჰე, იმ მთაზე დაყორებულ ღრუბლების ქვემოდ ციხე მოსჩანს, ოთხგოდოლიანი.

სწორედ ეგაა ქორსატეველას ციხე.“

ქორსატეველას ხსენებაზე გული აემღვრა შორენას. თავადაც მიეჩრდილა შუბლზე ხელი და გაჰხედა ციხეს. მერმე მარჯვნისაკენ შეაბრუნა ცხენი, მხარმარცხნისაკენ მიმავალ ურმის გზას გახედა არსაკიძემ.

„აქეთკენ ატყვია ირმის ნაკვალევი გზას.“

ეუბნება ღიმილით.

გამოაბრუნა დიაცმა ცხენი.

„მე შენისთანა მონადირე ვერა ვარ, უტა, მაგრამ ირმის ნაჭლიკარს ხარის ნატერფალიდან კიდევ გავარჩევ როგორმე.“

„რამდენი მანძილი დაგვრჩა ახლა ფხოვამდის?“

იკითხა არსაკიძემ.

„სულ ახლოა, ბატონო, ამ მთის ცხვირს შემოვუვლით ჩრდილოეთიდან, მერმე ხევ-ხევ ვივლით მცირეს, მთას გადავლახავთ ერთს, შავ არაგვს მივუყვებით და ორ ბოძალ გზაზე პირველი გოდოლი იქნება ფხოვისა.“

ესა სთქვა დიაკონმა და ექვსი ცხენოსანი მოადგა ჯვარედინა გზას მხარმარცხნიდან.

აქელებულნი ქშინავდნენ ოფლში გაღვარულნი. თორიანი, ქოსა ვაჟკაცი მოუძღოდა მხედრებს.

ტახის ეშვივით წვეტიან ღოჯებს ორგზის გაეპო ზემო ჩარბი, უფრო ნადირს მიაგავდა ეს თვალებდაკარკლული ქოსა, ვიდრე კაცთაგანს.

შორენას უსიამოდ გააჟრჟოლა მის დანახვაზე, იცნო: ბოქაი, ჭიაბერის ძუძუმტე და ხუთივე ძმა მისი: აზარაი, გაბიდაი, ზაზაი, ჯიბრედაი და ცცოი.

შორენას მიაშტერა ბოქაიამ თვალები, ცხენი შეაყენა და დანარჩენებს უყურა რაღაც. ქალმა მკაფიოდ გაიგონა ჭიაბერის სახელი ამ წუთში.

ამასობაში მხარმარჯვნივ მიმავალ ფხოვის გზას დაადგნენ შორენა და მისი მხლებლები.

კარგა ხანს იდგნენ გზაჯვარედინზე მხედრები, მათი ჯაჯღანი ესმოდა შორენას.

ახლა არსაკიძემაც მოჰკრა ყური: ჭიაბერს ახსენებდნენ ისინი ხშირად. ყველაზე ხმამაღლა ბოქაი როხროხობდა, უწყრებოდა უმცროს ძმებს რატომღაც.

ბოლოს ერთობლივად სტკეცეს მათრახი ცხენებს და ჭენებით მიაშურეს ქორსატეველას ციხეს.

* *

წყენის ჩრდილმა გადაირბინა შორენას სახეზე, არსაკიძემ მიზეზი ჰკითხა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი მოწყენისა არ ამცნო, რადგან არ უნდოდა ჭიაბერის ხსენება კვლავ.

კონსტანტინე მდუმარედ მისდევდა გვერდით, ახლა მასაც მოაგონდა ეშვებიანი ბოქაი და მისი ძმები, ჭიაბერის ტირილზე ნახულნი.

საჭოჭმანო ეგ იყო: რაინდთა წესისამებრ არ მისალმებიან იგინი შორენასა და მის მხლებლებს, რატომღაც.

შორენას ცხენი დაწინაურებულიყო, არსაკიძემ დეზი ჰკრა თავის ულაყს, წამოეწია, ეუბნება ალერსიანად:

„იცი, შორენა, მე მაინც არ გირჩევდი კვეტარის ციხეში ამჟამად ჩასვლას. შენ ხომ აღკვეთილი გაქვს მეფისაგან ფხოვს ჩასვლა.“

„განა მარტო მე? შენც აღკვეთილი გაქვს ფხოვს ჩასვლა, უტა, მაგრამ შენ პირველ გოდოლამდის მიმაცილებ, მერმე მე და ზნაურაი ვივლით მარტონი, მთვარიანი ღამე იქნება, ალბათ, რა გვიშავს?

შენ რომ გულისხმობ, ის საფრთხე უკვე განვლილია, უტა, ასე რომ მამას ვინახულებ და ზეგვე გავბრუნდები მცხეთას.“

„რომელი საფრთხე, შორენა?“

„ზნაურამ ჩამოგვიტანა ამბავი, შენი იჭვები ზედმიწევნით სწორი აღმოჩნდა. ხევისბერები გადაუდგნენ მამას. ვგონებ ეს მისი ბრალია, მამას არ უნდოდა მამამზესთან შერიგება, ხოლო ხევისბერები ამას მიელტვოდნენ სწორედ, საერთო ძალით გავტეხოთო მეფე გიორგი.

მე მაშინაც ვხედავდი ამ საფრთხეს, მაგრამ სიტყვა მქონდა მიცემული. ჭირის გაჩენის შემდეგ, მცხეთის ციხეები რომ არ ჩაეკეტათ, უთუოდ ჩავიდოდი ფხოვს.“

შორენა დადუმდა და არსაკიძემ სიტყვა ჩაურთო.

„ასეა, ჩემო, ურმით დადის ბედისწერა ამ ქვეყნად, რაც უნდა ჩქარა ირბინო, მაინც წამოგვეწევა ბოლოს.“

„ეგეც სწორია, უტა, ურმით დადის ბედისწერა თურმე, მეც გადავწყვიტე შევურიგდე განგების ნებას.

მცირე იმედი მაინც ჭიატობს სადღაც. გირშელი მთავართა სანათლოის რწყილებმა გააქციეს, ეგებ გიორგი მეფეს თავზე ჩამოენგრა პალატები უფლისციხეში გუშინ.

დროული კაცებისაგან გამიგონია: სარკინოზებთან ომის დროს დაქცეულაო უფლისციხის სასახლე ერთხელ.“

გული მოუკლა არსაკიძეს ამ სიტყვებმა.

ისე საწყალობელი და უმწეო სჩანდა შორენა ამ წუთში, ერთი გაიფიქრა: წავყვები კვეტარში, მთაში გადავმალავ მცირე ხანს, მერმე ლაზისტანში გადავიყვანო ჩუმად, მაგრამ გაახსენდა გიორგისათვის მიცემული ვაჟკაცური სიტყვა, სვეტიცხოველიც დაუმთავრებელი იყო და როგორც ქინაქინის შესმისას შეძაგძაგდება ციებით სნეული, ისე შეირხა ცხენზე და დეზი ჰკრა მას, რათა თავიდან მოეცილებინა ეს საშინელი ფიქრი.

მდუმარედ მიჰყვებოდა არსაკიძე დამრეცილ ბილიკებს და ნატრობდა ვაჟკაცობას ხარირემისას.

XLVIII

ხუთივე მხედარი დაუცხრომლად მიაჭენებდა ქორსატეველას ციხისაკენ ცხენებს. როცა ვიწროებს შეუდგნენ, ძლიერ გასჭირდა სწრაფად სვლა, ქორწილზე ეჩქარებოდათ ჭიაბერის ძუძუმტეებს, მაგრამ ქორწილზე მეტად სხვა რამესაც მიესწრაფოდა ბოქაი, ამიტომაც არ ზოგავდა თავის ფეხკავშა ულაყს.

ძმათა შორის ახალგაზრდებს ქეიფი უფრო ახალისებდათ, ტოხაისძისა და კატაის ქორწილში ქეიფი, რადგან კარგი მომღერლები იყვნენ, ხოლო ცცოი, ყველაზე უმცროსი ძმებში, ჩინებულად უკრავდა ქნარს და საკუთარ შაირებს ზედ ამღერებდა ტკბილად.

ამიტომაც ისრის მისაწვდენზე მისდევდნენ უმცროსები უფროს ძმას. ყველაზე ბოლოს ცცოი მიაფუნდურებდა თავის იორღა ცხენს.

როცა ქედფიცხელმა ბოქაიმ ცხენი მიაგდო პირველ გოდოლზე, გუშაგებმა ციხის კარი გაუღეს, ჩამოხტა ბოქაი მარდად, აკლობით წავიდა თავადი ციხისკენ.

ხუროვენი მის მაგალითს მიჰყვნენ. ოვინიც ოდნავ კოჭლობდნენ სიარულის დროს, რადგან ხანგრძლივ ჭენებას ცხენისას ბარძაყები დაებეჟა მათთვისაც.

ეზოში კოცონები ენთო, მთლიანი ხარები, დეკეულები და ხბოები შეეფიცხებინათ ზედ, თავშიშველა მონები ატრიალებდნენ შამფურებს, კისერს ილრეჯდნენ, ათვალიერებდნენ ციხის ეზოში შემოსულ ოვსებს.

თავადი-ციხის კიბიდან ტოხაისძე ჩამოვიდა სწრაფად, მიეჭრა ბოქაის, მარჯვენა მხარეზე აკოცა, მერმე დანარჩენ ხუთ ვაჟკაცსაც ასევე მიესალმა.

ბოქაიმ ნეკერჩხლის ქვეშ გაიხმო ტოხაისძე.

სამზერიდან ხედავდა კატაი თუ როგორ დაცუცქდნენ ორივენი ხის ძირას და იდუმალის გამომეტყველებით ეჩურჩულებოდნენ ურთიერთს დიდხანს.

ისევ ამოვიდა კიბეზე სიძე, ახლა მამამზე ჩამოიყვანა ძირს.

მასაც აკოცა მარჯვენა მხარეზე ბოქაიმ, უზარმაზარი მკლავებით დასწვდა მახლობლად გდებულ ლოდს, მიუჭირვებლად აიღო და ნეკერჩხლის ქვეშ დააგდო.

ლოდზე წამოჯდა მამამზე, ბოქაი და ტოხაისძე ისევ დაცუცქდნენ მიწაზე და განაგრძეს ჩურჩული.

„მარტო დიაკვანი ახლდა, ზნაურაი?“

ხმამაღლა შეეკითხა მამამზე ბოქაის.

„არა, ერთი ვაჟიც ფხოვურად ჩაცმული.“

„შავგვრემანი?“

„არა, ქერა, მე ვიტყოდი, მწითური.“

„მაღალი?“

„არა, საშუალო ტანისა.“

„არსაკიძე იქნება, ალბათ.“

შენიშნა მამამზემ.

„ჩოფურა, არა?“

იკითხა ტოხაისძემ.

ეს დაადასტურა ბოქაიმ.

„არსაკიძეა უთუოდ.“

დასძინა ტოხაისძემ.

„შეკოჭეთ და აქ მომგვარეთ სამივენი.

ასე ამბობენ: თავის ძუძუმტეს ყვარობსო კოლონკელიძის ქალი. მე მაგას ვუჩვენებ, როგორი გლოვა ეკადრებოდა ჭიაბერის საცოლეს.

ისეთ დილეგში ჩავაგდებ, სანატრელი გაუხდეს მზის შუქი.“

მტკიცედ სთქვა მამამზემ.

„მეფე გიორგი?..“

იკითხა როყიოდ ბოქაიმ.

„იცი, ჩემო ბოქაი, მე ასე მჩვევოდა ომებში: მუდამ უნდა ეცადო შენ პირველი ეძგერო მტერს.

სულ ერთია კატაისა და ტოხაისძის შეუღლებას არ გვაპატიებს მეფე გიორგი. გარდა ამისა, ეს საბაბი იქნება, ჭიაბერის სისხლის ასაღები საბაბი."

ესა სთქვა და ტოხაისძეს გადახედა მამამზემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XLIX

შავი არაგვი შორს იყო ჯერაც. ზნაურას ცხენი დავარდა სავსებით. ფეხდაფეხ მისდევდა მხედარი, სახრეს უშენდა, ლანძღავდა პირუტყვს.

ბევრს ეცადა არსაკიძე, მაგრამ უგუნებობა ვერ გადაჭყარა შორენას, რაც უფრო აბლოს მიიწევდნენ ფხოვის მიწისკენ, უფრო მოუთმენელი ხდებოდა იგი.

დიაკონი და მისი ჯაგლაგა ცხენი ფრიად აყოვნებდნენ მგზავრობას. სიკვდილს ებრძოდა თავქვე დაკიდული ინდოური, მოეშვებოდა ფეხებზე შებმული თასმა, დაყუნცდებოდა დიაკონი, ახლა ინდოურს დაუწყებდა გინებას. ისევ შეიბამდა წელზე, კვლავ ცხენს დაუშენდა სახრეს.

ცხენს შეაყენებდა შორენა, მოხედავდა ზნაურას, ზნაურას კი არა, გზას.

ერთხელ ასეთი რამეც უთხრა არსაკიძეს: მოდი, ზნაურა დავტოვოთ, ჩვენ ორთა ვიაროთო სწრაფად.

გზა არ იცოდა არც ერთმა, კითხვა-კითხვით სვლას ისევ დიაკონთან ერთად სიარული არჩიეს.

მთის ცხვირს ჩრდილოდან შემოუარეს, მაგრამ გზა აღარ იყო უკვე, ხევ-ხევ უნდა ეარნათ, რადგან წყალს წაეღო გზა, ხოლო ხევი ისე დახერგილი იყო ლოდებით, ცხენებს მუცლამდი სწვდებოდნენ ისინი.

ხევი მოათავეს, ახლა უფსკრულების შემრეცილ კიდეებს მიჰყვა ბილიკი, მხარმარცხნით მთელი იყო, მხარმარჯვნით ქარაფები, ხოლო ქარაფებს გადაღმა დეკათი მოფენილი ტაფობი მისდევდა ბილიკებს.

შორენასა და არსაკიძესაც ტაატით მიჰყავდათ დალმართში ცხენები.

„გახსოვს, უტა, ტყეში რომ შემოგვაღამდა ერთხელ, ორი დიდოელი თავს დაგვესხა, მე გატაცება მომინდომეს, შენ ხმალი გააშიშვლე, ერთი დასჩეხე, ხოლო მეორე ქარაფიდან გადაიხვეწა. ახლა რომ თავს დაგვესხას ვინმე, ნეტავ შენ რას იზამ, უტა?"

„მე ამის პასუხი მომიცია შენთვის. არ მიყვარს ქადილი, ჩემო."

სწორედ ამ დროს გაიხშუილა მათრახმა და ყვირილი შემოესმათ უკან.

ზნაურა შეესვათ ცხენზე, ორი მხედარი უკან მოჰყვებოდა, მათრახს უშენდნენ ხან ცხენსა და ხან კაცს.

ცხენი შემოაბრუნა არსაკიძემ, მშვილდი ჩამოიღო მხრიდან.

წინ გადაუდგა შემობრუნებულ მხედარს ბოქაი.

ხმისამოუღებლად უყივლა:

დაგვნებდიო!

როცა არსაკიძის მიერ გასროლილი ისარი თვალის უპეში მოხვდა, ჩამოუკროლა, ხმალი ააცდინა და დაუჭრა ცხენი.

გზა ვიწრო იყო, ძლივს იკავებდნენ დუჟმორეულ ულაყებს.

ზნაურა და მისი ჭაკიც გაჩხირულიყვნენ ზედ, ამიტომაც სწრაფად ვერ შემოუტიეს დანარჩენებმა.

შორენამ ისარი მიაყოლა ბოქაის, იგი უკვე უნაგირიდან გადმოკიდებულიყო, მიჰქროდა ცხენი, ხელებით მიფოცხავდა პატრონი მტვერს.

არსაკიძე გადმოხტა, იფარა ცხენი.

ორმა ძმამ ჩამოუქროლეს, უმარჯვოდ მოუქნიეს ხმალი, ცხენი მოუკლეს, დასჭყიტლეს, უკან გამოუდგნენ ბოქაის. ორსაც ზნაურა ებღაუჭებოდა; კეტივით იქნევდა დიაკონი ხმალს.

შორენამ აზარაის დაატაკა მკერდულით ცხენი, რაინდი მოერიდა დიაკონთან შებმას, არსაკიძეს გადაუქნია ხმალი, თავისი დაახვედრა ბარძაყში დაჭრილმა, მაჯის ქვემოთ წააცალა ხმლიანი მარჯვენა.

ახლა ზაზაის გადაუდგა კოლონკელიძის ასული ცხენდაცხენ, მკლავში სტაცა ვაჟკაცმა ხელი, ორივეს დაუფრთხა ცხენები, არსაკიძეს ჩამოუქროლა ოვსმა, ხმალი დააცდინა, ვერც ცხენი შეიკავა დროზე.

ზნაურაიმ იდროვა ამ აურზაურით, ხელიდან გაუძვრა ცცოის და მიჰყვა ჭენებით შორენას.

ხმალშემართული წამოვიდა ცცოი, ხმალი შეაგება ლაზმა, მაგრამ ასხლეტილი მახვილი მაინც მოხვდა მარცხენა მხარზე, შეჰქანდა, გადაეშვა ქარაფიდან უფსკრულში.

ცხენი შემოაბრუნა ცცოიმ, დასჭყივლა მჭახედ, გადმოხტა, მაგრამ ვერსად მიაბა, ბოლოს მოისაზრა: მოკლულის აღვირზე დაემაგრებინა.

კბოდედან ძირს ჩასვლა დაეზარა, თანაც შეებრალა დაკოდილი ვაჟკაცი, ისევ შემოახტა ცხენს და გაჰყვა დანარჩენ ძმებს.

დიდხანს იკოტრიალა ორგზის დაჭრილმა თავდალმართში, დეკის კლერტოებს ებღაუჭებოდა, მიგორავდა უფსკრულისაკენ, უვნებლად მიაღწია ხევს, მცირე ხანს იწვა გატრუნული, გრძნობდა თუ როგორ სდიოდა სისხლი.

ბოლოს წამოდგა არსაკიძე გაოგნებული. ცალი ხელით ჩოხა შეიხსნა, პერანგი გაიძრო. ხმლით დაჰკეპა იგი, მხარი და ბარძაყი შეიხვია ძლივს.

ხმალს დაბჯენილი ამოფორთხდა გზის პირად. ყური მიუგდო ჩქამს, ადამიანის ჭაჭანება არსაიდან ისმოდა, მხოლოდ ჩხიკვები უხმობდნენ სალამოს, როგორ წიოდა საწყალობლად დეკაში.

ასე ფიქრობდა კონსტანტინე:

სადმე გადავაწყდებიო ცხენოსნებს, შევაკვდებიო მტერს.

ზნაურას ქუდი და მკვდარი ინდოური ეგდო ბილიკზე. გაუელიათო, იფიქრა, ისევ გამობრუნდა უკან.

მიდიოდა ხმალს დაბჯენილი, მიკელანობდა, იცლებოდა სისხლისაგან, სისხლმოწყურებული.

ცხენების თქარუნი შემოესმა ანაზდად.

კუნელის ბუჩქები შენიშნა ქარაფის კიდეზე, გაინაბა, ხმალშემართული უცდიდა მტერს.

მწუხრი ეშვებოდა მთების უბეებში, დასავლეთისაკენ ელავდნენ ღრუბლები.

სამი მხედარი ჩამოდიოდა დალმართში, ორი ცხენი თან მოჰყავდათ მარჭაფად.

დააცქერდა: შუბოსნები ალმოჩნდნენ.

ოვსები არ უნდა ყოფილიყვნენ ეგენი, ჰოროლები თან არა ჰქონიათ ბოქაისა და მის ძმებს.

ქართული ლაპარაკი შემოესმა ჩასაფრულს.

ხმალს ზედ დაეყრდნო, წინ გადაუდგა მხედრებს.

ჰკითხავდა: სხვა ცხენოსნები ხომ არ შეგხვედრიათო გზაზე?

ხევს გადაღმა ვნახეთ ცხენოსნები, ქორსატეველასკენ მიდიოდნენ ტაატით.

სამი რაინდი მიათრევდა მკვდარს. ერთ შეცხადებულ დიაცს ძლივს ამაგრებდა ორი.

მელოტი ბერიკაცი უკან მისდევდაო უქუდო.

შუბოსნები ლარგვისის ციხისთავის წარგზავნილები აღმოჩნდნენ.

როგორც კი გაიგეს, მძიმედ დაუჭრიათო ხუროთმოძღვარი მეფისა, ცხენზე შესვეს და მცხეთისაკენ გააქროლეს დაუყოვნებლივ.

L

„მახვილო,
მახვილო, აღდეგ, რათა ელვიდე ხილვასა შენსა
ამაოსა და მისნობასა შენსა ცრუსა.“

მეფე გიორგი სავსებით მოულოდნელად ჩამობრუნდა სამშაბათს მცხეთაში. ზვიადმა საკაცით მოაყვანინა სასახლეში ხუროთმოძღვარი მეფისა, წვრილად გამოჰკითხეს მას ყოველივე.

ცხადი იყო, ეს გამომწვევი თავხედობა მამამზე ერისთავისა, ომის საბაბის ძიება იყო მხოლოდ.

იმ დილითვე აფრინეს მალემსრბოლი ყველისციხის პატრონთან.

საღამოს დარბაზისერნი აწვია მეფემ. ერთხმად გადაწყდა: ერთი კვირიაკეს მოქცევის შემდეგ ლაშქარი წარეგზავნათ. ბალავრიანად ისე დაეოღვიათ ქორსატეველას ციხე, მესახსოვრეც არ დარჩენილიყო მამამზის ოჯახიდან.

რაღაც ბედად, შავი ჭირი მოეშვა ხალხს.

მეორე დღეს ახალი ცნობები მოიტანეს ზვიადის მსტოვარებმა: მუროჩი ქალუნდაური და ხუთი ხევისბერი მამამზეს მიმხრობოდა, მხოლოდ უშიშა ღუდუშაური შერჩენოდა კვეტარის ერისთავს.

ასე რომ მარტოოდენ წანარნი და ოვსნი როდი უწევდნენ თანადგომას მამამზეს, არამედ ფხოვის ხევისბერები და მათი ლაშქარიც.

ციხოვანსა და უციხო აზნაურებს წანართა მხარისას, ქორსატეველას ბასტიონში გაეხიზნა დედა-წულნი, საცხოვარი და ხვასტაგი. ციხესთან მისასვლელი „ვიწროები“ გაემაგრებინათ, კოლონკელიძის ასული და დიაკონი ზნაურა დილეგში ჩაეგდოთ, ხოლო შორენას საწმერთული, ხოხბისყელისფერი, თავადი-ციხის ზეთავზე დაეკიდნა ტოხაისძეს.

ხელახლა შეემუსრათ მონასტრები და ეკლესიები, ცხენის ძუაზე გამოებათ მღვდლები.

იმავე დღეს გზირები წარგზავნა ზვიადმა მთაში. ჩრდილოდან უნდა მოეარნათ ქორსატეველას ციხისათვის, მამამზეს წარსდგომოდნენ, „ვითარცა კალატოზნი საშოვარის მაძიებელნი“, რადგან იცოდა გიორგიმ, სწორედ ხელოსნები სჭიროდა იმჟამად ერისთავს, ციხეების შემკეთებელნი.

უშიშარაისძეს, პიპას, ერთი ქისა ოქრო გაატანეს, დაავალეს: ოქროლიმე გოდოლის კლიტენი ჩაეგდო როგორმე ხელში.

შაფათ დილას კახაი მოვიდა ლაშქარითურთ, სამცხის ჯარების პატრონი. ხოლო ნაშუადღევს გირშელმა მოაწია. ათასი რჩეული მოისარი თან ახლდა ერისთავს, ორი ათასი შუბოსანი, შავშეთელნი, მხოლოდ მიმწუხრზე შემოვიდნენ მცხეთაში დაფდაფების ცემით.

მეორე დღეს უთენია გავიდნენ ჯარები.

სეფე დროშა წარუძღვანეს ლაშქარს, დროშას ჯვარისმტვირთველი და მთავარეპისკოფოსი მიჰყვებოდა თოროსან ცხენზე შემჯდარი, თავათაც თორი ეცვა რაჟდენს.

გირშელი მემარჯვენე ლაშქარს უსარდლეს, სამცხის ჯარებს კახაი, ხოლო მემარცხენეს, ზვიად სპასალარი.

მეფე მოგვიანებით გავიდა მცხეთიდან, აფხაზ მოისართა ერთი ათასეული, ექვსასი შუბოსანი ქართველი და ლოდსატყორცნები უკან მიჰყვებოდა მეფის ამალას.

თავის ოქროსფერ ულაყზე იჯდა გიორგი, ბაგრატეული მუზარადი ეხურა, ოქროცურვილი, სალმასურის თორი ეცვა ვერცხლისა.

გირშელი დაუზოგავად მიერეკებოდა ჯარებს, იხოცებოდნენ ქუშამომჯდარი ცხენები, ყველისციხის პატრონმა გადაასწრო ზვიადისა და კახაის ათასეულებს.

ბინდდებოდა, როცა ქორსატეველას ციხე გამოჩნდა. ოთხი მზირი შეამოეგება ერისთავის ლაშქარს.

უშიშარაისძე პიპა და სამი მსტოვარი კალატოზებად აეყვანა ტოხაისძეს, მიწისძვრისაგან დაზიანებული გოდოლების შესაკეთებლად, ვიწროები საგორავებითა და ხანდაკებით გაამაგრესო.

ტოხაისძე ოვსთა ჯარით დაგიხვდებაო ვიწროების ყელთან. ქორსატეველას ექვსი ათასი მეომარი იცავსო, წანარელნი, ფხოველნი და ოვსნი.

უკვე შეღამებული იყო, როცა ზვიადი წამოეწია გირშელსა და მის ლაშქარს. ყველისციხის პატრონი ვეღარ ითმენდა, შეღამებამდის ვეძგეროთო ვიწროებს.

სპასალარი დილამდის არ აპირებდა შეტევას, წალაპარაკდნენ გირშელი **და ზვიადი, სამცხის ჯარების პატრონი ჩაერია მათ პაექრობაში,** როგორც იქმნა დაუჯერა გირშელმა კახაის, ერისთავთაგანს უხუცესს.

ბოლოს მეფემაც მოაღწია და ტყეში გაათია სამივე ლაშქარმა ღამე.

გარიჟრაჟზე ნისლი დაეცა ტყეს.

გათენდა, მაგრამ ჯანყი არ აპირებდა გაფანტვას.

გირშელის სპანი გამოვიდნენ პირველად ველზე, აქ კი სავსებით უცნაური სანახაობა დაუხვდათ შავშეთელებს.

ვიწროების ყელთან შავნაბადიანი ლაშქარი იდგა, ჯერ ისრები დაუშინეს სპათა, ხმა არ გაიღეს შავით მოსილთა.

მაშინ შემართული ჰოროლებით ეძგერნენ გირშელის ცხენოსნები შავნაბდიანებს მხარმარცხნიდან, მხარმარჯვნიდან ზვიადის ჯარებმა **შეუტიეს** მტრებს, **მაგრამ სად იყვნენ მტრები?**

საომარი ხრიკი ეხმარება ტოხაისძეს: ველზე დარჩობილ ჯოხებისათვის ჩაეცვათ ნაბდები, მთეულური ქუდები ზედ დაეხურათ.

როცა ეს საფრთხობლები გადალახეს მეწინავე მხედრებმა და სიცილით მიაშურეს ვიწროებს, ველზე გამართულ ხანდაკებიდან ამოცვივდნენ ოსები და ფხოველნი, ჰოროლები აძგერეს სამეფოის სპათა, ცხენები დაუნოცეს მეწინავეებს.

სამი მხრით შეუტიეს გირშელმა, კახაიმ და ზვიადმა, უკუაქციეს მეამბოხენი, ვიწროებში შერეკეს მტერი.

ვიწროებს ქარაფები ახლდათ მარჯვნითა და მარცხნით, ცხენოსნები ზედ ვერ ადიოდნენ, ოვსნი და ფხოველნი თხებივით დახტოდნენ, ქვებსა და ისრებს უშენდნენ ხევში შესულ ლაშქარს, ღრიალებდნენ, კვარის ჟინჟღილებს ატრიალებდნენ, ამგვარად აფრთხობდნენ ცხენებს.

სცეს საყვირები შავშეთელებმა და ეკვეთნენ ოვსებს. მაშინ დაუშვეს ქარაფებიდან საგორავები, იჟლიტებოდა ცხენი და კაცი, ფრთხებოდნენ გახელებული ულაყები, კლდეზე ახლიდნენ თავიანთ მხედრებს.

შედრკნენ შავშეთელნი და სამცხელნი, უკუქცევას დაადგნენ წინანი. ხმალი იშიშვლა სამივე სარდალმა, უყივლეს მონასპებს, შებღავლეს ჯარს: „მზეგრძელი იყოს მეფე გიორგი“.

ისევ დაუშვეს ქარაფებიდან საგორავები. თვალის დაფახულება ერთი, ცხენსა და კაცს სისხლის გუბედ აქცევდნენ ლოდები.

ქვის ნამსხვრევებიც თვალებს უვსებდნენ მხედრებს.

ცხენი მოუკლეს გირშელს, კახაის პირში ეცა კაჟის ნამუსრევი, ბაგეებიდან გადმომსქდარმა სისხლმა შეღება მისი მშვენიერი, თეთრი წვერები.

გირშელი ქვეითად გაუძღვა თავის ჯარს, წარბიც არ შეუხრია კახაის, ჰოროლსა სცემდა მოხუცი სარდალი ოვსებს, თანაც ამხნევებდა სამცხელ შუბოსნებს.

სისხლში ამოგანგლული მხედრები და ცხენები აქელებულნი მიდიოდნენ ალმართში, ჰოროლითა და ხმლით ჰკაფავდნენ მტრებით დახერგილ გზას.

ბოლოს, ჭილყვავივით გადმოცვივდნენ ხმალშემართული ოვსები, შემზარავი ყიჟინით შეებენ მეწინავეთა, შედრკა გირშელის ლაშქარი, უკუიქცნენ დაფეთებული ცხენები.

რა დაინახეს, მეფე გიორგი მოდისო, ისევ შებრუნდნენ ნაგვემი მხედრები.

დაწინაურდნენ აფხაზები და ქართლელები, ომებში მრავალნაცადი მახვილი გააშიშვლა მეფემ, დეზი ჰკრა თავის ოქროსფერ ულაყს.

სწორედ ამ ადგილას ფართოვდებოდა ხევი, გადმოიჭრნენ ლოდების საფარიდან ოვსთა და წანართა აზნაურები, ოვსთა თავადი მოუძღოდა მათ თუზარაი. ყორნისფერ ულაყზე იჯდა ყორანზე უშავესი დეკაცი.

ხმალშემართულმა მოაშურა მეფეს, შემოუქნია გიორგიმ მახვილი, სამკლავიანად წააჭრა მკლავი.

დაწინაურდნენ აფხაზები და სამცხელები, სცეს ჰოროლები წანარებსა და ოვსებს, თხების არვესავით წინ გაიგდეს აზნაურები.

ვიწროები მოათავეს თუ არა, ტოხაისძე შეება ოვსთა ჯარით გიორგის. ჩალისღერებივით დაულეწეს მთეულებს ხმლები სამეფოის სპათა, უკუაქციეს მტერი.

ტოხაისძე დაიჭრა მსუბუქად, სამი აზნაური დასტოვა ველზე, ასორდე მხედარი და ერთიც ხევისბერი, მისურაული, ზეზვაი.

ციხეში შებრუნდა ტოხაისძე, დაგმანეს გოდოლის კარები.

მეფემ ბრძანა და ზვიადმა კაცი მიუგზავნა მამამზეს:

ნუ დაგვაღვრევინებო ამაოდ სისხლს. მეფის სახელით ვბრძანებ: კიდევ ერთხელ გაპატიებთო განდგომას, ბაგრატ კუროპალატის სიყრმის მეგობარს. თავადი-ციხეც უვნებლად დაგრჩებათო სიბერისათვის შენ და ბორდოხანს.

შემოთვალეს ციხიდან: დედოფალი მობრძანდესო, თუ მარიამი მაცხოვრის ხატზე დაგვიფიცავს, მხოლოდ იმას მივენდობითო.

უპასუხა ზვიადმა მოციქულის პირითვე:

ავადაა დედოფალი, უფლისციხეში.

მაშინ მეფემ ბრძანა და საფარები ააგებინა ციხის მისასვლელებთან. ლოდსატყორცნებიდან დაუშინეს ოთხივე გოდოლს.

ახლა მამამზემ გამოგზავნა შუაკაცები:

მელქისედეკ კათალიკოსი მოვიდეს, უფიცოდ ვენდობითო მღვდელმთავარს.

არტანუჯშიაო მელქისედეკ კათალიკოსი, დაბარა ზვიადმა წარგზავნილს. მცხეთის მთავარეპისკოფოსი რაჟდენი მოვაო კათალიკოსის ნაცვლად.

კარავი დაადგმევინა პირველი გოდოლის მახლობლად მამამზემ.

თავის კარვიდან უშვრეტდა გიორგი.

გამოვიდა თეთრწვერა, ახოვანი მამამზე, გაფითრებული სავსებით.

უთოროდ, უმუზარადოდ, ჯვარაპყრობილი მიეახლა რაჟდენი.

დაიჩოქა მამამზემ, ცალი ხელით ხმალს დაებჯინა, ჯვარს წაეპოტინა ცალითაც, ეამბორა ზედ, შემდგომ ამისა ეპისკოფოსს ემთხვია ხელზე.

მცირე ხანს ისაუბრეს ორთა: ბოლოს ისევ ციხეში შევიდა ერისთავი და რაჟდენმა ეს მოახსენა მეფეს:

მამამზე შევრდომებას მოითხოვდა არა მარტო თავისთვის, ოვსთა და წანართა აზნაურებსაც არ უნდა ვნებოდა რაიმე, ქორსატეველას ციხის პატრონად უნდა შეერაცხა მეფეს ერისთავის ასული, კატაი და მისი ქმარი ტოხაისძე, შავლეგ.

კოლონკელიძის ასული ოვსთა მეფის უმცროს ვაჟს, ვარაზს უნდა გაჰყოლოდა ცოლად, კვეტარის ციხე მზითვად უნდა რგებოდა შორენას.

თორი ჩააცვიო, ეუბნება კათალიკოსის მოსაყრდეს მეფე, უსიტყვოდ გავიდა კარავიდან, სამასი მონასპა წარგზავნა ქორსატეველას ბასტიონის გარშემო მცველად გზებისა, ხუთი კალატოზი წყაროების მოსაწყვეტად გაატანა მათ.

გირშელ ერისთავმა აიჩემა: მე ავიღებო პირველ გოდოლს მზის გადახრამდის. ზვიადს არ ეპრიანა ეს, მაგრამ დადუმდა. მეფემ ბრძანა და სეფე დროშა აიღო დროშის მტვირთველმა. სცეს საყვირები სამეფოის სპათა და მიუშვეს პირველ გოდოლზე გირშელის ლაშქარი.

კვლავ გააშიშვლა ყველისციხის პატრონმა მახვილი, სარკინოზების სისხლით შესვრილი მრავალგზის.

ჩამოეგებნენ ხმალამოწვდილი აზნაურები ციხიდან, მაგრამ დაწინაურდა გირშელ, თივასავით დასცელეს მეციხოვნე საპანი შავშეთელთა.

ქოსსა ჰკრეს ქორსატეველას ციხეში. ახალი და ახალი [illegible] მოერთვნენ პირველი გოდოლის მცველ ფხოველებს. ისევ [illegible] ერისთავს ცხენი, მისწვდა განრისხებული გირშელ ცხენის მკვლელის ბედაურს უკანა ფეხზე, ბატკანივით დაითრია იგი და მხედრიანად გადასტყორცნა კბოდედან.

ახალი ცხენი მოართვა მეაბჯრემ, ფიცხლად მოახტა, ისევ უყივლა რისხვიანად ჯარს, ისე დაერია ოვსებსა და წანარებს, როგორც ავაზა ძუ მწევრებს, ბოკვერების წარმტაცებელთა.

„მაშინ ჩამოუშვეს გოდოლის ჩარდახიდან საგორავნი ურიცხვნი, დაასხეს ქვა და შუბი მსგავსი წვიმისა, შეიქმნა სიმრავლე ისრისა, ვითარცა სეტყვა, ზემოდან ნატყორცნმა ისარმა ფარი და ჯაჭვიანი კაცი გაიარა, სანახევროდ ჩაერჭო მიწაში.“

შედრკნენ შავშეთელები, მაგრამ ისევ უყივლა ლაშქარს ერისთავმა, კვლავ გამართეს ჰოროლები გირშელის სპათა, ცხედრებზე მიაბოტებდნენ მხედრები და ცხენები, გორგალივით მოგორავდნენ დაღმართში, ზოგნიც ჭიხვინებდნენ და სცვივოდნენ მხედრიანად უფსკრულში, ილეწებოდნენ ჯაჭვის პერანგები, გოგრებივით სქდებოდნენ მუზარადები.

მოუთმენლობამ შეიპყრო გიორგი, თრიაქსა სწევდა დაუცხრომელად, აღარ იცოდა, რომელი უფრო შეაწუხებდა: გირშელის გამარჯვება, თუ დამარცხება?

ზვიადი ნაწყენი იყო გირშელზე, პირველი გოდოლის შელეწვაც თავათ ეწადა, იცოდა არც მეფეს უხაროდა ეს, გულისგარედ ეუბნება გიორგის:

მაშველ ჯარს თხოულობსო ყველისციხის პატრონი.

ასე ვარაუდობდა მეფე: თუ პირველ გოდოლს გირშელი აიღებდა, თავადი-ციხე მას დარჩებოდა, გაახსენდა: მცხეთაშივე დანაქადები მის მიერ: ქორსატეველა თუ ავიღე, მეორე დღესვე შევირთავო კოლონკელიძის ასულს.

ბრაზი წაეკიდა ამ ამბავის გულში გამვლებელს, ახლა იგიც მოაგონდა: მოგაცილებო გირშელს, შორენას რომ შეჰპირდა ავაზებით ნადირობისას. ეუბნება ხმადაბლა სპასალარს:

„მე ასე მგონია, ზვიად, ამაოდ შეაწყვიტა პირველ გოდოლს გირშელმა ჯარი.“

მერმე ეს უნდოდა ეთქვა: ნუ მიაშველებო ლაშქარს, მაგრამ ბაგენი მოკუმა და მცირე დუმილის შემდეგ ასე უთხრა:

„უკუიხმე ახლავე ერისთავი, ღამეს შევუცადოთ, ეგებ ციხის კლიტენი მოგვაწოდოს პიპამ.“

„მეც ასე მგონია, მეფე ბატონო, კარგი ვაჟკაცია ერისთავი გირშელ, მაგრამ მოქნევას მოზომვა სჭირია წინასწარ. თუ თქვენი ბრძანება იქნება, ინათლებს თუ არა, მე გავუძღვები აფხაზთა ათასეულს და სამცხის ჯარებს, მზის ამოსვლამდის ჩაგაბარებ პირველ გოდოლს.“

მოახსენეს თუ არა გირშელს, უკუქცევას გიბრძანებო მეფე, განრისხდა ერისთავი. ახლა ჯიბრზე გაუდგა მამიდაშვილს, თანაც გაახსენდა ფხოვში ნათქვამი მის მიერ: ჩემთან ჯიბრი გადაგიტანსო, გირშელ. მაინც არ შედრკა უჯიათო ვაჟკაცი, რომელსაც დასცინოდა კიდევაც ხუმრობით მეფე: რწყილებისა და ავაზების გეშინიაო.

კვლავ შეუზახნა ლაშქარს, სცეს საყვირები შავშეთელებმა ხელახლა, დაწინაურდა გირშელ. გააალმასა ხმალი და ისე შეება მტერს, როგორც ავაზა მთელს ქარავანს სპილოებისას.

ბიბლიოთეკა

შედრკნენ ოვსნი და ფხოველნი. ტოხაისძემ ციხის კარებთან დასტოვა კავკასიონის ნაძვებივით აშოლტილი ვაჟკაცები, მკერდგანგმირულნი, ციხეში შეასწრო თავათ.

ხელახლა გადაჰკეტეს გოდოლის კარნი.

მაშინ უბრძანა ყველისციხის პატრონმა შავშთა ათასეულის უფროსს: შესტეხეთო ციხის კარები.

ლომებით შეანგრიეს რკინის ჭიშკარი.

პირველი შეიჭრა გააფთრებული ერისთავი გოდოლში, ხევისბერი მუროჩი ქალუნდაური შემოეგება ხმალშემართული, შემოუტია მამაცმა ბერიკაცმა გირშელს, გადმოუქნია ხმალი, აქაც არ შედრკა ერისთავი, ხმლის გამართვა ვეღარ მოასწრო, ლაჯებში შესცა მახვილი მტერს.

წაიქცა ხევისბერი თუ არა, ეძგერა ერისთავს გოდერძი ქალუნდაური, გიორგის მიერ ნაჩუქარი ხმლით გადაუჭრა მახვილი, მეორეჯერ შემოუქნია, თორიანად გააპო გირშელ.

ისევ ჩაჰკეტეს გოდოლის კარები, უკუიქცნენ მოზღვავებულნი სპანი.

* *

ბინდმა გაჰყარა მებრძოლნი.

ბანაკები დასცეს ციხის გარშემო სამეფოის სპათა, კოცონები აანთეს, გზები შეჰკრეს და წყაროები მოსწყვიტეს ირგვლივ.

ნაშუალამევს თითისტარი დაეცა მეწინავე გუშაგების ფერხთით, პირველი გოდოლის კლიტენი ზედ იყო მიბმული.

ახლა წიგნი დაახვიეს თითისტარზე.

მეფე ეკითხებოდა უშიშარაიძეს, პიპას: რა ბედი ეწვიაო ყველისციხის პატრონს?

ისევ გადმოაგდეს თითისტარი.

ფხოველმა, გოდერძი ქალუნდაურმა ხმლით აკუწაო გირშელ.

მთელი ღამე არ სძინებია მეფეს. იგონებდა ყრმობას, გირშელთან გატარებულს, მასთან ალერსსა და მასთან გაჯიბრებას.

ფხოვი მოაგონდა და ძმადნაფიცი ქალუნდაური.

გამოუტყდა თავისთავს: უხაროდა დედის ძმისწულის სიკვდილი.

გუშაგები ყივოდნენ ბნელში, ცხენები ტკბილად ახრამუნებდნენ თივას, გიორგი პირქვე იწვა თავის კარავში და ფიქრობდა თვალდახუჭული.

როცა მამლებმა იყივლეს ქორსატეველას ციხეში პირველად, მან გადასწყვიტა მტკიცედ: თუ შორენას უვნებლად გამოიყვანდა ციხიდან, ერთ კვირაში ცოლად შეერთო იგი.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა საყვირები სცეს სამეფოის სპათა. ციხისთავმა კაცი გამოგზავნა, პატიება ითხოვა მამამზემ. პასუხი არ გასცა მეფემ, ლოდსატყორცნები დაუშინეს ოთხივე გოდოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ამოსცვივდნენ თავადი-ციხისა და გოდოლების ჩარდახებზე მამამზის სპანი, ჯვრები ეჭირათ ხელში, ყვიროდნენ:

„მზეგრძელი იყოს მეფე გიორგი.“

სამზერებიდან, ქონგურებიდან უჩვენებდნენ გარს მოჯარულ ლაშქარს ხის ჯვრებს და კვლავ ყვიროდნენ:

„მზეგრძელი იყოს მეფე გიორგი.“

გიორგის აღარ უნდოდა სისხლის ღვრის გაგრძელება, მაგრამ ზვიადი ურჩევდა: ეგ ტოხაისძის მიერ მოგონილი ხრიკიაო, ახალი, ციხეში შეგვიტყუებენ, საგორავებს დაგვიშენენ, თავებს წაგვაჭრიანო დიდსა და მცირეს.

მაშინ გაუსია მეფემ ლაშქარი ოთხივე გოდოლს, მხოლოდ მესამე დღეს შელეწეს ციხის კარები, ციხისთავი შემოეგება მეფეს, სამი გოდოლის კლიტენი მოართვა, ფერხთით დაუვარდა გიორგის.

პირველი გოდოლის კლიტენი რა უყავიო?

ეკითხება მეფე.

მოიპარესო, მეფე ბატონო.

კარგად იცოდა გიორგიმ, უშიშარაისძემ პიპამ რომ მოისყიდა ციხისთავი.

ზვიადს მიუბრუნდა: თავი მოსჭერით პატრონის მოღალატეს და მამამზე ერისთავს შიართვითო ახლავე.

თავადი-ციხის მთავარ დარბაზში ჩაკეტილიყო მამამზე, როცა მეფის ძღვენი მოართვეს, გაოცდა ფრიად.

გიორგი და ზვიადი შეიწვია დარბაზში, ფერხთით დაუვარდა მეფეს, მუხლზე აკოცა და პატიება ითხოვა.

წარბიც არ შეუხრია გამარჯვებულს.

ეკითხება:

ჩემი ნაძღვენი თუ მიიღეო?

მადლი მოახსენა ერისთავმა.

„ასე მჩვევია, ერისთავთ-ერისთავო, მე მოღალატეებს არ უნდა შერჩეთ თავები მხრებზე. შენ გინდოდა გაგეგო ძვალთა და რკინათა მკვეთელი ხმლების საიდუმლო როგორმე, ამასაც გამოცდი საკუთარ თავზე.“

გაიყვანეთო, ბრძანა ზვიადმა.

ციხის ზეთავიდან ჩამოიღეს შორენას საწმერთული, მამამზე ერისთავის ჭალარა თავი აღმართეს ზედ.

ტოხაისძეს საბელი მარყუჟად მოახვიეს ყელზე, ორ ცხენს მიაბეს საბელის თავები, სცეს ორთავეთა ამიერ და იმიერ, თავი წააწყვიტეს სახლთუხუცესს.

ოთხი ხევისბერი მოაშთვეს იმ დილით.

ქორსატეველას ციხე ზღუდიანად დაარღვიეს.

შორენა გაჭალარებულიყო ტყვეობაში სრულად, მაინც ჰშვენოდა მშვენიერი მხცით შემკული თმები.

მცხეთაში ჩამოიყვანეს ერისთავის ასული, გურანდუხტს ჩააბარეს ისევ.

ძლივს მოჰკრიფეს გირშელის ცხედარი, ასოასოდ აკუწული ფხოველთა მიერ. იტირეს წესისამებრ და სამთავროში დაფლეს, კანკელის წინ, სწორედ იმ ადგილას, სადაც მეფეებს, კათალიკოსებს და ერისთავებს ასაფლავებდნენ წესისამებრ, მაშინ.

LI

მელქისედეკი ცას ეწია სიხარულისაგან, რადგან მის მიერ ჩამოყვანილ ბიზანტიელ სტუმრებს მოთავებული დაახვედრეს სვეტიცხოველი. ნამგზავრი, ნაავადმყოფარი ძლივს ჩამოიყვანეს ბერებმა ცხენიდან. ამ საღამოსვე ტაძრის ეზოში გაჩნდა.

ლოცავდა კალატოზებსა და კირითხუროებს, მაგრამ ფრიად დამწუხრდა, როცა ამცნეს: მძიმედ დაჭრილი ხუროთმოძღვარი ფეხზე ველარა დგება, ამიტომაც ვერ დაუხვდაო შენს უწმინდესობას.

დიდძალი შეწირულებანი ჩამოიტანა. კლარჯეთის, სამცხის და ჯავახეთის მორწმუნეთა, აზნაურთა და უაზნოთა მიერ მორთმეული.

შეამკო და მოკაზმა ტაძარი ოქროითა და ვერცხლითა. შეჭედა თავათ „სვეტიცხოველი“, კანკელნი და კარნი საკურთხევლისანი, დაასვენა პატიოსანი თვლებით დამშვენებული ხატი, ბასილი კეისრის მიერ გამოგზავნილი, თავათ გამოიღო ორმოცდა ხუთი, ოქროითა, ვერცხლითა შემკობილნი, თვალითა და მარგალიტითა მოოჭვილნი, ოქროს ფორტლითა დაწერილნი.

დიდის ამბით ჩამოასვენეს ნოკორნადან ჯაჭვით ნაბამი წმ. გიორგის ხატი ოქროისა, უცნობი ქართველი ოსტატის მიერ შესანიშნავად ნაქანდაკები (ურჩხულის ქერეჭი და სამფარეშოსანი ჯაჭვის თვლები იგავმიუწვდენელი ხელოვნებით იყო ზედ გამოყვანილი).

მოატანინა საყდრის საკაზმნი, მრავალგვარნი საკითხავნი, მატიანენი, საკმეველნი, საკელაპტრენი, ოქროითა, ვერცხლითა და პატიოსანი თვლებით დამშვენებულნი სრულად.

დაჰკიდა ოქსინონი, საკრამანგნი დიდდიდნი, კეისრის მიერ ბოძებულნი, საკრამანგნი სხვანი, უფრო მშვენიერნი, გარშემო ოლვილნი, განსვენებულის, ბაგრატ კუროპალატის მიერ ნაბოძებნი.

შესწირა სვეტიცხოველს სოფელნი „ძმათა თვისთა განძითა ნასყიდნი“, კლარჯეთს, ჯავახეთს, ტაოს და ქვემოქართლს.

(მათ გამოც შეუვალობის სიმტკიცე ჰქონდა ნაბოძები თავის გამზრდელის, ბაგრატ კუროპალატის მიერ).

ბოლოს, თავათ დასწერა სიგელი, ყოველივე საბადებელი ტაძრისა აღნუსხა წვრილად და გაუგონარის სიმკაცრით დასწყევლა ყველა, „ვინცა რამამანცა კაცმან რაიცა დააკლოს და შესცვალოს.“

LII

ტაძრის კურთხევის დღეს დაიძრა ხალხი ნიკოფსიასა და დარუბანდს შორის გადაშლილ საერისთავოებიდან. არც ტაძარში, არც მის ეზოში, და არც მცხეთაში ეტეოდნენ სტუმრები.

მელქისედეკ კათალიკოსი სწირავდა, თორმეტი თანამწირველი ეპისკოფოსნიც ქართულად და ბერძნულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის ბერძნული ლაპარაკიც სძაგდა, ამიტომაც დალურჯებული უსმენდა ბიზანტიელ არქიელებს. დიდის პათოსით ღაღადებდნენ და ღიღინებდნენ ისინი ამ მშვენიერ ენაზე.

ნაწირვებს დადგა კანკელის წინ მგლისებრ თვალებიანი, ჩია მოხუცი. ჯერ ოდნავ უხალისოდ ლაპარაკობდა თითქოს, თავდაპირველად ავლში გახვეული ნაღვერდალივით ღვივოდნენ სიტყვები.

ათასგზის განაგონ ბიბლიურ მითებს უტრიალებდა მელქისედეკი, მაგრამ ისე ამოდ ჰყვებოდა ამას ყოველივეს, გატრუნული უსმენდა დიდი და მცირე:

ყოველი მისი სიტყვა მტკიცე იყო, როგორც სპილენძი და სწორედ ისე, როგორც თრიაქი შეუმჩნევლად მოედება ხოლმე გულს, ძარღვებში სისხლს ააჩქროლებს, აზვავდება ოცნება, ქვიშის კიბეს მიადგამს ცას, ასე დაეუფლა იგი სპილენძივით მტკიცესა და თრიაქივით დამათრობელს, სალმასურის ჯაჭვივით ელვარე ქართულ სიტყვას და შეატოქა იგი აგრეთვე მშვენიერსა და აგრეთვე ვაუკაცურს, ბერძნულს.

მელქისედეკის აზრები როდი ხიბლავდა გიორგის, არამედ უცნაური რიტორობა მისი, ამიტომაც პირველად თავის სიცოცხლეში უდიდესის სიყვარულით უსმენდა კათალიკოსს.

თავის ქადაგებაში ორი რამ საგანგებოდ აღნიშნა მელქისედეკმა. „წმინდათა სწორი დედოფალი მარიამი“, ამ ტაძრის დიდი მოამაგე, ავად გახდაო იერუსალიმს გამგზავრების კვირაძალში.

ახლა არსაკიძის ხიფათის ხსენება დააპირა, მაგრამ მოერიდა დედოფლის გვერდით მის მოხსენებას, ერთბაშად ისევ ბიბლიურ მითებს მიუბრუნდა, ებრაელთა მეგვიპტიდან გამოყვანას შეეხო, ყოველი ერი თავის ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოსო, როგორც ღმერთი.

დიდის ტაქტით მიუბრუნდა ანტიოქიის პატრიარქთან ურთიერთობას, აქ სარკინოზებს გადასწვდა, გზები მოგვიჭრესო მაგ წყეულებმა, არსებითად უხაროდა კიდევაც გულში, რომ სწორედ ამის გამოც დაჰკარგა ანტიოქიის პატრიარქმა ის ათასი ოქროს დინარი, ხარკად შეწერილი ათას ქართულ სოფლისათვის.

არ უხსენებია იგიც, როცა გზა გაიხსნა, გიორგი მეფის ხმალმა რომ გადასჭრა გზა.

ამ ადგილას უფრო გულმოდგინედ მიუგდო გიორგიმ ორატორს ყური, რადგან მელქისედეკი 1021 წლის ზავს შეეხო. ქვეყანამ იცოდა: სწორედ გიორგის ხმალმა გაჰკვეთა ის საბელი, რომლითაც ბიზანტიის ეკლესია ბოჭავდა ქართულს.

ბოლოს იგი მოიგონა, ვისი ხსენებაც გულით ეწადა პირველად.

„წყეულმა ოვსებმა“ მძიმედ დაგვიჭრესო სვეტიცხოველის ამგები, დიდოსტატი არსაკიძე, კიდევ ერთხელ შეაჩვენა რატომღაც ოვსები, „უსაჩინოესი ერისთავის, გირშელის მკვლელნი“.

მოათავა თუ არა ქადაგება, საკაცით შემოაყვანინა კონსტანტინე არსაკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი მოავლო ოსტატმა ოქროითა, ვერცხლითა და პატიოსანი თვლებით მოკაზმულ ტაძარს, ცრემლები დაიძრნენ, მაგრამ დაიოკა მეფეთა ჩუმად, საკვესებით ჩუმად წაიბუტბუტა:

„იქმენინ ნათელი!“

კათალიკოსმა თვალი დაადგა ცვილივით გაყვითლებულ სახეს, მიეახლა, შუბლზე ეამბორა, მერმე გაბრუნდა, გვერდით ჩაუარა როგორც კეისრის მიერ ნაბოძებ ღვთისმშობელს, ისე აურაცხელ წმინდანების ხატებათ, ჯიქურ მივიდა უცნობი ქართველი ოქრომქანდაკებელის მიერ შესრულებულ წმ. გიორგის ხატთან.

ორივე ხელი მოსჭიდა, ადგილიდან დასძრა და შეჰღაღადა:

განკურნეო დიდოსტატი არსაკიძე.

მერმე მთელმა ერმა, ტაძრის შიგნით და ტაძრის ეზოში შებღავლა ღვთაებას:

განკურნეო დიდოსტატი!

შორენა და გურანდუხტი ერისთავთა დედაწულებთან იდგნენ, როცა კოლონკელიძის ასულმა არსაკიძის დალეულ სახეს თვალი ჰკიდა და განკურნეო, ოგრიალა ტაძარმა, მას ხმა ჩაუწყდა ხორხის არეში, დაიჩოქა, ილოცვიდა თავის სიყრმის მეგობრის განკურნებისათვის, მანდილოსნების ფარჩისკაბებს ამოფარებული სტიროდა, ევედრებოდა წმინდანს.

გურანდუხტმა უკმაყოფილოდ ზეაწკიპა წარბები, შორენას ქვითინი რა შემოესმა, აცახცახდა.

ვაი თუ მეფის ყურამდის მიიტანონო ეს ამბავი! რადგან მეფე გიორგიმ პირადად ამცნო მას, როგორც კი იერუსალიმს გაემგზავრება დედოფალი, მეორე დღესვე შევირთავო შორენას.

სწორედ ამიტომაც ღელავდა: „ვილაც მდაბიური კალატოზის, ისიც ლაზის“ განკურნებისათვის, რად აწუხებსო მომავალი დედოფალი წმ. გიორგის?

LIII

დიდი დროშა კარის ალაგთან იდგა.

მეფესთან სადილად აწვიეს იმავე დღეს ერისთავები დედაწულიანად, ბიზანტიელი პატრიციები, მიტროპოლიტები და ეპისკოფოზები.

მელქისედეკ კათალიკოსი, ზვიად სპასალარი, მთავარ ეპისკოფოსი რაჟდენი, ჭყონდიდელი, ანჩელი, მაწყვერელი და მტბევარი თავთავის ალაგას იდგნენ, ხოლო მხარმარცხნით, ბიზანტიელი დიდებულები: კატეპანი ნიკიფორე კასავილა, პატრიციუს — ქრისტეფორე დელფოს, სევასტოს — თეოდორე ლამპროს (სამივენი ვერცხლის თორიანნი, უხმლოდ), ამორელი მიტროპოლიტი კამახა, სმირნელი — იოანე, როდესელი არქიელი — ეპიფანეს, ტრაპეზუნტელი — რომანოზ და თორმეტი უდაბუნოთანი ქართველნი.

მეფემ უბრძანა მანდატურთწინამდგომს და მან არგანი დააგდო.

ამირეჯიბმა აიღო იგი.

მანდატურთწინამდგომი მთავარი ტახტის წინაშე მიუგა.

პური მოიღეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანა მეფემ.

პურის წინაობა იურვა მანდატურთწინამდგომმა.

კათალიკოსი, სპასალარი, განმგეთუხუცესი, დიდებულები და სტუმრები ზეწამოდგნენ.

მეფე გიორგიმ კათალიკოსი აწვია პირველად.

სუფრა აკურთხა მელქისედეკმა, ილოცა, პირველად მანვე გასტეხა პური.

ტაბაკი მანდატურთწინამდგომმა და ამირეჯიბმა დასდგეს. მოიტანეს სამეფოის ტაბლანი ოქროისა და ვერცხლისანი, მოიღეს სამწდეურნი ბაგრატეულნი, ოქროსანი სრულად.

ოქროს ტაბაკზე მარგალიტით მოოქვილი კოვზი იყო, ვერცხლისტარიანი, ერთი.

ახლა მოლარეთუხუცესი წამოდგა, მანდატურთუხუცესი თავის ადგილზე დაჯდა.

კათალიკოსს, ჭყონდიდელს, ქართველ და ბიზანტიელ დიდებულებსა და ეპისკოფოსებს ამირეჯიბმა დაუდგა ტაბაკი.

განმგეთუხუცესმა სამსამი ჯამი მოართვა თითოთა.

საწოლისუხუცესი მწიგნობართუხუცესის გვერდით მოთავსდა, მათ მიჰყვნენ ხელოსანნი და ხელისუფალნი, ბოლოს მერემეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი და მეჯინიბენი.

ლოყებლაჟლაჟა, გრძელულვაშიანი, ნიკაპგამოპუტული ჭაშნაგირი იდგა.

მოჰქონდათ საჭამადი მრავალნაირი, ხელისგულზე ისხამდა, თავათ სინჯავდა ყველაფერს, მოიღებდნენ ღვინოს მრავალგვარს, პირველად მოსვამდა ჭაშნიკს.

კატეპანს, ნიკიფორე კასავილას მოვლილი ჰქონდა მთელი მსოფლიო, ხატაეთიდან ირლანდიამდის.

მაინც გაოცებული შესცქეროდა ოქროისა და ვერცხლის ჭაღებს, დიდი დარბაზის კუთხეებში დადგმულს, ბაგრატულ სამწდეურებს, ოქროს ლანგარებს, აზარფეშებს და ფიალებს, ხატაურ და ირანულ ჭურჭელს.

უთვალთვალებდა უცნაურ ცერემონიებს „გიორგი აბაზგის“ ბრწყინვალე სასახლისას.

საქართველო მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ნახევრად წარმართული სამეფო.

სარკინოზთა ხალიფების კარზე ელჩად ნამყოფს უკვირდა: მუსლიმების დარად ხელით როდი სჭამდნენ, არც ყაყანებდნენ პურობის დროს, პირიქით, სავსებით მდუმარედ შეექცეოდა დიდი და მცირე სადილს.

ბიზანტიელი ეპისკოფოსები მეფის სუფრაზედაც განაგრძობდნენ კამათს აღდგომის კალენდარის გამო.

(იმ ჟამინდელ ბიზანტიაში დიდი პოლემიკა ჰქონდათ ღვთისმეტყველებს, როგორ მოეწყოთ წელთ აღრიცხვა ისე, ქრისტეანული აღდგომა ებრაელების პასექს არ დამთხვეოდა.)

მთავარეპისკოფოსი რაჟდენი ვნებიანი პოლემისტი იყო, ახლაც გულით ეწადა ამ კამათში ჩარეულიყო, მაგრამ იცოდა: გიორგის არ უყვარდა, როცა ქართველნი ბიზანტიური საქმეების გამო გამართავდნენ კამათს, ამიტომაც ახლად მორთმეულ ორაგულებზე ამოიყარა ჟინი.

„ვიგრი“ დაარქვა ღორმუცელობის გამო. გიორგიმ მას, მარფლაც წააგავდა იგი კროკოდილს, გრძელზე უგრძესი ცხვირითა, ფართოდ გაღებული ტერფითა და ფორეჯიანი, ხორკლიანი სახითა.

ცნობისმოყვარე კატეპანმა დაითვალა ასზე მეტი სხვადასხვაგვარი შეჭამადი სუფრაზე მოტანილი.

როგორც თავათ კასავილა, ისე დანარჩენი ბიზანტიელი სტუმრები მხოლოდ დატკბილულ საჭმელებს ეძალებოდნენ, არ იკარებდნენ პილპილიანს, ძმრიანსა და ნივრიანს, კოლხურ საჭმელებს.

ჩაკურატებული ბიზანტიელი არქიელები სასტიკად გაეჯიბრნენ ლოყებლაჟლაჟა ქართველ ეპისკოფოსებს, მუსრს ავლებდნენ არაგვის ორაგულებს, მტკვრის მურწასა და კარაქისფერ ციმორს, გუნებაში წყევლიდნენ მზარეულთუხუცესს, შესანიშნავი ზუთხი და ზურგიელი პილპილითა და ნივრით რომ „წაეწყმინდა“.

მათაც ვიგრივით შეუტიეს ახალ ქვირითს, მაინც ვერა ძღებოდნენ, შამფურზე შემწვარ გოჭებისა და შებრაწულ ინდოურებისაკენ იჭვრიტებოდნენ ვნებიანი თვალებით.

სმირნელი მიტროპოლიტი იოანე ახლად დაბრუნებული იყო ანტიოქიდან, სადაც იგი თორაბჯარში გადაცმული ებრძოდა სარკინოზებს ხმლით, ახლა მან ისე შეუტია არაგვის ორაგულებს, თვით ღორმუცელა „ვიგრი“, იგივე რაჟდენი, ანჩელი და მტბევარი დაგვიჩაგრა ქართველებს.

ორგზის ფხა გაეჩხირა ყრონტში, ორი ქართველი ეპისკოფოსი უჯდა მას გვერდით, არც ერთმა იცოდა ბერძნული, მაგრამ წამოეშველა ფარსმანი, რომელიც თარჯიმანად იყო წვეული იმ დღეს, ხმელი ლავაში მიაწოდა დროზე.

გიორგიმ ბერძნულიც იცოდა და არაბულიც, მაგრამ არასდროს კრინტი არ დაუძრავს უცხო ენებზე სასახლეში.

თავათ მეფე უხალისოდ სჭამდა, ეს უგუნებობა შორენასაგან გადაედო. სავსებით გაფითრებული და მდუმარე იჯდა იგი თევზისფერ ძროხასა და გურანდუხტს შორის, ერისთავების ჩაქვირითებულ მეუღლეთა წრეში, არამიწიერი სილამაზით გაბრწყინვებული.

შორენას შინ წასვლა უნდოდა წირვის შემდეგ, თავი სტკივოდა, მარტოკა ტირილი ერჩია ჭამას, მაგრამ გურანდუხტი დაემუქრა, თუ დღეს არ სწვევიხარ მეფეს, თმით გათრევო შინმისულს უთუოდ.

ბერძენი სტუმრების სიახლოვე და მათი ენაც ახელებდა მეფეს, განსაკუთრებით კასავილას წრესგადასული ცნობისწადილი აბრაზებდა მას.

კატეპანი კასავილა ისე ლუკმას არ ჩაიდებდა პირში, ფარსმანისათვის არ ეკითხა: ამ საჭმელს როგორ აკეთებენო?

კიბოები ყვარებია სენატორს, როცა კოლხურად შემზადებული კიბოები მიართვეს, ასე იფიქრა: ამას მაინც არ ექნებაო პილპილი, შესჭამა თუ არა, ათუხთუხდა პირდამწვარი, მოურიდებლად გადმონერწყვა მარცხენა ხელის გულზე, შემდგომ ამისა ეკითხება ფარსმანს:

რომელ მდინარეში იჭერთო ამ პილპილიან კიბოებს?

ეს კიბოები კოლხეთის წყლებში მოაშენაო მეფე გიორგიმ, რათა ნამეტნავად ცნობისმოყვარე სტუმრებს ენა დასწვასო როგორმე.

ასე მიუგო ფარსმანმა.

ბევრი იცინა კასავილამ, როცა მისგანვე გაიგო, რომ ეს კიბოები „პილპილიანად როდი იბადებიან“ თურმე, არამედ ხობოკვერას გამოაცლიან შიგნეულს.

ბოლოდან გამოღებულ ხორცს გაურევენ ნიგოზს, პილპილსა — და ნიორს, ისევე შესტენიანო ხობოკვერას კიბოსას.

თავათ კავასილა იძულებული იყო ხელით ეჭამა, რადგან მარჯვენა ხელზე მხოლოდ ორი თითი ჰქონდა შერჩენილი.

ტრაბახობდა კიდევაც: შარშან რომის პაპთან ვიყავი წვეული, ბენედიქტ VIII-ეს ტრაპეზზედაც ხელით ვჭამდიო.

არსებითად ასე იყო საქმე:

როცა ცეტინიუმთან დამარცხებულ ბულგარებს თვალები დასწვა ბასილი კეისარმან, სწორედ ნიკიფორე კასავილა ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას.

ერთმა ბულგარელმა ითხოვა: საიდუმლოს გავთქვამო დიდს, თუ სენატორ კასავილასათვის მათქმევინებენო იდუმალ.

როცა მოუყვანეს მოხალისე „მსტოვარი“ კასავილას, ბულგარელი ეცა მას ყელში, მარჯვენა მოუქნია სენატორმა, გაცოფებული ტყვე მისწვდა და სამი თითი წასჭამა ბიზანტიელ დიდებულს.

სწორედ ამ „გმირობისათვის“ მიიღო კატეპანის ხარისხი კასავილამ, ჩუმ-ჩუმად სხვას ტრაბახობდა იგი:

ცეტინიუმთან მე დავამარცხე ბულგარელები, ხუთმეტ ათასს დავუბნელეო თვალები.

LIV

მოთავდა თუ არა ნადიმი, მეფეს აეკიდა კატეპანი სასახლის ბაღშიც. დაუსრულებელი შეკითხვებით თავს აბეზრებდა, ეთამამებოდა, მარჯვენაზე ხელს ჰკიდებდა.

ძლივს იკავებდა ამრეზილი მასპინძელი თავს.

ეს ყოველივე მით უფრო სამძიმო იყო გიორგისათვის, რომ მას ორგზის უნდა გაეგონა ნათქვამი იმ დღეს, ბერძნულად და ქართულად.

როცა ციხეებისა და ჯარების გამო ორაზროვანი პასუხი მიიღო ზედიზედ, ახლა მეფის ცხენების და შავარდნების ამბავის გამოკითხვა დაიწყო სტუმარმა.

ეტყობოდა, ეს ამბებიც სათითოოდ სცოდნოდა წინასწარ. თვით ყურშაის სახელიც ეცნაურა კასავილას.

„ჰურრაპ, ჰურრაპ“, აღრიალდა დაცალებული ავაზა ამ დროს. ახლა ავაზების გამო გაუბა საუბარი კატეპანმა მეფეს.

თევზისფერ ძროხას საფირონის თვალებიანი ნათია აეყოლებინა, ბევრი სდია სასახლის ბაღში გიორგის, ბოლოს ავაზების გალიასთან მიუსწრო მეფესა და კატეპანს.

კასავილა მოეშვა ავაზებისათვის ლაყბობას, ჯერ ნათიას შეხედა, მერმე დედამისს, გიორგის გაუმართა თვალი და ეუბნება ფარსმანს:

მეფისწული ხომ არაა ეგ მშვენიერი?

თვალისგუგიდან ამოღებულივით მიაგავსო აფხაზთა მეფეს.

როცა ფარსმანმა ეს გადათარგმნა, სახე აელეწა ცოქალას, გიორგიმ შეხედა ნათიას, მართლაც იპოვნა მსგავსება მის სახეზე, გააჟრჟოლა, რა მოიგონა, სამი თვის წინად ხარჭად აყვანა რომ უნდოდა მისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურად აიმღვრა მეფე და ეუბნება ქართულად ფარსმანს:

„ამ ორთითა კატეპანს როცა შევსცქერი, მეშინია, არაფერი ამომაცალოს ჯიბიდან“.

ესა სთქვა და ავაზაზე გადაიტანა მზერა, წაიბუტბუტა თავისთვის:

„საერთოდ ქურდებია ბიზანტიელები, შჯული ებრაელებს მოპარეს, ენა — ძველბერძნებს, ბულგარელებს — ცეტინიუმი, სომხებს — ანისი, ბასიანს გადალმა ქვეყნები — ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არა სჭირიათ ჯერაც“.

რაო, რა ბრძანაო მეფემ?

ეკითხება ენამრავალი კატეპანი ფარსმანს.

მეფემ ასე მოგახსენათო, მიუგო თარჯიმანმა, როგორც კი ჩემი ვაჟი, ბაგრატი მშვიდობით დაბრუნდება, ტახტს გადავულოცავ უფლისწულს, კეისარს ვეახლები, წმინდა ადგილებს მოვილოცავო ბიზანტიისას.

მეფემ ძლივს შეიკავა ღიმილი.

თევზისფერმა ძროხამ კარგად არ იცოდა ბერძნული. ასე იფიქრა: ახლა დავილუპე უთუოდ, მეფე დაიჯერებს, თითქოს მისგან მყავდეს ნათია, ამიერიდან ცოლად არ შეირთავს გიორგი მას, უფლისწული ბაგრატი მალე ჩამოვა და ბიზანტიონში წაჰყვებაო დედოფალს მეფე.

მეფემ მოინდომა საუბრის საგანი შეეცვალა როგორმე.

ამიტომაც აკითხვინა კასავილასათვის:

ავაზები თუ ჰყავსო კეისარს?

უკანასკნელიც მოკვდომოდა ბასილის.

უკეთ რომ ვთქვათ ტახტის მემკვიდრეს, კონსტანტინეს, მის ძმას, რადგან ბასილი მუდამ ლოცვითა და თვალების დათხრით იყო გართული.

ახლა ავაზების გამო დაიწყო კასავილამ ქაქანი.

ფარაონის თუთმაზის პირამიდაზე ვნახეო ერთი ბარელიეფი შარშან. მუნ გამოხატულ ქურუმებს მარცხენა მხარზე აქვთო ავაზის ტყავი გადაკიდებული.

მეგვიპტური ღმერთქალი საფეც ასე ატარებდაო ავაზის ტყავს.

ფარსმანი აიმღვრა.

ეგ პირამიდა თავათაც ენახა, მას ყოვლისმცოდნედ მოჰქონდა თავი.

გაოცდა, როცა ისეთი რამე გაიგონა, რაც მას არა სმენოდა არასდროს.

როცა ირმების საჩიხემდის მიაღწიეს, გიორგიმ ატროკება შეამჩნია კატეპანს, ახლა ამ ირმების გამო წამჭამსო თავს, შორენა შენიშნა, გურანდუხტის გვერდით განაბული.

კოლონკელიძის მეუღლემ განზრახ უტია მეფეს, თევზისფერ ძროხას მიეახლა, მკლავში გაუყარა ხელი და შეეცადა საუბრით შეექცია როგორმე.

მეფე ამჩნევდა თავისთავს, რაც უფრო ხანი გადიოდა, მომეტებულის მოკრძალებით ეკიდებოდა შორენას.

დიაცების მიმართ ცინიკურად განწყობილს, უცნაურად ეშინოდა რატომღაც მისი, მასთან საუბრის დროს ღელავდა, ენა ებმებოდა თითქმის.

ახლა ნაღვინევი იყო ოდნავ, მხნეობა მოიკრიფა და ეუბნება:
„რად მოგიწყენია, ეკბატანას ვარდო?“
ქალმა არც კი შეიფერა ხოტბა მეფისა, უსიტყვოდ დახარა თავი
მეფემ მორცხვობას მიაწერა ეგ, ახლა ეს უთხრა ქალს:
„ეგებ ნებიერას გაქცევამ დაგაღონა, არა?“
შორენას ასე უნდოდა მიეგო: სხვაც ბევრი მაქვსო დარდი, მაგრამ დუმილი არჩია კვლავ.
კვლავ მოიკრიფა გამიჯნურებულმა მხნეობა.
ეუბნება ალერსიანად:
„თუ ერთ საწადელს შემისრულებ, შორენა, დღესვე ვუბრძანებ მონადირეთუხუცესს, შევაპყრობინებ შენს ნებიერას.“
„კიდევ რა გწადია, მეფე ბატონო, ჩემგან“.
თითქმის ამრეზილად მიუგო შორენამ და ნაღვლიანად გაჰხედა ირმებს.
„შენი სიყვარული.“
იყო პასუხი.
„მე მგონია, რაც წამართვი, იგიც გეყოფა, მეფე ბატონო, არა? მამაჩემს თვალის სინათლე წარსტაცე, მე—თავისუფლება,—ხოლო ჩემი გული? სხვას ეკუთვნის დიდიხანია იგი“.
მეფე აიმღვრა, ბრაზი წაეკიდა, ამ წუთშივე უნდოდა გაეგო, ვინღა დარჩაო სხვა? ჭიაბერი და გირშელ აღარ იყვნენ, ვინ უნდა ყოფილიყო იგი, ვისაც გაებედნა მეფისათვის გატოლება თავისა?
მღელვარება დაიოკა, აღარ იცოდა, რა მოემოქმედა, მაგრამ ბედად, თევზისფერი ძროხა ხელიდან დაძრომოდა გურანდუხტს, შორენას მიეჭრა ცოქალა, ირმების გამო დაუწყო ლაპარაკი.
მეფემ იდროვა, ბოდიში მოიხადა მანდილოსნებთან, გურანდუხტსა და კასავილას მიეკედლა გაფითრებული.
ახლა ეს აიტეხა კატეპანმა: მაჩვენეთო ის საოცარი ძაღლი „კურშაი“ („ყ“-ს ვერ გამოსთქვამდა კატეპანი, თავხედურად ხუმრობდა კიდევაც: ქართულ პილპილსა და „ყ“-ს ვერ ინელებსო ჩემი ყელი“).
თითქმის მდუმარედ იარეს მცირეხანს ბაღში.
ძაღლების სამყოფლოსთან ისეთ ამბავს წააწყდნენ, თავათ გიორგიმ უხერხულობა იგრძნო, შორენა, გურანდუხტი და ნათია გაწითლდნენ, ფარსმანსა და კასავილას გაეცინათ, თევზისფერმა ძროხამ ძლივს შეიკავა ღიმილი.
ნებივრად იწვა ძუძუებშებერტყილი ყურშაი. სამი ლეკვი სამ ბოკვერს წაჯდომოდა მგლისას.
ხვადები ისე ტოკავდნენ, როგორც ამძუვნებულ ძაღლებს სჩვევიათ ხოლმე.
კასავილა გაოცდა, როცა შენიშნა ბოკვერების და ლეკვების ალერსი.
ფარსმანმა განუმარტა: ეგ ბოკვერები მე მიგუსვიო ყურშაის, სამივენი თავათ დაზარდაო ძაღლმა.
ფარსმანს მთელი დღე მოშხამული ჰქონდა, სვეტიცხოველის კურთხევისა და არსაკიძის დიდოსტატად აღვიარების გამო. ბოლმამ თავხედობა გაუათკეცა, გვერდით ამოუდგა მარტოკა მიმავალ მეფეს, ღიმილით ეუბნება გიორგის:

„ეგ ბოკვერები და ეგ ლეკვები ძუძუმტეებია, მეფე ბატონო“.

გიორგის ენიშნა ქარაგმულად ნათქვამი.

წამსვე მოისაზრა: ალბათ რაიმე იცისო იმ „სხვას“ გამო მეფემ ფარსმანმა, წაეპოტინა ზმას:

„პირდაპირ მითხარი, რისი თქმაც გწადია, ბებერო!“

„მეც გადავწყვიტე არაოდეს მოგახსენო, მეფე ბატონო, სიმართლე, არც პირდაპირ და არც ირიბად, რადგან შანდლები კიდევ ბევრი დარჩა სასახლეში, ვგონებ.“

„დედის სულს გეფიცები, არ დაგსჯი სიმართლის თქმისათვის, ფარსმან“.

იცოდა ფარსმანმა, ამაოდ არ დაიფიცავდა იგი დედას, ახლა ინანა: იმ დღეს რად არ ჩამოვართვიო ასეთი ფიცი?

„აკი მოგახსენე, მეფე ბატონო, მშიშარანი არიან მეთქი შენი ვეზირები, ყველა ეს სწადია, მხოლოდ საამური თავათ მოახსენოს მეფეს, ხოლო ცუდ ამბავთა მაუწყებლად „შანდლების ქურდი“ ეგულებათ“.

გიორგიმ მკლავში ხელი წაავლო ფარსმანს, ნაბიჯს აუჩქარა, კასავილა არ წამოსწეოდათ.

„ამაოდ იგულებ, მეფე ბატონო, სადედოფლოდ ერისთავის ქალს. მთელმა სასახლემ იცის, არსაკიძე ცხოვრობს დიდიხანია, მასთან.“

„იცოდე, თავი მხრებზე არ შეგრჩება, ფარსმან, ამის საბუთი თუ არ მოგიტანია თავათ.“

„უფლისციხეში ბრძანდებოდი მიწისძვრის დროს, მეფე ბატონო, არა?

ირმის დევნა საბაბი იყო მხოლოდ, შორეანა გაიტაცა არსაკიძემ იმ დღეს, ფხოვის მიწაზე დაიჭირეს მერმე ოვსებმა.

დიდიხანია, რაც განიკურნა ხუროთმოძღვარი მეფისა, თურმანიძის მალამოებმა მას არგო ფრიად. მაინც წევს, რადგან ეგეც ხრიკია, კოლონკელიძის ასულის შემოსაჩვევად.“

მეფე გახელდა, მიწისფერი დაედო სახეზე.

„არა მგონია თავი გამიტოლოს ავრე რიგად მაგ ლაზმა“.

„გატოლებაო?“

გაიღიმა ფარსმანმა.

„მეფეებს არც უტოლებს იგი თავს.

მიწისძვრის მეორე დღეს შეეუარე, ავადმყოფი მეგონა, შინ არ დამხვდა ფხოვს გაქცეული. ერთი სურათი ვნახე მის მიერ ნახატი, იაკობისა და ღმერთის რკინებაა ზედ გამოსახული.

თანაც იცოდე, ღმერთს მელქისედეკის თვალები აქვს, ხოლო იაკობს — დამხატველისა.

ეგ კიდევ ცოტაა, მეფე ბატონო, შორენა დაუხატავს, ერისთავის ასული, ყაყაჩოების ველზე დგას იგი, მხრებზე ქედნები ასხედან, ხოლო ორი დათვი, ერთი წმინდა თაფლისფერი, მეორე—წაბლისფერი, ფერხთით დავარდნია დიაცს. წაბლისფერი ყველისციხის პატრონს მოგაგონებს ზედმიწევნით, ხოლო თაფლისფერი თუ ვინ იქნება, ამას თავათაც მიხვდები, მეფე ბატონო, უთუოდ.“

გიორგის ენიშნა ეს ყოველივე, უფრო აუჩქარა ნაბიჯს, ისევ შეეშინდა: კატეპანი არ დაგვეწიოსო.

„თუ ეგ საბუთებიც გეცოტავოს, მეფე ბატონო, მე ცნობები მაქვს ეჭვმიუტანელი, ხანდახან შაბათობით დადის მასთან გვიანი ღამით. შორენა, თუ კარგად გასჩხრეკენ რატისეულ დარბაზს, სხვა საბუთებსაც აღმოაჩენ. ... ბილი თვალი.“

ბიბლიოთეკა

კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა ფარსმანისათვის მეფეს, მაგრამ თევზისფერი ძროხა და კატეპანი წამოეწიენ მათ.

* *

მეორე დღეს კატეპანმა დანარჩენი სტუმრები დასტოვა სასახლეში და ბიზანტიონს წავიდა.

LV

სიკვდილის მოახლოება რა შეიცნო კეისარმა ბასილიმ, საქართველოში გამოისტუმრა საპატიო მძევალი, ბაგრატ გიორგისძე, კატეპანი დოკიანი გამოაყოლა დიდძალის ამალით.

ბაზანტიის ტახტის მემკვიდრე, კონსტანტინე აღარსად სჩანდა.

წიგნი მისწერა სასწრაფოდ ძმას, მაგრამ ვაზირებმა გადამალეს უსტარი.

რამდენჯერმე გაიმეორა კეისარმა ბრძანება, არ გაუმხილეს მინისტრებმა სიმართლე.

ბოლოს თავათ შეაკაზმვინა ცხენი, გაემართა ტახტის მემკვიდრის საძებნად.

ვაზირებმა იცოდნენ: სიძვის დიაცებთან ქეიფობდა კონსტანტინე, ნიკეაში იმ დღეს.

მიკიტნის სისხლი უფრო ჭარბად მას გამოჰყოლოდა.

კარგად იცოდა, სახრჩობელა და მოწამვლა კეისრის გვირგვინის ზედნადები იყო ბიზანტიაში, ამიტომაც ლოთობდა, უწესო ქალებში ატარებდა დროს, მხოლოდ ხანდახან ვარჯიშობდა თვალების დაწვაში ტახტის მემკვიდრე.

როცა აღმზედრებული ბასილი კონსტანტინეპოლის ქუჩებში გამოჩნდა, შეძრწუნებული ხალხი სარდაფებში გადაიმალა, ხოლო ვაზირებს უფრო მეტად შეეშინდათ, მალემსრბოლები აფრინეს, ძლივს მოათრიეს გალეშილი კონსტანტინე ბიზანტიონში.

თავათ შეიყვანა ბასილიმ მთვრალი ქრიზოტრიკლინის ოქროს დარბაზში, ტახტზე დასვა ძმა, წითელი ქოშები გაიხადა და ჩააცვა ფეხზე, გვირგვინი თავზე დაადგა, მერმე ფერხთით დაუვარდა და თაყვანისცა კეისარს, უკვე კონსტანტინე VII-ს.

იმავე კვირას მდევარი ეამოაკიდა ახალმა კეისარმა კატეპანსა და ბაგრატს.

მალემსრბოლებმა გზაში მოუსწრო ტაოს საზღვარზე მოსულთ, წიგნი გადასცეს კატეპანს.

„განგებითა ღვთისათა, გარდაიცვალა სანატრელი ბასილი მეფე, ძმა ჩემი,“— იუწყებოდა კონსტანტინე კეისარი, — „აწ უკვე სადაც მიწევნულ იყოს განსაგებელსა ჩვენსა, ბაგრატ, ძე გიორგი აბხაზთა ხელმწიფისა, გარეშეაქციეთ და მოიწიოს წინაშე ჩვენსა“.

ლაშქრიანად შეეგებნენ ბაგრატს აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი, ძალას მიმართეს ბიზანტიელებმა, მაგრამ შეებრძოლნენ სპანი მეფისანი, კატეპანი დოკიანი და მისი ჯარი უკუაქციეს, ხოლო უფლისწული შეეფე გიორგის მოჰგვარეს.

დიდი ზეიმი გაიმართა უფლისციხეში, მელქისედეკმა სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადა სვეტიცხოველში, გახარებული იყო მთელი საქართველო, კავკასიონიდან ბასიანამდის.

გიორგი მეფეს ამ ამბავმაც ვერ გადაჰყარა უგუნებობა.

თრიაქის წევას უმატა, ნადირობდა გამუდმებულად.

LVII

'არსაკიძეს მართლაც არგო თურმანიძის მალამოებმა. უკვე ჯოხით წამოდგომას ახერხებდა თავათ.

ხუთშაბათს უთენია ადგა. ნაშუადღევს მოათავა თავისი „სიზმარი".

სწორედ იმ დღეს ხათუთაიმ მოუტანა შორენასაგან წიგნი, თუ კარგი დარი იქნა, შაბათ დილას, დედა აპირებსო ზედაზენს წასვლას, საღამოს გამოგივლიო უთუოდ.

დიდიხანია, რაც ეპირებოდა გურანდუხტი ზედაზენს წასვლას, რამდენიმე შაბათი ისე წავიდა, აღარსად სჩანდა შორენა.

ასე ივარაუდა კონსტანტინემ: გაავებული გურანდუხტი ფხიზლად მწყესავსო თავის ქალს.

პირაღმა იწვა დაჭრილი ოსტატი, დარბაზის სარკმლიდან უთვალთვალებდა ცას, ღრუბლების მოძრაობას აკვირდებოდა. ამას ნატრობდა: გამოიდარებდესო შაბათამდის, ნეტავ.

ხუთშაბათს, საღამოს ცა მოისარკა, მაგრამ წამოეძალა სულწასულობა ეროსით შეპყრობილს, ფრჩხილით გადააცალა ბარძაყის ჭრილობას კანი, თუმცა აქიმი უკრძალავდა, ხელი არ ახლოვო იარას.

იმავე საღამოს სიცხე მისცა, ნონაი მკურნალთან გაიქცა, იწვა პირაღმა უპატრონო ავადმყოფი, პირი უშრებოდა, სწყუროდა წყალი.

შემდგომ ამისა, უცნაურად წაეწყვნენ უბედური ამბები ზედიზედ ურთიერთს, როგორც ეს ხდება ხოლმე ცხოვრებაში ხანდახან.

* *

დიდხანს უჩიჩინებდა ფარსმანი ცოლს, ხურსისეულ სასახლეში წადი, საწმერთული მოპარეო შორესანს, მაგრამ ვარდისახარი ყოყმანობდა მაინც.

სწორედ ხუთშაბათს, თავის ტკივილმა წამოუარა დიაცს, ასე იფიქრა: ეგებ გურანდუხტს ექნესო შაკიკის წამალი.

შორენა და მისი მოახლენი სამთავროს წაეყვანა კოლონკელიძის მეუღლეს, მარტო ხათუთაი დაუხვდა შინ.

წყლის მოსატანად გაგზავნა სტუმარმა ხათუთაი, თავათ გამოსძებნა შორენას საწმერთული, ხოხბისყელისფერი, რომლის მცხეთაში ჩამოტანას ერისთავი გირშელ და ორი ათასი მონასპა შეეწირა.

შეღამებული იყო უკვე, როცა რატისეულ სასახლეში შევიდა ვარდისახარი, ნონაი არსად სჩანდა, ამიტომაც ჯერაც არ იყო ანთებული ჭაღები.

ფეხაკრეფით შეიპარა და სასთაულს ქვეშ ამოუდვა სიცხარეს ავადმყოფს შორენას საწმერთული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსაკიძე ბოდავდა იმ წუთში, ნონაი ეგონა, შეეკითხა:

როდის მოვაო მკურნალი?

მოვაო, მოვაო, წაიბუტბუტა ვარდისახარმა ყრუდ, ავადმყოფს მიჰხედა, ლანდზე უსწრაფესად გაჰქრა.

* *

შაბათ დილას ისევ დაიწყო წვიმა, მაგრამ ალარ შეუმჩნევია ეს. საღამოს გამოეპარა შორენა დედას.

აქელებულმა შეირბინა ავადმყოფთან, დიდხანს ვერ დარჩა მაინც.

მეფეს გაემჟღავნებია ფარსმანის ჭორები გურანდუხტისათვის, თმებით დაუთრევია შორენა დედას. „ბოზი“ უძახა თურმე და „ვილაც კალატოზის სიძვის დიაცი“.

სურათის ამბავი არც შორენას მოგონებია, მით უმეტეს, არც მის დამხატველს.

შეამჩნია: ცუდად შექმნილიყო მეგობარი მისი სიყრმისა, თვალცრემლიანმა ჩააბარა ნონაის.

შეევედრა: ბოდოკია გაგზავნეო ფხოვს, მე ამ დღეში ვარ, დედა იხმე, განკურნოსო მისმა ალერსმა ეგებ.

თუ მოვახერხე, შაბათს შემოვივლიო. გახურვებული ლოყები დაუკოცნა ავადმყოფს.

ტირილით მოვიდა, ტირილითვე წავიდა უკან.

რატისეული ხილნარიდანაც არ იყო გასული შორენა, როცა ლანდი შემოეყარა წინ. დაზვერა კოლონკელიძის ასული, ფეხაკრეფით ავიდა ქვის კიბეზე ლანდი.

ნონაი მობრუნებულიყო თავის სამყოფლოში, სამკურნალო ბალახებს ხარშავდა.

წყალიო, შეევედრა შემოსულს ავადმყოფი.

წყალი მოუფანა მყისვე, დარბაზი დაათვალიერა, სასთაული გაუჩხრიკა არსაკიძეს, საწმერთული იპოვნა ხოხბისყელისფერი.

მეფეს მიუტანა მსტოვარმა იგი, თანაც ამცნო, ხილნარშივე გადავაწყდიო კოლონკელიძის ასულს.

ორივე სურათის შინაარსი უამბო წვრილად.

* *

ყოველი საგანი მაშინ იწყებს წაქცევას, როცა წონასწორობას დაჰკარგავს იგი.

მეფე გაცოფდა, აზვავდა, წონასწორობა დაჰკარგა ეროსისაგან გახელებულმა.

ეს ყოველივე წაემატა ურთიერთს, მალემსრბოლის მოლოდინში თრიალეთ დამთვრალიყო გიორგი, მელქისედეკი ეწვია იმავე საღამოს.

კათალიკოსმა რა გაიგო, მკრეხელური სურათი დაუხატავსო არსაკიძეს, ლაზს, მოაგონდა თავისი ქადაგება სამთავროს ტაძარში, წარმართობის შიშმა წამოუარა ისევ და ხელი აიღო ხუროთმოძღვრის დაცვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს მელქისედეკი ბიზანტიონს მიმავალ სტუმრებს გაჰყვა ერისთავის ამალით. მეფემ ფარსამანი იხმო, ხუროთმოძღვართუხუცესად დანიშნა კვლავ.

სვეტიცხოვლის დანგრევა მოითხოვა ფარსანმა, ხოლო განრისხებულმა გიორგიმ სვეტიცხოველის „ცუდად ამგებელს“ მკლავის მოკვეთა მიუსაჯა.

როცა დასიცხულ ავადმყოფს მარჯვენა წააცალა ტფილისელმა ჯალათმა, თვით საღირასაც ცრემლი ჩამოსდინდა ერთადერთ თვალიდან.

LVII

მეორე დღესვე, კათალიკოსის მოსაყდრის, რაჟდენის საიდუმლო ბრძანებით, ბაგინეთის სადედო მონასტერში მონაზნად აღკვეცეს კვეტარის ერისთავის, კოლონკელიძის ასული, შორენა.

შუშანიკი დაარქვეს მას, რადგან ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ პირველ ასოს სახელისას უცვლელად უტოვებდნენ აღკვეცილს.

შორენასათვის მოულოდნელი არა ყოფილა ეს სასჯელი.

მას ასე ეგონა: ცოლობაზე უარი ვაკადრე მეფეს, განრისხდა და მომიზღოვო სამაგიერო.

ამასაც გულმშვიდად შეეგება იგი. კარგად იცოდა: ხუროთმოძღვარს, ლაზს, არ მიათხოვებდნენ ერისთავის ასულს.

მცხეთაში მაინც აუტანელი გახდა ცხოვრება. გაბოროტებული გურანდუხტი გესლავდა დღენიადაგ თავის მხოლოდშობილ ასულს.

მცხეთის ჭორებმა თავი მოაბეზრეს შორენას, ოდესღაც მისი ერთგული მოახლენიც აჰყვნენ სეფექალებისა და ერისთავთა ცოლების სისინს, სასახლესა და გურანდუხტს შორის მიმოჰქონდათ ენა.

კოლონკელიძის მეუღლეს სავსებით უღირსად ეჭირა თავი.

დიდხანს ცდილობდა ემაჭანკლა მეფისათვის როგორმე, როცა ვერაფერს გახდა, დაუზოგავად სცემდა და ლანძღავდა შორენას.

მოეწონა „შუშანიკს“ სადედო მონასტრის მდებარეობა, მთელი მცხეთა ხელისგულზე სჩანდა აქედან.

მონასტრის გარშემო კვიპაროსები იდგნენ, შელამებისას გიშრის შანდლებივით შეებჯინებოდნენ ისინი ვარსკვლავებით მოოჭვილ ცას.

შორს იყო აქედან სასახლის ჭორები, ერისთავთა ცოლების სისინი. კავკასიონის მწვერვალები მოსჩანდნენ, მთლად მშვენიერი, საფირონის გოლიათები.

დილას და საღამოს ისეთი სპეტაკი ღრუბლები დაეფინებოდნენ ირგვლივ შოჯარულ მთებს, როგორც ბავშვების უცოდველი სიზმრები.

ეს დაკრიალებული სენაკებიც მოეწონა შუშანიკს. დიდად მორწმუნე არ იყო ფხოვში გაზრდილი ქალი, მაგრამ სიამოვნებით ისმენდა სძლისპირებს, თავათაც გალობდა მწუხრისას.

სხვა დებთან ერთად ამზადებდა საჭმელს, სენაკებს ჰგვიდა, ჭურჭელს რეცხავდა, ძონძებს კერავდა, ნუშისგულივით თეთრი ხელებით ხეხავდა ქვაბებს.

ერთხელ მივიდა მასთან ჭალარა მონაზონი, დაი ეფემია, ხელიდან წაჰგლიჯა სპილენძის ქვაბი, ცოდვაო ეგ ხელები ამ ქვაბების სახეხად.

არ დაანება შუშანიკმა მოხუცებულ მონაზონს, უმცროსი უნდა ემსახურა-სო უფროსს.

რა გახდა, ქალო, შენი უმცროსობა, შენც ჭალარა ხარ და მეცა, ორივე მხცოვანები ვართო მე და შენ!

ეს უთხრა ეფემიამ, მოეხვია შუშანიკს, დაჰკოცნა მისი მშვენიერი, ცვილისფერი ლოყები, ცვილისფერი კი არა, ძველთუძველესი სპილოსძვლის ფერისა.

დაჰკოცნა მისი ნაადრევი ჭალარა, ბალღივით მიიხუტა მკერდზე.

ნაყვავილევი იყო ეფემია, სახით მახინჯი, მაგრამ სპეტაკი სულითა და ჭირლამთმენი მრავალთა.

ბედს მოეძულებინა სიყრმიდანვე იგი. კლარჯეთში უყიდნია ვიღაც დიდვაჭარს დიაცი, უფლისციხის მონათა ბაზარზე მიუყიდნია ერთი ირანელისათვის.

ირანში ქართველ მეღვინეს შეუძენია ეფემია, ბოლოს მცხეთაში ჩამოსულა მხევლის პატრონი, აქ ულოცნია, მეორე დღეს მომკვდარა კიდევაც.

ეფემიას ცხოვრებაც მოთავებული აღმოჩნდა ამ ხეტიალში, ბაგინეთის სადედო მონასტერს შეკედლებია.

დედის გულარძნილობით დამწუხრებული, შვილივით მოეკიდა ეფემიას შორენა, ღამით მიიწვენდა მრავალტანჯული დიაცი, ეფერებოდა ბნელში მის მშვენიერ თავს, ჩუმად სტიროდა შუშანიკ ბალღივით...

კვიცივით უკან დასდევდა „დედა ეფემიას", ხანაც განმარტოვდებოდა მონასტრის გვერდით, კვიპაროზის ქვეშ. გადასცქეროდა ძირს გადაშლილ მცხეთას.

ამას ნატრობდა მხოლოდ: თავის საყვარელ უტას ჯანმრთელობის ამბავი გაეგო როგორმე.

ეს იყო ოღონდ, აქაც არ ანებებდნენ მარტო ყოფნას შუშანიკს.

მისი სილამაზის, ძისი უდროვო ჭალარის გამო ლაპარაკობდა დიდი და მცირე.

თავათ არავის უმხელდა თავის ვინაობას, მაინც დაიწყეს დიაცებმა ჭორები, ათასნაირი ზღაპრები შესთხზა მოცლილი ქალების უქმმა ფანტაზიამ.

მდაბიორის ქალი ყოფილაო შუშანიკ. გუთნისდედა ყვარებია ერთი, მოხუცერისთავს მიათხოვეს ძალით.

აყირავებულ სახნისზე წამოგებია გუთნისდედა იგი, გამოქცევიაო ბებერერისთავს შუშანიკ.

აწუხებდნენ მოკრძალებულ მონაზონს გამუდმებული გამოკითხვით დებიდა როგორც მახინჯ ქალებს ეს სჩვევიათ ხოლმე, უკან დასდევდნენ, უჭვრეტდნენ, როცა მარტოკა მოახელებდნენ, მკერდზე მიიკრავდნენ და კოცნიდნენ.

უფრო მეტად დაამშვენა მისი სახე ჯვალოს სამოსმა, სძლისპირების გალობის დროს, ყინწვისის ანგელოსს მიაგავდა იგი მჭმუნვარეს.

ერთხელ, საღამოს ლოცვის შემდეგ, კვიპაროზის ქვეშ ისხდნენ ეფემია და შუშანიკ.

მოშორებით ალვისხე იდგა ქარაფის კიდეს, კბოდეს გადაღმა თვალშეუდგამი უფსკრული იყო.

მდუმარედ შესცქეროდნენ ჩამავალი მზის სხივთა თამაშს სვეტიცხოველის გუმბათზე.

ოქროს ფურცლებით იყო გადახურული ტაძრის ზეთავი მაშინ და-ეს სანახაობა დიახაც ახარებდა თვალს.

ვილაც ენაჭარტალა მონაზონი უკითხავად მიეკედლა ამ ორთა.

მათ ფერხთით დაცუცქდა, სვეტიცხოველს გადახედა და მიმართა უფროს მონაზონს:

„იცი, დედაო ეფემია, რა მომხდარა გუშინ მცხეთაში?"

ეფემიას ყოველივე კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი ამ ცხოვრებასთან, გულგრილად ეუბნება ცნობისმოყვარეს:

რა მომხდარაო, დაო?

„ამ ტაძრის ხუროთმოძღვარს, ვილაცა ლაზს, შეჰყვარებია ერისთავის ასული, ძალუმად ლამაზი ყოფილა მაგ დიაცი ქა, მეფე გიორგის ნდომია იგი საცოლედ, ხუროთმოძღვარის სიყვარული არჩია თურმე მაგ სულელმა, დედოფლობასა.

ეს მეფეს გაუგია, მერმე წაუსწრეს თურმე შეყვარებულებს ქა, დიაცი გაქცეულა, მაგრამ საწმერთული დარჩენია ხუროთმოძღვრის სასთაულს ქვეშ, განრისხებულა მეფე გიორგი ქა, მკლავი მოუჭრიათ იმ ლაზისათვის ბოლოს".

შორენას მიწისფერმა გადაჰკრა ამის გამგონეს, სავსებით ჩაეფერფლა თვალები.

მოაგონდა: მართლაც რომ დაიკარგა საწმერთული ხოხბისყელისფერი, ამ ორი კვირის წინად. მცირეხანს გატრუნული იჯდა, მერმე წამოდგა, მთვარეულივით წაბარბაცდა ქარაფისაკენ, ალვისხემდის რა მიაწია, ეფემიამ მიაძახა:

სად მიხვალო, შუშანიკ!

ახლავე მოვალო, დედაო ეფემია.

ესა სთქვა, პირჯვარი გადაიწერა, გარღვეულივით დაბარბაცდა და გადაეშვა ქარაფიდან შორენა.

ჯერ ისე მხრებგაშლილი წავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოზებს ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატები, მერმე, დიდ მანძილზე სროლისას, ორგზის გადატრიალდა ჰაერში და როცა კლდის ქიმზე დაეცა თავქვე, მიწამდის არ დაჰყოლია სული.

LVIII

ხელახლა იფეთქა შავმა ჭირმა მცხეთაში, მოკვდა სამთავროს მონასტრის მამაი სტეფანოზ. სარკინოზებმა ჩამოუქროლეს მტკვარს გადალმელ სოფლებს. მელქისედეკმა გააშენა ოდესლაც ესენი. სვეტიცხოველს შემოუმტკიცა სიგელით.

ჯარი დაადევნეს, გააქციეს მტერი.

სტეფანოზ ბერის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა მთავარ ეპისკოფოსმა, რაჟდენმა.

მწვალებლები გვყავსო მცხეთაში, ამიტომაც არ გვშორდებაო ჟამი. ბოლოს პირუთვნელად ამხილა ფარსმან სპარსი, იგიაო მწვალებელთა მამამთავარი.

გიორგი უფლისციხეში იყო.

გააფთრებული ბრბო შინ მიეჭრა ფარსმანს, ჩაქოლვას უპირებდნენ, მაგრამ გაიოზ ბერმა მოუსწრო, დავდალოთო ეშმაკების თანაზიარი.

გაახურეს სპილენძის ტვიფარი, მელის სახისა, შუბლზე დაარტყეს მწვალებელს.

არც უფლისწულს, ბაგრატს უყვარდა ფარსმანი. მოშთობა ეწადა მისი, მაგრამ მიმინოების მეწამლე და მჩხიბავი სხვა არვინ გამოჩნდა.

მცირე საბაბმაც იკმარა ბოლოს: ბაგრატს მიმინო გაუხდა ავად. ფარსმანმა ოყნა გაუკეთა ფრინველს.

მორჩენის ნაცვლად მოკვდა მიმინო.

განრისხდა ახალგაზრდა ბატონი, დილეგში ჩააგდეთო „მაგ წარმართი".

ისევ აგორდა ჭური თვითმოძრავი...

დილეგიდან გაიპარა ტუსაღი, სარკინოზებთან გაიქცა იდუმალ.

დიღომთან შეიპყრეს სამეფოის სპათა. დიდხანს აწამეს ფარსმანი, ხელის ფრჩხილებიც დააძვრეს, ჯავარდენების წრთობის საიდუმლო მაინც არ გასთქვა.

ამ წამების დროს შემოაკვდათ მოხუცი.

ასე რომ ღვინის ქურდი თხლეს გადააყოლეს.

★

ცუდ ფეხზე მოსულიყო იმ დღეს მცხეთის სასახლეში ვიგრი. წინა ღამეს წალაპარაკდა მეფე და უფლისწული.

ეს ამბავი ასე დაიწყო: წიგნი მოუვიდა ბიზანტიონიდან ბაგრატს.

ნავახშმევს ბიზანტიელების ძაგება დაიწყო გიორგიმ. უფლისწულმა ასეთი რამ შეჰკადრა მამას:

თავშეკავება გმართებსო საუბრის დროს, მეფე ბატონო, იმ დღესაც აუგად გიხსენებია კეისარი და მთელი ბიზანტია.

ფარსმანს სულ სხვა რამ უთარგმნია კასავილასთვის იმ დღეს. ხოლო ბიზანტიელი სტუმრების წასვლის წინ, წვრილად გადაუცია შენი ნაბრძანები კატეპანისთვის.

კასავილამ ახალ კეისარს მოახსენა, ამიტომაც გამომაკიდესო თურმე მდევარი.

მეფე გაცხარდა და უყვირა ვაჟს. შენც გაგრყვნესო ბიზანტიელებმა, კარგი უქნია ფარსმანს, უჩემოდ რომ მიუხლია კასავილასთვის სიმართლე პირში. (გულში სხვას ნატრობდა: ნეტავ შემეძლოს მეორეჯერ მოვკლაო ფარსმანი).

სწორედ მეორე დღეს, დიდ დარბაზში შემოვიდა მთავარეპისკოფოსი რაჟდენი, მეფე ნარგილეს მიჯდომოდა და თრიაქსა წევდა.

მიმოიხედა ვიგრმა, რა დარწმუნდა არავინ არისო სხვა, ამცნო შორენას დალუპვის ამბავი გიორგის.

უსიტყვოდ წამოდგა მეფე, საწოლის დარბაზში შევიდა. მესაწოლე დაითხოვა, კარები გადაიკეტა თავათ. ინით შეიღება წვერი, მდაბიორის სამოსი ჩაიცვა კვლავ.

საღამოს უშიშარაისძე ახმობინა, პიპა.

შემდგომ ამისა, არც არავის უნახავს, თუ როგორ გავიდნენ სასახლიდან ორნი, ან ცხენები როგორ გაიყვანეს საჯინიბოდან.

ერთ კვირას ასე ეგონათ: სანადიროდ წაბრძანდაო საფურცლეს მეფე. მერმე უფლისციხეში იგულეს. მალემსრბოლები აფრინეს ორგანვე.

მისი მნახველიც ვერავინ იპოვნეს. ერთადერთი ნუგეში ეს იყო: მადევარი ძაღლიც აღარსად იყო, ყურშაი.

აფხაზეთს შიკრიკები წარგზავნეს, თმოგვში მოიკითხეს, ფახასკირტის ციხეშიაც აღარ აღმოჩნდა. მტკვარსა და არაგვში აძებნინეს მებადურებს, არც მეფე სჩანდა სადმე, არც მალემსრბოლი უშიშარაისძე.

მხოლოდ ერთი რამ მოიგონა უფლისწულმა, უკვე ბაგრატ IV-ემ: იმ უბედურ ღამეს ვილაცამ მაკოცაო ძილში. მინდოდა მენახა, მამა თუ იყო მეთქი, მაგრამ ძილმა წამართვაო თავი.

ბოლოს ხალიფის ალ-ჰაქიმის იდუმალი გაუჩინარების ამბავი გაახსენდათ, გამოიგლოვეს სასახლეში მეფე.

LIX

ირმის მყვირალობა ჯერ შორს იყო, მაინც დაეხეტებოდნენ თრიალეთის ტყეებში გლახუნა და პიპა.

მეტწილად მეჯოგეების კარვებში ათევდნენ ღამეს, ხანაც ერთ ნაპარტახალ ქოხს შეეხიზნებოდნენ სოფელ იწროში.

ხმას არავის სცემდნენ, არც თუ ვისმეს უმხელდნენ თავიანთ ვინაობას.

ერთ დილით, მეჯოგის კარავში მწოლარე, ირმის ბღავილმა გამოაღვიძა ავშანისძე, გლახუნა. წინა დღის ნარბენს ისე მაგრად მოჰკიდებოდა ძილი, მცხეთის სასახლეში ეგონა თავი.

გვერდი იბრუნა და განაგრძო თვლემა.

მეორეჯერ დაიქუხა ირემმა, შეკრთა და წამოვარდა მძინარე.

პიპა გააღვიძა საჩქაროდ, ყურშაი აიყოლიეს და მიჰყვნენ ირმის ბღავილს.

უშიშარაისძე უძაღლოდ მიდიოდა, სწორედ იგი გადააწყდა ხარს, ესროლა ისარი, მაგრამ დააცდინა. გლახუნა ფურს გამოუდგა, ლომისფერი იყო იგიც, ზედმიწევნით ჰგავდა ნებიერას.

ნაშუადღევამდის სდიეს ირემს პატრონმა და ძაღლმა, ორგზის შემოაბრუნა მადევარმა, ბოლოს დაეცა მძიმედ დაჭრილი ნადირი.

როცა გლახუნა მიეახლა, იგი იწვა წინა მუხლებზე დაჩოქილი, დრუნჩი მიწაზე დაედო და საწყალობლად ხვნეშოდა ფური.

მონადირეს უნდა მოეკლა წესისამებრ, სატევარი ამოიღო, მაგრამ ისეთი მშვენიერი და უმწეო იყო ცხოველი, ისევ ჩააგო გლახუნამ იარაღი ქარქაშში.

ქარაფზე გადადგა, უძახა უშიშარაიძეს, აღარსად სჩანდა იგი, ახლა ხეზე გავიდა, უყივლა, უსტვინა, ამაო იყო ყოველივე.

იფიქრა: ავიყვანო ხელში, მოეჭიდა ირემს, მართლაც ატარა მცირე მანძილზე, ბოლოს ეტკინა ნადირს ჭრილობა, დაიბღავლა, ორივენი დაეცნენ მიწაზე.

სწორედ ამ დროს ნაწლავები გაესკვნა გლახუნას. წამოდგომა დააპირა, წელი ვერ გამართა.

თავი მიადო ჯერაც მსუნთქავსა და ტფილ ცხოველს, იამა მისი საამური სუნი.

სიკვდილი მოვიდაო, გაიფიქრა, თანაც იგონებდა შორეულს, იმ რამდენიმე ბედნიერ წუთს, კვეტარის ციხეში გატარებულს.

ბოლოს მოუსწრო პიპამ, ბავშვივით აიყვანა მომაკვდავი მეფე, ირემი ტყეში დასტოვა და ძლივს მიათრია იწროში.

უშიშარაისძეს ასე ეგონა: ძარღვი გაეს კვნაო უბრალოდ.

გახადა სამოსი, გაოცდა, როცა ნახმლევებისაგან დაჩეხილი სხეული ნახა. სავსებით ახალგაზრდა ვაჟკაცის სხეული.

უზელდა მუცელს, მაგრამ შენიშნა, უარესად ხდებოდა მეფე.

მკვდრისფერი დაედო სახეზე, თვალები დახუჭა, მერმე ისევ შეუწითლდა ლოყები, თვალი გაახილა და ეუბნება პირალმა მწოლარე:

„ამ სახლში ხომ არავინაა შენს მეტი, პიპა?"

„არავინაა, მეფე ბატონო."

„კარგია, პიპა, შენს მეტი რომ არავინ დაესწრო ჩემს სიკვდილს."

„რა დროს სიკვდილია, რასა ბრძანებთ, მეფე ბატონო?!"

„არა, ჩემი დღენი დათვლილია უკვე. მიწია გველისფერი წმ. გიორგის რისხვამ. მე მივდივარ ამ სოფლიდან, პიპა, უამბე ჩემი ნათხრობი ვინც მომიკითხოს ყველას, ბაგრატ უფლისწულს და უკანასკნელ მეხამლესაც უამბე, პიპა.

მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია, ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მილალატნია, პიპა.

ჩვენი უბედურება ამ ჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვარებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.

ბასიანთან აზნაურებს რომ არ ელალატნათ, იქაც ვძლევდი ბასილი კეისარს, იცოდე.

თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, პიპა, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშარებსა და მსტოვარებს.

სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართლელები „აფხაზს" მეძახდნენ, ხოლო აფხაზები — „ქართლელების მსტოვარს" მიწოდებდნენ ბაგრატოვანს, ლაზს.

დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ, პიპა. ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა.

მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ლორმუცელა ეპისკოფოსები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარდა პაპაჩემი, გურგენ — მაგისტროსი, მამაჩემი — ბაგრატ კუროპალატი და მცხეთიდან გაქცევის წინალამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ისაა, სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

ხალხიც აზნაურებს ბაძავდა, პიპა, ამიტომაც მშვენიერს, „ულამაზოს“ უწოდებენ, კარგ ქართულ თხილს „ბერძნულს“, ხოლო საუკეთესო ლობიოსაც „ბერძნულს.“

სიმთვრალეში კარგი ვაჟკაცები ვართ და კარგი რიტორები, პიპა, ეგაა ოღონდ, სიფხიზლის დროს ჩადენილი ცუდკაცობა სიმთვრალეში გვავიწყდება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადები, უკვე აღარ გვახსოვს გამოფხიზლებულთ.

მეც მჭირდა ეგ სენი, პიპა, სიმთვრალეში მოვაკვლევინე ფხოველებს დედიჩემის ძმისწული გირშელ, თრიაქით მთვრალმა.

ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდიკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები.“

მცირეხანს დადუმდა თვალდახუჭული, უცნაურად დაემანჭა სახე. ისევ გადაედო მკვდრისფერი, მერმე გაახილა თვალი და ეუბნება უშიშარაისძეს:

„ახლა ადექი, პიპა, მღვდელთაგანი მომგვარე ვინმე, არ მიყვარს პამპულა ეპისკოფოსები, უბრალო დიაკვნის პუტუნი მენატრება, პიპა“.

გავიდა უშიშარაისძე, ვიღაც ახმახი დიაკონი გამოძებნა სოფელში, როცა გიორგის სამყოფლოს მიეახლა, გამოექცა დიაკონს, სვეტს მიეყრდნო და ზლუქუნებდა ეს ვეება ვაჟკაცი ბნელში.

თავზე წამოადგა დიაკონი მომაკვდავს, ცალ ხელში დავითნი ეჭირა, ცალშიაც ანთებული კელაპტარი და პუტუნებდა:

„ღმერთო სულთა და ყოველთა ხორციელთაო, რადგან სიკვდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე და ცხოვრება სოფელსა მიანიჭე, შენ უფალო განუსვენე სულსა მონისა ამის შენისასა (სახელი და გვარი გამოსტოვა, რადგან არც კი იცოდა ვის უკითხავდა სულთათანას) ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანილოვანსა, ადგილსა განსასვენებელსა, სადა იგი არა არს სალმობაი, მწუხარებაი და სულთქმაი და ყოველნი ცოდვანი ამის მიერ ქმნილნი საქმითნი, სიტყვითნი და მოგონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან შეუნდენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელიც ცხოვნდეს და არა სცოდოს, რამეთუ შენ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა ხარ და სიმართლე შენი სიმართლეა საუკუნო და სიტყვა შენი ჭეშმარიტ“.

გიორგი იწვა გულზე ხელდაკრეფილი, ხოლო ზემოტუჩი უტოკავდა ნელა, სულ ნელა, თითქოს ეჩურჩულებაო ვიღაცას.

წაიბუტბუტა:

„მომიცადე, დედა!“

პიპას ზლუქუნი შემოესმა გარედან, თვალი გაახილა, დიაკონი უშიშარაისძე ეგონა, ხოლო ანთებული კელაპტარი — ცეცხლის მფრქვეველი ხმალი. ეუბნება:

„რა გატირებს! დამკარი, შე ულმერთო, ეგ ხმალი, ბარემ გათავდეს ეს ცხოვრება, პიპა“.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები ამ ქვეყნად.

როცა ქუთაისში ასაფლავებდნენ მის ცხედარს, საშინელი წვიმა იყო და ქარი ჰქროდა.

პირველად ერთ მესაფლავეს წამოსცდა სიმართლე მისი უთავკამო და ბობოქარი ცხოვრების გამო.

როცა მოტირალები, დიდებულები და მოსეირენი წავიდნენ, მოხუცმა მესაფლავემ ეს უთხრა ახალგაზრდას:

„არც სიკვდილში ჰქონია გიორგი მეფეს ბედი.“

LX

„ვაჲ, საშოსა ჩემსა, რამეთუ გშობე,
ვაჲ, ძუძუთა ჩემთა, რამეთუ გზარდე,
ვაჲ, ბაგეთა ჩემთა, რამეთუ გიძახოდი და არ
გამეცა ხმაი,
ვაჲ, თვალთა ჩემთა, რამეთუ გიტირე.“

ღამეს ნაბდის კარავი დაედგა ხილნარში, რატისეულ სასახლეში აგზავნიდა თავის დესპანებს.

აღარ თენდებოდა, აგვისტოს ხვატი ვერ გაენელებინა ბნელსაც.

ერთადერთი ჭაღის გარშემო, თვალისმომჭრელი სისწრაფით ცეკვავდნენ ფრთამოხატული, თალხი პეპლები.

ბორგავდა ავადმყოფი, იგი არც ამ პეპლებს ხედავდა, არც ღამურებს, ჭერს ქვეშ მორიალეთ, ჩრდილები ლასლასებდნენ ირგვლივ, ჭაღის ალზე იტრუსებოდნენ პეპლები, ძირს სცვივოდნენ განწირულები, მაგრამ მაინც ახალსა და ახალ ლაშქარს უშენდა ჭაღის შუქს ღამე, პეპლები ცეკვავდნენ, დალასლასებდნენ ჩრდილები დარბაზში.

ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს.

თავი აიღო არსაკიძემ, სიცხისაგან გაოგნებულმა. სარკმლიდან მოსჩანდა ლურჯი, სავსებით ლურჯი ცარგვალი, სწორედ ისეთი, როგორც ნაავდრალი შავი ზღვა.

ვარსკვლავები მაინც ანათებდნენ ბნელს, აფახულებდნენ ოქროსფერ წამწამებს.

ნონაი ბალახებს ხარშავდა თავის სამყოფლოში და როცა ცრემლები მოზღვავდებოდნენ, კაბის კალთით იწმენდდა თვალებს.

წუხდა ნონაი, არც ბოდოკია სჩანდა სადმე, აღარც დედა სულთმობრძავისა.

ისევ აიღო ავადმყოფმა თავი, ასე ეჩვენა კონსტანტინეს:

ბუს მართვე უხმობსო ღამეს.

თვალი დახუჭა, ნელი, ნელი ხმით სთქვა: „წყალი.“

სწყუროდა ავადმყოფს, იქვე იდგა წყალი, მარჯვენა მკლავი აღარა ჰქონდა, მარცხენას ვეღარ ხმარობდა მხარში დაჭრილი.

ხედავდა: წყალი იქცეოდა ნაპირებიდან. არა, ზღვა იყო ეგ, ლურჯი ზღვა, ოქროს თევზები ხომ არ თამაშობდნენ შიგ?

ლაზური სოფელი და ეკლესია დალანდა ზღვისპირად, ალვის ხეები, ლაზური ოდა, ალვის ხეები, ცამდის მაღალნი.

მერმე მთები გამოჩნდნენ, ფხოვის მშვენიერი მთები, აქაც უხვად იღვრებოდა ქარაფებიდან წყალი, მაინც არავის მოჰქონდა იგი.

ფხოვური ქვიტკირის პატარა ეზოში დაფათურობს შავითმოსილი ცალი. ფხოვური მანდილი ახურავს შავი.

ბიბლიოთეკა

ცალ ხელში შავტარიანი დანა უჭირავს სისხლიანი. შავი ცხვრისთვის უძგერებია ყელში და მოთქრიალებს წყალი კი არა, სისხლი. მისწვდა არსაკიძე. მაგრამ გაბოროტდა დედა, ახლოს არ გაიკარა თავისი საყვარელი უტა.

ქარაფებიდან იღვრებოდა წყალი, ჰქუხდნენ მშვენიერი ჩქერალები ფხოვისა, მაგრამ ოხჭანი იდგა მაინც მთებში.

მოწყურებული ქორები აწყდებოდნენ უწყალო ცას.

წყალი, დაიძახა არსაკიძემ უძლური ხმით და ბალღივით იტირა, დედამაც რომ არ მოუტანა წყალი.

შეეშინდა: არავინ ნახოსო ცრემლები, გამოიღო საბნიდან მარცხენა ხელი, თვალზე წამოიფარა.

გამოეთხოვა მთებსა და ზღვას, გამოეთხოვა თავის ტკბილ სიყრმესა და სიჭაბუკეს გამწარებულს.

ასე მოესმა ავადმყოფს: რაღაც ფაჩუნობსო კუთხეებში. რაღაც დაეცა სველ ღაწვზე, უბწკინა. ხოჭო ხომ არ იყო ეს?

ამასაც გრძნობდა: საბნის ქვეშაც ფაჩუნობდა რაღაც, გააჟრჟოლა ანაზდად და აცახცახდა, მერმე აღასლასდნენ ჩრდილები დარბაზში.

უზარმაზარი ლანდი ჩამოვიდა კედლიდან, მგლისებრმა თვალებმა გაიელვეს ბნელში.

და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერმე მისწვდა იგი ჭრილობიან ბარკალს და დაუბოშა ვრცელი ბარკლისა.

მოეძალა ბობღია ლანდი, მგლისებრი თვალები შემოანათა და სთხოვა სული.

არ მისცა სული მგლისებრ თვალება მოხუცებულს მხატვარმა.

დიდხანს ერკინებოდა მხატვარი სიკვდილის ღმერთს.

ამაოდ ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს.

ბოლოს მოაწია რიჟრაჟმა, ატყდა ნათლის ლიცლიცი გარედ, ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვევოდა იისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან.

შორენა გადმოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს.

დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული.

ცრემლებმა იწვიმეს კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი.

უთენია ჩამოვიდა ფხოვიდან დედა და როცა მორიელებისაგან დაკბენილი შვილი დაინახა, გაქვავდა თურმე.

...და ეს ამბავიც ავაზის დღეს მომხდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპილოგი

ათას წელს იწვიმა და იქუხა, იმ დღიდან, საქართველოს თავზე, ათას წელს იგორა ქვადქცეულმა სულმა.

ჩემს სიყმაწვილეშიაც მინახავს კაცის სიმაღლე ლოდი, რომლის გამოც ამას ამბობდნენ მცხეთაში: კონსტანტინე არსაკიძის დედაო გაქვავებული.

მანდილიან ფხოველ დიაცს მიაგავდა ეს ლოდი მართლაც. შარშანაც ვნახე ძველ სასაფლაოზე, მცხეთაში.

წრეულსაც მოვიკითხე, ასე მითხრეს: მშენებლობაზე წაიღესო, სადღაც.

მას შემდეგ არ მიძებნია იგი, რადგან ამასობაში უკვე დავაცწარი მშენებლობის გენიას და ქვაში ჩაკირული საიდუმლო გავაცხადე სიტყვაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ხახუტაშვილი

იოსებ ლალიაშვილი

რომანი [1]

მეორე დილით ეგზარხოსი პავლე რაღაც უცნაურ გუნებაზე ადგა. როცა ფარჩის საბანი გადაიხადა, ხავერდის ფლოსტებში ფეხი წაჰყო და აბრეშუმის ქსოვილებით ჩამოოალხულ ფანჯარაში გაიხედა, თოვლის ფიფქები ჰაერში ცელქად ტრიალებდნენ. ქარი ოდნავ ზუზუნებდა და ხის კენწეროებს ნელა არხევდა.

მეორე, უფრო ნათელ, ოთახში ლამაზად მოჩუქურთმებულ ბუხარს მხიარული გუგუნი გაჰქონდა.

ხმელ შეშას ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა და სარკესავით გაპრიალებულ იატაკზე ცეცხლის შუქი ხვეულებად ციალებდა.

თეთრი ნიკელის სამოვარი მაგიდაზე თავისებურად წყნარად მღეროდა და უხვად გამზადებული სუფრა მის მაღალუსამღვდელოესობას ელოდა.

თუმცა ოდესის მსუქანი ლორისა და ნამცხვრების სუნი ეგზარხოსს მადას უხსნიდა, მაგრამ ის მაინც არ იყო გუნებაზე.

კნეინა მადლენას მშვენიერი თვალები, რომელიც მან კრების შემდეგ დუნდოკოვ-კორსაკოვთან ნახა, მისი ბროლივით გულმკერდი მთელი ღამე მოსვენებას არ აძლევდა და როდესაც კლასიკური მისი სახე ჩუდეცკის მოხდენილ ცოლს შეადარა, ეგზარხოსს გულში გაეცინა: ამაყი, გოროზი და შუქმფენი მედიდური სახე მადლენასი ქალღმერთს ამსგავსებდა მას.

— ოო... ცეცხლი იქნება, ცეცხლი!.. თვალები ისე უელავს, გაპრიალებული ხმალივით გულს მესობოდა მისი მზერა, — ფიქრობდა ეგზარხოსი კნეინაზე.

ეგზარხოსმა ფაფუკი ხელები თავზე დაიწყო და გაიზმორა.

არა, უსათუოდ მარიამი მაინც უნდა ნახოს დღეს, თორემ რისამე გაკეთებისა და მოსაზრების თავი არა აქვს. დღეს მარიამი.. და მერე ის მშვენიერი სამხრეთის ფრინველიც უნდა ხელთ იგდოს, — გადასწყვიტა ეგზარხოსმა. დილის კაბა გადაიცვა და ისე ფანჯრებს მოადგა.

მღვდელმთავარმა ჯერ ეზოს ფანჯრისაკენ გაიხედა, შემდეგ ჩრდილოეთის ფანჯარას მიუახლოვდა. მტკვრის პირთან ტერასებად დაქანებული მისი ბაღი თოვლით ნელნელა იქარგებოდა, შადრევნის მარმარილოს თეთრ მარმაშებად შემოსდებოდა და კვიპაროზთა ხეივნის ჩაშავებულ კალთებს ბამბის ნაფლეთებად დასდებოდა.

ცას პირი შეეკრა, და მეტეხის ციხე საშინლად დაღვრემილი იცქირებო-

---

[1] იხ. „მნათობი", № 4

და. ადიდებული მტკვარი თიხისფერ ტალღებს ცხვრის ფარასავით ქვევითკენ სწრაფად ელალებოდა.

ერთი სიტყვით, პირქუში ზამთრის დღე იდგა, მაგრამ ეგზარხოსის სახლში მყუდროება და სილამაზე სუფევდა.

ეგზარხოსი ისევ ცეცხლისკენ შეტრიალდა. გრძელ წვერებში ხელი შეივლო, დინჯად ჩამოივარცხნა, დაბლა დახრილი ქუთუთოები ზევით ასწია და ისე გაიღიმა, თითქოს ვიღასაც ეალერსებაო. თან ცეცხლს მიუახლოვდა, და ბუხრიდან გამომკრთალმა სითბომ მის მარალკურთხევას ტკბილად უღიტინა. ისევ კნეინა გაახსენდა და ზურგზე ჭიანჭველები აეშალნენ.

— არა, დღეს მარიამი ძალიან საჭიროა, — გადაჭრით წარმოსთქვა მან და საწერ მაგიდას მიუჯდა.

ხუთი წუთის შემდეგ ვერცხლის ზარი აწკრიალდა. კარები მოკრძალებით გაიღო და გრძელ-წვერა მსახური უსიტყვოდ კუთხეში გაჩერდა.

ეგზარხოსმა ხელი მსახურისაკენ გაიშვირა და პატარა კონვერტი ისე გადასცა, რომ ზედ არ შეუხედია.

— სემენარიის რექტორს ახლავე გადაეცი.

მსახურმა წერილი ჩამოართვა და კარები უჩუმრად გაიხურა.

ჩუდეცკიმ წერილი მაშინ მიიღო, როცა ორი გაკვეთილი გაუთავდა და კაბინეტში „სასულიერო მატიანისათვის“ ქართული ეკლესიის შესახებ წერილს ამზადებდა.

კონვერტი რომ გადასცეს, ხელად იცნო და შუბლი უცებ შეეკრა. გახსნა. სიბრაზით თავში ალმური აუვარდა, კბილები გააკრაჭუნა, წერილი ცალი ხელით დაჭმუჭნა და ცეცხლს მისცა.

ახლა კი დავთრები მთლად აეშალა ჩუდეცკის. გალიაში მომწყვდეული დათვივით წინ და უკან ბორიალი დაიწყო:

— Ах, проклятый греховник, отщепенец дьявола. Голову тебе, тлеющему сластолюбцу, размножу, ибо не могу больше, нет силы эту пытку выносить.

ჩუდეცკიმ ანაფორა გაიხადა, სკამზე დაკუმშული მიაგდო და ნაბიჯი უფრო ააჩქარა.

ერთი კუთხიდან რომ მოტრიალდებოდა, მეორეს შეაფურთხებდა. მეორეთ გატრიალებული პირველს დაუმატებდა და გზადაგზა მაგიდას და სკამებს ეჯახებოდა. ანგრევდა იქაურობას.

მეორე ოთახში კი მარიამი სულსა ნაბავდა: კარგად იცოდა, რის ნიშანიც იყო ეს და გულში სიხარული ჩაჭქროდა.

ჩუდეცკიმ ირბინა, მოიღალა, შემდეგ ისევ მაგიდას მიუჯდა, მუხლებზე მუშტები დაიკრა და კბილთა ღრჭენით წარმოსთქვა:

— ან მაგას მოვკლავ, მრუშ დიაცს... არ გავუშვებ... მოვკლავ... დავაღრჩობ, ან არა და.. ახ, ღმერთო!...

ამ მღელვარებამ ორ საათს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მარიამი ქმრის კაბინეტში არავის უშვებდა, ყველას ეუბნებოდა:

— სახლში არ არის, ეგზარხოსმა დაიბარა და იქ წავიდა.

და ეს ამბავი სწორედ მაშინ იყო, როცა ქვემოთ სიდას ცოდვით დარაჯსაც კი გული მოულბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათავდა თუ არა ორი გაკვეთილი, როცა მეორე გაკვეთილისათვის ზარი დარეკა, მაშინვე ზემოთ გამოემართა და კარები მოკრძალებით დაკაკუნა. კარი მარიამმა გაულო და გამოუცხადა:

— რექტორს არა სცალიან და ვერავის ვერ მიიღებს.

დარაჯი თავზე წყალგადასხმული ჩავიდა. სიდას ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და უთხრა:

— ეგზარხოსთან მიდის და არავის არ იღებს.

სიდა ხელის გაქნევაზე მიხვდა, რომ რექტორი არ იღებდა, და სიმწარით პირი გაუშრა.

— ვაიმე! — ერთი კი წამოიძახა და თავში მაგრა შემოითხლიშა. — ახლა სადღა წავიდე, ვიღას მივმართო, მე ჩაქოლილმა? — წარმოსთქვა სასოწარკვეთილებით და წამოიწია.

გათოშილ-გაყინულ დედაკაცს წელი ველარ აჰყვა, მუხლები ველარ აამოძრავა. ორჯერ, სამჯერ თავს შეებრძოლა, ძალა მოიკრიბა, როგორც იყო, წამოდგა და ბარბაცით გაემართა.

გარეთ ცივი ქარი ჰქროდა, და სიდას სველ ფეხებში შუბის წვეტებივით ეტაკა.

— სადა ხარ, ადამიანო, აქამდინ? მუხლები ჩამომიშეშდა... — მიატანა სიტყვა ილიკომ და აივნის დიდ სვეტს ჩამოშორდა.

ილიკო დიდხანს ქარს იქ ემალებოდა და ფეხებს მოუსვენრად აბარტყუნებდა. მაგრამ სიცივე ბვალსა და რბილში ატანდა და გულზე ჯავრი აწვებოდა. დედაკაცს რომ სახეში შეხედა, ილიკოს გუნება უცბათ შეეცვალა, დედაკაცი ისე შეეცოდა, რომ ეხლა სხვა კილოთი ჩაეკითხა:

— რაო, რა გითხრეს, რა ნუგეში მოგცეს მაგ პირკომლობა ამოწყვეტილებმა?

— აი მიწაშიაც წასულა და მოუსვლელში!.. არ მიმიღეს. ეგზარხოსთან წავიდაო.

დედაკაცმა კრიჭა გახსნა და გაალმასებულს სიცივე მთლად დააავიწყდა:

— აჰაი, იქნება მაგათ გონიათ, რომ ადვილად დავეხსნე? ეს ხომ ძაღლივით გავიტანჯე, კიდევაც ჯვარს გავეკრობი, და რომ გაწყდნენ, მე ჩემსას არ დავიშლი. ილა, შენი ჭირიმე, შენ ი შენ ხარებს მიხედე და მე იქ წავალ... რაკი ეგზარხოსთან წაშავებულა, მეც იქ მივეჭრები, თავს მიწას ვახლი და აბა ნუ მიმიღებენ!.

დედაკაცი დაიძრა და წამოვიდა. ილაც სახრით ილლიაში ჩანჩალით უკან გამოედევნა. სანამ სიდა კითხვის-კითხვით ეგზარხოსის სახლს მიაგნებდა, შავი, გაკრიალებული კარეტა სემინარიას კიდეც მოადგა. ჩუდეცკი სადღაც გავარდნილიყო, და მარიამმა კარგად იცოდა, რომ ქმრის სხვაგან გაჭრა იმას ნიშნავდა, რომ ამით ნებართვას აძლევდა ცოლს ეგზარხოსთან სადარბაზოდ წაბრძანებულიყო. მართალია, იქიდან დაბრუნებისას ჩუდეცკი მრავალ შეურაცხყოფას მიაყენებდა, გაცოფებული მგელივით ცოლს ახლა ის ეძგერებოდა, მაგრამ ამას ვილა დასდევდა, სასურველის მიღებისათვის მწარეს აღარ ერიდებოდა.

როცა დარაჯი ამოვიდა და მოახსენა, ეტლი მოგერთვაო, მარიამმა სურნელება გულზე, ყელზე, ყურებს უკან, კულულებზე მიისვ-მოისვა, სარკეშიაც რამდენჯერმე ჩაიხედა, კულულები შეისწორა და მერცხალივით გამოფრინდა.

მეეტლემ ტყავის მისაფარებელი გაისწორა, როცა ქალმა კარეტის კარები შეიჯახუნა და ეტლი თქარა-თქურით დაიძრა.

რამდენიმე წუთი და ეტლი არქიელის მოედანზე დიდ გალავნით შემოფარგლულ თეთრ შენობას მოადგა. ახალგაზრდა ქალი ფიცხლავ გადმოვიდა. ნესტიან ჰაერზე გაშლილი ხელოვნური კულულები შლიაპის ქვეშ ფრთხილად გაისწორა და სადარბაზო კარებისკენ გასწია.

ეტლის ხმაზე ერთ-ერთი ფანჯრის აბრეშუმის ქსოვილი შეირხა.

ალბათ, იქ მოუსვენრად ელოდნენ.

კარის კაცმა მარიამს დაბლა თავი დაუკრა და გაფაციცებით კარი გაულო, თანაც დაუკითხავად მოახსენა:

— დომა, ვაშე ვისოკოროდიე, — და ქალმა ფარჩა შეაშრიალა. გზადაგზა სურნელება დასტოვა.

ეშმაკურად მოღიმარ კარის კაცს ამ სუნმა უფრო თავბრუ დაახვია. ალმაცერი ღიმილი მას სახეზე ერთხელ კიდევ გამოუკრთა და წყალდასხმული ძალლივით თავი უშნოდ გააქნ-გამოაქნია. შემდეგ დერეფანში შეტრიალდა, კარი მაგრა ჩაკეტა, იქვე მიჯდა და შიგნიდანაც შეკეტილ კარებს ყური მიადო და ვაინაბა.

იმ დღეს ეგზარხოსთან ვისიმე მიღება აკრძალული იყო.

ეგზარხოსი პავლე ტყავგადაკრულ ფართო სავარძელში იჯდა და მოუთმენლობას ქარვის კრიალოსნის თამაშით იკლავდა. სანამ ქალი შევიდოდა, მან მღელვარებით რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, შემდეგ ისევ სავარძელში ჩაჯდა, ფაფუკ წვერებზე ხელი ჩამოისვა და სიამოვნების ღიმილმა სქელ ტუჩებზე გადაურბინა, თვალებმა ცეცხლი გამოკვესეს.

კარი გაიღო და ისიც ფეხზე წამოდგა. როცა ქალის ზურგს უკან კარი ისევ მიიხურა, მან ხელები მაცდური ღიმილით წინ გააპყრო და სიცივისაგან ლოყებაწითლებულ ქალს მიუალერსა.

— ოო... პაწია ფრთოსანს როგორ შესცივნია... ღმერთო, როგორ გაყინულა... აბა, ჩქარა ღუმელთან, ღუმელთან...

ეგზარხოსმა ფუნჩულა ხელებით ქალს ხელთათმანები გახადა, პაწია თითები სათითაოდ დაუკოცნა. შემდეგ ფრთხილად ხელი წელისაკენ გააპარა და ქალი გულში ჩაიკონა.

ქალმა თვალები დახუჭა, როცა ეგზარხოსის წვერმა მის სახეს უღიტინა და მომწყვდეული ფრინველივით იტვრინა. მის გულს საშინელი ფანცქალი გაჰქონდა. საკმლის სუნმა და ეგზარხოსის სხეულის სირბილემ და სითბომ მთლად მოადუნა.

პირველი ჩაბჟირებული ამბორით მისმა მაღალკურთხევამ გული რომ იჯერა, ქალი მეორე ოთახში გავარვარებულ ბუხართან მიიყვანა და, როცა შორიახლო დამზადებულ სავარძელში ღრმად ჩაჯდა, ქალი ბალღივით მუხლებზე დაისვა და ხელმეორედ გულზე მიიხუტა.

— ნუ, კაკ უ ვას ტამ? — მრავალ-მნიშვნელოვანი კილოთი ჰკითხა ეგზარხოსმა და თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა.

ქალმა ისარგებლა, მუხლებზე გასწორდა და ბავშვივით ატიტინდა:

— საშინელებაა, საშინელება!.. დეკანოზი უარესად ღელავს... ნერვიულობს, ხშირად ღამე არა სძინავს, სულ ოხრავს და ვიღაცას ემუქრება...

„ვაიმე, ეს რა წამომცდა“? — გაიფიქრა და ხელათ ნათქვამ სიწრფელეს სულ სხვა სარჩული გამოუდო, რომ ისედაც დაჩაგრულ დეკანოზს ეგზარხოსის მრისხანება თავს არ დასხლეტოდა:

ბიბლიოთეკა

— საშინელ, ჯოჯოხეთურ ქვეყნაში მოვხვდით. ამ ველურ ქართველ მოწაფეებისაგან მოსვენება აღარა აქვს და მათი დანახვა დეკანოზს ვეღარ მოუთმენია.. მართლაც და სულ დაბღვერილი სახით იცქირებიან, თითქოს კაცის მჭამლები იყვნენ.. — სხაპასხუპით განაგრძო მან და გაჩერდა. — იცით?.. მაგრამ, რა ამბავია? ხა-ხა-ხა!.. თქვენ გძინავთ, პაპუსენკა? მე მოვედი და თქვენ გეძინებათ?

ქალმა იცოდა ეს გატვრენა რასაც ნიშნავდა, მაგრამ ვითომ გულუბრყვილოდ, მილულული თვალები თითით აუწია და კეკლუცად ჩაიკისკისა.

არქიელმა თვალები ღიმილით გაახილა, ქალი ხელმეორედ მიიზიდა და მოტიტინე ტუჩებში მაგრა აკოცა.

— ჰო, ეს არაფერია, ჩემო ფრთოსანო... — ბურანში გახვეულივით წამოილუღლუღა ეგზარხოსმა.— მომავალში სულყველაფერი შეიცვლება და ამ აზიელებს გადავახალისებთ, როცა რუსეთიდან აუარებელ ხალხს გადმოვასახლებთ და შავბნელი მათი თვალები ნაცრისფრად შეეცვლებათ, თმებიც ოქროსფრად გაუხუნდებათ და მაშინ ჩვენთვის ისე აუტანელი აღარ იქნებიან.

ეგზარხოსს სასახლის გუშინდელი სხდომა გაახსენდა. იანოვსკისთანა გულწრფელი და საქმიანი კაცი ამ წყეულ ქვეყანაში ორმოცდა ათამდე მაინც რომ დატრიალდეს, მართლაც ეს მალე მისაღწევი შეიქნებაო, — გაიფიქრა მან და უცებ ისევ ის კნეინა დაუდგა თვალწინ, რომლის შავბნელმა დიდმა თვალებმა სხეული ისე აუჯაგრა. ეგზარხოსი ისევ აღელდა, ქალი გულზე მიიხუტა და ყურში ჩაუფუჩუნა:

— შენ, ჩემო პაწია ფრთოსანო, მაგეებს ყურადღება არ მიაქციო, შენ არავინ და არასოდეს არ უნდა აგაღელვოს, რადგან შენი მფარველი და შენი საბრძანებელი მხოლოდ აი ეს გულია... ეს გული!

ეგზარხოსმა ცალი ხელი წელზე მაგრა შემოაჭდო, მეორე სავარძლის სიღრმეში გააცურა, იქიდან ოთხად ასხმული წვრილი მარგალიტი, რომელიც ხახულის ღვთისმშობლის ხატს სხვა ძვირფას თვლებთან ერთად ოდესღაც ამშვენებდა, ყელზე ათრთოლებული ხელით გაუკეთა და საკინძი ფრთხილად შეუხსნა.

— ეხლა ეგ გულმკერდი დედოფალ ეკატერინეს მიგიგავს, — ჩურჩულითლა ეუბნებოდა ეგზარხოსი.

ქალმა არც საჩუქარი და არც შექება არ შეიმჩნია, ლაპარაკს უხშირა და ახალი ცნობა ეშმაკურად გადუშალა.

— მართლა, პაპუსია, ყური მიგდე, მიგდე ყური, რა გითხრა: გუშინ დეკანოზთან ჩვენი ნაცნობი ჟანდარმთა როტმისტრი ბელიაევი იყო და ასე გააფრთხილა: დათხოვნილი ბურსაკები ისევ ტფილისში არიან და ახალ აჯანყებას უცდიანო.

ეგზარხოსი კი უფრო და უფრო ღელავდა, ხელებს უაზროდ აფათურებდა... მაგრამ ეს ცნობა ყურში მაინც ჩაეწვეთა და ქალს ჩურჩულით უპასუხა:

— ნუ გეშინიან, ჩემო სიხარულო, ყოველი ზომა მიღებულია, მაგ საზიზღრებს მალე საკუთარ ბოლმაში ჩავაღრჩობ... ეხლა ყველაფერი დაივიწყე... შენ

ეხლა ჩემთან ხარ... ჩემი ხარ... ჩემი, პაწიავ ჩემო.. — და წაეტანა მღვდელმთავარი ხელახლა ტუჩებში ჩასაკონებლად. აბრეშუმად დაეფინა ქალის მოხუცის გრძელი წვერი. გასუქებული მისი გულმკერდი ღუმელივით გაგიხსნა ქალმა და ისიც კატასავით გაინაბა.. მაგრამ უცებ ზეზე წამოიწია, თვალები ფართოდ გააღო და ყური დაუგდო...

არქიელიც მთლად შეიცვალა. განცვიფრდა და ისიც სმენად გადაიქცა:

ფანჯრის იქით, მის ეზოში, სულ ახლო, ისე ახლო, თითქოს მეორე ოთახში ყოფილიყოს, ვილასიც გულშემზარავი ქვითინი და მოთქმა მოისმა...

— გამიშვით, გამიშვით, გევედრებით, ღმერთი არა გაქვთ?! გამიკითხეთ მეთქი, თორემ აი აქვე, თქვენ თვალწინ ცოდვას დავატრიალებ. მაჩვენეთ მეთქი!.. ნაკურთხი კაცია, ალბათ, გამიგებს და შემიწყალებს ჩაქოლვილ ადამიანს...

— გესმით, რაღაც ამბავია, ყური დაუგდეთ, — შეშინებული სახით წარმოსთქვა მარიამმა და გახსნილი ღილები სწრაფლ შეიკრა, მოთელილი თმები შეისწორა.

ეგზარხოსი კი ძალზე გაბოროტებული სახით წამოდგა, ტანისამოსი იმანაც შეისწორა, მაგიდას მიუჯდა და ზარი დააწკრიალა.

ქალიც იქვე ჩამოჯდა და ძვირფასი სახარება გადაშალა.

კარები ფიცხლავ გაიღო და მსახური მორჩილი სახით სვეტივით აღიმართა.

— რა ამბავია, პეტრო? — დინჯად ჰკითხა მისმა უსამღვდელოესობამ.

— Ничего, ваше преосвященство, какая-то сумасшедшая грузинка пришла, на колени встала, к вам просилась, а я ее за шиворот прогнал...

— Довольно, иди! — ცივად უთხრა ერთგულ მსახურს არქიელმა და როცა კარები ჩაიკეტა, ქალს სახარება ჩამოართვა, მაგიდაზე დადო, ქალი ხელში აიტაცა და საწოლ ოთახისაკენ გაძუნძულდა.

ბედნიერებას გაეჭცა

იოსების აზრი გამართლდა. დედაკაცი მეორე დღესაც არ მიუშვეს არქიელთან.

ჩუდეცკიმ კი მრისხანე ხმით უთხრა:

— თქვენი შვილი საციმბირეა და მადლობა ღმერთს, რომ სემინარიიდან დათხოვნა ვაკმარეთ.

იოსებს დიდხანს არ დაავიწყდება სიდას სახე. გარეთ უცდიდა და როცა დედაკაცი სიმწარისაგან დაფეთებული სახით გარეთ გამოვიდა, იოსებმა კბილები დააკრაჭუნა და გულში გაიფიქრა:

„ნუ გეშინიან, სიდა, შენს ჯავრს და ბოღმას მე ამოვიყრი, ოღონდ ცოტა კიდევ უნდა მაცალო“, — ხოლო ხმამაღლა ასე მიმართა სიდას:

— ჰა, რა დაგემართა, სიდა? აკი გითხარი, ძაღლები არიან მეთქი... მერე რა არის? ნუ მიიღებენ. შიმშილით სული ხომ არ ამოსძვრება!... კაცმა ხუთი კლასი გაათავა და განა სამსახურს ვერ იპოვნის? რამ მოგწყვიტა წელი? იმასთან ოცი სხვაც გამოაგდეს და მაშ ყველამ თავები უნდა დაიხოცონ?

სიდა თვალებში შესცქეროდა და არაფერი არ ესმოდა. მან იცოდა ალექსის ხასიათი, ივი საშინელი წინააღმდეგი იყო, რომ სასწავლებელს თხოვნით და

მუდარით დაბრუნებოდა, და სიდა თავის ჩამოსვლას შვილს ჯერ არ ატყობინებდა. თავლაში აფარებდა თავს და სცდილობდა საქმე აუცილებლად მოეგვარებინა. სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ ალექსიმ თავის შორეულ ნათესავს მიმართა თხოვნით, რომ საქციზო სამმართველოში პატარა ადგილი ეშოვნა, ხოლო სანამ საერთო საქმე გამოირკვეოდა, ის ჯერ კიდევ სცდილობდა ტფილისში დარჩენილიყო. დედასთან წასვლას ალექსი ჯერ ვერ ბედავდა და ოთხ მოწაფეს თვეში სამ-სამ მანეთად ამზადებდა. ის მთაწმინდაში ერთ-ერთ გარეგან მოსიარულე სემინარიელთან პაწია ოთახში დაბინავდა და დედის ჩამოსვლისა არაფერი არ იცოდა.

— სიდა, რატომ ალექსის არ მოსძებნი და არა ნახავ? იქნებ ის კაცი სულაც უარზეა სემინარიაში შესვლისა, რატომ არ ეკითხები, განა ის კაცი არ არის?

ალექსის გახსენებაზე სიდა გონზე მოვიდა, და მშრალი ხმით უპასუხა:

— ალექსის მოუკვდეს მისი მშობელი! ჩემი ცოდვით თვალით აღარ მენახვება, — სიდამ გულში ხელი ჩაიკრა და ისევ განაგრძო: — აბა, ცეცხლს სწორედ ეგ მიკიდებს. ვინ იცის, როგორ არის შეწუხებული და არაფერს არ მატყობინებს, დედამ არ იჯავროსო.

— იმას რა უშავს?! ეხლა ორ ცინგლიან ბავშვს ასწავლის და თვეში თორმეტ მანეთს იღებს. ამხანაგთან ცხოვრობს და იმას შენი დარდის მეტი აღარაფერი არ აწუხებს. შენ რაღაზე იკლავ თავს, ალბათ, ის სხვა რამეს ფიქრობს და რატომ არ უნდა მოუსმინო?!

— რას ამბობ, შენ გენაცვალე, იოსებ? მერმის უნდა გაეთავებინა. იმას მოუკვდა დედა! ის იმოდენა შრომა და თავის გამოლაყება, ყველაფერი ეს განა წყალმა უნდა წაიღოს? განა არ ვიცი, რომ იმას ეხლა გული ეტანჯება. მაგრამ არ იმჩნევს ის დედა-დასამიწებელი.

— არა, კარგი იყო, რომ ეგრე არ მომხდარიყო, მაგრამ რაკი მოხდა, ჩემო სიდა, სადაც სხვები, ისიც იქ უნდა იყოს. სხვა რა გზაა? — უთხრა იოსებმა და თან ლმობიერი კილოთი დაუმატა: — წამოდი, სიდა; მე წაგიყვან ალექსისთან. ეხლა მე თავისუფალი ვარ და აქ იმიტომ გიცდიდი.

— არა, არა, შენი ჭირიმე! დღესაც უნდა ვცადო, ეგზარხოსთან კიდევ უნდა მივიდე და თუ დღესაც არ მიმიღებს, ალექსის საღამოზე მოვნახავ. შენ ხომ არ გინახავს, შვილო, ის ბიჭი?

— არა, არ მინახავს. შენი ამბავი რომ ვიცოდი, აღარ შევატყობინე. თავისას არ დაიშლის და ჯერ სცადოს მეთქი.

— ჰო, შენი ჭირიმე, ნუ ეტყვი, თავს მოიკლავს და არ გამიშვებს... აი, ღმერთმა დიდი დღე მისცეს ილიკოს, ეს ბიჭი ყურს ისე მიგდებს, რომ ყელამდი გავივსე ამისი ვალით.

ილიკოს შერცხვა, შეტორტმანდა და ღიმილით წამოიძახა:

— მა როგორ გინდა? ნათელ-მირონობა რას მიქვიან, თუ ამისთანა საქმეში ერთმანეთს არ გამოვადგებით? შენ წამოდი, ნულარ იგვიანებ. იქნებ ი დიდმა მოძღვარმა დღეს მაინც მიგიღოს.

ილიკომ სახრით მიწაზე წრე შემოხაზა და პუშკინის ქუჩისაკენ მიბრუნდა.

— აბა, მშვიდობით, გენაცვალე!.. — უთხრა მან იოსებს და ილიკო და სიდა პუშკინის ქუჩისაკენ წავიდნენ.

იოსები ცოტა ხანს იდგა და შესცქეროდა. გული ბოღმით ჰქონდა სავსე, დედაკაცს რომ ვერაფრით უშველა. ან რა უნდა ექნა? თვითონაც ფეხქვეშ ნიადაგს ვერ პოულობდა და იცოდა, წინასწარ გრძნობდა, რომ მალე დიდედა თავის იოსებზედაც ისე მწარედ ატირდებოდა, როგორც ლეს სიდა ტიროდა.

მაგრამ იოსებს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ უკან არასოდეს აღარ დაეხია და ვინც უნდა ატირებულიყო, ის მაინც თავისას გააკეთებდა და ამხედრებულ სულს მოითქვამდა.

ამ ფიქრებით და გადაწყვეტილებით იოსები სახლისაკენ წავიდა. მაგრამ ალაყაფის კარებს მიუახლოვდა თუ არა, გუნება ისევ შეეცვალა. ეზოს კარებში მაროს წკრიალა ხმა მოეგება და გულმა სხვანაირად შემოჰკრა. მარო მღეროდა, ისე ტკბილად მღეროდა, რომ ზამთრის დღის მაგივრად იოსებს ვარდყვავილებით მოქარგული გაზაფხულის მზიანი დღე გაახსენდა და გაეღიმა.

— ერიჰა, აი ეს არის, რომ დამძალავს, ეს გაიმარჯვებს ჩემზე და..

იოსები უკანვე გატრიალდა, გოლა ჩიტაძე ინახულა, გაკვეთილების ამბავიც შეიტყო და სახლში ძალიან გვიან დაბრუნდა.

ღამის ორ საათამდე იოსები არ დაწოლილა, თავს ებრძოდა, იტანჯებოდა, გული მწარედ უკვნესოდა, მაგრამ რაკი გადასწყვიტა, რომ დროზე ამ სახლს და მომაჯადოვებელ გრძნობებს გაქცეოდა, უკან აღარ დაიხია და ეს გარდაწყვეტილება გულში ხანჯალივით გაეყარა. იოსებმა რამდენჯერმე თავის ოთახის კარები ფრთხილად გააღო და ბებრის მაგრა შეკეტილ კარებთან სული იტვრინა, რომ მაროს ქალწულებრივი ფშვინვა უკანასკნელად კიდევ გაეგონა, მაგრამ აქ სრული სიჩუმე იყო.

— მშვიდობით, ჩემო პატარა მარო! ველარ მიხილავ... მივრბივარ, გემალები. გულში ჩაჭრილი შენი სახე ჩემივე ხელით უნდა ამოვიგლიჯო. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი, მარო, პატარა, ლამაზო მარო!

იოსები ცოტა ხანს კიდევ იდგა კარებთან თავჩაღუნული, მერე თითისწვერებზე შემდგარი ფრთხილად უკან დაბრუნდა. პატარა ოთახში ბევრი ხანი იარა, დაიღალა, დაიქანცა, მერე დაწვა, მაგრამ ძილი მის თვალებს შაინც არ მოჰკიდებია. პირველად რომ საყვირმა დაიღრიალა, იოსები ადგა, პაწია ლამფა აანთო, რვეულიდან სუფთა ქაღალდი ამოხია და ბარათი გაამზადა.

„პატივცემულო მარო! ერთი თვის სახლის ქირას ვტოვებ და მივდივარ: წუხელის დეპეშა მივიღე დიდედას ავადმყოფობისა და შეიძლება უკან აღარც კი მომიხდეს დაბრუნება. მამიდათქვენთან ბოდიშს ვიხდი, რომ ვერა ვნახე. შვიდი საათის ძატარებელს უნდა მივუსწრო. ბედნიერად ყოფნას გისურვებთ. იოსებ ლადიაშვილი“.

იოსებმა წერილში სამმანეთიანი ჩასდო და წერილი სარკეზე მიაყუდა.

შემდეგ მოტრიალდა, ტახტიდან თხელი ლეიბი აკეცა, საბანი და წიგნები შეკრა, იღლიაში ამოიდო და კარებში გაჩერდა. გამოსვლისას საშინელი ტანჯვა იგრძნო, გული ეწინააღმდეგებოდა, ფეხზე ბორკილი ედებოდა, მაგრამ მტკიცე გარდაწყვეტილება თავისას უკარნახებდა და იოსები ამ კარნახს მთელი არსებით ემორჩილებოდა.

— ვაი, რა მოკლე ხანს ვიყავ და რა ბევრი ლამაზი წუთები განვიცადე! გმადლობთ, უმწიკვლო მარო, გმადლობთ ამ განცდისათვის....

ჩუმად ტუტუნებდა იოსები და თავს ისე მძიმედ ჰხრიდა, თითქოს სამდურავს ვილაცა სხვა, უხილავ ძალას ეუბნებოდა.

ამ დროს დილამ ფანჯარაში მტრედისფრად შემოიხედა და იოსები დაფაცურდა, კარები ფრთხილად გააღო და გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებს გულით ლოდები მიჰქონდა, უკან კი მზითა და ვარსკვლავებით გაჩალებული წალკოტი, წმინდა ტაძარი რჩებოდა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს ბნელ უკუნეთისაკენ მიისწრაფებოდა. მძიმე და მეტად უიღბლო იყო ცხრამეტი წლის ვაჟკაცისათვის ის წუთები და იმ უგემურ განთიადზე იოსები თავის ბედს ხელმეორედ მწარედ გმობდა.

იოსები გაუთენებლივ გოლას კარებს მიადგა ანჩხატის ქუჩაზე და კარი ფრთხილად დაუკაკუნა. გოლამ უკითხავად გაუღო. იოსები შევიდა, შეკრული ბარგი კუთხეში მისდო და სკამზე ჩამოჯდა. იმ წამს იოსებს გოლა ჭირივით სძაგდა, თითქოს გოლა ყოფილიყო მისი უბედურების მჭედელი, და სდუმდა, კრიჭა ჰქონდა შეკრული, თანაც ნატრობდა, რომ სანამ სემინარიაში წავიდოდა, გოლას კრინტი არ დაეძრა და მისი ხმა არ გაეგონა.

— იცი, იოსებ, პირველად გაგიძნელდება... — დაიწყო გოლამ ბოხი ხმით და იოსებს უსიამოვნებით ზურგი აეჭინჭრა, — ერთი თვე, როგორც იქნება, უნდა გაუძლო იმ სიშორიდან სიარულს, მერე, ხომ იცი, ტფილისში ზამთარი ხანმოკლეა, მალე კიდეც გაზაფხულდება და ნავთლულიდან სიარული სასიამოვნოც იქნება.

იოსებმა არაფერი უპასუხა. ერთი ღრმად ამოიოხრა და შუბლი რამდენჯერმე მოისრისა.

გოლა გრძნობდა, რომ იოსები ძალზე გულჩათუთქული იყო და მის გამხნევებას შეეცადა:

— მერე, ძმაო, ხომ იცი, ამ დაგეშილ მეძებრებისაგან შორს იქნები, თავისუფლად, და რაც გინდა გააკეთე, რაც გინდა, მაშინ იკითხე, ვინ იქნება შენი კონტროლი. თანაც ოთახი, ჭამა, სმა და ერთი თუმანი ფული — კარგია, ბიჭო, კარგი. სხვა არა იყოს რა, აქ შიმშილი მოგკლავდა და მშიერ კუჭზე რაღა უნდა გაგეკეთებინა!

იოსები ხმას არ იღებდა და იმის მოლოდინში იყო, კარგად გათენებულიყო, რომ გოლასაგან თავი მალე გაერიდებინა. თან მარო ედგა თვალწინ და დაჟინებით იმაზე ფიქრობდა, რა რიგ მიხვეულ-მოხვეული გზით წასულიყო, რომ მაროს წინ არ შეჰყროდა და ზედმეტი სირცხვილი არ ეჭამა. მართალია, დიდხანს ვერ დაემალება, მაგრამ მანამდის პასუხიც მზად ექნება: დიდედა სიკვდილს გადაურჩა, გვიან ჩამოვედი და იქ მისვლა ველარ გავბედე, ამხანაგთან დავრჩი.

იოსებს იმ დღეს გაკვეთილები ორ საათზე გაუთავდა. სადღაც მეხაშესთან შევიდა, ორშაურად ისადილა და ისევ გოლასთან წავიდა. გოლა სახლში არ იყო. იოსებმა იცოდა, სად ინახებოდა გასაღები, გააღო კარი, ბარგი იღლიაში ამოიჩარა, კარი ისევ დაკეტა და ახალ ბინისაკენ გასწია.

ავლაბრის ხიდზე ზამთრის ქარი ფარნის რკინებს ისე შეზუზუნებდა, თითქოს ტირისო, და იოსებს სიდა გაახსენდა.

— საწყალი, ვინ იცის, როგორი გოდებით და რა თავში ცემით წავიდა ჯალათებისაგან მეორედ გაწბილებული დედაკაცი! არა უშავს-რა, სიდა, დად-

გება დრო და მალე, სულ მალე შენი ცრემლები წალეკავენ ეგზარხოსსაც და საზიზღარ ჩუდეცკისაც... ცოტა გვაცალონ...

იოსები ავლაბრის დიდ ალმართზე მიდიოდა და როდესაც სულ ზევით მოექცა და ქალაქს იქიდან გადმოხედა, თითქოს რაღაც შვება გრძნობდა. დასასვენებლად ჯებირთან გაჩერდა, ლოგინი კლდეზე დასდო და ზედ ჩამოჯდა. ჯიბეში იმ დღის „ივერია“ ედო. ამოიღო და გადაშალა. გაზეთის მოწინავე წერილი წამახალისებელი კილოთი სწერდა: „რუსეთში გამწარებულმა ახალგაზრდობამ ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ბევრი გაბედულება გამოიჩინა, ჟანდარმერიის უფროსი მეზენცევი და ხარკოვის გუბერნატორი კრაპოტკინი მოჰკლეს და ხელმწიფის მოკვლა სამჯერ განიზრახეს.“

— განიზრახეს და ვერ ჩააძაღლეს! ვენაცვალე იმათ ვაჟკაცობას, მგონი ალექსანდრე მეორესაც მალე ეგ ბედი წამოეწევა და ჩვენი საქმე სულ სხვანაირად გაიჩარხება...

იოსები ისევ გზას დაადგა. თოვლი თავპირში ეყრებოდა, ფეხქვეშ კი სასიამოვნო ღრიჭინი გაჰქონდა, და იოსები იმ წუთას სულ ერთსა და იმავეზე ფიქრობდა: ვინ იცის, ვინ არის შაპოვალოვი?! ნავთლუღში გადმოსახლებული ფელთფებელი, ვინ იცის, რა ზნისა და ჩვეულებისა იყოს? მაგრამ იოსებმა ყველაფერი უნდა სცადოს...

არსებობა იყო საჭირო და სხვა გზა ჯერჯერობით არა სჩანდა.

ლაღიაშვილმა შორს გაქანებულ პერსპექტივას გახედა და თეთრად გაქათქათებულ სივრცემ რაღაც შვება და სილაღე აგრძნობინა. ორი საათის სიარულის შემდეგ იოსები წმინდა ბარბარეს ეკლესიის ახლო სამ-ფანჯრიან პატარა სახლის კარებს დაღლილი სახით მისდგომოდა და გაუბედავად აკაკუნებდა.

ზარი

იმ დღეს, როცა იოსები ლამაზ, ბედნიერ განცდასა და ძველ ბინას გაექცა, დილა ადრიან მეთულუხჩე ჰასანამ ბებერს კარი ფეხით მაგრა წამოურახუნა და შესძახა:

— დედა, ზღალი მოვიდა, ზღალი!

ბებერი დაბამბულ „ჩიხოლას“ იცვამდა, როცა ხმაურობა შემოესმა და ისიც ფიცხლავ გამოეპასუხა:

— ეხლავე, შვილო, ეხლავე! — ტიტველა ფეხები ფლოსტებში მარდად ჩაჰყო, კარების ჩანგალს ხელი აჰკრა და დერეფანში გავიდა. დერეფნის კარი ჩაუკეტავი დახვდა და ელდა ეცა.

— უი, ჩემ თვალებს! ყმაწვილს წუხელის კარები ჩაუკეტავი დარჩენია, — გაიფიქრა მოხუცმა და კარი გააღო.

მეთულუხჩეს გრძელი რკინის კასრებით წყალი ეჭირა და ორივე მხარეს დირესთან წუწების გუბე დაეყენებინა.

— გამარჯობა, დედი! — ბოხი ხმით მიესალმა ბებერს, შურდულივით დერეფანში შეიჭრა და პირისაბნის მეორე მხარეს ბნელ კუნჭულში მიდგმულ ქილისაკენ გაქანდა.

ბებერი ფლოსტების ტკაცა-ტკუცით უკან დაედევნა.

— ქა, დღეს ქილა უნდა გამომერეცხა. ესე ადრე რას მომადექი? — უკმაყოფილო კილოთი უთხრა მეთულუხჩეს და ქილას კრამიტი მოხადა.

— დღეს შენ მოიტანე, იმას მიიტანე, ზალიან ბევრი მოიტანე და ჩქარა ზავიდეს რაღა მე! — უპასუხა ქოშინით მეთულუხჩემ და ქვევრისოდენა პირდაღებული ქილა დილა ადრიან ააღრიალა.

ჰასანამ მეორე გზა წყალიც სწრაფად შემოარბენინა, ჟანგმოკიდებული ანი ჭუჭყისაგან გაპრიალებულ ქისაში ჩააწკრიალა, კარებში მდევივით გააბოტა, თათრული წულებით დერეფნიდან აივნამდე ტალახიანი კვალი გაიტანა და სწრაფად გავარდა.

ბებერი შემოტრიალდა, თაროდან დამტვრიანებული და ჟანგმოკიდებული თუნუქის პაწია კოლოფი გადმოიღო, მღვრიე წყალს შაბი მიაყარა და ქვევრის უკან მიყუდებული ქოლგის ტარი ამოაძვრინა. ბებერმა მონაოჭებული ტუჩები უარესად მოპრუწა, წყლისაგან საღებავ-გადაცლილი ტარი ქილაში ჩაყო და წრუპუნით რევა დაუწყო, ვითომ ამ წრუპუნის ზეგავლენით წყალი უფრო მალე და კარგად დაიწმინდებაო.

ქვევრში დატრიალებულ და ქაფმოდებულ წყალს ბებერმა ისევ კრამიტი დააფარა და შეწყვეტილ ფიქრებს დაუბრუნდა.

— გენაცვალეთ, ამ კაი კაცს კარების ჩაკეტა როგორ დაავიწყდა? წუხელის რომ ვინმე შემოსულიყო, ხომ უნდა დავლუპულიყავით? — წაიბუტბუტა ბებერმა და კედელთან მიყუდებულ თავის მზითვის საყვარელ თანგირა ქვაბს დასწვდა და ხელში აიღო. — ეს რომ წაეღოთ, ხომ უნდა თავი მომეკლა, თქვენი ჭირიმე! — ჩაიდუდუნა კიდევ ბებერმა, ქვაბი სინათლეზე მოატრიალა და შიგ ჩაიხედა.

— დამიდგა თვალი, ესეც მოსაკალი დამრჩა და მიფუჭდება! ე ბიჭი რომ სახლის ქირას მომცემს, ეგება მაშინ მოვაკალინო, თორემ ამის ხმარება აღარ შეიძლება!

გაიფიქრა ბებერმა და სიამოვნებამ მოხუცებულს გულში ჩაჰქროლა, რომ ქირის მომცემი მდგმური იმასაც ჰყავს, ამ ფიქრს სხვაც ზედ დაერთო და ბებერი ახლა მთლად გამოცოცხლდა:

— რა ჭკვიანი და რა ღვთისნიერი ბიჭი ჩანს... ნეტავი, ღვთის მადლით, ჩემი მაროს ბედი იყოს. კურსოვნიკი ბიჭი იქნება და მეტი რაღა გვინდა?!

ბებერი უფრო აფორიაქდა. აქეთ მოტრიალდა, იქით მიტრიალდა. სპილენძის „კრუჭკას“ ეძებდა, რომ იქვე საცოდავად ატუზულ და ბებერივით დაღრეჯილ პატარა სამოვარში წყალი ჩაესხა და სასწრაფოდ აედუღებინა.

ბებერს უკვირდა, რომ ამ მოძრაობაში იოსების ფეხის ხმა სიფრიფანა კედლის იქით ჩვეულებისამებრ არ ისმოდა. არც პირის დასაბანად გამოვიდა. ბებერი, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდა.

— ქა, ჩემზე ადრე ისა დგება ხოლმე და დღეს რა დაემართა? — ჩაეკითხა მოხუცი თავის თავს და ოთახში შეტრიალდა.

მარო ლოგინზე წამომჯდარიყო და სქელ ნაწნავებს ხელის სწრაფი მოძრაობით იხლართავდა.

ბებერმა თავისი „კრუჭკა“ უსიტყვოდ ახლა იქ მიათვალიერ-მოათვალიერა და ისევ მალე გატრიალდა. ბებერს ესიამოვნა კიდეც, რომ იმ ჭკვიან ბიჭთან შეხმაურების საბაბი მიეცა.

— შვილო, იოსებ, „კრუჭკა“ მგონი მანდ არის და მომაწოდე, შენ გახარებას! — შესძახა მორიდებული ხმით ბებერმა და თან თავშალი გაისწორა.

კარს უკანიდან ხმა არავინ გასცა. ახლა კარები ფრთხილად დაკაკუნა და კიდევ შეეხმაურა.

— გძინავს, შვილო, იოსებ?

სიჩუმემ კარს უკან ბებერს გულზე უსიამოვნოდ ულიტინა; ბევრი ალარ აცალა, ხელი მსუბუქად ჰკრა და კარები ოდნავ შეაღო.

შეაღო, შევიდა და განცვიფრებული იქვე გაშეშდა: ცარიელ ტახტს თვალი მიაშტერა და პირი ღია დარჩა. შემდეგ აქეთ-იქით მიიხედა და ავეჯი რომ ყველა თავის ადგილზე ნახა, ფიქრები სხვანაირად შეუტრიალდა. თითქოს კიდეც დაწყნარდა: მაგიდა, სკამი, ძველის-ძველი საათი გრძელი ჯაჭვებით და დაბრეცილი ისრებით ბებერს თითქოს სახეში შესცინოდნენ.

ამ დროს ხრიალი ატყდა და საათმა სამჯერ ჩამოჰკრა, თითქოს ბებერს დაუდასტურა: ნუ გეშინიან, მე ისევ აქა ვარო.

მაგრამ იოსები თავის ლოგინით არსად სჩანდა და ბებერი მაინც დიდ საგონებელში ჩავარდა.

— უი, დამიდგეს თვალები, ეს რას ნიშნავს? — რამდენიმე წამის შემდეგ წამოიძახა ბებერმა და მაგიდას მიუახლოვდა.

გაზეთ-გადაფარებულ მაგიდაზე სარკის ნატეხი იდო და ზედ დაკეცილი ქაღალდიდან მომწვანო ფერის სამმანეთიანი გამოსჭვიოდა.

ბებერმა ქაღალდს ხელი წაავლო, გაშალა და, სამმანეთიანი რომ დაინახა, მიხვდა და კარებისაკენ სწრაფად გატრიალდა.

— შვი..ლ ო ო ო, მარო! ეს რა ამბავია ჩვენს თავსა? — დაბალი ხმით გაგრძელა სიტყვა ბებერმა და თითქოს მძიმე ტვირთიაო, ორივე ხელით მაროს ბარათი გაუწოდა. მარომ ბარათი გაშალა და წაიკითხა:

„პატივცემულო მარო, ერთი თვის ქირას ვსტოვებ და მივდივარ....“ — ჩაიკითხა მან პირველი სტრიქონები და გულში ლახვარი გაერჭო, სუნთქვა შეეკრა, თავში რაღაცამ დაჰკრა და ხმა ჩაუწყდა. მაგრამ ბებრისა შერცხვა, თავს ძალა დაატანა, მიმტკნარებული ხმით როგორც იყო ბარათი ბოლომდე ჩაიკითხა და ათრთოლებული ხელები მუხლებზე ჩამოუვარდა. მამიდას რომ მაინც არაფერი გაეგო, ფათა-ფუთით ჩაიცვა და მეორე ოთახში გავიდა.

სიცარიელემ გული ჩასწყვიტა გოგონას, კრიჭა შეუკრა სიმწარით. ტახტი, მაგიდა, კედლები, იატაკი, — ყველაფერი ისე საწყლად, ისე ობლად იცქირებოდა, რომ გოგონას ყელში ქვითინი მოაწვა.

„რა ჰქენი, გენაცვალე, იოსებ, სად გამექეცი? მარტო რა ვქნა ამ უდაბნოში?!“

მედგრად გაჰკივის მაროს გულში ვიღაცის ხმა... მარო კი სდუმს, ტუჩი ტუჩს შესწებებია და ეშინიან, სიტყვის თქმისა ეშინიან, რომ შეგუბებული მორევი შეძრწუნებული გრძნობებისა უცებ არ გადმოსკდეს.

ქალი ოთახის ყოველ კუნჭულს აშტერდება, ერთი ბეწვა ქაღალდის ნაფხრეწიც კი არსადა სჩანს, რომ სხვა რამ კიდევ ამოიკითხოს... რას ფიქრობდა, რა უნდოდა, ურჯულოს, უსამართლოს... აი, მხოლოდ ეს ნაფხრეწი-ღა შერჩა ხელში, რომელმაც გული ასე ჩაუთუთქა. მისი ხელით, საყვარელი ხელით არის დაწერილი, მისი თვალები უცქეროდნენ ამ სტრიქონებს, მისი სუნთქვა ათბობდა უსულო ქაღალდს... ღმერთო, ღმერთო! და მარო ფანჯარასთან მიდგა,

ჯერ უკან გაიხედა და რაკი ბებერი მეორე ოთახში ტრიალებდა, ერთხელ კიდევ გადაიკითხა. მერე სწრაფად დაკეცა, აკოცა და ვულში მაგრა ჩაიხუტა...

თან შიგნი-შიგან ბღავის მაროს სული, ისე ტირის მისი [illegible] ოდენ, [illegible] ... [illegible] ... ... [illegible] ... ... [illegible] ...

ბიტოვება შეიძლება? ის ხომ ჭკვიანი და გონიერია?! არა, არ შეიძლება... დაბრუნდება, ისევ დაბრუნდება, აუცილებლად დაბრუნდება... არ[illegible] — გამწარებული გოგონა გზადაგზა თავის თავს.

მარო ალექსანდრეს ბაღს გასცდა. ხიდისაკენ რომ შეუხვია, ვიღაც შავ ტანისამოსში გამოწყობილ დიდცხვირა სემინარიელს შეეფეთა და გული საშინლად აუტოკდა. აქამდის სემინარიელები მისთვის არ არსებობდნენ, მისი გატაცება ყოველთვის გიმნაზიელებისა და სამხედრო სასწავლებლის მოწაფეებისაკენ იყო მიდრეკილი. მათ თავით ფეხამდე პრიალი გაჰქონდათ, თამამები იყვნენ და სულ სხვა მომავალი ელოდათ: ექიმები, ვექილები, გენერლები და პოლკოვნიკები გამოვიდოდნენ, მათ საკუთარი ეტლიც ექნებოდათ. სემინარიელები კი... სოფლის მღვდლებად გამოვიდოდნენ, გახუნებული ანაფორით, ჩამოფხატული, გაქონილი ქუდით. უკან დიაკვანი გატენილი ხურჯინით აედევნებათ. ხურჯინი სავსე იქნება ერთად ალუფხული კოლიოთი და კორკოტით, შემწვარი მტრედებით, დედების ცრემლით განბანილი წითელი ვაშლებით და ფოჩიანი კამფეტებით. მაროს ბევრი ამგვარი რამ ენახა თავის მამის ოჯახში და არ უყვარდა არც მღვდლები და არც სემინარიელები.

დღეს კი, დღეს სულ სხვანაირად შეტრიალდა მისი გული და სული. წინ შემოყრილი დიდცხვირა სემინარიელი ისე კარგად, ისე კეთილად მოეჩვენა, რომ გულში კიდეც მიუალერსა: ვინ იცის, იქნებ ერთ კლასში სხედან, ერთ პარტანზე... იოსებთან... ღმერთო, რა ბედნიერია.—გაიფიქრა მარომ და უკან მიიხედა. სასოებით თვალი გააყოლა. უპალტოო მაღალი სემინარიელი აქლემივით მილაყუნებდა. საწყალი, ალბათ, ღარიბია, უპალტოო ამ ცივ ზამთარში, ცოდო არ არის? — გულდაწყვეტით გაიფიქრა მარომ და მისი გული ისევ იოსებისაკენ გაქანდა.

ის დღე მარომ დიდის მწუხარებით გაატარა. ღამე საბანქვეშ მდუღარებას აფრქვევდა და გულამოსკვნილი განუწყვეტლივ მოსთქვამდა:

— რა დაგიშავე, გენაცვალე, იოსებ? ან რად მეჩვენე, ან სად გამექეც? რად დამიობლე სული და გული?

მას შემდეგ სემინარიის შენობა მაროსათვის სამლოცველო ტაძრად და გულის დასამშვიდებლად გადაიქცა. რაც უნდა გვიან ყოფილიყო, გოგონა მაინც სემინარიის გვერდით გაივლიდა, მის სვეტებს რომ დაინახავდა, გულის ჩოჩქოლი აუტყდებოდა, ყოველ სემინარიელს შეათვალიერებდა, მღელვარებით სუნთქვა ეკვროდა. თან ელოდა, მის შინაგან არსებას დაჟინებით სწამდა, გული უთქვამდა, რომ იოსები იქ სადღაც იყო, და მის შეყრას ელოდა. მაგრამ რაკი დღეები გადიოდა და მარომ თვალი იოსებს ვერსად შეასწრო, თავისი თავი გააწბილა და მასხარად აიგდო:

— ნეტა რას ველი მე უბედური? ის ხომ აქ არ არის! ხომ არ შეიძლება, რომ მომაკვდავ მოხუცს თავი დაანებოს? ან იქნებ კიდეც მოუკვდა, მაგრამ ნუ თუ იმის გულისათვის სწავლას თავი გაანება? ის ხომ თავის თავს თვითონ არჩენდა, ღარიბ ბებერს რა ექნებოდა, რომ იოსებისათვის გამოეგზავნა?.

ეს კითხვები მაროს განუწყვეტლივ თავს დასტრიალებდნენ, ქალაქის ღრიანცელი, ხალხის ლაპარაკი, სიცოცხლის დუღილი სულ არ ესმოდა. ყრუ შეიქნა ყველაფრისათვის. მხოლოდ იოსებს სჭვრეტდა, მის ლანდს დასდევდა

უკან და მუდამ მას უსაყვედურებდა: სად გამექეც, იოსებ, ვენაცვალე, განა ასეთი რა გაწყენინეო.

მარო რამდენიმე დღეში ჩამოდნა, თვალები ჩაუცვივდა, ფერი მოეკარგა, დაეწმინდა, და ამხანაგების, მეზობლების სალაპარაკო გახდა.

— რა დაგემართა, გოგო, ციება ხომ არ შეგეყარა, ასე უცბათ რამ შეგცვალა? — კითხულობდნენ აქეთ-იქიდან, და მაროს გული უარესად ემქვალებოდა.

კითხვებს თავიდან იცილებდა. თუ ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, იმ წამსვე სახლისკენ გაემართებოდა, იოსების ნადგომ ოთახს ჩაიკეტავდა, იმის ნაჯდომ სკამზე მაგიდასთან ჩამოჯდებოდა. მაგიდას ხელით ნაზად შეეხებოდა და გულამომჯდარი ჩუმად, უხმოდ ქვითინებდა.

ველარ გაუძლო გოგონამ ამ მწუხარებას და გადასწყვიტა, კვირა დილით სემინარიის ეკლესიაში წასულიყო, იქნება კიდეც ჩამოვიდა, სემინარიაში დაიარებაო.

გაწბილება

მაროს მღელვარება ცეცხლად მოედო. დილა ადრიან წამოიწია და პირველად გაიღიმა. ზამთრის მზე მაროს ფანჯარას მისდგომოდა და მხიარულად იცქირებოდა. გოგონა სწრაფად ფეხზე წამოვარდა, ჯარასავით დატრიალდა. თვალის დახამხამებაზე ყველაფერი დააწკრიალა, ყველაფერი მიალაგ-მოალაგა და ახლა თავის გაკოხტავებას შეუდგა. ჯერ ფეხსაცმელები ვაქსით ისე გააკრიალა, რომ სარკეს დაამსგავსა. გახუნებული და დაცხავებული პალტო ჩაის წყლით გასწმინდა, ცხელი უთოთი შეალამაზა და ლურსმანზე ფრთხილად ჩამოჰკიდა, რომ არაფერი დასჭმუჭნოდა. მერე სამკაპიკიანი ყვითელი საპნით პირი კარგად მოიღვრიჭა, და სარკეში რომ ჩაიხედა, თავის თავი შეეცოდა, თავის თვალებს დააშტერდა და ნაღვლიანი ღიმილით წარმოსთქვა:

— შე საწყალო, მარო, როგორ უბედურად იტანჯები! მაგრამ არა უშავს რა.. სამაგიეროდ დღეს ვნახავ, ღმერთმანი, გული მითხრობს, რომ ვნახავ. ღმერთო, შენი მადლის ჭირიმე, შენ მიშველე, ნუ გამწირავ... შენ მომეცი ძალა, გული გამიმაგრე, თორემ ლამის ეს ოხერი საგულედან ამოვარდეს... — ტუტუნებს ჩუმად სარკესთან მარო და მშვენიერ ნაწნავებზე შვინდისფერ ბანტებს ნასკვავს, თან თრთის, ვერხვის ფოთოლივით თრთის გოგონა. მღელვარებისაგან თვალებში ცეცხლი აენთო, ღაწვები ვარდისფრად შეუწითლდა და ტანჯვამ რაღაც უცნაური სინაზე მისცა მის ლამაზ სახეს, და გოგონას უკვე მოსწონს თავისი თავი.

დიდი ხნის უამინდობის შემდეგ ტფილისს დილის კაშკაშა მზე მეტად მოუხდა და უარესი სიცოცხლით და მოუსვენრობით ააბმაურა.

მაროსთვის კი ნამდვილ აღდგომის დღედ გადაიქცა, როცა ეკლესიის ზარები წირვისათვის აგუგუნდნენ. მარო მიდის სემინარიისაკენ. აღელვებული გოგონა ისეთი სისწრაფით და სიხარულით მიიჩქარის, რომ ბევრჯერ ფეხი უბორძიკდება. წინ ხალხი ეღობება, მოთმინება ეკარგება. ტროტუარიდან გადასული შუა ქუჩაზე მიხვეულ-მოხვეულ ხლართებს აკეთებს. როგორც იყო მიაღწია. სემინარიაში წირვა უკვე დამდგარიყო. გული აუტრიალდა, იძულე-

ბული იყო შემდგარიყო და სული მოეთქვა. ავიდა. ეკლესიის კარებს მიუახლოვდა და გაუბედავად გაჩერდა, შესვლა ვეღარ მოახერხა: ხელფეხი მთლად გაუცივდა, გული ყელში მოებჯინა და ათრთოლებულმა პირჯვრის წერა დაიწყო, რომ მღელვარება მაყურებელ ხალხისაგან დაეფარა.

ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთის მხრივ მზე უხვად აჩაღებდა და ეკლესიის ფერად ფანჯრებიდან ხალხსა და კედლებს ცისარტყელის მსგავს სვეტებს აყენებდა.

მარომ პირველი ძლიერი მღელვარება როგორც იყო გადალახა, ეკლესიაში შეავიდა და კარებს ახლო გაჩერდა. გაბრჭყვიალებულ კანკელს თვალი მიაშტერა. ვეღარც იქით და ვეღარც აქეთ გახედვა ვეღარ მოახერხა. თითქმის კისერი გაუშეშდა. სირცხვილი სწვავს. ასე ჰგონია, ქვეყანამ იცის, რომ შეყვარებული მარო ეკლესიაში საყვარელი ბიჭის სანახავად მოვიდა, იმ ბიჭის, რომელიც ჩუმად გაეპარა. ღმერთო, ღმერთო, შენ დამიხსენ ამ სირცხვილისაგან! — ღაღადებს გულში გოგონა და ხალხს ეფარება.

მაგრამ მღელვარებამ აქაც გადაიარა. გრძნობებისა და ფიქრების სხვა ტალღამ გადმოუქროლა. ცრემლმორეულმა ქრისტეს დაღვრემილ სახეს შეხედა და მთელი სიწრფელით შეჰღაღადა:

„შენ ხომ უწყი, ღმერთო, რა რიგ წრფელი და ფაქიზია ჩემი გრძნობა... ღმერთო, შენ მიცოცხლე ჩემი იოსები... ღმერთო, ეს ხომ ცოდვა არ არის, რომ უცხო კაცი ასე მიყვარს და კიდეც უნდა ვიპოვნო!..“

ასე გადასწყვიტა მარომ და მარჯვნივ სემინარიელებისკენ გაიხედა. ყველანი აათვალიერ-ჩაათვალიერა, მაგრამ ნაცნობი მხარბეჭი, ნაცნობი თავის მოყვანილობა, საყვარელი და ნაცნობი პროფილი იქ ვერ შენიშნა და შეძრწუნდა, ალბათ, ქვევით არის, ქვევითა რიგებში დგას და, ვინ იცის, გულში ეცინება, გოგონა ასე აშკარად ვიღაცას რომ ეძებს.

მარო მთლად აიწურა. თავმოყვარეობა აუმხედრდა, მაგრამ ყველაფერი მისმა გრძნობამ და გადაწყვეტილებამ დასძლია.

მარომ უსათუოდ უნდა იპოვნოს იოსები, თვალი მოჰკრას და გულისთქმა დააჯეროს. მაგრამ აქ რომ არ იყოს? მერე?

მერე და მარო ჯიბიდან გაფაციცებით აბაზიანს იღებს, სანთლებს ყიდულობს და გაბედული ნაბიჯით კანკელისკენ მიემართება.

სევდით სავსე მაცხოვრის სახე მაროს თვალებში უცქერის და დუღს გოგონას გული.

„შემიბრალე, შემიბრალე, ჯვარცმულო მაცხოვარო... უმწეო ვარ და ვიტანჯები, ძლიერ ვიტანჯები. ამისრულე ვედრება, მაპოვნინე ის... ის“... და მარო ხატს ხელის კანკალით სანთელს უნთებს. მერე სხვა ხატებთან მიდის, იმათაც უნთებს სანთლებს და ნელი ნაბიჯით ქვევითკენ მიემართება. ეპარქიალური სასწავლებლის მოწაფის დანახვაზე ბიჭები ეშმაკურად ქოშინებენ და ბუზნაკბენი ცხენებივით მოუსვენრად ტოკავენ.

— ღმერთო, შენ აცოცხლე ჩვენი ფოფოდიები! — უკანასკნელ წყებაში ვიღაცამ გასაგონად ჩაიჩურჩულა, როცა მარომ შორი-ახლო გაიარა და ბოლო კედელთან მიდგა.

მაგრამ მაროს აღარ რცხვენიან და აღარც მათთვის სცალიან. კედელთან აიტუზა მარო და მწკრივს ბოლოდან ზევით თვალი შეაყოლა. იოსები მაინც არსად სჩანდა, გოგონას გული სიმწარით აევსო.

ამ დროს მღვდელმა სახარების კითხვა დაიწყო და სემინარიელებმა ხალხთან ერთად მუხლი მოიდრიკეს. ქვემოთ, მაროს პირდაპირ, ცისფერთვალებიან ზოტიკე ჩიქვილაძეს არ დაუჩოქია, მან მხოლოდ თავი ჩაქინდრა და ისე დაიწყო სახარების მოსმენა. არ გასულა ხუთი წუთი, რომ ჩიქვილაძესთან ინსპექტორის მიერ გაგზავნილმა მოწაფემ თინიევმა უკანიდან უყელა და ყურში ბოროტი კილოთი ჩასჩურჩულა: „ინსპექტორი გიბრძანებს დაიჩოქო“.

ჩიქვილაძე შეტრიალდა და ათვალისწუნებული თინიევი რომ დაინახა, ხელი მძლავრად გაიქნია. თინიევი წაბარბაცდა, მერე კარებისაკენ მოტრიალდა და მიიმალა.

ასტყდა ჩოჩქოლი და შერბენ-გარბენა. ჩიქვილაძემ გადასწყვიტა, სულ ერთია, აქ აღარ დამაყენებენო, ერთი მაგრა შეიგინა და ისიც გარეთ გავარდა.

რექტორი, ინსპექტორი და ზედამხედველები დაფორიაქდნენ. ეს უცებ დატრიალებული ამბავი რომ უეცრად არ გაძლიერებულიყო, მღვდელმა ლოცვები შეამოკლა და ორიოდე უჩუმრად შესრულებული საგალობლის შემდეგ წირვა გამოაშიფშიფა.

სემინარიელებს გულში კიდეც უხაროდათ, რომ ადმინისტრაცია ერთხელ კიდევ შეაჩოჩქოლეს, მაგრამ ყველას ჯავრი იმაზე მოსდიოდა, რომ ჩიქვილაძემ სულელურად გააფუჭა თავისი საქმე.

— ის ოხერი, თუ თავს გაიმეტებდა, ეგ გაბედულება დიდ საქმეზე მოეხმარა?

— რა ჰქნა, კაცო, მაგ უტვინომ?! — ასევე გაბრაზებით ფიქრობდა იოსებ ლაღიაშვილი და ერთ-ერთი სვეტის იქით კუთხეში იმალებოდა.

მარომ რომ სანთელი დაანთო და უკან დაბრუნებულმა ვიღაცას ძებნა დაუწყო, იოსებმა იმ წამსვე დაიჩოქა და მწკრივში უჩინარი შეიქნა, მაგრამ მაშინ კი ვეღარ მოითმინა, როცა გარეთ გასულ ჩიქვილაძეს მთელი ხროვა ზედამხედველებისა და ინსპექტორი უკან დაედევნა. იოსებს მორიდება მთლად დაავიწყდა. უცებ ადგა, სემინარიელები გასწი-გამოსწია, წრე გაარღვია, მაროს წინ ალეწილი სახით გაიარა, მისთვის ზედაც არ შეუხედია და ისიც ორიოდე მოწაფესთან ერთად ადმინისტრაციას უკან გაჰყვა, რომ თავისი თვალით ენახა, ჩიქვილაძეს რანაირად გაუსწორდებოდნენ.

მაროს მიწა რომ გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა. გახურებული შამფურივით გულში რაღაც ეძგერა. სირცხვილმა და გაწბილებამ ტვინი აუწვა.

— ვაი დაბრმავდი, ჩემო თვალებო! თურმე მასხარად მიგდებდა მე საცოდავს და მე კი მაგაზე კეთილი დედამიწაზე აღარავინ მეგულებოდა... ნეტა რად დამცინა, რისთვის მითხრა ტყუილი? განა რა დავაშავე, რისთვის დამწიხლა ასე უღმერთოდ? — ჩურჩულებდა მარო თავისთვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეროლნტი ქიქოძე

ნიკო ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძე დიდად მნიშვნელოვანი და კოლორიტიანი ფიგურაა სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის. ესაა სრულიად ახალი ტიპის ინტელიგენტი, გამდიდრებული გლეხის შვილი, ევროპული დემოკრატიული აზროვნების ერთერთი პირველი მედროშე საქართველოში.

თავის ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები ნიკო ნიკოლაძემ მშვენივრად აგვიწერა თავის „მოგონებაში". რა განათლება შეეძლო მას მიეღო ქუთაისის გიმნაზიაში, სჩანს აგრეთვე მისი წერილიდან „ბავშვების მოვლა მადაგასკარზე", რომელიც გესლიან სატირას წარმოადგენს იმ „რეფორმატორების" მიმართ, რომელნიც მხოლოდ გარეგნობას ბაძავენ მაიმუნებივით და იმ პედაგოგების მიმართ, რომელნიც ბავშვებს ტვინს ულაყებენ სქოლასტიკური აღზრდის მეთოდებით (იხ. ნ. ნიკოლაძე, ნაწერი, თბილისი, 1878, წ. I).

ყოველი მნიშვნელოვანი პიროვნება თავის ევოლუციაში განიცდის მწვავე და სახიფათო კრიზისის პერიოდს, როცა კრიტიკული აზროვნება მის სულში სწვავს გარდასრულ თაობებიდან მიღებულ იდეებს და მას შესაძლებლობას აძლევს წინ წავიდეს დამოუკიდებელი გზით. როგორც იმავე „მოგონებებიდან" სჩანს, ასეთი კრიზისი განიცადა ნიკო ნიკოლაძემ 1861 — 62 აკადემიურ წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროს, როცა ჩერნიშევსკის და „სოვრემენიკის" გავლენამ რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობაზე თავის ზენიტს მიაღწია. უფრო გვიან ნიკო ნიკოლაძე აღიარებდა, რომ ის თავის ზოგიერთ პეტერბურგელ მეგობართან ერთად ათიოდე წლის შემდეგ ხუმრობით იგონებდა იმ ჭაბუკურ გატაცებას, რომელმაც ის კრონშტადტის ციხეში მიიყვანა. თვითირონიას და სკეპტიციზმს ის მთელი თავისი თაობის დამახასიათებელ თვისებად სთვლიდა: „ჩვენ სერიოზნობის, მართლმსახურების, მოღრუბლული ხასიათის ერთი ნამცეცი თვისებაც არ გვაქვს და ჩვენ თავზე ღიმილით და ოხუნჯობით ამოგვივა ჩვენი სული; რისგანაა ეს? რათ გვჩვევია ეს თვისება ჩვენ, ერთი თაობის კაცებს, ერთ გარემოებებში გამოზრდილს, რუსი ვიყოთ, გინდ ქართველი, და რათ არ ვგევართ ამ მხრით ბევრ ჩვენ თანამემამულეებს, რომელნიც ფლავის ჭამასაც კი სერიოზნობით ახერხებენ, არა თუ სიკვდილის შეყრასა?" („ხვათა შორის", „კრებული", 1873, № 4).

ნიკო ნიკოლაძე უდოგმატო კაცი იყო, ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე სკეპტიკოსი სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეებს შორის. უარჰყო რა მამაპაპათა დრომოჭმული რელიგია, მას არც ნაციონალიზმი, არც სოციალიზმი, არც თვით დემოკრატიზმი ახალ რელიგიად არ მიუღია, არც ჩერნიშევსკი, არც გერცენი, არც ლუი ბლანი და არც გამბეტა ახალ ალლაჰად არ უცნია და თავისი თავი მათ წინასწარმეტყველად არ გამოუცხადებია. მაგრამ რადგან, ერთი ევროპელი მწერლის თქმისა არ იყოს, ჩვენს მხრებს სამუდამოდ აჩნდება იმ დროშის ტარის კვალი, რომელიც ახალგაზრდობაში გვიტარებია, ნიკო ნიკოლაძეს შუა ასაკსა და სიბერეშიც ხშირად აგონდებოდა ის იდეები, რომელთაც მის მშფოთარე და მაძიებელ სულზე ღრმა გავლენა მოახდინეს სიჭაბუკეში.

სამოციანი წლების უდიდესი ნაწილი ნიკო ნიკოლაძემ საფრანგეთსა და შვეიცარიაში გაატარა, როგორც ემიგრანტმა სტუდენტმა, და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო ციურიხის უნივერსიტეტში წარდგენილი დისერტაციისთვის „განიარაღებასა და მის ეკონომიურ-სოციალურ შედეგებზე". თუ პირველად ნ. ნიკოლაძე ევროპაში იძულებით წავიდა, შემდეგ ის იქ ხშირად ნებაყოფლობით ან სხვადასხვა რეჟიმის მთავრობის დავალებით გამგზავრებულა. და თუ ამ ცვალებად და დაუდგრომელ ადამიანში იყო რაიმე მტკიცედ დადგენილი, ეს იყო მისი სიყვარული ევროპის კულტურული და ზნეობრივი ატმოსფეროსი. „ბედნიერია ის ახალგაზრდა, რომელიც სამზღვარ გარეთ იმ მიზნით გადის, რომ იქაური ცხოვრების, მეცნიერების და გონების ნაყოფი განიცადოს და იგემოს... როცა ის პირველად ევროპის კარებს შეაღებს და მის გონებით ცხოვრებაში ფეხს შესდგამს, იმას უცნობი ჰაერი ეცემა, საამო და თავბრუს დამსხმელი". („სხვათა შორის").

ნიკო ნიკოლაძის თანამშრომლობა ა. გერცენთან ეპიზოდური ხასიათისა იყო, მან მხოლოდ სამი წერილი მოათავსა ლონდონის „კოლოკოლში"; ერთი ამ წერილთაგანი თბილისში 1865 წელს მომხდარ აჯანყებას შეეხებოდა, ახალი გადასახადებით გამოწვეულს. გერცენს და ნიკოლაძეს არ შეეძლოთ დიდხანს ერთად სიარული. გერცენი ფიქრობდა, რომ მეშჩანობა დასავლეთური ცივილიზაციის სრულწლოვანობის გამოხატულებაა: ერთი მხრით სდგანან მესაკუთრე მეშჩანები, რომელნიც ჯიუტად უარს ამბობენ თავიანთი მონოპოლიის დათმობაზე, მეორე მხრით — გაპროლეტარებული მეშჩანები, რომელთაც მათთვის ქონების წართმევა სურთ, მაგრამ ძალა არ შესწევთ ამისთვისო. ნეოსლავიანოფილიზმისკენ გადახრილ გერცენს რუსეთის გლეხური ობშჩინა მომავალი სოციალისტური წესწყობილების ჩანასახად მიაჩნდა. ნიკოლაძე კი კულტურის ხსნას იმ დაწესებულებების და იდეების თანმიმდევარ განვითარებაში ხედავდა, რომელნიც დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებმა და მოაზროვნეებმა შეიმუშავეს და შექმნეს. ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ., ნიკოლაძეც განსაკუთრებით მოკრძალებით აფასებდა იმ ბრძოლას, რომელსაც ფრანგის ერი აწარმოებდა დემოკრატიული წესწყობილებისა და სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც ეტყობა, არ ეთანხმებოდა ლორენცო მედიჩისა და გოეტეს, რომ ვისაც სხვა ცხოვრების იმედი არ აქვს, ის მკვდარია სააქაო ცხოვრებისათვისო; მას მოსწონდა „საფრანგეთის გონება, რომელსაც თითქოს

მტკიცედ სწამს, რომ დაპირებული სამოთხე ქვეყანაზე გაიმართებაო და ის მართლაც სცდილობს ეს სამოთხე „გამართოს“. თუ დავით და იოანე ბატონიშვილებმა ბევრი რამ ისესხეს მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი დეისტებისა და სენსუალისტებისაგან, ვოლტერისა, კონდილიაკისა და სხვებისაგან, ნიკო ნიკოლაძემ ბევრი რამ აითვისა მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი პოზიტივისტებისა და სოციალისტებისაგან, სენ-სიმონისა, პრუდონისა, ლუი ბლანისა და ოგიუსტ კონტის აზროვნებიდან.

რადიკალურ და სოციალისტურ ჟურნალ „სოვრემენოსტში“, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე გეოგრაფ და სოციოლოგ ლ. მეჩნიკოვთან ერთად 1868 წელს სცემდა ჟენევაში, ის პოზიტივიზმის იარაღით შეებრძოლა ბაკუნინის ანარქისტულ და მეტაფიზიკურ შეხედულებებს. „კარლ ფოგტი, მოლეშოტი, დარვინი და ბოკლი ეკუთვნიან იმ მეცნიერთა რიცხვს, რომელთაც მეცნიერებიდან ერთხელ და სამუდამოდ განდევნეს ყოველგვარი მეტაფიზიკური საკითხი და რომელნიც შეუდგნენ ფიზიკური და ზნეობრივი ბუნების მოვლენათა გამოკვლევას და განზოგადოებას, რათა ამ მოვლენათა თანმიმდევრობას მისწვდნენ... მთელი თანამედროვე მეცნიერება, ბეკონიდან დაწყებული, ამ მეთოდს ეყრდნობა და მიდის წინ მისი წყალობით. ამ მეთოდს უნდა ვუმადლოდეთ იმ წარმატებისთვის, რომელსაც ბუნებისმეტყველებამ მიაღწია“ („ნაროდნოე დელო“, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1931).

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პოზიტივისტური ფილოსოფიისა და სოციოლოგიისთვის ნიკო ნიკოლაძეს შემდეგაც არ უღალატნია. მართალია, ის პოლიტიკური და პრაქტიკული მოღვაწე იყო და, როგორც ანეთ მოღვაწეთა დიდი რიცხვი,—ოპორტუნისტი, მართალია, მან გიორგი წერეთლის წინააღმდეგ და ილია ჭავჭავაძის მსგავსად ევოლუცია განიცადა მარცხნიდან მარჯვნივ, მაგრამ თვით მისი მსოფლმხედველობის საფუძველი ისე არ შეცვლილა. როგორც შეიძლება მის მოწინააღმდეგეებს ეგონათ. ოცდაათი წლის განმავლობაში, დაახლოებით სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან წარსული საუკუნის დასასრულამდე, ნიკო ნიკოლაძემ, უმთავრესად თბილისში, მეტად ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა გასწია. ის ხელმძღვანელობდა ან უახლოეს თანამშრომლობას უწევდა რუსულ „ტიფლისკი ვესტნიკს“, „ობზორს“ და „ნოვოე ობოზრენიეს“, ქართულ „კრებულს“, „დროებას“ და „მოამბეს“. ამ ხნის განმავლობაში მან ხელი შეუწყო გონებათა ამოძრავებას, ახალი ქართველის ფსიქოლოგიის შემუშავებას. ამავე დროს ის პრაქტიკულად მუშაობდა როგორც აქციურ საზოგადოებათა დამაარსებელი, როგორც თბილისის თვითმართველობის წევრი, ბოლოს, როგორც ფოთის ქალაქის თავი. აქ მან თავისი დაუცხრომელი ენერგია პორტის ქვის ჯებირში შეანივთა და თამამი პროექტები შეადგინა, რომელნიც შემდგომმა თაობამ განახორციელა. მაგრამ თავის ცხოვრების სამხარზეც ის სენ-სიმონის და კონტის სოციოლოგიურ კონცეფციას ემხრობოდა: „ეხლანდელი საზოგადოებრივი მეცნიერების წინამორბედი სენ-სიმონი და მისი მოწაფე ოგიუსტ კონტი მთელი კაცობრიობის განვითარების ისტორიას სამ ნაწილად ჰყოფენ. მათი სწავლით ყოველმა ერმა აუცილებლად შემდეგი სამი სტადია უნდა გაიაროს ერთი მეორის შემდეგ: მხედრული, მრეწველი და საზოგადოებრივი. ვინც მათ ნაწერებს გადაიკითხავს და ჩვენს მდგომა-

რეობას შეადარებს, ის დარწმუნდება, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს თავიდან ბოლომდინ და კიდით-კიდამდე ჯერეც პირველ სტადიას, მხედრულ წესწყობილებას ვერ ასცილებია, ვერ გამოსთხოვებია. როცა ევროპა საფუძვლიანად იწყენებს თავის მრეწველ წყობილებას იმ აზრით, რომ მესამე სტადიაზე შესდგას ფეხი და საზოგადოებრივი წესი გაიწყოს, ჩვენ ისევ ისა გვაქვს სანატრელი და საძიებელი, რომ იქნება როდისმე მხედრული წყობის შემუსვრა და მრეწველობის დაარსება გვეღირსოსო!" (საჭირო ძალა, „მოამბე", 1894 წ., № 8).

ამ მსოფლმხედველობასთან იყო დაკავშირებული ის დაფასება, რომელსაც ნ. ნიკოლაძე თავისდროინდელ საქართველოსა და რუსეთს აძლევდა: ის ეწინააღმდეგებოდა როგორც ჩვენს რომანტიკოს პატრიოტებს, ისე რუს სლავიანოფილებს.

ლლოიდ ჯორჯმა კლემანსოზე სთქვა, მას უყვარდა საფრანგეთი, მაგრამ სძულდა ფრანგებიო. ვერავინ ვერ შეიტანს ეჭვს აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმში. მაგრამ მათ ნაწერებში მრავლად მოიპოვება სტრიქონები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ისინი ქართველ ერს, უკეთ ვთქვათ, მის გაბატონებულ წრეებს ზნეობრივად დაავადებულად სთვლიდნენ. თავისი თანამედროვე ქართველობის დაფასებაში ნ. ნიკოლაძე პრინციპულად არ განსხვავდებოდა აკაკისა და ილიასაგან. მხოლოდ აკაკი ერის გაჯანსაღებას ძველი ქართული გმირობის და სიქველის აღდგენიდან ელოდა, ნიკო ნიკოლაძე კი, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ხსნას ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ევროპულად მოწესრიგებასა და მეცნიერული იდეების პროპაგანდაში ხედავდა.

1873 წელს ნიკო ნიკოლაძე მეორედ გაემგზავრა საზღვარ გარეთ. ფოთის დანახვამ გემის ერდოდან მასში პესიმისტური ფიქრები აღძრა: „ფოთი დაიმალა თავის შნოიანად გალესილი, შეფერილი ქუჩებით და დამპალი შიგნეულობით. მაგრამ ჩემ თვალწინ მაინც დიდხანს იდგა მისი სურათი, რომელიც მე ჩვენი ქვეყნის ნამდვილ და ჭეშმარიტ სურათად მიმაჩნია. ლამაზია ის, აყვავილებული, ნარნარ ვარდივით გადაშლილი, მაგრამ გარეგანი სილამაზის მეტი არაფერი ღვივის და აცხოველებს ამ საყვარელ ქმნილებას. იმას აკლია ძლიერი შემაერთებელი სული, აკლია ძალის მომცემი ერთობის სიცხოველე, ატყვია მომხიბვლელი გარსგანდგომის, განცალკევების ბეჭედი... მოიყვანეთ ვინც გინდათ აქ, ჩემს აღაგას, დააყენეთ ამ ხომალდზე, და გადაახედეთ ჩვენი ქვეყნისკენ, დააფიქრეთ მის ბედზე, გააცანით მისი მდგომარეობა. და თუ მისი გული დაწურული ღრუბელივით არ დაპატარავდეს, თუ იმას სისხლი არ მოერიოს და ნაღველი ყელში არ ამოუვიდეს, მაშინ შემაბით ყელზე ამ ხომალდის ქვაბი და ჩამიშვით ამ ზღვის უფსკრულში".

ნიკო ნიკოლაძე სრულიად თავისუფალი იყო ისტორიული რომანტიზმისაგან. საქართველოს წარსულს ის გადაჭარბებული სკეპტიციზმით აფასებდა. ეს ნაწილობრივ მისი ფხიზელი რეალისტური და პოზიტივისტური მსოფლმხედველობით აიხსნებოდა, ხოლო ნაწილობრივ იმით, რომ ის, როგორც ეტყობა, შედარებით სუსტად იცნობდა საქართველოს ისტორიას. იმას არ სწამდა, რომ ჩვენ ოდესმე გამოვსულიყავით მიმბაძველობის ასაკიდან და ორიგინალური ეროვნული კულტურის სტილი შეგვექმნას.

ის ფიქრობდა, რომ ქართველები დიდხანს „მონგოლებსაც კი ებაძავდით, სპარსელებსაც, თათრებსაც და ლეკებსაც. ზოგმა ქუდი დაგვიტოვა, ზოგმა სიზანტე, ზოგმა ორპირობა... ხეირიანი და მაგარი ბუნება რომ არ გვქონოდა, ჩვენ სისხლში რომ ის დაუნდობელი და დაუშრეტელი ძალა არ მდგარიყო, რომელიც ზოგიერთ რჩეულ ხალხს უკვდავებას აძლევს, დიდი ხანია რაც დედამიწის პირიდან ქართველებისა და საქართველოს ხსენებაც კი გაჰქრებოდა... ვინ, რომელი ბრძენი, ისტორიკოსი ან ეტნოგრაფი გვეტყვის, როგორი იყო ნამდვილი და პირველდროინდელი ქართველების ბუნება, ზნე, ხასიათი, თვისება“ (მამულის სიყვარული და მსახურება, „საახალწლო ალმანახი“, თბილისი, 1880 წ.).

ერთ თავის წერილში ნ. ნიკოლაძემ საქართველო იმ ტურფა ქალს შეადარა, რომელიც სჭკნება და ლაზათს ჰკარგავს ხელიდან ხელში გადასვლის გამო. „სპარსეთის ვარჯიშობამ ჩვენს მინდვრებში და დარბაზებში, მათმა გამარჯვებამ ჩვენს ციხეებსა და ქალბატონებზე ასე დაამცირა ჩვენი ხალხის ხასიათი“ (კრებული, 1871, № 4). ეს იყო უკვე ნიგილისტური შეხედულება ქართველი ერის ისტორიულ წარსულზე, ისევე ცალმხრივი და მავნებელი, როგორიც იყო ჩვენი ისტორიის სანტიმენტალური იდეალიზაცია რომანტიკოს პატრიოტების მიერ.

არა ნაკლებ პესიმისტურად აფასებდა ის მეფეთა რუსეთის აწმყოსა და წარსულს და ყოველი ჯურის სლავიანოფილებისა და ნაციონალისტების წინააღმდეგ ჩაადაევს ეთანხმებოდა; მაგრამ ჩაადაევის წინააღმდეგ ის უკეთეს მომავალს უქადდა რუსის ხალხს. „საზღვარგარეთელ მწერლებს და მოაზრეებს აკვირვებს რუსეთის ერთკილოიანი და უმოძრაო ცხოვრება მთელი ათასი წლის განმავლობაში. მობრძანდნენ და ნახონ აი ეს მინდვრები, მათი შიშველი ბუნება, მათი მოსვენებული, თითქმის მკვდარი გამოხედულება, და ბრძანონ, რა გასაკვირველი უნდა იყოს, რომ ამ ბუნებას მცხოვრებლების ტვინზე და მოქმედებაზე ერთგვარი უმოძრაობის დაღი დაუსვია. ხალხს მოძრავ ხასიათს, წარმატების სურვილს, უკეთესი ცხოვრებისკენ ლტოლვილებას მისი ტვინის სიფხიზლე, მისი პოეზიის ძალა, მისი სხეულის სიმაგრე აძლევს. მაგრამ რა პოეზიაა შესაძლებელი ამ ერთფეროვან, ერთგვარ და ერთნაირ მინდვრებზე?.. გარშემო, მთისა და მდინარეებისა, ყვავილისა და ტყის მაგიერ სჩანს ზაფხულში მტვერი, ზამთარში თოვლი და გაზაფხულ-შემოდგომაზე კი ტალახი, ტალახი და მარტო ტალახი“ („სხვათა შორის“).

ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით გეოგრაფიული სტიქიონიდან დამოკიდებულია არა მარტო ამა თუ იმ ხალხის, ამ შემთხვევაში რუსობის, კულტურის საერთო განვითარება, არამედ მისი ხელოვნება, მორალური შეხედულებები, პატრიოტული შეგნება, თვით პოლიტიკა. მას უკვირს, „როგორ მოახერხეს ამ ქვეყანაში სახლების და ეკლესიების შენება, ესე იგი არქიტექტურა აქ რანაირად დაარსდა. აქ კაცს მისაბაძველი არა ჰქონია რა: ბუნებას მისთვის არც გამოქვაბული კლდეები უჩვენებია, არც ხის შტოებისაგან დაჩრდილული კარვები...“ მზის იშვიათი გამოჩენა ცაზე, ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთარი, ადამიანის ჩაკეტვა ოთხს კედელს შუა იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების განუვითარებლობას, გააფთრებულ ბრძოლას არსებობისათვის, იჭვიანობას, დაუნ-

დობლობას, მატერიალურ ღირებულებათა გადაჭარბებულ დაფასებას, ბოლოს პატრიოტული გრძნობის სისუსტეს. აქ ნიკოლაძე მსუბუქ პუბლიცისტურ ფორმებში გამოსთქვამს აზრებს, რომელნიც თხუთმეტ-თექვსმეტი წლის შემდეგ ლ. მეჩნიკოვმა სისტემატიურად დაალაგა თავის ცნობილ ფრანგულ სტატიაში „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები". საფიქრებელია, რომ ქართველი პუბლიცისტი და რუსი სოციოლოგი ამ საკითხებზე ხშირად საუბრობდნენ ჟენევაში „სოვრემენოსტის" რედაქციაში მუშაობის დროს.

მაგრამ დიდად დამახასიათებელია, რომ ნიკო ნიკოლაძეს შესაძლებლად მიაჩნია თვით გეოგრაფიული სტიქიონის დაძლევა ადამიანის ტიტანური აქტივობის შემწეობით. „ადრე თუ გვიან რუსი მიხვდება, რომ ამ თვალუწვდენელ მინდვრებშიაც დიდი სიმდიდრეა დამარხული იმისთვის, ვინც მათ შემუშავებას და გამოყენებას მოახერხებს. ის ხელს ახლებს მაშინ თავის სამშობლო მინდვრებს, შეამუშავებს იმათ, გაავლებს ზედ გზებსა და წყლებს, მოიწევს სარჩოს, უკეთ გაიწყობს თავის ცხოვრებას და მაშინ, როცა იმას შინ ბედნიერება ექნება, უფრო იშვიათად მოინდომებს შინაურობის მიტოვებას და ბედის ცდას მთას გადაღმა". ასეთი სასწაულის მოხდენა შეუძლია ადამიანის გონებასა და ნებისყოფას, მის სამეცნიერო და სამრეწველო მოღვაწეობას, იმ სტიქიონური ძალების, ელექტრონის, წყლის ენერგიის, მადნების და სხვ. გამოყენებას, რომელიც თვით მტრულად განწყობილი ბუნების წიაღშია დამალული.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკის ერთი საუკეთესო ნიმუშია მისი რუსული წერილი, „ოცნებათა სამეფოში", რომელშიც მან პოეტურად შთაგონებული სტრიქონები მიუძღვნა ელექტრონის როლს კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. ის მოგვითხრობს, რომ 1886 წელს პარიზში დაესწრო ფერმკრთალი, დატანჯული მარსელ დეპრეს ცდებს ელექტროენერგიის შორს გადატანაზე, დინამომანქანებზე და სხვ. და მას სწამს, რომ დინამომანქანა დაამხობს ორთქლის მანქანის ბატონობას და შემუსრავს თვით კაპიტალიზმის ძალას. ასეთია ტექნიკის წინსვლის ძალა. რამდენ საუკუნეს ბატონობდა კაპიტალი მსოფლიოში! რამდენი ძალა დაიღუპა უნაყოფოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენი ადამიანის სხეული შეეწირა ოქროს კერპს! მაგრამ აი მოვიდა ლატაკი, დამშეული ადამიანი და მოიგონა ელექტროენერგიის შორეულ მანძილზე გადატანის, მისი დანაწილების საშუალება. ამიერიდან ჩქარა საშირო არ იქნება კაპიტალის დაგროვება რამდენიმე პრივილეგიური პირის ხელში, უზარმაზარი ქარხნები, უსიტყვო, მიკროსკოპულ ქონდრისკაცებად გადაქცეული მუშების მიბმა უსულო მანქანებზე, მათი გადაქცევა უპიროვნო კაპიტალის დამატებად: ისინი დამოუკიდებელ, ამაყ, სწორუფლებიან მოქალაქეებად იქცევიან. ყველას შეეძლება მავთულის შემწეობით ენერგია გაიყვანოს თავის ბინაზე, თავის ქოხში, ყველას შეეძლება დინამომანქანა შეიძინოს, როგორც დღეს საკერავ მანქანას იძენენ. „ასეთია ადამიანის აზრის, მეცნიერების ძალა, რომელიც აუქმებს ოქროს. ნუ თუ ეს საოცარი არ არის? როგორ იცხოვრებენ ადამიანები უკაპიტალოდ? რა საინტერესო იქნება ყოველივე ამის დანახვა იმათთვის ჩვენს შორის, ვინც ამ მშვიდობიან გადატრიალებას მოესწრება!.. და მაშინ დღესასწაული დადგება ჩვენს მთებში. რამდენი მთის მდინარე გვაქვს, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მამოძრავებელი ძალა! და ყოველივე ეს გამოყენებული იქნება, ყოველივე ეს აამოძრავებს მილიონ დაზგას. მილიონ

პატარა და დიდ მანქანას მილიონ ოჯახში... ქუდი მოიხადეთ, ბატონებო, მის წინაშე: ეს მომავალი ძალაა!" („ნოვ. ობოზრ.", 1887 წ., № 1328).

ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებთანაა დაკავშირებული „ალეფრთოვანებული ჰიმნი მრეწველობისადმი, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე მთავარ ძალად სთვლიდა ჩვენი ჩამორჩენილი სამშობლოს გასანთავისუფლებლად უცხო კაპიტალის ეკონომიური უღლისაგან; ამასთანავეა დაკავშირებული მისი მისწრაფება, რომ ეკონომიური აქტივობისათვის გამოყენებულ იქნას ყველა საზოგადოებრივი ფენა, თვით ქართველი მესამე წოდება, თვით მრავალრიცხოვანი ქართველი თავადაზნაურობა, რომლის უბრალოდ მოკვეთა მას შეუძლებლად მიაჩნდა, ვინაიდან ის ერის ერთს მეათედს შეადგენდა, ხოლო განსაკუთრებით გამოყენებულ იქნას დემოკრატია, რომელიც უნდა გადაეჩვიოს ბრმა მორჩილებას და შეეჩვიოს აზრიან დისციპლინას, ინიციატივის გამოყენებას, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესის შეთანხმებას. „თანდათან გვიახლოვდება ახალ-ახალი ქვეყნის მოძრაობა. ოცი წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ჩვენი ქვეყანა ან ჩვენი მამულის ახლომახლო მდებარე ქვეყნები მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზამზარეული დახვდება ამ ბრძოლის პირველ კიჟინს, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისციპლინაც" („მამულის სიყვარული და მსახურება").

*
* *

ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ მოღვაწეობაში დიდად საინტერესო მომენტს წარმოადგენს ის მოლაპარაკება, რომელიც მან 1882 წლის დასასრულს აწარმოვა ალექსანდრე მესამის მთავრობასა და „ნაროდნაია ვოლიას" შორის. ამ დროს ახალი მეფის პოლიტიკური კურსი არსებითად უკვე გამორკვეული იყო: ნაროდოვოლცების მიერ მოკლული ალექსანდრე მეორის მოლიბერალო მინისტრი გრაფ ლორის-მელიქოვი გადაყენებულ იქნა, კონსტიტუციური ილუზიები არქივს ჩაბარდა და მთავრობა მკაცრი რეაქციის გზას დაადგა. მაგრამ თვით მთავრობაში კიდევ მოიპოვებოდნენ მერყევი ელემენტები, რომელთაც განსაკუთრებით ეშინოდათ, ნაროდოვოლცების გადარჩენილმა ბელადებმა ტერორისტული აქტები არ მოაწყონ ახლად ტახტზე ასული მეფის კურთხევის დროს და სირცხვილი არ გვაჭამონ დღესასწაულზე დამსწრე უცხოელი სტუმრების თვალშიო. ამიტომ მან საქართველოში ნამყოფი ბოროზდინის რჩევით იმ დროს პეტერბურგში მყოფ ნ. ნიკოლაძეს წინადადება მისცა მოლაპარაკება გაემართა „ნაროდნაია ვოლიას" მეთაურებთან. ნიკოლაძე შეხვდა, ერთი მხრით, მეფის კარის მინისტრს გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვს, გრაფ შუვალოვს, პოლიციის დეპარტამენტის უფროსს პლეევს, ხოლო მეორე მხრით ცნობილ კრიტიკოსს ნ. მიხაილოვსკის, ნაროდნიკ პუბლიცისტს ს. კრივენკოს და სხვ. მთავრობის დასტურით ის დასავლეთ ევროპაშიც გაემგზავრა და ინახულა ემიგრანტ რევოლუციონერების იმდროინდელი მეთაური ლევ ტიხომიროვი, რომელმაც ნაჩქარევი კონგრესიც კი მოაწყო მთავრობისათვის წარსადგენ მოთხოვნილებათა ჩამოსაყალიბებლად.

ნ. ნიკოლაძის შუამავლობას, რასაკვირველია, არავითარი, რეალური ნაყოფი არ მოუტანია. მართალია, რევოლუციონერების პარტიამ მთავრობას მე-

ტისმეტად ზომიერი მოთხოვნილებანი წარუდგინა, სახელდობრ პროპაგანდის თავისუფლების, ამნისტიის და ზოგიერთი შეღავათის მინიჭება ნაროდნიკული ინტელიგენციისთვის, მაგრამ მთავრობა ჩქარა დარწმუნდა, რომ ხეთარი ტერორით ილაჯგამოცლილი ნაროდოვოლცების პარტია სერიოზულ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა მისთვის და უარი სთქვა რაიმე დათმობაზე. და პლეევემ ნიკო ნიკოლაძე უკანასკნელი შეხვედრიდან, ცოტა არ იყოს, ირონიული სიტყვებითაც გაისტუმრა: „თქვენ უჩივით უხერხულობასა და საფრთხეს. მაგრამ არ გინდათ ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ უხერხულობა აუცილებელია თქვენს მდგომარეობაში. ის ჩვენ კი არ მოგვიხვევია თავზე თქვენთვის. თქვენ თვითონ ისურვეთ ორ სკამს შუა მჯდარიყავით“ („ბილოე“, 1906, № 9).

ნიკო ნიკოლაძე მოგვითხრობს, რომ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა ყურადღებით მიმიღო და მომიხმინა, მაგრამ მას დაღლილი კარისკაცის სახე ჰქონდა, როგორც შეეფერება ადამიანს, რომელსაც ყოველივე მოსწყინდა და არავითარი სურვილი და მისწრაფება არ აღელვებსო. მეზობელ ოთახში კარი გაღებული იყო, მაგრამ მძიმე ფარდა ეფარა, რომელიც დროგამოშვებით ირხეოდა; შემდეგ ბოროზდინი მარწმუნებდა, იქ თვით ხელმწიფე იჯდაო.

შემდეგ ნიკო ნიკოლაძე განაგრძობს, რომ როდესაც ჩემსა და გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს შორის კითხვა დაისვა, თუ რა ნიადაგზე შეიძლებოდა შეთანხმების მიღწევა მეფის მთავრობასა და რევოლუციურ და სოციალისტურ ელემენტებს შორისო, მე მას დავუწყე მტკიცება, რომ არავითარი „პრინციპიალური დაბრკოლება არ არსებობს იმის წინააღმდეგ, რომ მოხდეს სრული და გულწრფელი შედეგება სოციალურ მოძღვრებათა და თვით უმკაცრეს და უჯიუტეს თვითმპყრობელობას შორის მეთქი... რაც შეეხება კონსტიტუციურ რეჟიმს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის მრავალი წლის მანძილზე უპირატესობას მიანიჭებს რუსეთის საზოგადოების ვიწრო ეგოისტურ ელემენტებს: ადვოკატებს, ფერისტებს, კულაკებს, საერთოდ ბურჟუაზიას. ინტელიგენცია კი ღობის გადაღმა დარჩება. ამიტომ ამჟამად მოსალოდნელი არ არის, რომ კონსტიტუცია არსებითად გააუმჯობესებს მთავრობის მდგომარეობას და ხალხის ყოფაცხოვრებას... ქვეყანაში, რომლის სახალხო ცხოვრება ობშჩინის და არტელის ნიადაგზე განმტკიცდა, და რომლის ინტელიგენცია ამ ეკონომიურ საფუძვლებს ფეტიშებად სთვლის, ძნელი არაა ერთსულოვნების დამყარება ხელისუფლების, ხალხის და ინტელიგენციის მისწრაფებათა შორის მეთქი“.

ერთი სიტყვით, ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკების დროს, ევროპაში გამგზავრების წინ, ნიკო ნიკოლაძე თავისებური ნაროდნიკულ-თვითმპყრობელური სოციალიზმის იდეას იცავდა. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა ის პარიზიდან დაბრუნდა, უკვე გრაფ შუვალოვს შეხვდა, რომელმაც მას აცნობა, რომ ვორონცოვ-დაშკოვის მდგომარეობა შერყეულია, ხოლო მისი „სალმთო დრუჟინა“ დაშლილაო. „გრაფი შუვალოვი მარწმუნებდა, ტერორისტების მოთხოვნილებათა ვიწრო სოციალისტურმა პროგრამამ დიდად აწყენინა მასაც, ვორონცოვ-დაშკოვსაც და მისი წრის ყველა წევრს... მისი შენიშვნის გამო, რომ მხოლოდ კონსტიტუცია უნდა მოგეთხოვათო, მე ვუპასუხე, სრულიად ვიზიარებთ თქვენს შეხედულებას მეთქი“. ამრიგად, შუვალოვთან საუბრის დროს ნიკოლაძე უკვე ბიუროკრატიული სოციალიზმის წინააღმდეგ, ლიბერალური

კონსტიტუციის დამცველად გამოვიდა; და ამას ის თავისი პირით მოგვითხრობს ერთი და იმავე წერილის ფურცლებზე.

რით აიხსნება ასეთი აშკარა წინააღმდეგობა? პოლიტიკურ-უბრალოებით, გაუბედავობით თუ იმპრესიონისტული ბუნებით? უნდა ვიფიქროთ, ბოლო ერთით. ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკების დროს ნიკო ნიკოლაძე, ალბათ, ტალეირანის პოლიტიკურ სიბრძნეს მისდევდა: ის ფიქრობდა, ენა იმისთვის მაქვს, რომ ჩემი განზრახვები დავმალოო; შუვალოვთან მოლაპარაკების დროს კი ის თავის ნამდვილ გულისნადებს ამჟღავნებდა. მართლაც, თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ის ხშირად ამტკიცებდა, რომ თვითმპყრობელობის აუცილებელი მემკვიდრე. სახალხო თვითმპყრობელობაა, რომ ასე იყო ყველგან და რუსეთიც არ შეადგენს გამონაკლისსო. ის ებრძოდა ბიუროკრატიულ მეურვეობას, მოუწოდებდა თვითმოქმედებისა და თვითმართველობისადმი, რათა ამ გზით „ადამიანთა უდიდესი რიცხვის უდიდესი კეთილდღეობა განხორციელებულიყო“. *თავის წერილში ლუი ბლანსა* და *გამბეტაზე ის ამტკიცებდა*, „ლუი ბლანის უმთავრესი დამსახურება იმ შეცდომის დარღვევაშია, ვითომ სოციალიზმს და უსაზღვრო მონარქიას ერთად არსებობა შეეძლოთო“.

ნიკო ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ საქართველოში განსაკუთრებით საჭიროა ევროპული პარლამენტური ბრძოლის წესების შემოღება, ვინაიდან ფეოდალიზმმა ბრმა, მონური დისციპლინის სიყვარულთან ერთად ინდივიდუალისტური ანარქია გვიანდერძა, „ხალხში კი ნამდვილი ერთობა მარტო მაშინ დამყარდება, როცა მისი ეკონომიური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიურად განთავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა... ვიბრძოლოთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს მეორის შეხედულება შევატაკოთ, ვეცადოთ ხალხი მონაწილე გავხადოთ ამ ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა და მერე, თუ ნამდვილად მამული გვიყვარს, თუ მისი სიკეთე კერძო თავმოყვარეობაზედ უფრო დიდათ მიგვაჩნია, ყველა იმ გადაწყვეტილებას დავადგეთ, რაც უმრავლესობამ მიიღოს. ამ უმრავლესობისაგან მიღებულის გადაწყვეტილების ერთგულება შეადგენს ნამდვილსა და გამოსადეგს დისციპლინას და არა ფელდფებლური მონობა ერთის რომელსამე კერპისა“ („მამულის სიყვარული და მსახურება“).

რა საშუალებით ფიქრობდა ნიკოლაძე თავისი პოლიტიკური და სოციალური მიზნების მიღწევას? ახალგაზრდობაში, როცა ის ჩერნიშევსკისა და ნაროდოვოლცებს მეგობრობდა, ლუი ბლანსა და გერცენს ხვდებოდა, პირველი ინტერნაციონალის წრეებში ტრიალებდა და ჟენევაში „სოვრემენოსტს“ რედაქტორობდა, ელპიდინთან ერთად რევოლუციურ პროკლამაციებს, ხოლო დ. მიქელაძესა და იზმაილოვთან ერთად ქართულ ჰეგტოგრაფიულ ჟურნალ „დროშას“ ბეჭდავდა, ის გარკვეული რევოლუციური გზის მომხრე იყო. არსებითად მას მოხუცებულობაშიც არ შეუცვლია თავისი აზრი რევოლუციაზე, როგორც სიზოგადოების გამაახლებელ ძალაზე, მხოლოდ ის, რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო პერმანენტული რევოლუციის იდეისა. „ამბოხება, რევოლუცია, ქვეყნიერების არსებობაში ისეთივე იშვიათი „ერთწუთი“ მოვლენაა, როგორც ელვა, მეხი. შესაძლებელია განა ადამიანი სულ იმას ნატრობდეს, რომ ქვეყანაზე სხვა ძალა არ მოქმედებდესო და მუდამ მეხის მზადებაში ლევდეს თავის ღონეს?“ („ჩემს პოლიტიკაზე“, ქუთაისი, 1913).

რაც შეეხება ნ. ნიკოლაძის მიდგომას მეორე სოციალური სტიქიონისა — ომისადმი, ის განსაკუთრებით ამჟღავნებს მისი პოლიტიკური აზროვნების თავისებურებას. ერთი მხრით მას გულწრფელად აშფოთებს ომის ველის სურათი, რომლის წინა პლანზე თავმოწყვეტილ, შუაზე გაპობილ და [illegible] ახალგაზრდა ადამიანების გვამები გდია, ხოლო უკანა პლანზე სავარძლებში წამქეზებლები სხედან, ნებიერად გაზეთებს კითხულობენ და ვახშამს ელოდებიან. მაგრამ ამასთანავე მას ახსენდებოდა, რომ უდროოდ და ძალდატანებით მარტო ბრძოლის ველზე როდი კვდება ხალხი: უგუნურება, უწესოება და სიღარიბე მას შასპოს და დრეიზეს თოფებზე უარესად ლეწავს. ომს კი ის უპირატესობა აქვს, რომ ახალისებს და აწრთობს ადამიანის სულს, პატიოსან გრძნობებს ნერგავს მასში და საზოგადოებრივ ცხოვრებას ობისა და ხავსისაგან ათავისუფლებს („ომის სადღეგრძელო", ნაწერები, თბილისი, 1878).

მაგრამ ომი სწარმოებს არა მარტო სახელმწიფოთა შორის, არამედ თვით საზოგადოების შიგნითაც: „ვინც გაიმარჯვა, ის ჭკვიანი და საქებია, თუნდ მარტო გარემოების შემწეობით გაეიმარჯვოს, და ვინც წაიქცა, ვისაც ანგარიში შეეშალა ან ვისაც მიზნის მიღწევის ნება არ მისცა სრულიად წარმოუდგენელმა გარემოებამ, ის ყოველთვის სასაცილო და ტალახში გასათქერი ხდება" (დროება, 1873, № 74).

* *

ნიკო ნიკოლაძეს რამდენჯერმე შეეხვდი მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. იმპერიალისტური ომის დროს ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი ქარიშხალივით იჭრებოდა რედაქციის ოთახში, რუკას მივარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა მღელვარე და შთაგონებულ საუბარს. ეტყობოდა, რომ ის შეჩვეული იყო მსოფლიოს მასშტაბით აზროვნებას. მაგრამ მისი პოლიტიკური პროგნოზი ყოველთვის უცდომელი არ იყო. ის შეცდა 1873 წელს, როცა პარიზში, ლუი ბლანთან საუბრის დროს, ხანმოკლე არსებობა უწინასწარმეტყველა ახლად დაარსებულ მესამე რესპუბლიკას. ის შეცდა 1918 წლის შემოდგომაზე, როცა ევროპიდან ახლად დაბრუნებულმა განაცხადა, შეუძლებელია გერმანიის დამარცხება მოკავშირეების მიერო. ორიოდე კვირის შემდეგ გერმანიამ იარაღი დაჰყარა.

ის არ იყო მჭერმეტყველი, მისი სტილი ნერვიულობის და აზრთა სიჭარბეს მოწმობდა. სტილის საკითხში ის მონტენს ეთანხმებოდა: ის უპირატესობას აძლევდა უბრალო, გაუშალაშინებელ ენას, ნოყიერსა და ცოცხალს, სხარტსა და შემჭიდროებულს, თავისუფალს ყოველივე პრანჭიაობისა და კეკლუცობისაგან. მას ჰქონდა მხატვრული ინტერესი და გემოვნება, ამას მოწმობს მისი კრიტიკული წერილები ქართულ და ევროპულ ლიტერატურაზე. ესთეტიკურ საკითხებში ის წინააღმდეგი იყო როგორც ტლანქი უტილიტარიზმისა, ისე ცხოვრებიდან გამოთიშული ხელოვნების იდეისა.

ახალგაზრდობაში ერთი მოთხრობაც კი დაეწერა („მელაღეშე"), რომელსაც შემდეგ თავისი ცხოვრების უბედურ შემთხვევად სთვლიდა. მას უყვარდა ქალები, და როგორც ეტყობა, ქალებსაც, თავიანთი მხრით, უყვარდათ ის. ერთ ადგილას ის სწერს, როცა სული შეშფოთებული მაქვს და ტვინი მეწვის, როცა ვერც შინ მომისვენია და ვერც გარეთ, დამაამებელ, ბედთან შემარიგებელ

გავლენას ახდენს ქალთან საუბარი, მისი სიცილის გაგონება ან თუნდ მასთან უსიტყვოდ ჯდომაო. მისი მოწინააღმდეგეები მას ფულის სიყვარულს აბრალებდნენ, და თვითონაც კერძო საუბარში რალაც ასტრონომიულ თანხას ასახელებდა, რომელიც თითქო მას დაეხარჯა თავის სიცოცხლეში. მაგრამ თუ ფულის შეძენა ეხერხებოდა, ხანდახან მისი დარდიმანდულად დახარჯვაც იცოდა. აკაკი წერეთელი და ზაქარია ჭიჭინაძე მოწმობენ, რომ ხშირად უანგაროდ დახმარება გაუწევია ხელმოკლე ქართული გაზეთების რედაქციებისა და მათი თანამშრომლობისთვის. როცა ბორიოზდინი სამასი ათასი მანეთის შოვნას დაჰპირდა გაზეთის დასაარსებლად, მან აღშფოთებით უარი სთქვა ამ წინადადებაზე, რადგან იცოდა, რა საეჭვო წრეებიდან მომდინარეობდა ის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თუმცა ხშირად სპარტანულ მორალს ქადაგებდა და იდეალად კასიოსავით გამხდარი და ჩაფიქრებული კაცი ელანდებოდა, თვითონ ყოველთვის არ იყო უებრო სპარტანელი.

1925 წლის ზამთარში „ქართული წიგნის“ გამგეობის კრებაზე შევხვდი. როცა სხდომის დასრულების შემდეგ ქუჩაში გამოვედით, შევჩივლე, ძალიან სუსხიანი ზამთარია მეთქი. მან მიპასუხა: 1859 წელს, როცა ქუთაისის გიმნაზიას ვათავებდი, ბევრად უფრო ცივი ზამთარი იდგა, მოწაფეები ფეხით გავდიოდით გაყინულ რიონზეო. მე უნებურად გაოცებით შევხედე ამ ადამიანს, რომელსაც საშუალო სასწავლებელი ბატონყმობის გადავარდნამდე გაეთავებინა, ახლა მხნედ მიაბიჯებდა რუსთველის პროსპექტზე და გამვლელ-გამომვლელი ახალგაზრდა ქალების შესახებ პიკანტურ შენიშვნებს აკეთებდა საჭმეში კარგად ჩახედული კაცის სახით. და გავიფიქრე, რომ ჩემს გვერდით იგივე ენერგიული და ტემპერამენტიანი ჭაბუკი იყო, რომელმაც ორმოცდათორმეტი წლის წინათ სთქვა, რომ უდიდესი სიამოვნება, რაიცა ღმერთს ცოდვილი მამაკაცისთვის ამ ქვეყნად გაუჩენია, მტრის ციხის აღება და კეკლუცი ქალის ტანზე შემორტყმული კორსეტის ზონრების ნელნელა შეხსნაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. იუდინი

ვ. ი. ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“-ს შესახებ[1]

რუსი მახისტები, იბრძოდნენ რა მარქსიზმის წინააღმდეგ მთლიანად. მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკიდან გადავიდნენ მარქსისტული საზოგადოებრივი თეორიის კრიტიკაზე.

ისტორიული მატერიალიზმი წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმის თანმიმდევრულ გამოყენებას ისტორიის მიმართ, საზოგადოების ცხოვრების მიმართ. მარქსმა ფილოსოფიური მატერიალიზმის მეთოდი გამოიყენა ისტორიის მიმართ, და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ისტორიული მეცნიერება ნამდვილი მეცნიერება. მარქსი საზოგადოებას მიუდგა როგორც ბუნებრივ ისტორიულ პროცესს და აღმოაჩინა მისი განვითარების კანონები. მეცნიერება საზოგადოების შესახებ საკუთარ და მტკიცე საფუძვლებზე დადგა. ბუნებასა და საზოგადოებას შორის არ არსებობს ის გაუვალი უფსკრული, რომლის აღმოჩენასაც ცდილობენ რიკერტის მაგვარი ნეოკანტიანელები. საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები ობიექტურია, ისევე როგორც ბუნების კანონები.

მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება არის მატერიალური სამყაროს განვითარების უმაღლესი ფორმა და მას, როგორც ასეთს, თავისი სპეციფიკური კანონები აქვს. ამიტომ მარქსიზმი, განიხილავს რა საზოგადოებას როგორც ობიექტურ რეალობას, ამასთან ერთად არ აიგივებს საზოგადოების კანონებს ბუნების კანონებთან, როგორც ამას შვრებიან ვულგარული მატერიალისტები.

ისტორიული მატერიალიზმი, — სწერდა ლენინი, — არის დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე. ამ საკითხის განსაკუთრებით მკაფიო ფორმულირებას იძლევა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“:

„თუ ბუნების მოვლენათა კავშირი და მათი ურთიერთი განპირობებულობა ბუნების განვითარების კანონზომიერებებს წარმოადგენენ, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კავშირი და ურთიერთი განპირობებულობა წარმოადგენენ აგრეთვე არა შემთხვევის საქმეს, არამედ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს.

მაშასადამე, საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოების ისტორია უკვე აღარ წარმოადგენს „შემთხვევითობათა“ გროვას, ვინაიდან საზოგადოების ისტორია ხდება საზოგადოების კანონზომიერ განვითარებად, ხოლო საზოგადოების ისტორიის შესწავლა იქცევა მეცნიერებად... თუ სამყარო შეცნობადია და ჩვენი ცოდნა ბუნების განვითარების კანონების შესახებ სარწმუნო ცოდნაა,

---

[1] იხ. „მნათობი“, № 4

რომელსაც ობიექტური ჭეშმარიტების მნიშვნელობა აქვს, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოების განვითარება — აგრეთვე შეცნობადია, ხოლო მეცნიერების მონაცემები საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ — სარწმუნო მონაცემებია, რომლებსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვთ.

მაშასადამე, მეცნიერება საზოგადოების ისტორიის შესახებ, მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მთელი სირთულისა, შეიძლება გახდეს ისეთსავე ზუსტ მეცნიერებად, როგორიც არის, ვთქვათ, ბიოლოგია, მეცნიერებად, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს საზოგადოების განვითარების კანონებით პრაქტიკული გამოყენებისათვის“ [1].

ასე სწყვეტს მარქსიზმ-ლენინიზმი ბუნების კანონებისა და საზოგადოების კანონების თანაფარდობის საკითხს.

ისტორიული მატერიალიზმი მოძღვრებაში საზოგადოებრივი კანონების განვითარების შესახებ იქიდან გამოდის, რომ ადამიანთა ცხოვრებას საფუძვლად უდევს მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესი. საწარმოო ძალები და საწარმოო ურთიერთობანი შეადგენენ წარმოების წესს. წარმოების წესი წარმოადგენს საზოგადოების მატერიალურ-ეკონომიურ ბაზისს. ამ მატერიალურ საფუძველზე იქმნება ყველა საზოგადოებრივი ზედნაშენი. ეკონომიური-მატერიალური ყოფიერება განსაზღვრავს ადამიანთა საზოგადოებრივ ცნობიერებასაც.

საზოგადოებრივი ყოფიერება პირველადია, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერება მეორადია და დამოკიდებულია მატერიალურ ყოფიერებაზე. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას, — გვასწავლის მარქსი. „როგორიცაა საზოგადოების ყოფიერება, როგორიცაა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, — ისეთივეა მისი იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებები, პოლიტიკური დაწესებულებები“ [2].

აღიარებს რა, რომ საზოგადოებრივი ზედნაშენები და საზოგადოებრივი ცნობიერება ნაწარმოებია და საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან დამოკიდებულია, მარქსიზმ-ლენინიზმი ამასთან ერთად სცნობს ზედნაშენების, იდეების უდიდეს ძალას, უდიდეს როლს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებაში. საზოგადოებრივი ცნობიერების უკუზემოქმედება ეკონომიურ ბაზისზე კონკრეტულ ისტორიულ პირობათა მიხედვით სხვადასხვანაირია. საზოგადოებაში წარმოშობილი მოწინავე იდეები წარმოადგენენ უდიდეს ძალას, რომელიც წინ სწევს მთელ საზოგადოებრივ განვითარებას, თუ ეს იდეები ფართო მასების ცნობიერებას ეუფლებიან.

ლენინს უდიდესი დამსახურება მიუძღვის მოწინავე ადამიანთა როლის შესახებ მოძღვრების დამუშავებაში. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ლენინიზმის ეს მოძღვრება შემდგომ არის განვითარებული, ჩვენი პარტიის მთელი ისტორიის გამოცდილების საფუძველზე, სოციალიზმის აშენების გამოც-

---

[1] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, ქართ. გამოც., გვ. 138.
[2] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, ქართ. გამოც., გვ. 139.

დილების საფუძველზე. მოწინავე იდეები რომ არ ყოფილიყო, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ისე შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის გამარჯვება.

ამრიგად, ისტორიული მატერიალიზმი უკუაგდებს ცალმხრივობას ვულგარული ეკონომიური მატერიალიზმისას, რომელიც ცდილობს დაამციროს საზოგადოებრივ მოწინავე შეხედულებათა დიადი მნიშვნელობა და მიაწეროს ცნობიერებას როლი პასიური ფაქტორისა, რომელიც მექანიკურად მისდევს ეკონომიურ განვითარებას. ისტორიული მატერიალიზმი უკუაგდებს იდეალისტების (ნაროდნიკების, ნეოკანტიანელების და სხვათა) ცალმხრივსა და სრულიად შემცდარ დებულებას, თითქოს მხოლოდ იდეები წარმოადგენდნენ ისტორიული განვითარების მამოძრავებელ ძალას.

ემპირიოკრიტიკოსები — ბოგდანოვი და სხვები — ცდილობდნენ შეეცვალათ ისტორიული მატერიალიზმის მწყობრი მოძღვრება სუბიექტური იდეალიზმით და გადაექციათ ისტორიული მატერიალიზმი სუბიექტიური ბურჟუაზიული სოციალიზმის ნაირსახეობად. თუ ემპირიოკრიტიკოსთა თვალსაზრისით ობიექტური სამყარო შეგრძნებათა კომპლექსია, თუ ობიექტური ჭეშმარიტება ცალკეული ინდივიდების განცდათა შეთანხმებაში მდგომარეობს, მაშინ საზოგადოების არავითარ ობიექტურ მატერიალურ ყოფიერებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ბოგდანოვი ასეც იქცევა. ის ოგივეობის ხაზს ავლებს საზოგადოებრივ ყოფიერებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებას შორის. ბოგდანოვისათვის საზოგადოებრივი ყოფიერება არ არსებობს და საზოგადოებრივი ცხოვრების კანონთა მთელი შინაარსი შეგრძნებებით განისაზღვრება. ეს მახისტური მიმართულების ოგივე სუბიექტური იდეალიზმია საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ.

ბოგდანოვი ისტორიული მატერიალიზმის მოსპობის მიზნით მზად არის მიიღოს რომელიც გნებავთ ბურჟუაზიული თეორია, ოღონდ კი ეს მარქსიზმი არ იყოს. ემპირიოკრიტიკოსები, მისდევენ რა ბურჟუაზიული სოციოლოგიის „მოდურ“ მიმართულებებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ გააპარონ უცხო შეხედულებანი მარქსიზმში. ისინი ხან მეცნიერების უკანასკნელ მიღწევად გამოაცხადებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ბიოლოგიზაციას, საზოგადოებრივ კანონებზე ორგანული სიცოცხლის კანონების გავრცელებას; ხან ჰქადაგებენ ენერგეტიკულ თეორიას, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი ცხოვრება განიხილება როგორც მექანიკური აგრეგატი, ენერგიას რომ იძენს და ხარჯავს.

ლენინ უფრო გვიან ბოგდანოვი თავის წიგნში „საყოველთაო ორგანიზაციული მეცნიერება“ („ტექტოლოგია“) ცდილობდა თანმიმდევრულად გამოეყენებინა კონტისა და სპენსერის პოზიტივიზმი და ამ საფუძველზე „განვითარებინა“ ეგრეთწოდებული წონასწორობის თეორია.

„მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ VI თავი მიძღვნილია მახისტური იდეებიის კრიტიკისადმი, რომლებსაც ემპირიოკრიტიკოსები აპარებდნენ ისტორიულ მატერიალიზმში. ისევე, როგორც ზოგად ფილოსოფიურ საკითხებში, ბოგდანოვი, ბაზაროვი, სუვოროვი და სხვები საზოგადოებრივ შეხედულებათა განხილვაშიც ცდილობენ გაასაღონ სუბიექტური იდეალიზმი მეცნიერე-

ბის უახლეს მიღწევებად, მარქსიზმის შემდგომ „განვითარებად" და „დაზუსტებად".

„ისტორიული მონიზმის ძველი ფორმულირება, — სწერს ბოგდანოვი, — კვლავ რჩება რა სწორად თავის საფუძველში, უკვე მთლად ვერ გვაკმაყოფილებს". „აზუსტებს" რა ისტორიულ მატერიალიზმს, ბოგდანოვი „საბოლოოდ" სწყვეტს კავშირს მატერიალიზმთანაც და ისტორიასთანაც:

„... თავიანთ ბრძოლაში ადამიანებს არ შეუძლიათ სხვანაირად შეკავშირდნენ, თუ არ შ ე გ ნ ე ბ ი ს შემწეობით; შეგნების გარეშე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ არსებობს. ამიტომ ს ო ც ი ა ლ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ვ ი ს გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ე ბ ა ში შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ-ფ ს ი ქ ი უ რ ი ა... სოციალურობა გამოუთიშავია შეგნებისაგან. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ყ ო ფ ა დ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შ ე გ ნ ე ბ ა, ა მ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ს წ ო რ ი გ ა გ ე ბ ი თ, ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ა" (ქართ. გამოც., გვ. 328—329).

ემპირიოკრიტიკოსები, თანმიმდევრულად ატარებდნენ რა სუბიექტურ იდეალიზმს საზოგადოებრივ შეხედულებებში, ცდილობდნენ შემოეპარებინათ მარქსიზმისათვის „ძალთა ეკონომიის" იდეალისტური თეორია. თანახმად ამ თეორიისა, რომელიც ჯერ კიდევ ავენარიუსმა განავითარა, მთელი განვითარება ბუნებასა და საზოგადოებაში ენერგიის უმცირესი ხარჯვის პრინციპის მიხედვით ხდება.

მახისტი სუვოროვი ასე გადმოგვცემს ამ თეორიას, რომელმაც, მისი აზრით, უნდა „შეასწოროს" ისტორიული მატერიალიზმი:

„იმ კანონების გრადაციაში, რომელნიც სამყაროს პროცესს აწესრიგებენ, კერძონი და რთულნი ზოგადს და მარტივს ექვემდებარებიან, ხოლო ყველანი განვითარების უნივერსალურ კანონს ემორჩილებიან, — ძ ა ლ თ ა ე კ ო ნ ო მ ი ი ს კ ა ნ ო ნ ს. ამ კანონის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ყ ო ვ ე ლ ძ ა ლ თ ა ს ი ს ტ ე მ ა ს მ ი თ მ ე ტ ი უ ნ ა რ ი შ ე ს წ ე ვ ს თ ა ვ ი ს თ ა ვ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ი ს ა დ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რ ა მ დ ე ნ ა დ ნ ა კ ლ ე ბ ი ა მ ა ს ში დ ა ხ ა რ ჯ ვ ა, რ ა მ დ ე ნ ა დ მ ე ტ ი ა დ ა გ რ ო ვ ე ბ ა დ ა რ ა მ დ ე ნ ა დ უ კ ე თ ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ა დ ა ხ ა რ ჯ ვ ა დ ა გ რ ო ვ ე ბ ა ს... ძალთა ეკონომიის კანონი წარმოადგენს ყოველი განვითარების, არაორგანიულის, ბიოლოგიურის და სოციალურის გამაერთიანებელ და მომწესრიგებელ საწყისს" (ქართ. გამოც., გვ. 338).

ბოგდანოვი თავის „ემპირიოკრიტიციზმში" ამავე „კანონს" შემდეგნაირად აყალიბებს:

„ყოველი აქტი საზოგადოებრივი შერჩევისა წარმოადგენს იმ საზოგადოებრივი კომპლექსის ენერგიის ზრდას ან შემცირებას, რომელსაც იგი ეკუთვნის. პირველ შემთხვევაში ჩვენს წინაშე არის „პოზიტიური შერჩევა", მეორეში — „უარყოფითი" (ქართ. გამოც., გვ. 333).

ემპირიოკრიტიკოსებმა თვითონ წამოაყრანტალეს, თუ როგორია მთელი მათი „რეალურ-მონისტური ფილოსოფიის" პოლიტიკური აზრი. მახისტმა სუვოროვმა გააამჟღავნა თავის შეხედულებათა მენშევიკურ-ბურჟუაზიული დედაარსი, როცა პირდაპირ განაცხადა: „კლასობრივი ბრძოლა იქითაა მიმართული,

რომ წინასწორობის ფორმები დამყარდეს სოციალურ ძალებს შორის. სოციალური შუღლი, მტრობა და ბრძოლა არსებითად უარყოფითი, ანტისაზოგადოებრივი ძალებია" (ქართ. გამოც., გვ. 341).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი მთელი ამ მახისტური აბრუნდის გამო სწერდა: „იმანენტებიც, ემპირიოკრიტიკოსებიც და ემპირიომონისტებიც კამათობენ კერძო კითხვებზე. წვრილმანზე, ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს ფორმულაზე, ჩვენ კი ი მ თ ა ვ ი თ ვ ე უარვყოფთ მათი ფილოსოფიის საფუძველს, რომელიც საერთოა ამ სამეულისათვის" (ქართ. გამოც., გვ. 330).

ეს მოკლე მიმოხილვაც კი ემპირიოკრიტიკოსთა საზოგადოებრივი თეორიებისა, რომლებითაც მათ სურდათ შეეცვალათ ისტორიული მატერიალიზმი, გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი სამსახური გაუწია მუშათა კლასსა და მის პარტიას ლენინის წიგნმა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".

რა შედეგები მოსდევდა მახისტურ შეხედულებებს პოლიტიკურ ცხოვრებაში? ამაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ თითქმის ყველა ემპირიოკრიტიკოსი, რომელნიც თავის თავს ოდესღაც ბოლშევიკებს უწოდებდნენ, შემდგომ მენშევიკთა ბანაკში გადაბარგდნენ და პროლეტარული რევოლუციის წლებში ბარიკადების მეორე, პროლეტარიატისადმი მტრულ მხარეზე აღმოჩნდნენ.

მარქსიზმისაგან თავიანთ ჩამოშორებას ემპირიოკრიტიკოსები იმით ამართლებდნენ, რომ ჩვენ „მაძიებელნი" ვართ ფილოსოფიაშიო. ამგვარ „ფილოსოფოსებზე" სალტიკოვ-შჩედრინი ამბობდა: „... ესენი არიან ამა საუკუნის ჭეშმარიტი შემქმნელნი, რომელნიც ყოველთვის იწყებენ მაძიებლობით და თ ი თ ქ მ ი ს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ამთავრებენ გამცემლობით". მათ თავიანთი სინიდისი სულ მთლად გასცვითეს და საშინლად ცრუობენ; ისინი ყველაფერი იყვნენ: ლიბერალებიც, დასავლეთელებიც, სოციალისტებიც, მათი ყოველი ნაბიჯი ვერაგობაა ან ღალატი.

ბაზაროვი, რომელიც 1905 წელს ბოლშევიკებს მიეკედლა, რეაქციის წლებში მენშევიკი გახდა, ხოლო 1931 წელს მსჯავრდადებულ იქნა მენშევიკთა კონტრრევოლუციური ბიუროს პროცესზე, როგორც მავნებელი. ბოგდანოვი და ლუნაჩარსკი 1907 წელს გამოვიდნენ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ანტილენინური ტაქტიკით, ხოლო 1908 წელს სათავეში ჩაუდგნენ ოტზოვიზმს. 1909 წელს მათ შეჰქმნეს ლენინიზმისადმი მტრული მახისტური ჯგუფი „ვპერიოდი", რომელიც მაშინვე გარიცხულ იქნა პარტიიდან. ამ ჯგუფის ნაშთები 1917 წელს შეუერთდნენ ტროცკიზმს. მახისტი ბუხარინი და მასთან ერთად მახიზმისადმი შემარიგებელნი რიკოვი, კამენევი, ტომსკი გახდნენ საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრები და გამცემლები, ფაშისტთა ჯაშუშები და დივერსანტები. ესერთა ლიდერი, მახისტი ჩერნოვი, საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი მთავარი მტერი და ინტერვენციის ორგანიზატორი იყო.

პარტიას რომ ეს შეხედულებანი არ გაეცამტვერებინა, ამგვარი ბურჟუაზიული ნაგავისაგან მუშათა კლასის მოწინავე ფენების ცნობიერება რომ არ გაეწმინდა, ისე იგი წინსვლას ვერ შესძლებდა. ლენინმა პარტია საზოგადოებრივი განვითარების ყველაზე მოწინავე რევოლუციური თეორიით შეაიარაღა.

ანვითარებდა რა მარქსიზმს, ის მთელი სიმედგრით იბრძოდა რევოლუციური თეორიის პარტიულობისათვის, ფილოსოფიის პარტიულობისათვის.

მტრები და გადაგვარებულნი ჰფარავდნენ მარქსიზმის წინააღმდეგ თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობის კვალს, თეორიულად ასაბუთებდნენ რენეგატობას და ცდილობდნენ გამოენახათ სანაქებო საშუალო ხაზი მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. ისინი ცდილობდნენ შეეთავსებინათ მატერიალიზმი კანტიანობასა და მახიზმთან, ამასთან თავს იმართლებდნენ და ინიღბებოდნენ ფილოსოფიის ვითომდა უპარტიულობით. ერთი საქმეა პოლიტიკა, სხვა საქმეა ფილოსოფიაო.

ლენინი მისთვის ჩვეული შეურიგებლობითა და სიძულვილით მტრებისადმი საშუალებას არ აძლევს მათ გაეხვიონ ფილოსოფიის „უპარტიულობის“, ნეიტრალობის სამოსელში. ის თანმიმდევრულად ატარებს ფილოსოფიის პარტიულობის პრინციპს, ამტკიცებს, რომ მარქსიზმის ფილოსოფია პარტიისა და პროლეტარიატის სასიცოცხლო საქმეა. „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ფილოსოფიის პარტიულობის საკითხისადმი მიძღვნილია სპეციალური კარი სათაურით „პ ა რ ტ ი ე ბ ი. ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ში და ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი უ თ ა უ რ ე ბ ი“.

ლენინი ამათრახებს, აცამტვერებს გაორებულობას, უსახურობას, ეკლექტიზმს, სანაქებო საშუალო ხაზის, ნეიტრალობის თვალსაზრისს თეორიულ საკითხებში, სამარცხვინო ბოძზე აკრავს მერყევ ელემენტებს, რომელნიც მარქსიზმისაგან გადახვევას უშვებენ.

„ან ბოლომდე თანმიმდევარი მატერიალიზმი, ან ფილოსოფიური იდეალიზმის სიცრუე და არევ-დარევა...“ (ქართ. გამოც., გვ. 344). სხვა გზა არ არსებობს, არ არსებობს საშუალო ხაზი პოლიტიკაში, არ არსებობს საშუალო ხაზი ფილოსოფიაშიც. ან მატერიალიზმთან, ან იდეალიზმთან, ან პროლეტარიატთან, ან ბურჟუაზიასთან.

„მარქსი და ენგელსი, — სწერს ლენინი, — თავიდან ბოლომდე პარტიულები იყვნენ ფილოსოფიაში, ისინი ადვილად ამჩნევდნენ ყოველივე გადახრას მატერიალიზმისაგან, ყოველივე დათმობას იდეალიზმისა და ფიდეიზმისადმი, რომელიც ამა თუ იმ „უახლეს“ მიმართულებაში ხდებოდა“ (ქართ. გამოც., გვ. 345).

ლენინი აღშფოთებით სამარცხვინო ბოძზე აკრავს ემპირიოკრიტიკოსებს — ბოგდანოვსა და სხვებს, — რომელნიც ცდილობდნენ შეეერთებინათ მარქსიზმი მახიზმთან, — როგორც ფილოსოფიაში საშუალო ხაზის საზიზღარ პარტიას. „უპარტიობა ფილოსოფიაში მხოლოდ საზიზღარი ფარული ლაქიობაა იდეალიზმისა და ფიდეიზმის წინაშე“ (ქართ. გამოც., გვ. 361).

ეს სიტყვები შეიცავენ ლენინის უდიდეს პრინციპულობას. ამ პრინციპულობას ჩვენი პარტია მტკიცედ ატარებს მთელ თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში და მტრებთან ბრძოლაში.

ამხანაგი სტალინი მუდამ უნერგავს პარტიას ამ სულისკვეთებას. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი მტრებისადმი პრინციპულმა შეურიგებლობამ თეორიაში, პოლიტიკაში, პრაქტიკულ მოღვაწეობაში პარტიას შესაძლებლობა მისცა სასტიკად გაენადგურებინა ტროცკისტი, ზინოვიეველი, ბუხარინელი,

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი და სხვა რენეგატები, ადამიანები, რომელნიც ცდილობდნენ აეფეთქებინათ ლენინიზმი და გადაეცდინათ პარტია სწორი გზიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი გვასწავლის: „ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორიც იყო ფილოსოფია ორი ათასი წლის წინათ. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია, მხოლოდ ეს ნათლად არ სჩანს გელერტულ-შარლატანურ სახელწოდებებსა და გონება-ჩლუნგი უპარტიობის სამოსელში. იდეალიზმი მხოლოდ ფიდეიზმის გაფაქიზებული, გასათუთებული ფორმაა, იგი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულია, უამრავ ორგანიზაციას ჰფლობს, ზეგავლენას ახდენს მასებზე და თავის სასარგებლოდ იყენებს ფილოსოფიური აზრის მცირეოდენ მერყეობას. ემპირიოკრიტიციზმის ობიექტური, კლასობრივი როლი სავსებით იმაში გამოიხატება, რომ იგი ფიდეისტებს დამჭაშობას უწევს მათ ბრძოლაში მატერიალიზმის წინააღმდეგ საზოგადოდ და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ კერძოდ“ (ქართ. გამოც., გვ. 364).

მახიზმის რეაქციული, ანტიმარქსისტული გავლენა შემდგომაც იჩენდა თავს. ბოგდანოვი 1918 — 1921 წლებში მეთაურობდა ეგრეთწოდებულ „პროლეტკულტს“. ამ დაწესებულებას ნამდვილად საერთო არაფერი ჰქონდა ჭეშმარიტს პროლეტარულ კულტურასთან. პროლეტარული კულტურა, ბოგდანოვის აზრით, უნდა იქმნებოდეს მთელი წინანდელი კულტურისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ცალიერ ადგილზე, იმ უმდიდრესი მემკვიდრეობის დამოუკიდებლად, რომელიც კაცობრიობას ათასეული წლების განმავლობაში დაუგროვებია. ბოგდანოვი პროლეტარული კულტურის შექმნაზე ფაქტიურად უარისთქმას ჰფარავდა მომემარცხენო ფრაზით — პროლეტარიატს არაფერი აქვს ასაღები მისთვის კლასობრივად უცხო ბურჟუაზიული, ინდივიდუალისტური კულტურისაგანო. ბოგდანოვი გვთავაზობდა, რომ პროლეტარული კულტურა შექმნილი ყოფილიყო იმ კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკისა და სოციალიზმის მშენებლობისაგან სრული მოწყვეტით, რასაც ადგილი ჰქონდა სსრ კავშირში, რომ იგი შექმნილი ყოფილიყო კაბინეტური გზით „პროლეტკულტის“ კარჩაკეტილ ორგანიზაციებში.

რასაკვირველია, დაიწყო რა ბურჟუაზიული კულტურის უარყოფით, ბოგდანოვი ბოლოსდაბოლოს მიდის მის წინაშე კაპიტულაციამდე. ლენინსა და სტალინს რომ არ დაემსხვრიათ პროლეტკულტური უბადრუკი „თეორიები“ ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის უარყოფის შესახებ, ამ „თეორიებს“ შეეძლოთ ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ პროლეტარული კულტურა ბურჟუაზიულზე უფრო ღარიბი და, მაშასადამე, მის წინაშე უძლური აღმოჩნდებოდა. თავის სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა: „თუ ნათლად არ შევიგნეთ ის, რომ პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით, — თუ ეს არ შევიგნეთ, ისე ჩვენ ამ ამოცანას ვერ გადავწყვეტთ“.[1]

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXV, გვ. 387.

პროლეტკულტობის რეციდივებმა თავი იჩინეს ყოფილი „რაპპის“ ტროცკისტულ-ბუხარინული ხელმძღვანელობის (ლ. ავერბახი და სხვები) ხანაში. — „რაპპისა“, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1932 წელს. რაპპელებიც აცხადებდნენ [illegible] [illegible] [illegible]

ენგელსის, ლენინის დიად ტრადიციებს. ამ ნაწარმოებში კომუნიზმის თეორიული საფუძვლები გამდიდრებულია იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციის ეპოქაში მუშათა კლასის ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილებით, სსრ კავშირში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიადი გამოცდილებით. კლასიკურმა მარქსიზმმა თავისი დიადი იდეებით, თავისი შეურიგებლობით ყოველივე დამპალისადმი, ორპირულობისადმი, თავისი სიძულვილით სულიერი ბნელეთისმოციქულობისადმი, თავისი თანმიმდევრული მეცნიერული მსოფლმხედველობით ერთხელ კიდევ მოიპოვა გამარჯვება.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" არის მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელობისა და ძლიერების ისტორიული დამამტკიცებელი საბუთი, იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ქვეყნად არსებობს მხოლოდ ერთადერთი მეცნიერული ფილოსოფია, ერთადერთი მეცნიერული მეთოდი — დიალექტიკური მატერიალიზმი, რომ ქვეყნად არსებობს ერთი და ერთადერთი პარტია, რომელიც იცავს ნამდვილი და მოწინავე მეცნიერების ინტერესებს, — კომუნისტური პარტია, რომელსაც მეთაურობს სტალინი.

ბოლშევიკებმა, მარქსიზმის მოწინავე თეორიით შეიარაღებულებმა, რეაქციის წლებში გაანადგურეს მუშათა კლასის ყველა მტერი. მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის დიადმა თეორიულმა პრინციპებმა გაუძლეს შეუპოვარ ბრძოლას ყველა მტრებისა და გამაუქმებელთა წინააღმდეგ. თავისი წარმოშობის დროიდან ჩვენმა პარტიამ უდიდესი ისტორიული მუშაობა შეასრულა: იგი რევოლუციური ბრძოლის პროცესში ანვითარებდა მარქსისტულ თეორიას.

პარტიამ ლენინისა და სტალინის მეთაურობით 1912 წლისთვის შეიმუშავა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის იდეოლოგური, ორგანიზაციული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლები.

„დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არცერთი პოლიტიკური ჯგუფი არ ყოფილა ისე საფუძვლიანად მომზადებული იმისათვის, რომ გაფორმებულიყო პარტიად, როგორც ბოლშევიკური ჯგუფი".[1]

მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთის სოციალ-დემოკრატიამ იწყო გადაშენება სოციალური რევოლუციის პარტიიდან სოციალური რეფორმების პარტიად, ხოლო ცალკეული სოციალ-დემოკრატიული პარტიები სხვადასხვა ქვეყანაში სულ უფროდაუფრო იქცეოდნენ თავიანთი საპარლამენტო ჯგუფების დანართად. დასავლების სოციალ-დემოკრატია მთლიანად იქცეოდა ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთად. ცხადია, რომ ასეთ პარტიებს არ შეეძლოთ და არ შეუძლიათ სათავეში ჩასდგომოდნენ და ჩაუდგნენ მუშათა კლასის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

იმპერიალისტური ომის პირველი ჭექა-ქუხილისთანავე ამ პარტიებმა საბოლოოდ აიღეს ხელი მარქსიზმის პრინციპებზე, გადავიდნენ იმპერიალისტურ მთავრობათა მხარეზე და გუნდრუკს უკმევდნენ მათ მიერ დაწყებულ ყაჩაღურ ომს.

მუშათა კლასს სჭირდებოდა ისეთი პარტია, რომელიც შეურიგებელი იქნებოდა ბურჟუაზიისადმი, შეურიგებელი იქნებოდა ყველა სახის ოპორტუნიზ-

[1] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", ქართ. გამოც., გვ. 172.

მისა და გამცემლობისადმი, ერთიანი და მონოლიტური პარტია, რომელსაც შეეძლებოდა სათავეში ჩასდგომოდა მუშათა კლასს სოციალისტურ რევოლუციაში, გამხდარიყო პროლეტარული დიქტატურის პარტია.

„ბოლშევიკებს უნდოდათ ჰყოლოდათ სწორედ ასეთი, ახალი პარტია, და ბოლშევიკებიც აშენებდნენ, ამზადებდნენ ასეთ პარტიას. მთელი ისტორია ბრძოლისა „ეკონომისტებთან“, მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, ოტზოვისტებთან, ყველა ჯურის იდეალისტებთან, თვით ემპირიოკრიტიკოსებამდე, — იყო სწორედ ასეთი პარტიის მომზადების ისტორია. ბოლშევიკებს უნდოდათ შეექმნათ ახალი, ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი პარტია, რომელსაც შეეძლებოდა ყოფილიყო ნიმუში ყველასათვის, ვისაც უნდოდა ჰყოლოდა ნამდვილი რევოლუციური მარქსისტული პარტია. ბოლშევიკები ასეთ პარტიას ამზადებდნენ უკვე ძველი „ისკრის“ დროიდან. ისინი მას ამზადებდნენ შეუპოვრად, დაჟინებით, ყველაფრის მიუხედავად. ამ მოსამზადებელ მუშაობაში ძირითადი და გადამწყვეტი როლი ითამაშეს ლენინის ისეთმა შრომებმა, როგორიცაა „რა ვაკეთოთ“?, „ორი ტაქტიკა“ და ა. შ. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“ იყო ასეთი პარტიის ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი მომზადება. ლენინის წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ იყო ასეთი პარტიის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი მომზადება. ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ იყო ასეთი პარტიის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მომზადება. ბოლოს, ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იყო ასეთი პარტიის თ ე ო რ ი უ ლ ი მომზადება“.[1]

1912 წლის იანვარში პრაღის პარტიულ კონფერენციაზე გაფორმებულ იქნა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობა.

ამის გამო ლენინი გორკისადმი მიმართულ წერილში სწერდა: „როგორც იქნა, მოხერხდა, წინააღმდეგ არამზადა ლიკვიდატორებისა, პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის აღდგენა. იმედი მაქვს, რომ თქვენ ეს გარემოება ჩვენთან ერთად გაგახარებთ“.[2]

ამხანაგი სტალინი პარტიის XV ყრილობაზე 1927 წელს პრაღის კონფერენციის შესახებ ამბობდა: „... ამ კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ისტორიაში, ვინაიდან მან ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მიჯნა გაავლო და ბოლშევიკური ორგანიზაციები მთელს ქვეყანაში ერთიან ბოლშევიკურ პარტიად გააერთიანა“.

იმპერიალისტური ომის წლებში ბოლშევიკების პარტია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ყველა პარტიიდან ერთადერთი პარტია იყო, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული დარჩა. ბოლშევიკები გაუძღვენ რუსეთის მუშათა კლასსა და გლეხობას ბატონყმურ-ბურჟუაზიული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იერიშის მისატანად. რუსი მემამულეები და კაპიტალისტები განდევნილ იქნენ, მათი არმიები და უცხოელ ინტერვენტთა ურდოები განადგურებულ იქნენ. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მიაღწია სოციალიზმის გამარჯვებას. ეს მსოფლ-ისტორიული გამარჯვება მარქსისტულ-ლენინური თეორიის ზეიმია.

---

[1] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, ქართ. გამოც., გვ. 172.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. XXIX, გვ. 19.

მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩვენი პარტია შეიარაღებულია მოწინავე თეორიით, ხელმძღვანელობს ამ თეორიით მთელ თავის მოღვაწეობაში ყოველ ისტორიულ ეტაპზე, მხოლოდ ამის წყალობით იგი მუდამ ირჩევს ბრძოლის სწორ გზას, იძლევა ისტორიული ამოცანების სწორ გადაწყვეტას.

ამხანაგ სტალინის შრომებში მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ თავისი შემდგომი ბრწყინვალე განვითარება მიიღო. მარქს-ლენინის დიალექტიკა გამდიდრებულია სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისა და აშენებისათვის წარმოებული ბრძოლის გამოცდილებით, დამუშავებულია ამხანაგ სტალინის მიერ. მარქს-ლენინის დიალექტიკის ცხოველმყოფელმა სიმართლემ თავისი ბრწყინვალე გამოყენება ჰპოვა ამხანაგ სტალინის შრომებში, ჩვენი პარტიის მთელს მოღვაწეობაში. ჩვენი პარტიის ძალა უძლეველია, ვინაიდან იგი უტყუარია. პარტიას ჯერ კიდევ უდიდესი სამუშაო აქვს შესასრულებელი კომუნისტური წყობილების შესაქმნელად. ჩვენ პარტიას ჯერ კიდევ მოელის იმ ბრძოლების ავანგარდში ყოფნა, რომლებიც გაიშლება კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე. ამხანაგ სტალინის გენიის მეოხებით ჩვენი თეორიული იარაღი ახლა იმდენად გამახვილებულია, ჩვენი თეორია იმდენად სრულყოფილი შეიქნა, რომ მის ძალას მთელს მსოფლიოში აღიარებენ. კომუნისტური მოძღვრება დღითი-დღე ხდება მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის სულ უფროდაუფრო შეცნობილ მსოფლმხედველობად, სულ უფროდაუფრო ხდება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ფართო წრეების შეცნობილ მსოფლმხედველობად. ხოლო როდესაც თეორია ეუფლება მასებს, იგი უდიდეს მატერიალურ ძალად იქცევა. იმ მასებს, რომლებიც შეიარაღებული არიან კომუნიზმის იდეებით და რომლებსაც ბოლშევიკური პარტია მეთაურობს, ვერავითარი მტრები ვერ გაუძლებენ.

მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების გზაზე მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ჯერ კიდევ მრავალი ბრძოლის გადატანა მოუხდება მუშათა კლასის იდეური მტრების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ მოგველის არამცირედი ბრძოლა ყოველი სახის იდეალიზმის, ხუცობის, ფიდეიზმის და ბურჟუაზიული ბნელეთისმოციქულობის სხვა ნაირსახეობათა წინააღმდეგ.

ანტიმეცნიერული, იდეალისტური, ფიდეისტური თეორიები, რომლებსაც ლენინი ებრძოდა, კვლავ და კვლავ ცოცხლდებიან. კაპიტალიზმის ქვეყნებში ეს თეორიები ხუცობისა და ბნელეთისმოციქულობის ბინძური სოროებიდან ისევ ამოაქვთ „მზის სინათლეზე“ და საღდება „ახალ“ რამედ მეცნიერებაში. განსაკუთრებით ნოყიერია ნიადაგი იდეალიზმისა და უაღრესად თავაშვებული ხუცობისათვის, მისი სიძულვილით ყოველივე მოწინავისა და მეცნიერებისადმი, ფაშიზმის ქვეყნებში. ჰიტლერულ გერმანიაში გაბატონებული მსოფლმხედველობის პრინციპი გახდა სიძულვილი მეცნიერებისადმი, მეცნიერების განდევნა და კაცთმოძულეობის, შოვინიზმისა და კანიბალიზმის გამოცხადება სახელმწიფო იდეოლოგიის საფუძვლად. კვლავ ცოცხლდება საზოგადოებრივი ცხოვრების ბიოლოგიზაციის თეორია, ისტორიული კანონების ფსიქოლოგიზაციის თეორია, რასული თეორიები, რომლებიც სრულიად უარყოფენ ობიექტური ისტორიული რეალობის ყოველგვარ ნასახს. მთელ ამ ბოდვას ფაშისტი იდეოლოგები მეცნიერებად ასაღებენ.

რამდენიც არ უნდა იმხეცონ კალმის ფაშისტმა ყაჩაღებმა და მეცნიერების ჩამხშობლებმა, რა რიგ არ უნდა სცადონ მათ მეცნიერების „დახურვა“, — ისტორიას, მის კანონებს, მარქსიზმის მიერ ახსნილთ, განუხრელად მივყევართ იქითკენ, რომ მთელი ეს ისტორიული ნაგავი ფერფლად იქცევა და გაიფანტება მუშათა კლასის დიად მომავალ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის ბატონობას და მეცნიერებისა და ადამიანის წინააღმდეგ მისი მხეცობის ყველა სახეს ბოლო მოეღება.

თავისი გამოსვლის დროიდან ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“ ბოლშევიკებისათვის მუდამ წარმოადგენდა დიადი სიბრძნის წყაროს, იგი აიარაღებდა მუშათა კლასის მოწინავე ადამიანთა გონებას ყველა სახის ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს წიგნი შემდეგშიც მძლავრი იარაღი იქნება კაცობრიობის ყველა მოწინავე ადამიანთა ხელში.

ეს წიგნი ყოველთვის იქნება დაუშრეტელი წყარო მეცნიერებისა და მშრომელი კაცობრიობის იდეური შეიარაღებისა. იგი, ვით გაუქრობელი ჩირაღდანი, მუდამ გაგვინათებს გზას წინ, სულ უფროდაუფრო დიადი მეცნიერული აღმოჩენებისა და მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲝᲜᲐ ᲛᲔᲣᲜᲐᲠᲒᲘᲐ,—„ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ“. ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ **Ს. ᲪᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ. 1939.** ᲗᲑ.

ᲡᲐᲥ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ. ᲤᲐᲡᲘ 10 ᲛᲐᲜ.

ი. მეუნარგიას მიერ დაწერილი ბიოგრაფიები როდი წარმოადგენენ მხოლოდ პიროვნებათა ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერას; ჩვენი ცნობილი ბიოგრაფი ყოველთვის გულმოდგინეთ ხატავდა ხოლმე მთელ ეპოქასაც, რომელშიაც ცხოვრობდა ესა თუ ის ქართველი მწერალი (მაგ.: ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და სხვ.) და ი. მეუნარგიას წინამდებარე წიგნში სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი, სახელდობრ, ეპოქის ზოგადი აღწერაა განსაკუთრებით საინტერესო, თუმცა, ცხადია, არც დავ. დადიანის ბიოგრაფიაა სათანადო ღირებულებას მოკლებული.

თვით ავტორი შემდეგ სიტყვებში გვაუწყებს თავისი შრომის მიზანდასახულებას: „ამ წიგნის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთაგან განაგონი ცნობები დავით დადიანის მთავრობის შესახებ ერთად მოაქუჩავოს და რამდენადაც შეიძლება ეს ცნობები სისტემაში მოიყვანოს“. (გვ. 37), მაგრამ სინამდვილეში ავტორი „აქუჩავებს“ არა მხოლოდ ზეპირგადმოცემათ, არამედ, და საკმაო რაოდენობითაც, იყენებს საარქივო წყაროებს და გამოქვეყნებულ მასალებსაც.

თუ რამდენად სცილდება ეს წიგნი უბრალო ბიოგრაფიულ თხზულებას და წარმოადგენს იმდროინდელ (კერძოდ მე-19 საუკუნის მეორე მეოთხედის) სამეგრელოს სოციალ-ეკონომიურ მიმოხილვას, საკმარისია დავასახელოთ წიგნის ზოგიერთი თავები: სატახტო ქალაქი და სასახლეები. ზუგდიდის პარკი, ვლაქერნის ხატი...

მთავრის შემოსავალ-გასავალი. გადასახადები. სამთავრო ფინანსები; მიწის მეურნეობა: სიმინდი, პურის ჯიშები, მეაბრეშუმეობა. გზები და არხები. ადმინისტრაცია... სასამართლო. ძველი და ახალი კანონები... სახალხო განათლება. თავად-აზნაურები. ვაჭრობა... მრეწველობა და სხვ. თუმცა ყოველი ეს მოვლენა მოთხრობილ-განხილულია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის პირადი მოღვაწეობის **ასპექტში.**

როგორც რედაქტორის წინასიტყვაობიდან სჩანს, ი. მეუნარგიას ამ წიგნისათვის მუშაობა დაუწყია 90-იან წლებში გასული საუკუნისა, ე. ი. იმ დროს, როდესაც კიდევ უხვად შეიძლებოდა თავისმოყრა ცოცხალი მოწმეების ჩვენებისათვის, — რითაც უხვად სარგებლობს ჩვენი ავტორი და კიდევაც ფრიად საინტერესო მასალებს იძლევა ეპოქის ყოფა-ცხოვრებითი მომენტების დასახასიათებლად.

მართალია, ავტორს ამ წიგნის გამოცემისათვის ზრუნვა ჯერ კიდევ 1913 წელს დაუწყია (ზოგიერთი კლიშეებიც დაუმზადებია!), მაგრამ გამოსაქვეყნებლად წიგნის ყოველმხრივი მომზადება მას თავის სიცოცხლეში მაინც ვერ მოუსწრია... ასეთ პირობებში, გასაგებია, თუ რაოდენ საფრთხილო მუშაობა აწვება რედაქტორს, რომელიც პასუხისმგებელია წიგნის ჯეროვანი სიზუსტით და სისრულით გამოცემისათვის.

ი. მეუნარგიას წინამდებარე წიგნის ჯეროვანად გამოცემისათვის რედაქტორს, სოლ. ᲪᲐᲘᲨᲕᲘᲚᲡ, მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაუტარებია; მას, გარდა რიგი შენიშვნებისა, წიგნისათვის დაურთავს ავტორისავე არქივიდან ორი მასალა: 1. სამეგრელოს მთავართა გენეალოგია, 2. „დადიანის შემდეგ სამეგრელოში პირველ კაცად“ აღიარებული როსტომ ჩიქოვანის (როსტო-ქულას) მოკლე ბიოგრაფია.

იონა მეუნარგიას წიგნი, თავისთავად ცხადია, საბჭოთა მკითხველისაგან კრიტიკულ მოპყრობას მოითხოვს. ავტორი ყველგან ცდილობს იყოს ობიექტური, მეუკერძოებული ისტორიკოსი. მაგრამ ეს „ობიექტიზმი“ მას, ცხადია, ხელს არ უშლის ქება-დიდება შეასხას „ფრიად განათლებულ მთავარს“, რომელმაც „იმთავითვე ქვეყნის დიდი სიყვარული გამოიჩინა“ და „სამეგრელოს საქმეების გაუმჯობესების და რეფორმების გზას დაადგა“. ი. მეუნარგიას დიდის მოწიწებით მოყავს დავ. დადიანის დასახასიათებლად აკადემიკოს მ ა რ ი ბ რ ო ს ე ს სიტყვები, რომ „ეს თავადი შესანიშნავია თავისი ჭკუით, შესანიშნავია თავისი აღზრდით, რომელიც მან პეტერბურგში მიიღო; უცხოვრია ევროპაში და იქ ცხოვრების დროს გაეცნო ახალ აზრებს და იცის რა აკლია მის ხალხს, მის ქვეყანას. და ყოველ ღონესა ხმარობს გაუმჯობესოს მდგომარეობა როგორც ერთისა, ისე მეორისა“ (გვ. 30).

სინამდვილეში ის „გაუმჯობესებანი“ და რეფორმები, რასაც დავ. დადიანი თავის სამთავროში ატარებდა, მიზნად ისახავდა არა მოსახლეობის ძირითადი მასების გლეხების — მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ იმას, რათა ფეოდალური სამთავრო უმტკივნეულოდ შეეგუებია იმ ახალი საზოგადოებრივი ურთერთობისათვის, რომელიც ბურჟუაზიული თაოსნობისა და მესარეწეობის სახით, მეტი თუ ნაკლები ზომით, უკვე შემოდიოდა სამეგრელოში; რათა პეტერბურგსა და ევროპაში ნამყოფ განათლებულ მთავარს, — რომელიც ა ლ. გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა და ბ ა რ ო ნ ნ ი კ ო ლ ა ი ს (იმპერიის განათლების მინისტრის) ქვისლი იყო, რომელსაც სიძედ ჰყავდა ნეაპოლის მეფის შვილიშვილი, პრინცი ა შ ი ლ მ ი ურ ა ტ ი და მომავალში რომლის შვილი ბოლგარეთის უმემკვიდრეოდ დარჩენილ ტახტისათვის კანდიდატი უნდა გამხდარიყო, — აეგო მეფური სასახლეები, გაეშენებია ტროპიკული ბაღები, სტუმრად მიეღო იმპერატორი და „ამა ქვეყნის ძლიერნი“ და ყოველივე ამის შესაბამისი ნადიმები, ნადირობა, ჯირითობა, ყაბახობა და მოლხენა უზრუნველეყო.

ამ მიმართულებით წარმოებულ „გაუმჯობესებათ“ ზედ ერთვოდა ის გარემოება, რომ სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს, დავ. დადიანს, „თავის დროზე“ აგრძნობინეს მისი ოჯახის მეგობრებმა — ივ. და გ. მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ე ბ მ ა, ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ, ბ ა რ ო ნ ნ ი კ ო ლ ა ი მ და ვ ა ს ი ლ ბ ე ბ უ თ ო ვ მ ა — რომ სამეგრელოს სამთავროს ავტონომია მალე უნდა გაუქმებულიყო. და ანიტომ „საბოლოოდ მას და მის შვილებს მარტო ის დარჩებოდა, რაც ექნებოდა ხელში... სამთავროს გაუქმების დროს და ამის გამო დავითმა — გადმოგვცემს ი. მეუნარგია, — მამულის და სხვა ქონების შეძენას მაგრად მიჰყო ხელი“.

ამგვარად, დავ. დადიანის გაუმჯობესებანი ძირითადში მიმართული იყო მისივე ადგილმამულის და სახლ-კარის გაფართოებება-გამდიდრებისაკენ, რაც არ შეიძლებოდა გლეხობის ბეგარა-გამოსაღებთა გაზრდის და საერთოდ „დაბალი ფენების“ ექსპლოატაციის გაძლიერების გარეშე. ამდენადვე, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დავ. დადიანის სამეურნეო და თანაც ადმინისტრაციული პოლიტიკა, სხვა მოვლენებთან ერთად, ერთგვარი უშუალო პრელუდია იყო 1857 წელს სამეგრელოს გლეხების მძვინვარე ამბოხებისა; ხოლო ეს ამბოხება საუკეთესო და ისტორიული ჭეშმარიტებით შემკული შეფასებაა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის მოღვაწეობისა.

ი. მეუნარგია თვითონვე იძლევა ყოველივე ამის საილუსტრაციო მასალებს და სწორედ ამაშია ამ წიგნის გამართლება და ღირსება.

ტექნიკურად წიგნი ვერ არის კარგად გამოცემული. ფასი მეტად ძვირია.

ჯ. გუგუშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გვ.

მხატვრული ლიტერატურა

გიორგი კაჭახიძე — ღამის ამბავი 3
ლადო ბალიაური — შურის ციხე 5
დავით სახუნცი — თარგმ. ალიო მაშაშვილის 25
დავით სახუნცი — თარგმ. რ. გვეტაძის 38
გ. ჩხიკვაძე — ახალი ხმელეთი 48
გ. ქუჩიშვილი — უკრაინა და საქართველო 64
გრ. აბაშიძე — ანდერძნამაგი 65
ა. ადამია — სვანური ცეკვა 68
ვ. სულაბერიძე — * * * 69
კ. გამსახურდია 70
ა. სახუტაშვილი — იოსებ ლალიაშვილი 118

კრიტიკა, მეცნიერება და ფილოსოფია

გ. ქიქოძე — ნიკო ნიკოლაძე 135
პ. იუდინი — ვ. ი. ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიო-კრიტიციზმი"-ს შესახებ 146

ბიბლიოგრაფია

პ. გუგუშვილი — იონა მეუნარგია—„სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი". მასალები და დოკუმენტები ს. ცაიშვილის რედაქციით 1939 თბ. 158